კვირის პალიტრა

მზე

N29 (31[illegible] 26/VII [illegible]
ფას[illegible]

1168
2006

63 დედაქალაქის მიწისქვეშა საგანძური — რა მარხია „რუსთავი 2“-ის შენობის ქვეშ

„ამბობენ, რომ მილიონი გადავიხადეთ „მის საქართველოს“ ტიტულში“

რა ელის ახალ მისს?

კახა კალაძე ძმის სახელზე ეკლესიას აშენებს და ჯერჯეროობით საქართველოში რჩება

...ორსული დედები, თანდაყოლილი ანომალია და რა აჩენს „კურდღლის ტუჩსა“ და „მგლის ხახას“

პროტოტიპები

მიშა ანდღულაძის დეიდა ნანული და ბიძია გურამი

„მთელი ჩვენი ცხოვრება შოუშია ასახული...“

მოძღვრის ეჭვი ზვიად გამსახურდიას საფლავის ადგილსამყოფლის შესახებ

კისტა და პოლიკისტოზი

- საშიშია თუ არა სარძევე ჯირკვლის კისტა?
- რა იწვევს ე.წ. „თმის ჩაბრუნებას“ ანუ კუდუსუნის კისტას?
- როგორ მკურნალობენ თირკმლის პოლიკისტოზს?

კვებითი ტოქსიკოინფექცია

- როგორ ვიკვებოთ ზაფხულში

თმის სოკოვანი დაავადება

- დაზიანებული მიდამოს ჯანსაღი შესახედაობა განკურნებაზე ჯერ კიდევ არ მიუთითებს?

პაპილომა

როგორ გადაგვედება პაპილომავირუსი

მხედველობის კორექცია

ცვლის თუ არა სათვალეს კონტაქტური ლინზა?

ექიმთა უფყვეტი განათლება

- რა მოეთხოვებათ ექიმებს

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

კვირის პალიტრა
№29 (319)
20 – 26 ივლისი. 2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„დიდი რვიანი“ და პატარა საქართველო ანუ „სხადნიაკი“ პეტერბურგში 3
ერთი კითხვა 4
დაბრუნება
რამდენად მიზანშეწონილია ნეშტის რამდენჯერმე გადასვენება 5
უცხოური პრესა
G8-ის პოლიტიკის ნიუანსები 6
სამართალი
„პატიმრები ამბობენ, რომ საკანში გადასვლას, კარცერში ყოფნა ურჩევნიათ“... 7
საგანძური
მონგრეული თაღი, სამაროვნებზე აშენებული ავტოგასამართი სადგურები 8
ჟურნალისტის როლში
როგორ ხდებიან საქართველოში მისები 10
შინ
კახა კალაძეს „მილანის“ უდანაშაულობის სჯერა 12
კრიმინალი
- ქმარმა ცოლის საყვარელი მოკლა 14
- 22 წლის ახალგაზრდამ, ქალის გაუპატიურება შვილების თვალწინ სცადა 15

გზავნილები
ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო 17
პროტოტიპი
„თითქმის მთელი ჩვენი ცხოვრებაა ასახული „შაბათის შოუში“... 21
თინეიჯერული პონტები
„დაბოლილი“ ბედინას მგლური კანონი და ქსელში „გახლართული“ ობობა 23
ანტიდეპრესანტი 26
არდადეგები
სალომე გასვიანს ამერიკელი თანატოლები არ მოსწონს... 26
ფესვები
სამშობლოთი აღფრთოვანებული ძმები თორაძეები გაისად ამერიკელ დედასაც ჩამოიყვანენ 28
სახე
მამუკა ჩარკვიანი ვარდების რევოლუციის ჰიმნისთვის ჰონორარს ითხოვს 29
ნამდვილი ამბავი
„მუშა“ ელიავას ბაზრობიდან... 31

სალომე გასვიანს ამერიკელი თანატოლები არ მოსწონს...

– ამერიკაში ყოფნისას, თავისუფალ დროს როგორ ერთობი?

– ძირითადად, თავისუფალ დროს კინოში დავდივარ და ჩემი გართობა, ფაქტობრივად, ამით შემოიფარგლება. მართალია, ღამის კლუბში სიარული ძალიან მიყვარს, მაგრამ იქაური კანონით, 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს, კლუბებში შესვლა ეკრძალებათ.

26



კახა კალაძეს „მილანის“ უდანაშაულობის სჯერა

„წელს, მოგზაურობაზე უარი ვთქვი და გადავწყვიტე, სამშობლოში დამესვენა, რისი შესაძლებლობაც იშვიათად მეძლევა“.

12



როგორ ხდებიან საქართველოში მისები

„არაფერი მახსოვს – რა ვთქვი, რა გავაკეთე. მეც გავითიშე. სრული შოკი განვიცადე, ბოლომდე ახლაც მიჭირს გაცნობიერება“.

10

მონგრეული თაღი, სამაროვნებზე აშენებული ავტოგასამართი სადგურები...

„იმ ადგილას, სადაც ახლა „რუსთავი 2-ის“ შენობა დგას, მსოფლიოში უძველესი ბრინჯაოს ნივთებია აღმოჩენილი“.

8

ობიექტივი 32

დოკუმენტური პროზა

სანამ ცოცხლები ვართ... (გაგრძელება) 33

ტაიმ-აუტი 36

რომანი

გაგა ვაჩნაძე. ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38

პრობლემა

თანდაყოლილი ანომალიები ანუ მომავალმა დედებმა ეს აუცილებლად უნდა იცოდნენ 42

ჯანმრთელობა

- როგორ დავაფრთხოთ კოღოები 44
- სად არის მამაკაცური ძალა? 44

იმიჯი

ეკა გაბიტაშვილი მგზეს თავს არიდებს 45

დღესასწაული

გწყალობდეთ ღაშარის ჯვარი! 46

ტაძარი

„ალაგნის დასავლეთით არს ალავერდი“... 48

ასპარეზი

რევაზ ძოძუაშვილი – ბესტის შემჩერებელი და ლატვიელთა საფეხბურთო განმანათლებელი 50

ლამაზი ცხოვრება

ბიგნესდინასტიის სკანდალურად ცნობილი მემკვიდრე კარგი გემოვნებით გამოირჩევა 53

ვარსკვლავები 55

მუნდიალი

კლინსმანის „მემკვიდრე“ იოაჰიმ ლიოვი 57

ბესტსელერი

შიო გვეტაძე. მონანიება (გაგრძელება) 60

ავტოელიტა 64

ქალი საჭესთან

ნეკა სებისკვერაძე დაცვის ბიჭების დაცინვის ობიექტი გახდა 66

სკანვორდი 67

ბომონდური მოზაიკა 68

ჰოროსკოპი

კვირის (20–26 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 70

ტესტი 71

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-74-44 email: gza@kvirispalitra.com



„თითქმის ეთელი ჩვენი ცხოვრებაა ასახული „ეაგათის ოთეში“...

„დავურეკე მიშიკოს და შავი დღე ვაყარე: ჩვენ გარდა, ვერავინ ნახე, რომ გაგეშაყირებინა-მეთქი?! დამამშვიდა: კარგი, რა, დეიდა, არ გინდა, ისტორიაში შეხვიდეო?..“

21

თანდაყოლილი ანომალიები

„ცერებრალური დამბლა ბავშვის მუცლად ყოფნის, ახალშობილობის ან ჩვილობის პერიოდში ვითარდება. ის სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ, თავის ტვინის დაზიანების შედეგს წარმოადგენს“.

42

ეაშეკა ჩარკვიანე ეარდების რევოლუციის ჰიმნისთვის ჰონორარს ითხოვს

„როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია, სიმღერის ავტორს ჰონორარი სიმღერაში უნდა ეკუთვნოდეს, მისი ნებისმიერ ადგილზე აქღერებისთვის...“

29

ველური წაბლის ხეივანი

მე ისედაც გაშიფრული ვარ და ყველამ იცის, ვინცა ვარ და რასაც ვაკეთებ. თუმცა, ვიღაცას ჩემი ჩაძირვაც შეიძლება უნდოდეს. ჰო, ეგ ჩათლახი ადრე უცხოელებზე აგროვებდა „სვოდკებს“. რამდენჯერმე ჩვენც გამოვიყენეთ, მაგრამ მერე დაგვეკარგა. ალბათ, სხვები მეტს უხდიდნენ და არც ჩვენ შეგვიწუხებია მაინცდამაინც. მოგეხსენება, პიარი მთელ ქალაქს სჭირდება და კლიენტი არ გვაკლია.

38

„დიდი რვიანი" და პატარა საქართველო

ანუ „ხახლინაკი" პეტერბურგში

„შესანიშნავი შვიდეული" გამიგია, „ჰიტ-ათეულიც" გამიგია, „დაუმადლებელი ოთხიანიც" ვიცი რასაც ნიშნავს, მაგრამ ეს „დიდი რვიანი", მომკალით და ვერ გავიგე, რა პონტია?.. ეჰ, ჩაწყობით ხდება ყველაფერი, თორემ, თუ სადმე სამართალია, საქართველო არ უნდა იყოს ამ „დიდი რვიანის" შემადგენლობაში?! ამერიკა, რუსეთი და ბრიტანეთი — კი, ბატონო; კარგი, საფრანგეთიც იყოს, ჯანდაბას მაგის თავი, მაგრამ იაპონია როდის გახდა დიდი სახელმწიფო?! ამან ისე აღმაშფოთა, რომ ეგრევე ჩემს

მეგობარ ბუშს დავუმესიჯე და იცით, რა მიპასუხა? — იაპონია რაც ზევითაა, ორი იმდენი მიწაშიაო... განათლებული კაცი რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ თუ ასე, ხუთი თითივით იცოდა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", არ მეგონა...

ეს მაინც არ ამართლებს საქართველოს არყოფნას ამ „დიდ რვიანში". ეგრე, ჩვენზეც შეიძლება ითქვას — საქართველო რაც ზევითაა, ორი იმდენი გვერდებზეაო: აბა, დაგვიბრუნონ დიდი დავითის დროიდან დღემდე დაკარგული ტერიტორიები და თუ არ გავხდებით დიდი ქვეყანა, მაგასაც ვნახავთ!.. რატომ უნდა გადაწყვიტოს მსოფლიოს და მათ შორის, საქართველოს ბედიც ამ რვა ქვეყნის პრეზიდენტმა?! ჩვენ ვწყვეტთ რამეს მაგათ გარეშე?! დენის და გაზის გაიაფება გვინდა, რუსეთს ვეკითხებით, სამხედრო წვრთნების ჩატარება გვინდა, აშშ-ს უნდა ვთხოვოთ ნებართვა, ერთი სასტუმროც ვერ გაგვიყიდია ყაზახების გარეშე — სადაა სამართალი? ესენი რომ „ჩასხადნიაკდნენ" სანქტ-პეტერბურგში, ჩვენ სულგანაბულები ველოდით — ჩვენზე თუ იტყვიან რამესთქო!..

ერთი შეხედვით, ასე უიმედოდ გამოიყურება ჩვენი პოლიტიკურ-სტრატეგიული მდგომარეობა, მაგრამ მოვლენების მსვლელობას თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ მსოფლიოს „დიდი რვიანი" კი არა, ერთი კაცი მართავს და ის ერთი კაცი ჩვენი პრეზიდენტია. აბა, გაიხსენეთ, რატომ იყო ჩასული სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე ვაშინგტონში და რატომ ხვდება სამიტიდან რამდენიმე დღეში პუტინს?! იმიტომ, რომ რაც ერთს უბრძანა, იმის შესრულების ანგარიშს მეორისგან ჩაიბარებს. აბა, ეს პუტინი ხომ საერთოდ „ყურებით გვყავს დაჭერილი": ჰაერივით სჭირდება ჩვენი მხარდაჭერა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრებლად. ჩემი ნება რომ იყოს, მაგათ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში კი არა, სუპერმარკეტში არ შემოვუშვებ, არაყი და ლორი რომ იყიდონ, მაგრამ რას იზამ — პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა და ჩვენც მივცემთ ხმას, თუკი სამშვიდობო ძალებს დაახვევინებენ საქართველოდან. თუ არა და, უფრო საშინელი სასჯელიც მაქვს მათთვის მოფიქრებული: ჩვენ ხომ რუსეთის დენითა და გაზით გვიდგას სული, ჰოდა, ერთი თვე არც დენს ვიხმართ და არც — გაზს, არც დავიბანთ, არც საჭმელს შევჭამთ, ნათურასაც არ ავანთებთ და დავაქცევთ რუსეთის ეკონომიკას.

„დიდი რვიანის" წევრი სხვა ქვეყნებიდანაც სრული მხარდაჭერა გვაქვს: სანამ საქართველოში ყველა სასტუმრო და საერთო საცხოვრებელი არ გაიყიდება, ყაზახეთი ჩვენი მონაა; გერმანია ხომ, საშვილიშვილო ვალშია ჩვენთან — „ოპელ-ვექტრების" გასაღების გამო; იაპონია კოკაის გამო (ჩვენი სუმოისტი როა იმათთან) გვიკმევს გუნდრუკს...

ასე რომ, ნუ გიკვირთ და ნუ საყვედურობთ ჩვენს პრეზიდენტს — ხშირად გადის ქვეყნიდანო... კაცი ამხელა დედამიწას მართავს და ხანდახან ხომ უნდა გადახედოს, თუ სწორად ბრუნავს?!.

PS. *სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის თვითაღიარებული პრეზიდენტების შეხვედრა:*

— სანქტ-პეტერბურგში გამართული შეხვედრის პარალელურად, ჩვენი შეხვედრაც შედგა.

— იმ შეხვედრას „დიდი რვიანი" ჰქვია და ჩვენს სამიტს არაფერი დავარქვათ?

— როგორ არა! ნახეთ, რა კარგად ჟღერს: „დიდი რვიანი" და „კოჭლი სამიანი"...

პროვოკატორი

„რუს სამშვიდობოებს ისე მოვექცევით, როგორც დამპყრობლებს“...

— სამშვიდობოების გაყვანასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას, რუსები „შანტაჟის მცდელობას“, ქართველი ექსპერტები კი, რისკიანს უწოდებენ. რეალურად, მისი ამოქმედების რა პერსპექტივა გვაქვს?

გივი თარგამაძე, *თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:*

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ რუს სამშვიდობოებს მდგომარეობის გამოსასწორებლად საკმარისი ვადა მივეცით, სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. შეფარვით და მათი მონაწილეობით, ტერორისტული აქტები და დივერსიები იგეგმება. მათივე თაოსნობით ხდება ტერიტორიების ანექსირება. ეს ძალები, ადგილობრივი მოსახლეობისთვის საფრთხეს წარმოადგენს. შესაბამისად, მათ დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ საქართველოს ტერიტორია. ჩვენ ეს გადაწყვეტილება მივიღეთ და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ის ვერ შესრულდება, ძალიან ცდება. ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, ამ თემაზე უფრო კონკრეტულად ვისაუბრებთ. რაც შეეხება შემდგომ პროვოკაციებს — ამის ალბათობა დიდია. ამას ადასტურებს ის სამხედრო წვრთნები, რომლებიც საქართველოს საზღვრიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, 58-ე არმიის მონაწილეობით მიმდინარეობს. მმართველმა გუნდმა საკუთარ თავზე სერიოზული პასუხისმგებლობა აიღო და ერთიანობითა და პროფესიონალიზმით, ჩვენ შევძლებთ მიზნის მიღწევას. როგორც კი რუსი სამშვიდობოები კანონგარეშედ გამოცხადდებიან, ჩვენ მათ ისე მოვექცევით, როგორც დამპყრობლებს, ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილ უკანონო შეიარაღებულ ძალებს. საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ისინი კონფლიქტურ ზონებში ველარ გაჩერდებიან. „გაყინული კონფლიქტების“ ეპოქა უნდა დამთავრდეს, მაგრამ რა თქმა უნდა — მშვიდობიანი გზით. ■

„გიგი უგულავა თავისი პიარკამპანიისთვის საბიუჯეტო ფულს ანიავებს“...

— საკრებულოს ოპოზიცია გიგი უგულავას, საბიუჯეტო თანხების განიავებაში ადანაშაულებს. თქვენი ინფორმაციით, ფული საარჩევნო კამპანიის პიარისთვის იხარჯება?

გიორგი გუგავა, *ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:*

— არჩევნები ჯერ დანიშნულიც არ არის და გიგი უგულავამ საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. საზოგადოებამ მშვენივრად იცის ის უამრავი სატელევიზიო კლიპი, რადიოკლიპი და ა.შ., რომელშიც გიგი უგულავა მონაწილეობს და ერის მოჭირნახულის სახით, ქვეყნის აღმშენებლობის პერსპექტივებზე გველაპარაკება. კანონდარღვევა კი ის არის, რომ ამჟამინდელი მერი თავისი პიარკამპანიისთვის, საბიუჯეტო თანხებს იყენებს. თბილისში სარეკლამო დაფებსა და ფირნიშებზე უკვე, გიგი უგულავას პორტრეტები გამოჩნდა. მოქმედი მერი რეიტინგის ამაღლებას იმ სათამაშო მოედნებითაც ცდილობს, რომლებიც არაერთ უბანში ქალაქის ბიუჯეტის თანხით კეთდება. ამა თუ იმ მიმართულებით თანხების ხარჯვა კი, აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა. როცა მათ ასფალტის დაგებისა და სხვა სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა მოვთხოვეთ, აღმოჩნდა, რომ ეს დოკუმენტი გასაიდუმლოებულია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქალაქის მერისა და პრემიერისგან ანგარიშს მაინც მოვისმენთ და გავარკვევთ — კონკრეტულად რა თანხაა გამოყოფილი მიზნობრივად და რამდენს ხარჯავს სააკაშვილის ხელისუფლება გიგი უგულავას მერობისთვის. პრეზიდენტმა იცის, რამდენად მნიშვნელოვანია მისი ხელისუფლებისთვის დედაქალაქის მერის პოსტი, ამიტომ მაქსიმუმს აკეთებს იმისთვის, რომ შეინარჩუნოს იგი. სწორედ ამიტომ არ ნიშნავს მერის პირდაპირ არჩევნებსაც. სააკაშვილისგან გათამამებული უგულავა კი, საკუთარ პიარზე ბიუჯეტის ფულს ანიავებს. ■

„ხელისუფლებას დემოკრატიის ანბანი არ ესმის“...

— როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, თუ ოპოზიცია არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს, შიდაპოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბება. რომელი მხარე უნდა წავიდეს დათმობაზე?

რამაზ კლიმიაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— ევროპის საბჭო, საქართველოს საკითხს სერიოზულად განიხილავს და საკმაოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნებიც აქვს მომზადებული. თუ საერთაშორისო ორგანიზაცია საკუთარი მითითებების შესრულებას კატეგორიულად მოითხოვს, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საარჩევნო კანონის „გაკეთილშობილებაზე“ იზრუნოს — მერის პირდაპირი წესით არჩევასა და საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ფორმის შეცვლაზე დათანხმდეს. დღესდღეობით კი, ოპოზიციის მოთხოვნების გათვალისწინებას არავინ აპირებს. ხელისუფლება ყველა განცხადებას ცინიკურად უყურებს. საზოგადოებაში კი, პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური ფონის უკიდურესად დამძიმების გამო, პროტესტი მწიფდება. თუ ეს ადამიანები რადიკალურ ღონისძიებებს მიმართავენ, ქვეყანაში უმართავი პროცესები დაიწყება. ოპოზიცია, რომელსაც მოსახლეობაში არცთუ ისე მაღალი რეიტინგი აქვს, მასების გაკონტროლებას ვერ შეძლებს. ჩემი აზრით, სექტემბრის დასაწყისიდან, პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბება და ის არანაკლებ მწვავე იქნება, ვიდრე 2003 წლის შემოდგომაზე იყო. როცა ორივე მხარე უკომპრომისოდ იქცევა, კონფლიქტი გარდაუვალია. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დაპირისპირება „დიპლომატიური კონფლიქტის“ ჩარჩოებს არ გასცდება. თუ მოვლენები ასე განვითარდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ბრალი იქნება, რადგანაც მას დემოკრატიის ანბანი არ ესმის. ■

C M Y K

გარდაცვალებიდან 13 წლის შემდეგ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს სამშობლოში დიდი პატივით დაკრძალავენ. ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში გადმოსვენების დეტალებზე სპეციალური კომისია იმუშავებს. ის, რომ გროზნოში გამსახურდიას საფლავის ადგილას სამთავრობო რეზიდენციის აშენება გადაწყდა, პირველად, პრეზიდენტის ოჯახმა ერთი თვის წინ შეიტყო. მას შემდეგ, რუსულ მხარესთან მოლაპარაკებებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს საპატრიარქო აწარმოებენ. ექსპრეზიდენტის მომხრეები ამ გადაწყვეტილებას თითქმის ერთსულოვნად, დადებითად აფასებენ, მაგრამ არსებობს რადიკალურად განსხვავებული პოზიციებიც.

რელიგიური თვალსაზრისით, რამდენად მიზანშეწონილია ნეშტის რამდენჯერმე გადასვენება, სად უფრო უჯრანია საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაკრძალვა და რა ეჭვები აქვთ გადმოსვენების მოწინააღმდეგეებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით? — ამ კითხვებით რამდენიმე რესპონდენტს მივმართეთ.

რამდენად მიზანშეწონილია ნეშტის რამდენჯერმე გადასვენება

მოძღვრის ეჭვი ზვიად გამსახურდიას საფლავის აღგილსამყოფლის შესახებ

ხათუნა მაღრაძე

დავით ზურაბიშვილი, *პარლამენტის წევრი:*

— ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში გადმოსვენება — ეს მხოლოდ მისი ოჯახის გადასაწყვეტია. თუ მემკვიდრეები საჭიროდ მიიჩნევენ, მაშინ აქ უნდა დაიკრძალოს. გამსახურდია ქვეყნის პირველი პრეზიდენტი იყო და შესაფერისი პატივი უნდა მივაგოთ. რაც შეეხება ჩემს პირად შეხედულებას — მე ასეთ იდეებს არასოდეს ვიწონებ. გამსახურდიას ჩეჩნეთში დაკრძალვა, მისი პოლიტიკური და ცხოვრებისეული ბიოგრაფიის ნაწილია. ჩვენ ბევრი ქართველი გადმოვასვენეთ, მაგრამ ეს არასწორი მგონია. დავით გურამიშვილი უკრაინაში რომ არის დაკრძალული, ეს მისმა ცხოვრებამ, მისმა ბედისწერამ განსაზღვრა და ამაში ჩარევა უადგილოდ მიმაჩნია. დავით გურამიშვილი ქართულ-უკრაინული ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ეს ყოველთვის ასე იქნება.

— თქვენი აზრით, გადმოსვენების შემდეგ, მისი დაკრძალვა სად უფრო უჯრიანი იქნება?

— როგორც ვიცი, ოჯახს სურს, ის წმინდა სამების საკათედრო ტაძარში დაიკრძალოს. ვფიქრობ, მშვენიერი არჩევანია.

ქაშუეთის ეკლესიის მოძღვარი, ***მამა კონსტანტინე,*** *ერთადერთი საეკლესიო პირი იყო, რომელიც ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის დღეს, გროზნოში ჩავიდა და მიცვალებულს წესი აუგო. მისი განცხადებით, პრეზიდენტის საფლავის ადგილსამყოფელი დღემდე, გასაიდუმლოებულია და როგორ აპირებენ ნეშტის გადმოსვენებას — მამა კონსტანტინესთვის გაუგებარია...*

— იმ წლებში, როდესაც ზვიად გამსახურდია გროზნოში გადაასვენეს, ის საქართველოში ქვეყნის მტრად იყო შერაცხული. მის დაკრძალვაზე ალბათ, ბევრს უნდოდა ჩასვლა, მაგრამ ვერ გაბედეს, ამიტომ, მეც ვამჯობინე, ისე წავსულიყავი, რომ არავინ გამეფრთხილებინა. ჩემი გამგზავრების შესახებ, არც საპატრიარქომ იცოდა და არც — ოჯახმა. მეგონა, საქართველოდან სრულიად მარტო წავედი, მაგრამ მატარებელში რომ ავედი და გარშემო მიმოვიხედე, მივხვდი, რომ სულ მცირე, ორი ვაგონი მიდიოდა ზვიად გამსახურდიას დაკრძალვაზე. მათ შორის, ცნობილი სახეები ნაკლებად იყო. ჩვეულებრივი რიგითი ადამიანები, რისკის ფასად მიდიოდნენ გროზნოში პირველი პრეზიდენტისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად...

— თქვენ სხვა ადამიანებთან ერთად ნახეთ, სად დაიკრძალა ზვიად გამსახურდია?

— მოგეხსენებათ, იმ პერიოდში, ჩეჩნეთში საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობდა. ჯოხარ დუდაევიც ცოცხალი იყო, ამიტომ, გამსახურდიას საფლავის გასაიდუმლოების არანაირი საფუძველი არ არსებობდა. მაგრამ მოგვიანებით, როცა რუსეთის ჯარი შევიდა იჩქერიაში, საქართველოდან ბუნტის მომწყობთა წარმომადგენლები ჩავიდნენ გროზნოში, ექსპრეზიდენტის საფლავი გათხარეს, მაგრამ იქ ზვიად გამსახურდიას ნეშტი არ დახვდათ. როგორც თავად ჩეჩნებისგან ვიცი, საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე, ადგილობრივმა თავკაცებმა ზვიად გამსახურდიას ნეშტი სხვა ადგილას გადაასვენეს, რომ მტერს არ ჩაეგდო ხელში კავკასიის გმირის საფლავი. ეს ადგილი დღემდე გასაიდუმლოებულია, ისევე, როგორც ჯოხარ დუდაევის საფლავი. ამდენად, იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა, რეზიდენცია შენდება, ზვიად გამსახურდია არ არის დაკრძალული. იმ ადგილიდან როგორ უნდა გადმოასვენონ მისი ცხედარი — ჩემთვის გაუგებარია...

— თუ ეს აზრი სინამდვილეს შეესაბამება, ვის რაში სჭირდება ამ თემით მანიპულირება?

— ღმერთმა მაპატიოს, თუ რამეს ვცოდავ, მაგრამ ეს საკითხიც სავარაუდოდ, მავანს ფულის მოსაპოვებლად სჭირდება: როგორც წესი, ასეთი პროცედურისთვის სერიოზული თანხები გამოიყოფა. თუ ქალბატონ მანანა არჩვაძეს მეუღლის საფლავის ნახვა უნდა, იქ სანთლის დანთება და დატირება, ჩეჩნეთში ჩასვლას არავინ უშლის. ქაქუცა ჩოლოყაშვილი რომ გადმოვასვენეთ დიდი ზარ-ზეიმით, ახლა მიდით და მისი საფლავი ნახეთ — როგორი „მოვლილი და ნაპატივებია“ და როგორ იტყვებენ ქართველები მის საფლავზე მუხლებს... თუ ქართველ ხალხს დიდი წინაპრის დაფასება უნდა, აგერ არის დავით აღმაშენებლის, ერეკლე მეფის განსასვენებლები — ვინმე მიდის და ცრემლებს ღვრის იქ?.. წარმოიდგინეთ, მუსლიმანი მებრძოლები ზვიად გამსახურდიას საფლავზე ფიცს დებდნენ, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ?.. თითქმის დაუჯერებელია, მუსლიმანი იმ საფლავთან რომ დაიჩოქებს, სადაც ჯვარია აღმართული. ჩვენგან დაუფასებელი, მათ, როგორც გმირი, ისე მიიღეს!.. სანამ საქართველო იმ ცოდვას არ მოინანიებს, რომელიც მის წინაშე ჩაიდინა, გამსახურდიას გადმოსვენება გამართლებულად არ მიმაჩნია.

— რელიგიური თვალსაზრისით, რამდენად მიზანშეწონილია ნეშტის გადასვენება და ეკლესიური წესებიდან გამომდინარე, ვინ უნდა მიიღოს ამის შესახებ გადაწყვეტილება?

— გადასვენება ხდება ოჯახის სურვილის შესაბამისად და ეკლესია ამას არ კრძალავს. მე ასეთი მიცვალებულებისთვის პანაშვიდიც გადამიხდია და საფლავიც მიკურთხებია. გადასვენება ხდება ჭირისუფლისთვის და არა — მიცვალებულისთვის. როცა ადამიანი გარდაიცვლება, მთავარია, ნეშტი მიწამ მიიბაროს, სული კი — უფალს შეუერთდეს. ზვიად გამსახურდიას ნეშტი კავკასიის მიწასაა მიბარებული და ნუღარ ვაწვალებთ მის სულს. ეს ჩვენი ქვეყნის და ზვიად გამსახურდიას ისტორიაა, ისტორიის გაყალბება კი, არ შეიძლება.

ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მონაფე, ამჟამად, პარლამენტარი ***ზვიად ძიძიგური*** *დარწმუნებულია, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი აუცილებლად მის სამშობლოში უნდა იყოს დაკრძალული:*

— სრულიად ვეთანხმები ოჯახის გადაწყვეტილებას, ბატონ ზვიად გამსახურდიას გადმოსვენებასთან დაკავშირებით. გამსახურდია იყო ავტორი საქართველოს დამოუკიდებლობის, ინიციატორი რეფერენდუმის ჩატარებისა, რუსული ჯარის საქართველოდან განდევნისა. ის ნამდვილად იმსახურებს სამშობლოში სათანადო პატივით დაკრძალვას.

— თქვენი აზრით, რატომ შეიცვალა მისმა ოჯახმა პოზიცია? ადრე ხომ ისინი თბილისში გამსახურდიას გადმოსვენებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ?

— არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს, სწორი გადაწყვეტილებაა.

— როგორ ფიქრობთ — მთაწმინდა, სამება თუ კოლსტური კოშკი? სად უნდა დაიკრძალოს მისი ნეშტი?

— თუ კათოლიკოს-პატრიარქმა თანხმობა განაცხადა, წმინდა სამების ეკლესია ნამდვილად შესაფერისი ადგილი იქნება. ეს ტაძარი უახლესი ისტორიის ყველაზე გრანდიოზული ნაგებობაა და უახლესი ისტორიის ყველაზე ღირსეული ადამიანის იქ დაკრძალვა მართებული იქნება.

G8 და პოლიტიკის ნიუანსები

რუსუდან ლებანიძე

„რუსეთი დაბრუნდა. შეწყვიტეთ ჩოჩქოლი!“ — დაახლოებით ასე შეაფასეს დასავლელმა პოლიტიკოსებმა და ანალიტიკოსებმა „დიდი რვიანის“ სამიტის მასპინძლის პოლიტიკური და ეკონომიკური ამბიციები, რაც, რბილად რომ ვთქვათ, უკვე არახალია. თუმცა, როგორც

დიდ პოლიტიკაში ღრმად ჩახედულნი ირწმუნებიან, მსგავს შეხვედრებზე გახმოვანებულ მოსაზრებებს, მიღებულ თუ ხელმოწერილ ჯენტლმენურ შეთანხმებებს სავალდებულო ხასიათი არა აქვს და არც იმის იმედი უნდა ჰქონოდა ვინმეს, რომ სამიტზე შეკრებილი წამყვანი ქვეყნების წამყვანი პოლიტიკოსები სკანდალურ განცხადებებს გააკეთებდნენ, რადგან ასეთ თავყრილობებზე მთავარი მოვლენები დახურულ შეხვედრებზე ხდება.

გამართლდება თუ არა ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილის იმედი, რომ ერთ-ერთი ასეთი დახურული შეხვედრის მთავარი თემა — საქართველოც გახდა, ამას მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი, სამიტის შემდგომ, უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებს გადავავლოთ თვალი.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ თუ იმ პუბლიკაციებით ვიმსჯელებთ, რომლებზეც მე გავამახვილე ყურადღება, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სამიტზე „რაც შეიტანეს“, უკანაც „იგივე გამოიტანეს“ — ანუ ჟურნალისტებმა ვერც ერთი დახურული შეხვედრიდან ვერანაირი ღირებული ინფორმაცია ვერ ჩაიგდეს ხელთ და ამიტომაც, პოლიტიკური წყლის ნაყვისა და სამიტის ორგანიზების დეტალების განქიქებით დაკმაყოფილდნენ...

სამი „მოუსყიდავი“ დღე

(Frankfurter Algemaine, გერმანია)

პეტერბურგის „დიდი რვიანის“ სამიტზე ჩასული პოლიტიკური ლიდერები პუტინის დროს თითქმის სრულიად განახლებულ, ქალაქის განაპირას მდებარე, კონსტანტინის რეზიდენციის ტერიტორიაზე, მდიდრულ ვილებში განთავსდნენ. სამიტის წინ, იქ 4,2 მილიონი დოლარის ღირებულების ამპირის სტილის ავეჯი შეიტანეს, სასახლის პარკში ექვსი ახალი შადრევანი გახსნეს, ათასობით ძირი ახალი ხე დარგეს და კლასიკური ქანდაკებები დადგეს... სანქტ-პეტერბურგის გარეუბანში — ზელენოგორსკში შეკრებილი 500-მდე ანტიგლობალისტისთვის კი, მხოლოდ უბრალო ბანაკი დასცეს. მართალია, ბანაკამდე წყალიც მიიყვანეს, მაგრამ — მხოლოდ ტექნიკური, რომლის არათუ დალევა, არამედ ჭურჭლის სარეცხად გამოყენებაც კი არ შეიძლებოდა.

მსოფლიო ელიტის ჩამოსვლის დღისთვის, პეტერბურგის მთავარ ქუჩებზე ასფალტი ხელახლა დააგეს, ხეები „გაკრიჭეს“, გაზონები „დავარცხნეს“. ქათქათა თეთრ პერანგებში გამოწყობილი მილიციელები უნდობლობის გაფანტვას ფართო ღიმილით ცდილობდნენ...

სამიტის გამო, სანქტ-პეტერბურგის აეროპორტები სამი დღით დაიკეტა. ნევაზე გადაადგილება აიკრძალა. სასტუმროები ახალ სტუმრებს აღარ იღებდნენ, ძველებს კი, როგორც ინკოგნიტოდ დარჩენილი, ერთ-ერთი სასტუმროს თანამშრომელი ირწმუნებოდა, — რენტგენზე ატარებდნენ; სატელეფონო საუბრები სისტემატურად ისმინებოდა...

ისე, რიგით ადამიანებთან ერთად, პეტერბურგში ჩასული პოლიტიკური ელიტაც ნაკლებად როდი „დაბანაკდა“! მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტი იძულებული გახდა, ქალაქში ველოსიპედით გასეირნებაზე უარი ეთქვა, კანადის პრემიერმა კი, „ერმიტაჟში“ მოხვედრა ვერ მოახერხა...

საგზაო ინსპექციამ მიიღო მკაცრი მითითება, რომ მოძრაობისთვის ტრადიციისამებრ ხელი კი ასრ შეეშალა, არამედ ნამდვილად დაერეგულირებინა: სამი დღის მანძილზე, მილიციელები სრულიად მოუსყიდველნიც უნდა ყოფილიყვნენ...

როკვა ვულკანის პირას

(Liberasion, საფრანგეთი)

პლანეტის 8 თვითგამოცხადებულ დიად სახელმწიფოს შორის თუნდაც მინიმალური ჰარმონიის შესაქმნელად, ბალტიის სუფთა ჰაერი, ლანგუსტების ზეფირი და არაერთი სხვა დელიკატესიც, რომლებითაც ვლადიმირ პუტინი თავის სტუმრებს გულუხვად უმასპინძლდებოდა, საკმარისი არ აღმოჩნდა. პუტინს ძალიან უნდოდა, რომ რუსეთის თავმჯდომარეობით მიმდინარე, 8 ქვეყნის სამიტი, რუსეთის სიდიადის აღდგენის დემონსტრაციად ქცეულიყო, მაგრამ ყველაფერი ახლო აღმოსავლეთში დაწყებულმა ომმა გააფერმკრთალა...

ასეთ პირობებში დაწყებულმა, პეტერბურგის სამიტმა პუტინს იმის განმარტების საშუალება მაინც მისცა, რომ მას, მისი სტუმრების მიერ ჩატარებული, დემოკრატიის გაკვეთილები არაფერში სჭირდება. ბუშს, რომელმაც სიამაყით შენიშნა, რომ ერაყში „ბეჭდვითი სიტყვისა და რელიგიის თავისუფლება“ აღდგა, რუსეთის პრეზიდენტმა მოსწრებულად უპასუხა: „ჩვენ სულაც არ გვინდა, რომ ისეთივე დემოკრატია გვქონდეს, როგორიც ერაყშია“... არადა, ამ სამი დღის მანძილზე, რუსეთმა დემოკრატიაზე ფრიად სპეციფიკური წარმოდგენის დემონსტრირება, „დიდი რვიანის“ საწინააღმდეგო, პრაქტიკულად ყველა დემონსტრაციის აკრძალვით მოახდინა. სანქტ-პეტერბურგში შეკრებილ რამდენიმე ასეულ ანტიგლობალისტს ადგილი ქალაქის მეორე ბოლოში — სტადიონზე მიუჩინა და მილიციის მკაცრი ზედამხედველობაც დაუწესა. სამოცზე მეტი ადამიანი, მათ შორის — ადგილობრივი ანტიგლობალისტური ორგანიზაციის ორი ლიდერი დააპატიმრეს, ზოგიერთი კი, ქალაქში მანიფესტაციის მოწყობის მცდელობისას სცემეს...



გაგრძელება იხ. გვ. 58

თუ აქამდე, ხელისუფლების უმრავლესობის წევრები ამა თუ იმ საკითხის გარშემო ხშირად, ერთსულოვანნი იყვნენ, ბოლო დროს, ცალკეული პირების მხრიდან განსხვავებული აზრის გამოთქმა მოხშირდა. „მიმაჩნია, რომ ირაკლი კაკაბაძე და მისი თანამოაზრეები პატიმრობაში უსამართლოდ იმყოფებიან", „არ მჯერა ამ სასამართლოს ობიექტურობის", „გირგვლიანის საქმის შემთხვევაშიც, მოსამართლე ჩემიამ, ვფიქრობ, რომ პასუხისმგებლობას თავი აარიდა", „გიორგი ხუბუა თანამდებობისთვის შეუფერებელი კანდიდატურაა" — ეს ფრაზები პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ელენე თევდორაძეს ეკუთვნის. მას არც უნივერსიტეტის „პროტესტანტი" პროფესორ-მასწავლებლების საქციელი მოსწონს და არც ცოდნის ტაძარში მოულოდნელად შეჭრილი საპატრულო პოლიციელების. თევდორაძის შეფასებით, პენიტენციარულ სისტემაში არსებული სოციალური მდგომარეობაც კვლავ მძიმეა...

„პატიმრები ამბობენ, რომ საკანში გადასვლას, კარცერში ყოფნა ურჩევნიათ"...

სასამართლო და პენიტენციარულ სისტემებს გადაუდებელი რეფორმა ესაჭიროება

თამარ როსტიაშვილი

— სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დადგენილება — ირაკლი კაკაბაძის დაპატიმრების თაობაზე — უარყოფითად შეაფასეთ და ეკა ტყეშელაშვილის მიმართ უნდობლობა გამოხატეთ. როგორ ფიქრობთ — კაკაბაძე და მისი თანამოაზრეები რის გამო დაისაჯნენ?

— როდესაც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს დადგენილება გამოაქვს, გადაწყვეტილება მყისვე ძალაში შედის და მას ვერავითარი ბერკეტი ვერ შეცვლის. მაგრამ თუ გადაცდომასთან გვაქვს საქმე ან მოსამართლემ კანონის ინტერპრეტირება მოახდინა, ამ შემთხვევაში, ერთადერთი გზაა — მივმართოთ იუსტიციის საბჭოს, რომელსაც შეუძლია, მოსამართლის დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი განიხილოს. სწორედ იუსტიციის საბჭო და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გაარკვევენ, ამა თუ იმ მოსამართლემ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, შეცდომა დაუშვა თუ არა. იმ პერიოდში, როდესაც ქალაქის სააპელაციო სასამართლოში რამიშვილი-კოხრეიძის პროცესი მიმდინარეობდა, საქართველოში არ გახლდით და შესაბამისად, ირაკლი კაკაბაძის დანაშაულებრივ ქმედებებზე მსჯელობა არ შემიძლია. იმ სატელევიზიო კადრებიდან კი, რაც ვიხილე, მიმაჩნია, რომ ირაკლი კაკაბაძე და მისი თანამოაზრეები პატიმრობაში უსამართლოდ იმყოფებიან. როდესაც კაკაბაძის მოსანახულებლად საავადმყოფოში მივედი, ის დეტალურად მომიყვა, თუ როგორ და რა ვითარებაში დააპატიმრეს. მითხრა — როდესაც ის, თანამოაზრეებთან ერთად დააკავეს და წინასწარი გამოძიების იზოლატორისკენ მიჰყავდათ, სამართალდამცველებს მისთვის არ უთქვამთ, რომ იგი დაპატიმრებული იყო. დაკავების შესახებ მან ე.წ. „კაპეზეში" მისვლის შემდეგ გაიგო... კაკაბაძისა და მისი თანამოაზრეების ადვოკატებს რამდენიმე დღის განმავლობაში, არ ჰქონდათ სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა, „პროტესტანტების" დაკავება. როდესაც ამის შესახებ ტელევიზიით განვაცხადე, პარლამენტში მოსვლისთანავე, დამხვდა ფაქსით გამოგზავნილი სასამართლო გადაწყვეტილება. საზოგადოების უმრავლესობისთვის ეს ყველაფერი ცოტა საეჭვო და ბუნდოვანია. სწორედ ამიტომ მივმართე იუსტიციის საბჭოს, რათა საფუძვლიანად განიხილოს ირაკლი კაკაბაძის დაკავების ფაქტი. თუ რა მოჰყვება მიმართვას — ეს იუსტიციის საბჭოს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადასაწყვეტია. მათ ობიექტურობაში ეჭვი რომ მეპარებოდეს, ალბათ, არ მივმართავდი. იყო შემთხვევა, როდესაც მოსამართლის მიერ უსამართლოდ გამოტანილი განაჩენის თაობაზე მომჩივანებთან მისაუბრია, საქმის მასალებსაც გავცნობივარ და იუსტიციის საბჭოსთვისაც მიმიმართავს. ასეთ ფაქტებზე თითქმის ყოველთვის, სათანადო რეაგირება მოუხდენიათ. ამ შემთხვევაშიც მიმაჩნია, რომ საბჭო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

— რას იტყვით სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით? საერთოდ, თქვენი აზრით, დღევანდელი სასამართლო რამდენად დამოუკიდებელი და ობიექტურია?

— დღევანდელი სასამართლო დამოუკიდებელი რომ არ არის, ფაქტია. არის შემთხვევები, როდესაც მოსამართლეზე ზეწოლას ახდენენ. კონკრეტულად ვინ და რატომ ახდენს დღევანდელ სასამართლოზე ზეწოლას — ვერ დაგისახელებთ. შესაძლებელია, ეს იყოს პროკურატურა. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით არ მსურს, კონკრეტული პირების მიმართ რაიმე სახის შეფასებები გავაკეთო. ზოგადად, არ მჯერა ამ სასამართლოს ობიექტურობის. ვფიქრობ, რომ გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესზე დაზარალებულების ადვოკატების მიერ წაყენებული შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილებულიყო: ამით, საზოგადოებას შედარებით ნაკლები პასუხგაუცემელი კითხვა დარჩებოდა. ვფიქრობ, რომ სასამართლომ მოქმედების არასწორი სტრატეგია აირჩია. გირგვლიანის მეგობრის — დაზარალებულ ბუხაიძის ბოლო ჩვენების შემდეგ, სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, პროცესი გაეგრძელებინა და ამგვარად, საყურადღებო ჩვენების იგნორირება მოეხდინა.

გაგრძელება იხ. გვ. 59

Georgian Adventures & Tours

ტელ: 20-44-11; 38-49-21

ელ.ფოსტა: info@geoadventures.ge

მოგზაურობა რაფტინგზე GAT-თან ერთად

ერთი ადამიანი 30 ლარიდან

ჯგუფური ფასდაკლება:
ფასდაკლება სამუშაო დღეებში

ჩვენ ასევე გვაქვს კემპინგი,
ლაშქრობა და სხვა
სათავგადასავლო ტურები
30 ლარიდან (ერთი ადამიანი)

საუკეთესო ნავები, საუკეთესო გიდები, საუკეთესო თავგადასავლები!

თბილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია მსოფლიოში. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მას ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, არა მარტო სავაჭრო-ეკონომიკური, არამედ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც. IV საუკუნიდან, თბილისი, ციხე-ქალაქად იწოდება. მისი ისტორია კი გაცილებით ადრეული ეპოქიდან დაიწყო. ამის დასტურია ის უნიკალური არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა უბანში აღმოუჩენიათ და შეუსწავლიათ. ერთ-ერთი ბოლო აღმოჩენა პუშკინის ქუჩაზე, მიწის ქვეშ არსებული ნაგებობაა. რა ხდება დღეს ქართულ არქეოლოგიაში, რა იმალება დედაქალაქის მიწის ქვეშ და როგორ უნდა ვუპატრონოთ ამ საგანძურს? — ამ კითხვებით თბილისის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელს, მიხეილ აბრამიშვილს მივმართეთ.

ძონგრეული თაღი, საძაროვნეკზე აშენებული ავტოგასამართი სადგურები

ვისავთ თუ ვანგრევთ ჩვენს კულტურულ ემემკვიდრეობას?

თამუნა კვინიკაძე

— ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულიდან დღემდე, თბილისის ტერიტორიაზე უწყვეტად სახლობს ადამიანი. დასახლების თვალსაზრისით, ასეთი დიდი ისტორია მსოფლიოს არც ერთ დედაქალაქს არა აქვს. თბილისის მიწისქვეშა ქალაქი მრავალფენიანი და მრავალფეროვანია. სამწუხაროდ, საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული ამის შესახებ. ძალიან ცოტამ თუ იცის დედაქალაქის წინაისტორია.

— რამდენიმე დღის წინ, პუშკინის ქუჩაზე ტროტუარი ჩაინგრა და ასფალტის საფრიდან 10-15 სმ სიღრმეზე მიწისქვეშა ნაგებობა აღმოჩნდა. პუშკინის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიასა და თავისუფლების მოედნის ქვეშ არაერთი უნიკალური ნაგებობაა აღმოჩენილი. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— მიმაჩნია, რომ ეს ადგილი გამოსაკვლევია, როგორც არქეოლოგიური, ასევე საინჟინრო თვალსაზრისითაც. მაგრამ იქ იმდენად სწრაფად მოხდა ფილების დაგება, რომ ნორმალურად ვერც კი დავათვალიერეთ. როგორც ვიცი, მერიის კეთილმოწყობის სამსახურის დავალებით, მუშებს თაღური ნაგებობის ზედა ნაწილი მოუნგრევიათ და ქვიშა ჩაუყრიათ. ეს ხელსაყრელი შემთხვევა იყო იმისთვის, რომ თბილისის ცენტრში, მიწისქვეშა გადასასვლელთან ახლოს, გალერეა მოწყობილიყო. ჭკვიანი და დაკვირვებული ადამიანი ყველაფერ ამას გონივრულად გამოიყენებდა. ძველი ნაგებობები ქვიშით კი არ უნდა ამოვავსოთ, მუზეუმებად უნდა ვაქციოთ და მსოფლიოს ვაჩვენოთ. ასეთი მდიდარი მემკვიდრეობა ბევრ ერს არ გააჩნია. მას შემდეგ, რაც მე არქეოლოგიაში დავიწყე საქმიანობა (70-იანი წლებიდან), სულ კულტურული მემკვიდრეობის წინაღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს და არა ამ მემკვიდრეობის დაცვა. უნიკალური იყო ის ნაგებობა, რომელიც თავისუფლების მოედნის მიწის ქვეშ აღმოვაჩინეთ. ეს იყო იტალიელების მიერ აშენებული, პირველი საოპერო თეატრის შენობა, რომელიც ცნობილი რუსი მხატვრის — გაგარინის მიერ იყო მოხატული. შენობაში აღმოაჩინეს საფრანგეთიდან ჩამოტანილი არაჩვეულებრივი ჭაღი, რომელიც სამწუხაროდ, დაიწვა. გადარჩა მხოლოდ ერთი ბროლის ცრემლი. თვითონ ეს შენობა XX საუკუნის ბოლომდე არსებობდა, მერე დაიწვა და განადგურდა. ეს ტერიტორია, არქეოლოგიური თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა. აღმოჩენილია არაერთი ადრეფეოდალური ხანისა და ანტიკური პერიოდის დროინდელი ნივთები.

— სულ თბილისის ტერიტორიაზე რამდენი არქეოლოგიური ძეგლია აღმოჩენილი?

— თბილისში 250-ზე მეტი არქეოლოგიური ძეგლია. აქ, ფაქტობრივად, წარმოდგენილია ყველა პერიოდი — ნეოლითური ხანიდან მოყოლებული. უნიკალურია დიღმის სამაროვნები (დავით აღმაშენებლის ძეგლის მიმდებარე ტერიტორია). ეს გორაკები უძველესია მთელ კავკასიაში, მოიცავს კილომეტრ-ნახევარს, ქალაქიდან გასასვლელის გასწვრივ. აქ წლების წინ იყო აუზები, საიდანაც წყალი დიღმის მოსახლეობას მიეწოდებოდა. მაგრამ წყალმა გაჟონვა დაიწყო. გაჩნდა მოსაზრება, რომ აუზები მუზეუმად გადაკეთებულიყო და არქეოლოგიურად შესწავლილიყო. სამწუხაროდ, ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება ვერ მოხერხდა. მხოლოდ პირველი ნაგებობა დასრულეს და შემდეგ, მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს გადასცეს. დღეს კი, დაუფინანსებლობის გამო, იქ სავალალო მდგომარეობაა. დაცული მასალა განადგურების საფრთხის წინაშეა. ამაზე სახელმწიფო ნაკლებად ზრუნავს. სამაროვნების ტერიტორია გასხვისებულია, მასზე აშენებულია ავტოგასამართი სადგურები, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა. მიუხედავად ჩვენი არაერთი მცდელობისა — შეგვეჩერებინა იქ მშენებლობის პროცესი, მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ.

— კულტურის სამინისტრო არ დაგეხმარათ?

— კულტურის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი დაცული ზონების შესაქმნელად. დაცულ ზონაში თბილისის რამდენიმე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი შევა. იქნებ ამის შემდეგ მაინც შეწყდეს ვანდალური ქმედებები.

— თქვენ თქვით, რომ თბილისში 250-ზე მეტი არქეოლოგიური ძეგლია. რომელია მათ შორის უძველესი და რაში მდგომარეობს ამ ძეგლის უნიკალურობა?

— უძველესია დელისის ნასახლარი. იმ ადგილას, სადაც ახლა „რუსთავი 2-ის“ შენობა დგას, მსოფლიოში უძველესი ბრინჯაოს ნივთებია აღმოჩენილი. ის საინტერესოა არქეოლოგიური თვალსაზრისითაც: აღმოჩენილ ნაგებობას გასდევს ზღუდე, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე XV-X საუკუნეებში, ქალაქური ტიპის დასახლება იყო. თუ ეს ვარაუდი დადასტურდა, შესაძლოა, ამ ფაქტმა სახელმწიფოებრიობის ისტორია ათასეული წლით „დააძველოს“.

— როგორ ხდება ექსპონატების შეფასება? ხდება თუ არა მსოფლიოში ცნობილი მუზეუმების მიერ მათი შესყიდვა?

— ნივთი რაც უფრო ძველი და რაც უფრო უნიკალურია, მით უფრო დიდად ფასობს (თუმცა, ყოველი ნივთი მაინც შეუფასებელია). როცა საზღვარგარეთ გამოფენებზე გვიწევს ნივთების გატანა, შეფასება აუცილებლად სადაზღვევო ფაქტორის გათვალისწინებით უნდა გაკეთდეს. როგორც მახსოვს, თრიალეთის თასი, როცა ტროის გამოფენაზე წაიღეს, 4 მილიონ დოლარად იყო შეფასებული. XX ს-ის დასაწყისში, „მეტროპოლიტენ მუზეუმმა“ ხახულის კარედის მედალიონები შეისყიდა.

— როგორც ვიცით, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის ნაწილი უკანონო გათხრებს აწარმოებს...

— დიახ, სამწუხაროდ, არაერთი ასეთი შემთხვევა მომხდარა. უკანონო გათხრებით განსაკუთრებით კახეთის რეგიონი გამოირჩევა. იქ არის სოფელი, სადაც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნის სამარხებია. მოსახლეობა ყოველ დილით, როგორც სამსახურში, ისე მიდის ამ სამარხებისკენ. მასობრივად ხდება სხვადასხვა ნივთის დატაცება. ამას სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს. საბაჟოებზე ძველ ნივთებს არ უნდა ატარებდნენ. თუ გაიყიდა, ადგილობრივმა კოლექციონერმა მაინც შეიძინოს, რომ აღარ მოხდეს საზღვრებს გარეთ ჩვენი საგანძურის გაფანტვა.

იმის გასარკვევად — თუ რა ხდება პუშკინის ქუჩაზე, შეისწავლეს თუ არა არქეოლოგებმა აღნიშნული ძეგლი და რამ-

დენად მართებული ზომებია მიღებული მის შესანარჩუნებლად, კულტურის სამინისტროში, უძრავი ძეგლების არქეოლოგიისა და დაცული ძეგლების სპეციალისტს, **ზვიად გატიაშვილს** *დავუკავშირდით.*

— კულტურის სამინისტროს და მერიის კეთილმოწყობის სამსახურს შორის შედგა



რომ აღარაფერი ვთქვათ არქეოლოგიურ ღირებულებაზე, იქ, გამოკვლევის გარეშე, გზის შეკეთება არც საინჟინრო თვალსაზრისით არის გამართლებული

სიტყვიერი შეთანხმება. კეთილმოწყობის სამსახურს არ უნდა შეეკეთებინა გზის დაზიანებული ნაწილი. ორდღიანი მუშაობა საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ არქეოლოგებს მიწისქვეშა ნაგებობები შეესწავლათ, დაედგინათ მასშტაბები და მანძილი ფსკერამდე, მაგრამ ეს შეთანხმება მათი მხრიდან დაირღვა. მიწისქვეშ არსებული სიცარიელე ქვიშით ამოავსეს და ფილების დაგება დაიწყეს. რომ აღარაფერი ვთქვათ არქეოლოგიურ ღირებულებაზე, იქ, გამოკვლევის გარეშე, გზის შეკეთება არც საინჟინრო თვალსაზრისით არის გამართლებული, რადგან ასფალტის საფარს ბზარები ეტყობა და შესაძლოა, მიწაში არსებული სიცარიელის გამო, კვლავ ჩაინგრეს. თუნდაც ამიტომ იყო გამოკვლევის ჩატარება საჭირო.

ამის შემდეგ, მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს, **კობა სუგელიანს** *დავუკავშირდით. როდესაც შეიტყო, თუ რა საკითხის გასარკვევად ვიყავით მისული, დიქტოფონი გამომირთო და კომენტარის გაკეთება არ ისურვა. ჩვენ შორის ასეთი დიალოგი შედგა:*

— რომ მცოდნოდა, თუ რა საკითხზე გსურდა კომენტარი, არ შეგხვდებოდი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არაფერია საკომენტარო.

— თქვენ არ დაგირღვევიათ შეთანხმება?

— რის შეთანხმება, რა შეთანხმება?! გზის სავალი ნაწილი იყო დაზიანებული. არ უნდა შემეკეთებინა?

— ბატონო კობა, მე თქვენთან საჩხუბრად არ მოვსულვარ და არც თქვენს ასეთ ტონს ვიმსახურებ. უარყოფთ ბრალდებას?

— რა ბრალდებას? ეს არ არის ბრალდება.

— აბა, რა არის?

— მე შემიძლია, დღესვე გავცე ბრძანება და იქ მუშაობა შეწყდება, მაგრამ ამ საკითხს მარტო მე არ ვწყვეტ, კულტურის სამინისტროს უნდა დავუკავშირდეთ. აღარ მინდა, რა, ამ თემაზე ლაპარაკი! თქვენ რაღაც სკანდალს ეძებთ.

რომ მცოდნოდა, თუ რა საკითხზე გსურდა კომენტარი, არ შეგხვდებოდი

P.S. ბოლო დროს, განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილის, მეტადრე — სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ჟურნალისტების დადანაშაულება სკანდალის ძიებაში. ამ ტენდენციაში აშკარად იკითხება მასმედიის განიარაღების მცდელობა, — აქაოდა, ჟურნალისტი ბრალდებას შეუშინდება და ოღონდაც „საშინელ ცოდვაში“ არ ამხილონ, ჩანაფიქრზე ხელს აიღებსო.

კი, ბატონო, ზოგს იაფფასიანი სენსაციის მიგნების მცდელობაში მართლაც, გამოიჭერთ და უკანაც დაახევინებთ, მაგრამ როცა პრესის მუშაკი, სკანდალის ატეხას კი არა, სერიოზული პრობლემის არსში ჩაწვდომას ცდილობს, — ნურას უკაცრავად! კეთილი ინებეთ და პასუხი გაეცით იმ პროფესიის ადამიანს, რომლის ზურგს უკან, საზოგადოება დგას. წინაღმდეგ შემთხვევაში, ვიფიქრებთ: ტელეეკრანიდან „ლამაზად“ რომ ამბობთ ხოლმე, — ხალხის სამსახურში ვდგავართო! — მარტო ლამაზი სიტყვებია და მეტი არაფერი.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბატონ კობა სუბელიანს მოვუწოდებთ — საზოგადოების საქმის კურსში ჩასაყენებლად, შეარჩიოს მისთვის ხელსაყრელი დრო და ამ წერილის ავტორს არსებული პრობლემის შესახებ ვრცელი კომენტარი მისცეს. ბუნებრივია, მკითხველთა გამოხმაურებებსაც დიდი ინტერესით დაველოდებით. ■

ცხიმი ჯანმრთელობისთვის

პარადოქსული გამოთქმა, მაგრამ შეესაბამება სინამდვილეს

ასეთ ცხიმებს მიეკუთვნებიან ესენციალური ცხიმოვანი მჟავები, ანუ შეუცვლელი.

ადამიანის ორგანიზმი მათ არ გამოიმუშავებს, ჩვენ მათ მხოლოდ საკვებთან ერთად ვღებულობთ. თუმცა ბევრის დიეტური რაციონი, აგრეთვე ძირითადად რაფინირებული ცხიმების გამოყენება, ანუ ტექნოლოგიურად გადამუშავებული და თავისი ბიოლოგიური „ცის“ ფორმადაკარგული ცხიმები (სწორედ „ცის“ ფორმის ათვისება ხდება ჩვენს ორგანიზმში), წარმოიშობა ჯანმრთელობისთვის საშიში დეფიციტი, რომელმაც შესაძლოა მიგვიყვანოს სიცოცხლის თვის აუცილებელი მრავალი ფუნქციის დარღვევამდე.

ამერიკული ნატურალური პრეპარატი „ომეგა-კომპლექსი“ - შეიცავს ყველა ესენციალურ ცხიმოვან მჟავებს (ომეგა3-6-9 და სხვ.), ჯანმრთელობისთვის საჭირო რაოდენობით, ავსებს და არეგულირებს ორგანიზმში შემდეგ პროცესებს:

- ✔ ლიპიდური ცვლა ღვიძლში (ქოლესტერინის, ტრიგლიცერიდების დონის ნორმალიზაცია);
- ✔ თრომბოციტების აგრეგაციის, თრომბის წარმოქმნის რისკის შემცირება;
- ✔ პროსტაგლანდინების სინთეზი და ანთებისსაწინააღმდეგო ეფექტი, (სახსრებში ანთებისა და ტკივილის ჩახშობა);
- ✔ უჯრედის დაცვა და რეგენერაცია (უჯრედის მემბრანის დამცავი ლიპიდური გარსის აღდგენა – ხელს უწყობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულების სწრაფ და ეფექტურ შეხორცებას);
- ✔ გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის ფუნქციის რეგულაცია.



„ომეგა-კომპლექსი“ - ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ეფექტური ბიოლოგიური პრეპარატია ამერიკის და ევროპის ქვეყნებში!

„ომეგა-კომპლექსის“ ოფიციალური დისტრიბუტორი კომპანია „ჯეოვიტი“

„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი

„ჯეოვიტი“ - მის: ილია ჭავჭავაძის გამზ. №41, ტელ: 29-20-91; 899 10-99-20;
ყოველდღიური უფასო კონსულტაცია
ასევე აფთიაქებში: თამარაშვილის 1,
თამარ მეფის გამზ.19, თამარ მეფის გამზ.32.

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – სალომე ჩიკვილაძე
რესპონდენტი – ნინო კალანდაძე

— ნინო, გილოცავ წარმატებას! მინდა გამოგიტყდე და გითხრა, რომ ჩემი რჩეული იყავი, შენ გგულშემატკივრობდი. წარმატებებს გისურვებ. შენზეა ახლა ყველაფერი დამოკიდებული და „მის მსოფლიოს“ ჟიურიზე, რომლის წინაშეც, პოლონეთში მოგიწევს გამოსვლა. სანამ „მის საქართველოს“ გვირგვინს დაგადგამდნენ, თუ გრძნობდი, რომ შენ გახდებოდი ჟიურის რჩეული?

— არა, მსგავსი არაფერი მიგრძნია.

— კონკურსანტი გოგონები არ გეუბნებოდნენ, არავინ ვარაუდობდა — სწორედ შენ გაქვს გამარჯვების შანსი, რეალური კანდიდატი ხარო?

— კი, გოგოებს კი უთქვამთ, მაგრამ ეს სერიოზულად არ აღმიქვამს.

— როდესაც მე ორი წლის წინ, „მის საქართველო“ გავხდი და თავზე გვირგვინი დამადგეს, იმ წუთებში გავითიშე და არაფერი მახსოვს. ეს სახეზეც მეტყობოდა, შემდგომში, კადრები რომ ვნახე. შენ რას გრძნობდი, გვირგვინს რომ გადგამდნენ თავზე?

— არაფერი მახსოვს — რა ვთქვი, რა გავაკეთე. მეც გავითიშე. სრული შოკი განვიცადე, ბოლომდე ახლაც მიჭირს გაცნობიერება.

— „მის საქართველოს“ კონკურსის წინ, მისი მონაწილენი სერიოზულ მომზადებას გადიოდით ჯერ თბილისში, მერე — ბათუმში. რთული იყო შენთვის რეჟიმში ცხოვრება?

— მანამდე ფიზიკურ დატვირთვას არ ვიყავი მიჩვეული, ადრე მხოლოდ ერთი თვე დავდიოდი სამოდელო სააგენტო „ნატალიში“... ცოტათი გამიჭირდა რეჟიმთან შეგუება, მაგრამ მაინცდამაინც მძიმე დიეტა არ გვქონდა. სულ რაღაც სამი კილო დავიკელი. ახლა ყველაფერი ძალიან ტკბილად და ლამაზად მახსენდება. საინტერესო იყო ამდენი გოგონას ერთად ცხოვრება. თბილები იყვნენ და საერთოდ, ერთმანეთს მხარში ედგნენ.

— რომელიმესგან შურიანი მზერა ხომ არ გიგრძნია ან ვინმეს თავისი მწარე სიტყვებით გული ხომ არ დაუწყვეტია შენთვის?

— არა, ასეთი შემთხვევა არ მახსოვს.

— ახლა როგორ აპირებ „მის მსოფლიოსთვის“ მომზადებას, რას ფიქრობ? ნერვიულობ?

— კი, განვიცდი, რადგან მარტოს მომიწევს პოლონეთში „მის მსოფლიოზე“ გამგზავრება. მარტო მგზავრობას ამხელა გზაზე არა ვარ მიჩვეული და დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება არა მაქვს. მომავალი კვირიდან უკვე ვიწყებ „მის მსოფლიოსთვის“ მზადებას და შესაბამისად, ზაფხულის გატარებაც აქ მომიწევს.

— როგორც შევიტყვე, სკოლა წელს დაამთავრე და აბიტურიენტი ხარ. სად აპირებ ჩაბარებას?

— დიზაინერობა მინდა. მოდის სფერო მომწონს. საკუთარი მოდელების სახლი მინდა მქონდეს, ჩემი წვლილი რომ შევიტანო ამ დარგში. ბავშვობიდანვე ვხატავდი მოდელებს, ჩემი ხელით რამდენიმე კაბაც შემიკერავს.

— კიდევ რა გიტაცებს?

— მუსიკა. დიდად ნიჭიერი არა ვარ სიმღერაში, მაგრამ მუსიკა ჩემს განწყობილებაზე სერიოზულად მოქმედებს. მიყვარს ცეკვაც.

— ცოტა ხნის წინ, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა. რომელიმე გუნდს თუ გულშემატკივრობდი?

— ფეხბურთში საერთოდ არაფერი მესმის *(იცინის)*. შესაბამისად, არც არავისთვის არასდროს მიგულშემატკივრია.

— გავიგე, დედისერთა ყოფილხარ. მშობლების შესახებ რას გვეტყვი?

— მყავს დედა — ირმა კალანდაძე. ჩემი მშობლები გაყრილები არიან, ერთად არ ცხოვრობენ. დედა მეორედ არის გათხოვილი. დედაჩემი ესწრებოდა კონკურსს, მეუღლესთან ერთად.

— როგორი შვილი ხარ?

— ჭკვიანი და დამჯერი. ჯიუტობა არ მახასიათებს.

— ხელსაქმე, სამზარეულოში ფუსფუსი თუ გიყვარს?

— ნამცხვრების ცხობა მიყვარს. კერძების გაკეთებაც ვიცი. კერვა ჩემთვის არავის უსწავლებია, მაგრამ ეს საქმეც გამომდის. ჯერ კიდევ 9 წლის ვიყავი, ლამაზი კაბა რომ შევკერე. ფარდებიც, დავჭერი და ხელახლა შევკერე.

— პრანჭია ხარ? სარკის წინ გიყვარს ტრიალი?

— საერთოდ არა. მაკიაჟის გაკეთებაც არ ვიცი. სულ კედებსა და ჯინსის შარვალში დავდივარ. უფრო სპორტული სტილი მაქვს.

— ალბათ, როგორც ლამაზ გოგონას, თაყვანისმცემელიც ბევრი გყავს, არა?

— შენ წარმოიდგინე, რომ თაყვანისმცემლების დიდი არმია არასდროს მყოლია.

— შეყვარებულიც არ გყავს?

— არა. ჩემი სტილისა და სულიერი სამყაროს მსგავს ადამიანს ალბათ, ჯერ ვერ შევხვდი... ამხელა ვარ, მაგრამ მართალს ვამბობ — არავინ მყვარებია.

— სიყვარულშიც არავინ გამოგტყდომია?

— ვიღაც-ვიღაცებს უთქვამთ — მომწონხარო...

— როგორი უნდა იყოს ბიჭი, რომ მოგეწონოს და შეგიყვარდეს?

— განათლებული და მდიდარი სულიერი სამყარო უნდა ჰქონდეს.

— მის გარეგნობას შენთვის მნიშვნელობა არა აქვს?

— მაინცდამაინც — არა. კაცს სილამაზე არ მოეთხოვება, ის ვაჟკაცური უნდა იყოს.

— შავგვრემანები უფრო მოგწონს თუ ქერები?

— შევგვრემანები.

— პაემანზე არ ყოფილხარ?

— პაემანზე? მარტო — არა, დაქალთან ერთად წავსულვარ.

სახელი — ნინო, გვარი — კალანდაძე, ასაკი — 17 წლის, ტიტული — „მის საქართველო 2006“, დაბადების ადგილი — ქალაქი თბილისი, პარამეტრები — 84X59X90, სიმაღლე — 180 სმ, წონა 55 კგ, განათლება — საშუალო, შვილი — დედისერთა, სახე — ღიმილიანი, ხასიათი — რბილი, უშუალო, კომუნიკაბელური, ზოდიაქოს ნიშანი — კურო. ეს გახლავთ „მის საქართველო 2006“-ის მინდოისე. მან ცოტა ხნის წინ მიაკითხა „იმიჯ-ცენტრს“, საკუთარ ცხოვრებაში რაღაცის შეცვლა სურდა და კასტინგში მიიღო მონაწილეობა. გაუმართლა: 30 გოგონაში მოხვდა და ნება დართეს, კონკურსში — „მის საქართველო“ — მიიღო მონაწილეობა. თურმე მას უფრო მეტი წარმატება ელოდა წინ. კომპეტენტურმა ჟიურიმ ის წლის ლამაზ გოგონად დაასახელა. მასთან პირველი საჟურნალო ინტერვიუ — „მის საქართველო 2004“-მა, სალომე ჩიკვილაძემ ჩაწერა რუბრიკისთვის — „ჟურნალისტის როლში“.

ძველი, ახალის ჰირისჰირ

როგორ ხდებიან საქართველოში მისები

„ჩვენზე თქვეს, რომ მილიონი მაღალისადთ „მის საქართველოს“ ტიტულში“...

— ბევრი დაქალი და ძმაკაცი გყავს?

— სულ ხუთი დაქალი...

— რამდენიმე დღეა, რაც „მის საქართველო“ გახდი. რაიმე ცვლილება თუ მოხდა, თუ შეიცვალა შენი ცხოვრების სტილი?

— უფრო დაკავებული გავხდი და ალბათ, უფრო და უფრო მომემატება ვალდებულება და პასუხისმგებლობა. მუდმივად ჩემი თავის კონტროლი მომიწევს.

— ქუჩაში უკვე გცნობენ?

— კი. პატრულმა გაგვაჩერა, ბათუმიდან რომ მოვდიოდით და მიცნო: თქვენ „მის საქართველო“ არ ხართო? — და გამოგვიშვა.

— იმ მანქანის საჭეს, რომელიც საჩუქრად გერგო („ჰიუნდაი გეთსი“), როდის უნდა მიუჯდე?

— ვისწავლი მართვას და მერე. ჯერ არასრულწლოვანი ვარ, ალბათ, მართვის მოწმობას ვერ ავიღებ. გაისად, 30 აპრილს ვხდები 18 წლის.

— სად არის ახლა შენი ავტომანქანა?

— ალბათ, უკვე აქ არის. მე მხოლოდ ერთხელ ვნახე — როცა ბათუმის თეატრის სცენაზე შემოიყვანეს.

— სანამ მართვას ისწავლი, ვის დასვამ საჭესთან?

— ჯერ არ ვიცი, ალბათ, მეგობარს. დედაჩემმა არც ისე კარგად იცის მართვა.

— კონკურსის მეორე დღეს, საქველმოქმედო აქციაში მიიღე მონაწილეობა — ქვეყნის პირველ ლედისთან ერთად, მახინჯაურის ბავშვთა სახლი მოინახულეთ. გაგვიზიარე შენი შთაბეჭდილებები.

— ძალიან დამამძიმა ბავშვთა სახლში სტუმრობამ. ბევრი საბრალო ბავშვი ვნახე. გაოცებული ვიყავი, როდესაც იქ მისულმა, რამდენიმე საშინელი ინფორმაცია მოვისმინე: დედამ საკუთარი შვილი სასიკვდილოდ, გასაყიდად და ბავშვთა სახლში ჩასაბარებლად როგორ უნდა გაიმეტოს?!. რამდენიმე დღის, თოთო ტყუპი ვნახეთ, რომლებსაც დედა 300 დოლარად გაყიდვას უპირებდა!.. გიგი წერეთელმა თქვა (ისიც გვახლდა, რადგან კონკურსის ჟიურის წევრი იყო) — სისხლის სამართლის საქმე უნდა აღვძრათო... იქ 6 წლამდე ასაკის ბავშვები არიან, სულ — 77-ნი... ქალბატონი სანდრა უდიდეს სითბოს იჩენდა მათ მიმართ. ყველას ეფერებოდა. მან ბავშვებს ტელევიზორი და სათამაშოები გადასცა საჩუქრად.

ჟურნალისტი – ნინო კალანდაძე
რესპონდენტი – სალომე ჩიკვილაძე

— სალომე, შენ „მის საქართველო 2004“ ხარ. მაშინ როგორი ურთიერთობა გქონდათ კონკურსანტებს ერთმანეთთან?

— კარგი. არანაირი პრობლემა ურთიერთობაში ჩვენ შორის არ წამოჭრილა. არც „მის მსოფლიოზე“ განმიცდია რაიმე ცუდი. სულ ტყუილია ის, რომ ამბობენ — კონკურსანტები ერთმანეთს ემტერებიან, კაბებს უჭრიან და სხვადასხვა ხრიკს უწყობენო. იქ რომ არაფერი საშიში არ ხდება, ამაში, პოლონეთიდან რომ ჩამოხვალ, მერე დარწმუნდები. ყველა „მის საქართველოს“ თითქმის ერთნაირი ეტაპები გვაქვს გამოვლილი.

— იქ მარტო იყავი? რთული არ იყო?

— მარტომ კი ვიმგზავრე ჩინეთამდე, მაგრამ როცა ჩავედი, უკვე მარტო აღარ ვიყავი: ჩემთან ერთად 107 გოგო იყო — კონკურსანტები. მომსახურე პერსონალიც თავს დაგვტრიალებდა, ჩვენზე ზრუნავდა. ყურადღების ცენტრში ვიყავით. გარეთ რომ გავდიოდით, ხალხი ჩვენს სანახავად, სახლებიდან გამოეფინებოდა ხოლმე. ოვაციებით გვხვდებოდნენ, ნამდვილი ვარსკვლავებივით. ასე რომ, იქ არ მოიწყენ...

— მას მერე, რაც „მის საქართველო“ გახდი, რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში?

— პირველ რიგში, პასუხისმგებლობა გამეზარდა. ეს ისე, უბრალოდ ნათქვამი სიტყვები არ არის. ვიგრძენი, რომ ქვეყნის სახე ვიყავი. ქუჩაშიც მცნობდნენ. ამის გამო, სულ მოწესრიგებული უნდა ვყოფილიყავი. ამ ყველაფერთან შეგუება-შეჩვევა მომიხდა.

— ამჟამად რა საქმიანობით ხარ დაკავებული?

— ჯერჯერობით არაფერს ვაკეთებ. მაგრამ რაღაც სერიოზულს ვაპირებ, გეგმები მაქვს...

ჩემზე თქვეს – სალომეს მამა ნავთობმაგნატია და ჟიური მოისყიდაო

— შემოთავაზებები სამოდელო ბიზნესიდან თუ გაქვს?

— „იმიჯ-ცენტრის“ მოდელი ვარ. თუ ვინმეს უნდა, რომ რომელიმე დიზაინერის ჩვენებაზე გამოვიდე, წინადადებებს ვიღებ. სარეკლამო ხასიათის წინადადებებიც მიმიღია.

— სერიოზული სამსახური ახსენე. რას გულისხმობდი?

— მოდელობის პარალელურად, თუნდაც, ჩემი პროფესიით რომ დავიწყო საქმიანობა: ეკონომიკური განათლება მაქვს მიღებული.

— მგონი, ცოტა ხნის წინ, ქორწილი გქონდა. შენი მეუღლე როდის გაიცანი?

— ერთწლიანი ნაცნობობის შემდეგ, დაქორწინება გადავწყვიტეთ. როდესაც გავიცანი, არც იცოდა, რომ „მის საქართველო“ ვიყავი. მანამდე, არც ჟურნალებს კითხულობდა. ტელევიზორსაც ნაკლებად უყურებდა, ამიტომ, აზრზე არ იყო, ვინ ვიყავი. მას უბრალოდ, გარეგნობით მოვეწონე. მერე უთქვამს — მაგ გოგოს ტელეფონის ნომერი მინდაო. — იცი, ვინ არისო? — უკითხავთ, — ეს „მის საქართველოაო“!.. მას ხელი ჩაუქნევია — ეს ისეთი იქნება, ზედ არ შემომხედავსო. — არა, ასეთი არ არის, კარგი გოგოაო, — ბევრს ვუქივარ. შემდეგ დამირეკა და ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

— რას საქმიანობს შენი მეუღლე?

— გაეროს წარმომადგენლობაში მუშაობს. კარგად ვუგებთ ერთმანეთს...

— მშობლებისგან ცალკე ცხოვრობთ?

— დიახ, დამოუკიდებლად. ყველაფერს კარგად ვართმევ თავს.

— სალომე, სულ რამდენიმე დღეა, რაც „მის საქართველო“ გავხდი და ჩემ შესახებ უკვე საოცარი ჭორები მოვისმინე: უთქვამთ — მილიონი გადაიხადა და ისე გახდა „მის საქართველოო“...

— არ გაგიკვირდეს. ასეთ ჭორს კიდევ ბევრს მოისმენ. ჩემზე მაშინ თქვეს — სალომეს მამა ნავთობმაგნატია და ჟიური მოისყიდაო. არ გაგიკვირდეს, მოშურნეები და ბოროტები ყოველთვის არსებობენ. ყურადღება არ მიაქციო, არ ინერვიულო. კრიტიკოსებისა და ჭორის მთქმელებისა თუ მთხზველების მიმართ ცუდად არ განეწყო. არ აჰყვე მათ, სიმშვიდე შეინარჩუნე. უნდა ეცადო, საკუთარი თავი საზოგადოებას გააცნო ისეთად, როგორიც ხარ. ამას დაინახავენ და თავიანთ დასკვნებსაც გამოიტანენ. ესე იგი, მართლა კარგი ხარ, თუკი ვინმეს ლაპარაკის სურვილი უჩნდება — „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“. მე გავუძელი ამ ყველაფერს და ყველაფერი გამოსწორდა.

— სალომე, შენ თუ ხარ დამოუკიდებელი ადამიანი?

— ვარ, რადგან დამოუკიდებლობას მშობლებმა თავიდანვე მიმაჩვიეს. სულ ვცდილობდი, თვითონ გამეკეთებინა ის, რაც ჩემი გასაკეთებელი იყო. არავის წაყოლა-წამოყოლა არ დამჭირვებია არასდროს. საერთოდ, შენ თვითონ როდესაც აკეთებ საქმეს, ეს სასიამოვნოა.

— სხვათა შორის, რაც ჩვენში „მის საქართველოს“ კონკურსი დაიწყო, სულ ვადევნებ თვალყურს. შენ განსაკუთრებულად მომწონდი. ამას გულწრფელად გეუბნები და არა იმიტომ, რომ ახლა ჩემ პირისპირ ზიხარ.

— გმადლობ.

— მალე გავიდა შენთვის ერთი წელი?

— კი, საკმაოდ. მაგრამ იმ ერთმა წელმა ბევრი რამ მასწავლა. ძალიან ლამაზი წელი იყო. „მის მსოფლიოზეც“ ხომ ვიყავი და „მის ტურიზმ ინტერნეიშენელზეც“ მომიწია წასვლამ. ბევრი რამ ვნახე, მეგობრები გავიჩინე. ვოცნებობ — ნეტავ, ეს პერიოდი ისევ გამეორდეს ჩემს ცხოვრებაში-მეთქი. საინტერესო იყო...

■

განვლილი მსოფლიო ჩემპიონატით არა მხოლოდ მისი უშუალო მონაწილეები, არამედ ის ფეხბურთელებიც ტკბებოდნენ, რომელთა ეროვნული ნაკრები გუნდები გერმანიაში ვერ მოხვდნენ. მუნდიალის გამო, ბევრმა მოთამაშემ კლუბებიდან ხანგრძლივი შვებულება მიიღო და მათ შორის, „მილანის“ ცენტრალური მცველი — კახა კალაძეც გახლავთ. ქართველმა ლეგიონერმა კუთვნილი შვებულება სამშობლოში გაატარა და იტალიაში გამგზავრებამდე, „მის საქართველოს“ კონკურსსაც დაესწრო. იმ ხნის განმავლობაში, რაც კახა საქართველოში იმყოფებოდა, იტალიური ფეხბურთის მამებმა, კორუმპირებული კლუბების თაობაზე აქტიურად იმსჯელეს, ხოლო ადგილობრივმა მართლმსაჯულებამ „იუვენტუსი“, „მილანი“, „ფიორენტინა“ და „ლაციო“ მკაცრად დასაჯა. მართალია, „მილანი“ ზემოთ აღნიშნული კლუბებისგან განსხვავებით, სერია „ბ“-ში დაქვეითებას გადაურჩა, მაგრამ დაკლებული ქულების გამო, გუნდი მომავალ სეზონში, ჩემპიონთა ლიგაში ვერ იასპარეზებს, ხოლო იტალიის პირველობას, 15-ქულიანი დეფიციტით დაიწყებს. ასევე, კლუბის ვიცეპრეზიდენტ ადრიანო გალიანის იტალიურ ფეხბურთში მოღვაწეობა ერთი წლით აეკრძალა. აღნიშნული ვერდიქტიდან გამომდინარე, „მილანმა“ უკვე 30 მილიონი ევრო იზარალა, რაც მას ახალი ფეხბურთელების შესაძენად ჰქონდა გათვალისწინებული. ცხადია, ამ თემას გვერდს ვერ ავუვლიდით, მით უმეტეს, რომ კალაძე საქართველოში იმყოფებოდა და ეროვნული ნაკრების კაპიტანს, „მილანური“ ამბების თაობაზე ველაპარაკეთ.

კახა კალაძეს «მილანის» უდანაშაულობის სჯერა

ლამა თაბაგარი

— იტალიური მართლმსაჯულების ასეთ გადაწყვეტილებას თუ ელოდით?

— განაჩენი საბოლოო არაა, რადგან კლუბებს მისი გასაჩივრება 24 ივლისამდე შეუძლიათ. ცხადია, „მილანი“ სასამართლოს არ ეთანხმება და ვერდიქტს აუცილებლად გასაჩივრებს.

— თქვენი აზრით, ეს შედეგს გამოიღებს?

— პირველად გამოტანილი გადაწყვეტილებით, სერია „ბ“-ში დაქვეითება „მილანსაც“ ელოდა, მაგრამ კლუბმა სააპელაციო კომისიაში სარჩელი შეიტანა და როგორც ხედავთ, არ დავუქვეითებივართ. „მილანს“ არ ჩაუდენია ისეთი დანაშაული, რომ მკაცრ სანქციებს იმსახურებდეს.

— „იუვენტუსს“ დასჯა ეკუთვნოდა?

— ვიცოდი, რომ „იუვენტუსს“ დასჯა ემუქრებოდა, რადგან ფაქტია, რომ გუნდი კულუარულ გარიგებებშია გარეული. ფაქტია, რომ ტურინულ კლუბს ჩემპიონატის მსვლელობისას, მსაჯები ხშირად ეხმარებოდნენ და ამის აღკვეთა აუცილებელი იყო.

— იტალიურ ფეხბურთში მსაჯების მოსყიდვასთან დაკავშირებით აგორებული სკანდალი — ახალ პრემიერ-მინისტრ რომანო პროდის ხომ არ უკავშირდება, რომელმაც სილვიო ბერლუსკონის არჩევნები მოუგო?

— ჩემი აზრით, პოლიტიკა არაფერ შუაშია. ამ საკითხზე, გამოძიება დიდი ხანია, მიმდინარეობს და არა მგონია, რომ პროდის ფაქტორს რაიმე ზემოქმედება მოეხდინა.

— მოვლენათა ამგვარი განვითარების გამო, ბრიტანულ საინფორმაციო წყაროებში დაიწერა, რომ თქვენ გადაბირება „ჩელსის“ ისევ სურს?

— „ჩელსიდან“ ნამდვილად არავინ დამკავშირებია და სეზონს „მილანში“ დავიწყებ.

— თუ „მილანის“ აპელაცია არ დააკმაყოფილეს, ალბათ, გუნდს მომავალ ჩემპიონტში ოქროს მედლებისთვის ბრძოლა გაუჭირდება...

— სხვა გუნდებთან შედარებით, მინუს 15 ქულით ჩემპიონატის დაწყება, ცხადია, არასასურველია, მაგრამ „მილანი“ იმ კლუბთა რიგს მიეკუთვნება, რომელსაც აღნიშნული დეფიციტის აღმოფხვრა შეუძლია. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ ბრძოლას ჩემპიონობისთვის ვაპირებთ.

— კლუბში ამჟამად არსებული მდგომარეობის თაობაზე, იტალიაში თანაკლუბელებს თუ შეეხმიანეთ?

— „მილანში“ ჩვეულებრივი ატმოსფეროა და გუნდი 20 ივლისს შეიკრიბება, რათა ვარჯიში განაახლოს. თუმცა, მე წვრთნას მოგვიანებით შევუდგები, რადგან ბათუმში ყოფნისას, ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი და ტრავმა მივიღე. ალბათ, სრული გამოჯანმრთელებისთვის სამი-ოთხი კვირა დამჭირდება.

დარწმუნებული ვიყავი, რომ იგალიელები გაიმარჯვებდნენ

— მოდით, ახლა სხვა თემასაც შევეხოთ. საინტერესოა, შვებულება როგორ გაატარეთ?

— წელს, მოგზაურობაზე უარი ვთქვი და გადავწყვიტე, სამშობლოში დამესვენა, რისი შესაძლებლობაც იშვიათად მეძლევა. ეს არც ერთი წამით არ მინანია, რადგან უკანასკნელი წლების განმავლობაში, პირველად მომეცა იმის საშუალება, რომ შვებულებისას ძალები სრულად აღმედგინა. თან, ჩემი ძმის — ლევანის სახელზე ეკლესიის მშენებლობაც დავიწყეთ, რომელიც იმედია, მომავალ წელს დასრულდება.

— ცხადია, გერმანიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატს ყურადღებით ადევნებდით თვალყურს, არა?

— საფეხბურთო სამყაროში ასეთი გრანდიოზული მოვლენა ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება და ამიტომ, ვცდილობდი, თითოეული მატჩი მენახა. გარდა ამისა, ბრაზილიის, იტალიისა და უკრაინის ნაკრებებში ჩემი ბევრი მეგობარი გამოდიოდა, რომელთაც განსაკუთრებით ვგულშემატკივრობდი.

— ალბათ, მეოთხედფინალის ყურებისას, გაორებული გრძნობა გაგიჩდათ, რადგან ერთმანეთს იტალია და უკრაინა დაუპირისპირდნენ, რომელთაც ჩემპიონატის დაწყებიდანვე ქომაგობდით.

— აღნიშნული თამაშის დაწყებამდე გადავწყვიტე, რომ არც უკრაინისთვის და არც იტალიისთვის არ მეგულშემატკივრა. თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, რომ იტალიელები გაიმარჯვებდნენ. საქმე ისაა, რომ „სკუადრა აძურას“ მაღალი კლასი აქვს, რაც იმ მატჩში საგოლე მომენტების რეალიზებისას ნათლად გამოჩნდა. მეორე ტაიმის დასაწყისში, მაქსიმ კალინიჩენკოსა და ოლეგ გუსევს გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენეს და ამისთვის იტალიელებმა ოლეგ ბლოხინის გუნდი დასაჯეს კიდეც.

— მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელებმა ჩემპიონატზე წარმატებით ისპარეზეს, ამ ქვეყნის ჟურნალისტები ოლეგ ბლოხინს იტალიელებთან წაგებისთვის მკაცრად აკრიტიკებდნენ. კერძოდ, ისინი მიიჩნევდნენ, რომ მწვრთნელმა არასწორი სათამაშო ტაქტიკა აირჩია...

— ბლოხინის მისამართით რაიმე ცუდის თქმა ნამდვილად არ მსურს, რადგან მან დაამტკიცა, რომ საკმაოდ კვალიფიციური მწვრთნელია. დარწმუნებული ვარ, უკრაინის ნაკრების წარმატებაში ოლეგ ვლადიმიროვიჩს ლომის წილი მიუძღვის. დღევანდელ ფეხბურთში კი, როდესაც მოთამაშეთა ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება საგრძნობლად გათანაბრდა, ფსიქოლოგიური ფაქტორი ხშირად, პირველ ადგილზე დგება. არა მგონია, მსოფლიოში ბევრი მწვრთნელი მოიძებნოს, რომელიც ჩემპიონატის სტარტზე, გუნდის გამანადგურებელი ანგარიშით წაგების შემდეგ (ესპანეთთან 0:4 მარცხს ვგულისხმობ), შეძლებს იმის გაკეთებას, რაც ბლოხინმა მოახერხა.

წელს, მოგზაურობაზე
უარი ვთქვი და
გადავწყვიტე,
სამშობლოში
დამესვენა

— სხვათა შორის, მუნდიალამდე აცხადებდით, რომ უკრაინის მეოთხედფინალში გასვლა არ გაგაკვირვებდათ...

— მაშინ გაკეთებული პროგნოზი ძირითადად, ემოციას ეფუძნებოდა. თუმცა, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ უკრაინა ჯგუფიდან გავიდოდა. იმასაც ვფიქრობდი, რომ შემდეგ ეტაპზე, ბლოხინის გუნდის მეტოქე, საფრანგეთი იქნებოდა, რომელიც ჩემი აზრით, მისთვის გადაულახავ ბარიერად გადაიქცეოდა. უკრაინას ფავორიტად არც შვეიცარიასთან ორთაბრძოლისას მივიჩნევდი, მაგრამ უკრაინელებმა მათთან ძალიან გამართულად ითამაშეს. მატჩის შემდგომი თერთმეტმეტრიანების სერიის ჯერი რომ დადგა, უკრაინის გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავი. ამის მიზეზი, მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი იყო, რომელსაც კიევის „დინამოდან" ვიცნობ და ვიცი, რომ პენალტების მოგერიება მშვენივრად შეუძლია.

— ტურნირის მსვლელობისას, შევჩენკოსთან სატელეფონო კავშირი თუ გქონდათ?

— მიუხედავად იმისა, რომ მე და ანდრეი თანაგუნდელები აღარ ვართ, ტელეფონით ხშირად ვლაპარაკობთ. შევჩენკო თავისი გუნდის მიღწევით ძალიან ამაყობს. საწყენია, რომ ის ჩემპიონატზე ოპტიმალურ ფორმაში არ იყო, თორემ, ბლოხინის ნაკრებს შეიძლება, მეტისთვისაც მიეღწია.

— როგორ ფიქრობთ — იტალიელებმა ოქროს მედლები დამსახურებულად მოიგეს?

— რა, მათ ჩემპიონობას ვინმე ეჭვის ქვეშ აყენებს? იტალიის ნაკრებმა ძალები ჭკვიანურად გაანაწილა. საბოლოო ჯამში კი, ტიტული დამსახურებულად მოიპოვა.

— ბევრი მიიჩნევს, რომ ფინალურ შეხვედრაში, ფრანგები უკეთ გამოიყურებოდნენ...

— არა მგონია, ფინალის ძირითად ან დამატებით დროში, მეტოქეთაგან გამარჯვების შანსი რომელიმეს ჰქონოდა, რადგან ორივე გუნდმა თანაბარი რაოდენობის საგოლე მომენტები შექმნა. ისინი ინიციატივას მორიგეობით ფლობდნენ და ამიტომ, პენალტების სერია სრულიად ლოგიკური გახლდათ. თერთმეტმეტრიანები კი, მოგეხსენებათ, რომ ერთგვარი ლატარიაა, რომელსაც იღბლის გარდა, რკინის ნერვებიც სჭირდება. იტალიის ფეხბურთელებს უფრო მყარი ფსიქიკა აღმოაჩნდათ, ვიდრე ფრანგებს. ჩემი აზრით, „სკუადრა აძურას" წარმატების საფუძველი — მტკიცე ხასიათი და დაცვის ხაზის ბრწყინვალე თამაში იყო.

— რას იტყვით ზინედინ ზიდანის საქციელზე, რომელმაც დამატებით დროში, მატერაცის თავი მკერდში ჩაარტყა?

— ზიდანს, როგორც პროფესიონალსა და ჯენტლმენს ვიცნობ. ამიტომ, პრაქტიკულად ეჭვი არ მეპარება, რომ ზინედინმა მატერაცის მას შემდეგ ჩაარტყა, რაც იტალიელმა შეურაცხყოფა მიაყენა. თუმცა, მივიჩნევ, რომ ზიზუს ასეთი რეაქცია არ უნდა ჰქონოდა — ფეხბურთში მსგავსი რამ ხშირად ხდება, მაგრამ ზიდანს გუნდის ინტერესი ყველაფერზე მაღლა უნდა დაეყენებინა. საკუთარი საქციელით კი, მან ნაკრები დააღალატა. არადა, ფრანგებს ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდათ...

— ამ ინციდენტის დეტალების დაზუსტება მილანელ თანაგუნდელებთან ხომ არ გიცდიათ?

— ანდრეა პირლოსა და ჯენარო გატუზოს დავურეკე, მაგრამ ამ თემაზე არ გვილაპარაკია. მათ გამარჯვება მივულოცე — ნამდვილად არ იყო იმის დრო, რომ ზიდანზე გვესაუბრა.

— მიუხედავად ასეთი ქმედებისა, ზიდანი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მას ეს ჯილდო დამსახურებულად ერგო?

— ვფიქრობ, ექსპერტები სწორად მოიქცნენ, როდესაც ზიდანი საუკეთესოდ აღიარეს. შესაძლოა, ის ჯგუფური ეტაპის დროს ჩვეულად ვერ გამოიყურებოდა, მაგრამ პლეი-ოფში მართლაც, საუკეთესო იყო, რაც ყველაზე მთავარია. გულდასაწყვეტია, რომ ზიდანის დონის ფეხბურთელმა კარიერა ასე დაასრულა.

— ბრაზილიის და არგენტინის ნაკრებთა გამოსვლას როგორ შეაფასებთ?

— ამ გუნდებისგან უფრო გააზრებულ თამაშს ველოდი. არგენტინელებმა მაღალ დონეზე მხოლოდ ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩებში ითამაშეს, ხოლო ბრაზილია საკუთარ თავს საერთოდ არ ჰგავდა, დაცვაში ძალიან უხეშ შეცდომებს უშვებდნენ.

— განვლილმა მუნდიალმა საერთო ჯამში, თქვენი მოლოდინი გაამართლა?

— ამჟამად, გუნდების კლასი ყველა კონტინენტზე თითქმის გათანაბრდა და პირველ პლანზე სისწრაფემ, ფიზიკურმა მომზადებამ და პრაგმატიზმმა გადმოიწია. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ფეხბურთში რომანტიზმი იშვიათი მოვლენა გახდა. თუმცა, ალბათ ყველა გულშემატკივარი მიიღებდა სიამოვნებას იტალია-გერმანიის ან საფრანგეთი-ბრაზილიის მატჩების ყურებისას.

— 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, საქართველოს ნაკრებს მეტოქედ, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი — იტალია, ვიცე-ჩემპიონი — საფრანგეთი და მეოთხედფინალისტი — უკრაინა ჰყავს. აქედან გამომდინარე, ჩვენს გუნდს, ფინალურ ეტაპზე მოხვედრის რა შანსი აქვს?

— ცხადია, ახლა კენჭისყრის შედეგები იტალიისა და საფრანგეთის ნებისმიერი მეტოქისთვის რთულად გამოიყურება. თუმცა, სიტუაციის დრამატიზება არ მსურს. შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე, ბევრი დროა და ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს — მეტოქე გუნდების შემადგენლობა, ფეხბურთელთა სათამაშო ფორმა და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. თან, იმის გარანტიაც არ არსებობს, რომ იტალიელები და ფრანგები, რომლებთან შეხვედრა ამა წლის შემოდგომაზე გვიწევს, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ მატჩებში ისევე ითამაშებენ, როგორც გერმანიაში. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ სიტუაციაში, საქართველოს აქვს შანსი, მეტოქეს სიურპრიზი მოუმზადოს...

ქმარმა ცოლის საყვარელი მოკლა

„ცოლის ღალატში ეჭვი აღარ მეპარებოდა"

ამ დანაშაულისთვის, რაიონული სასამართლოს წინაშე, 34 წლის გივი ყაზარაშვილი *(ყველა მოქმედი პირის გვარ-სახელი შეცვლილია)* წარდგება. პროკურატურა მას განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებს. გამოძიების მასალების მიხედვით, ყაზარაშვილმა თავისივე უბნელი და თანატოლი, მეზობლად მცხოვრები რევაზ რაზმაძე მოკლა. დანაშაულის მოტივად, პროკურატურის მასალებში შურისძიებაა დასახელებული. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ყაზარაშვილმა დანაშაული ცოლზე ეჭვიანობის გამო ჩაიდინა.

გივი ყაზარაშვილი თელავში, მეუღლესთან და ორ არასრულწლოვან შვილთან ერთად, 12 წლის მანძილზე ცხოვრობდა. იმავე საცხოვრებელ კორპუსში, მშობლებთან ერთად ცხოვრობდა უცოლშვილო რევაზ რაზმაძეც. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მეზობლებს ერთმანეთთან წლების განმავლობაში კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და მომხდარ ფაქტამდე, მათ შორის რაიმე კონფლიქტი და დაძაბულობა არავის შეუნიშნავს. მეზობლები ამბობენ, რომ მომხდარმა ყველა გააოგნა და გამოძიების მიერ დაფიქსირებული დანაშაულის მოტივი, მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მოწმეები აღნიშნავენ, რომ ყაზარაშვილების ოჯახიდან ხმაური და ხმამაღალი ლაპარაკი ხშირად ესმოდათ, იცოდნენ, რომ ცოლ-ქმარი ხშირად კამათობდა, მაგრამ ჩხუბი ეჭვიანობით თუ იყო გამოწვეული, ვერასდროს იფიქრებდნენ.

„ნორმალური, მშვიდი ოჯახი იყო. როგორც ვიცი, სიყვარულით დაქორწინდნენ. ბავშვები ისე გაზარდეს, რომ მათი სახლიდან არათუ ყვირილი, ხმამაღალი ლაპარაკიც კი არავის გაუგონია. ბოლო ერთი წელია, რაც სიტუაცია შეიცვალა. ბოლო დროს, მატერიალურად ძალიან გაუჭირდათ, არც ცოლი მუშაობდა, არც — ქმარი. მათ სოფლიდან მშობლები ეხმარებოდნენ. დალი — გივის მეუღლე ამბობდა, რომ ქმარი ყოველივე ამას ძალინ განიცდიდა, ნერვიულობდა, ცდილობდა, რაღაც გაეკეთებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. დაახლოებით ერთი წლის წინ, ჩვენმა მეზობელმა სასადილო გახსნა. იცოდა, რომ დალი კარგი მზარეული იყო, გამოცდილებაც ჰქონდა (ადრე საბავშვო ბაღში მუშაობდა მზარეულად) და სამსახური შესთავაზა. ის სიხარულით დათანხმდა. როგორც ვიცი, არც ქმრისგან შეხვედრია წინააღმდეგობა. იმ პერიოდში, ისე უჭირდათ, რომ ამ შანსზე უარის თქმის უფლება, შვილების წინაშე, არც ერთს არ ჰქონდა. დალი სამსახურით კმაყოფილი იყო, ხელფასის გარდა, სასადილოდან სახლში საჭმელიც მიჰქონდა. გივი არსად მუშაობდა, ძირითადად, ბავშვებს უვლიდა. უკმაყოფილო არც ის ჩანდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ცოლის მიმართ მით უფრო ნერვიული და აგრესიული ხდებოდა. ამას გარდა, სმაც დაიწყო. დალი წუხდა — ფულს გამომართმევს, ვითომ ოჯახისთვის საჭირო ნივთების შესაძენად, სინამდვილეში კი, მეზობელ მამაკაცებს დალევაზე უთანხმდება და ყველაფერს სასმელში ხარჯავსო“, — წერს ერთ-ერთი მოწმე თავის ჩვენებაში.

ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი თავიდან ელემენტარული ყოფითი პრობლემებით იყო გამოწვეული, თუმცა, შემდეგ მიზეზი შეიცვალა — ქმარმა ეჭვიანობა დაიწყო. *„ამის შესახებ, დალის ჩემთვის არაფერი უთქვამს, არც სხვისგან გამიგია რამე. როგორც ჩანს, ამის გახმაურება არ უნდოდა. ეს ამბავი ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა“,* — ამბობს მოწმე.

საქმის მასალების მიხედვით კი, გივი ყაზარაშვილი თვეების მანძილზე ეჭვობდა, რომ ცოლი მას ღალატობდა და საყვარელს, მალულად, სამსახურში ხვდებოდა. როგორც აღმოჩნდა, ეჭვი მან მეზობელზე — რევაზ რაზმაძეზე მიიტანა. ჩანს, ამის საფუძველი ის გახლდათ, რომ რაზმაძე სასადილოს ხშირად სტუმრობდა და რამდენჯერმე, სახლში დალი ყაზარაშვილთან ერთად დაბრუნდა.

ერთ საღამოს, იმის გამო, რომ ცოლმა სახლში მისვლა ძალიან დააგვიანა, გივი ყაზარაშვილმა გადაწყვიტა, მისთვის სამსახურში მიეკითხა. ცოლი ადგილზე დახვდა. როცა მისი ამდენი ხნით შეყოვნების მიზეზი იკითხა, მეუღლემ აუხსნა, რომ ბევრი საქმე დაუგროვდა. ქმარმა მას შესთავაზა: შინ ერთად დავბრუნდეთო. დალი ყაზარაშვილმა ქმარს 5-ლარიანი გაუწოდა და სთხოვა, ფული მოშორებით მდებარე სასურსათო მაღაზიაში მიეტანა, რადგან ვალი ჰქონდა გადასახდელი. ქმარი დათანხმდა, თუმცა, ეჭვი კიდევ უფრო გაუძლიერდა, რადგან მაღაზია მათი სახლისკენ მიმავალ გზაზე იყო და შეეძლოთ, იქ გზად ერთად შეევლოთ.

გივი ყაზარაშვილი მაღაზიაში წასვლის ნაცვლად, ცოლს ჩაუსაფრდა და იქვე მდებარე პატარა ჯიხურს ამოეფარა. ცოტა ხანში, მან დაინახა, რომ სასადილოდან რევაზ რაზმაძე გამოვარდა და ქუჩა სირბილით გადაჭრა. ყაზარაშვილი თავის ეჭვებში საბოლოოდ დარწმუნდა. იმავე საღამოს, შინ დაბრუნებულმა ცოლს ყველაფერი უთხრა და მოსთხოვა — აეხსნა ყოველივე. დალი ყაზარაშვილმა ქმრის ეჭვები კატეგორიულად უარყო. უთხრა, რომ მისთვის არასოდეს უღალატია. ქმარმა გამოუცხადა, რომ არც ერთი მისი სიტყვის არ სჯერა და გაბრაზებულმა, წონასწორობიდან გამოსულმა მეუღლეზე საცემრად გაიწია. ჩხუბის, ყვირილისა და ბავშვების ტირილის ხმაზე, მათ მეზობლები შეეხმიანნენ. ყაზარაშვილი იქაურობას გაარიდეს და მეუღლის ცემის საშუალება არ მისცეს. იმ ღამეს, ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა — ერთმანეთს გაშორებოდა.

ამას გარდა, ყაზარაშვილმა რაზმაძეზე შურისძიება განიზრახა და მისი მოკვლა ჩაიფიქრა. განზრახვის სისრულეში მოყვანა, მან რამდენიმე დღის შემდეგ მოახერხა. წინასწარ მომზადებული, ქვამომარჯვებული ყაზარაშვილი რაზმაძეს იმავე სასადილოსთან ჩაუსაფრდა. ნაშუადღევიდან მოყოლებული, მის გამოჩენას ელოდა. დაახლოებით საღამოს 10 საათისთვის, სასადილოს მიმდებარე ტერიტორიაზე მათი უბნისკენ მიმავალი რაზმაძე შენიშნა. დაედევნა მას, საყელოში სწვდა და ძირს დააგდო, ამის შემდეგ, ჯერ ქვა, მერე კი, სამშენებლო ბლოკი ჩაარტყა თავში. 34 წლის რევაზ რაზმაძე ადგილზე გარდაიცვალა. საქმის მასალების მიხედვით, მასა და ყაზარაშვილს შორის არანაირი შელაპარაკება არ მომხდარა. ყაზარაშვილმა მასთან ყოველგვარი საქმის გარკვევის გარეშე დაიწყო თავისი საშინელი განზრახვის განხორციელება. როცა დარწმუნდა, რომ რაზმაძე ნამდვილად გარდაიცვალა, ბლოკი იქვე დაადგდო და შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.

პოლიციამ ის იმავე დღეს დაიკავა. ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, ყაზარაშვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა და ცოლის ღალატის შესახებაც თავად უთხრა სამართალდამცველებს. *„ცოლის ღალატში ეჭვი აღარ მეპარებოდა და ამის ატანა ჩემთვის შეუძლებელი იყო“,* — თქვა მან დაკითხვისას. თუმცა, რას იტყვის ის სასამართლოში? — ამას მალე შევიტყობთ. არ არის გამორიცხული, რომ ყაზარაშვილმა პოზიცია შეიცვალოს და თავი უდანაშაულოდ გამოაცხადოს, ადვოკატმა კი, თავისი კლიენტის გამართლება მოითხოვოს.

პროკურატურამ ყაზარაშვილს 108-ე (განზრახ მკვლელობის) მუხლი წაუყენა, ამასთან, დააფიქსირა, რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ამოღებული ნივთმტკიცებებითა და მოწმეების ჩვენებებით დასტურდება. რაც შეეხება დაზარალებულ მხარეს, ის დამნაშავის უმკაცრესად დასჯას მოითხოვს.

■

22 წლის ახალგაზრდამ, ქალის გაუპატიურება შვილების თვალწინ სცადა

22 წლის ახალგაზრდას — ნოდარ ჩუბინიძეს *(ყველა მოქმედი პირის გვარ-სახელი შეცვლილია)* ბრალი გაუპატიურების მცდელობაში დასდეს და შესაბამისი მუხლით გაასამართლეს კიდეც. სასამართლომ ჩუბინიძე დამნაშავედ ცნო, მსჯავრდებულმა კი განაცხადა, რომ მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. მიუხედავად ამისა, ჩუბინიძეს ზედიზედ კიდევ ორმა სასამართლომ დაუმტკიცა შემზარავი დანაშაული. საქმის მასალების მიხედვით, მან მეზობლად მცხოვრები ქალბატონის, ორი შვილის დედის გაუპატიურება ბავშვების თვალწინ სცადა...

შემთხვევა 2004 წლის მაისში მოხდა. უცოლშვილო ჩუბინიძე სოფელში, ინვალიდ მამასთან ერთად ცხოვრობდა. მეზობლები მას დადებითად ახასიათებენ და აღნიშნავენ, რომ ადრე, ის მსგავს ქმედებაში არასდროს შეუნიშნავთ. მარიამ ჯოჯუა თავის ქმარ-შვილთან ერთად, იმავე სოფელში, ჩუბინიძეების მეზობლად (რამდენიმე მოსახლის შემდეგ) ცხოვრობდა. ამბობენ იმასაც, რომ ჯოჯუასა და მის ქმარს, ნოდარ ჩუბინიძესთან რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობა არ ჰქონიათ — მასთან ისეთსავე დამოკიდებულებაში იყვნენ, როგორშიც დანარჩენი მეზობლები.

თავად ჩუბინიძე კი, როგორც ჩანს, მარიამ ჯოჯუას სულ სხვა თვალით უყურებდა. დაზარალებულის თქმით, ის ბოლო პერიოდში ამჩნევდა, რომ ჩუბინიძე მის მიმართ შეიცვალა, უცნაურად უყურებდა, მის სახლში სიარულს მოუხშირა. თუმცა, ამის შესახებ არავისთვის უთქვამს, რადგან მართალია, ეჭვი გაუჩნდა, მაგრამ ამის დაჯერება თავადაც არ უნდოდა.

ერთ დღეს, დილით, ჩუბინიძემ შეიტყო, რომ მარიამ ჯოჯუას ქმარი სამუშაოდ თბილისში გაემგზავრა. საქმის მასალებში წერია, რომ მას სწორედ მაშინ გაუჩნდა აზრი — ჯოჯუასთან სქესობრივი კავშირის დამყარების შესახებ და გადაწყვიტა, განზრახვა იმავე ღამით სისრულეში მოეყვანა.

ღამით, დაახლოებით 12 საათისთვის, იმ დროს, როცა სოფელში ელექტროენერგია გამორთული იყო, ნასვამი ჩუბინიძე ჯოჯუას საცხოვრებელი სახლისკენ გაემართა. ეზოში რომ შევიდა, ქალს დაბალი ხმით, რამდენჯერმე დაუძახა. მარიამ ჯოჯუამ მისი ხმა გაიგონა და საწოლიდან წამოდგა. იქვე, მის ორ მცირეწლოვან შვილსაც ეძინა. ღამის პერანგზე ქვედაბოლო სწრაფად გადაიცვა და სანთლით ხელში, კარისკენ წავიდა. მაშინ შენიშნა, რომ კარს ვიღაცა გარედან აწვებოდა.

ოთახის კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი. კითხვაზე — თუ ვინ იყო? გარედან უპასუხეს: მეზობელი ვარ, გამიღეო. მარიამ ჯოჯუამ კარი გააღო და როცა ნოდარ ჩუბინიძე დაინახა, მაშინვე ჰკითხა — რა გინდაო? პასუხის ნაცვლად, ჩუბინიძემ მისი ქმრის ადგილსამყოფელი იკითხა. ოჯახის დიასახლისმა უთხრა, რომ მისი მეუღლე თბილისში გაემგზავრა. მაშინ ჩუბინიძე ოთახში თვითნებურად შევიდა და ამჯერად იმით დაინტერესდა, თუ ვის ეძინა საწოლზე. მარიამ ჯოჯუამ აუხსნა, რომ ლოგინში მისი შვილები იწვნენ. ქალმა იგრძნო, რომ მის მეზობელს რაღაც ცუდი ჰქონდა ჩაფიქრებული, თუმცა, თავდაპირველად, არ უყვირია. მან მეზობელს სთხოვა — წადიო. ჩუბინიძემ თხოვნა არაფრად ჩააგდო და ჯოჯუასკენ გაიწია. როცა მარიამი მოძალადის ცუდ განზრახვაში დარწმუნდა, დრო იხელთა და სახლიდან გაიქცა...

ნოდარ ჩუბინიძე გაქცეულს დაედევნა, ბაღში გამავალ ბილიკთან დაიჭირა, წაიქცია და ძალის გამოყენებით, მის გაუპატიურებას შეეცადა. ქალი განწირული ხმით კიოდა და მეზობლებს საშველად უხმობდა. ამასობაში, კვლავ მოახერხა და მოძალადეს ხელიდან დაუსხლტა, მაგრამ ჩუბინიძე მას ისევ გაეკიდა. შეშინებული და ღონემიხდილი ქალის დაჭერა, ახალგაზრდა კაცს არც ამჯერად გასჭირვებია — ხელი პერანგში წაავლო, ძლიერად უბიძგა და ისევ მიწაზე დაანარცხა. მიუხედავად ასეთი ძალადობისა, მარიამ ჯოჯუა მას წინააღმდეგობას ბოლომდე უწევდა და თან, განუწყვეტლივ კიოდა, რამაც საბოლოოდ, საშინელი შედეგისგან იხსნა კიდეც. ყვირილის ხმა მეზობლებმა გაიგონეს, გარეთ გამოცვივდნენ და იმ ადგილისკენ გასწიეს, საიდანაც კივილი ისმოდა. ხალხის დანახვაზე ჩუბინიძემ ძალადობა შეწყვიტა და შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.

რაიონულმა სასამართლომ ჩუბინიძე დამნაშავედ ცნო, თუმცა, განაჩენით ორივე მხარე უკმაყოფილო დარჩა. ბრალდების მხარემ — პროკურატურამ მიიჩნია, რომ დამნაშავე უფრო მკაცრად უნდა დასჯილიყო, თავად მსჯავრდებულმა კი, განაჩენის გაუქმება იმ მოტივით მოითხოვა, რომ აღნიშნული დანაშაული მას არ ჩაუდენია. სასამართლოს განჩინების თანახმად, ჩუბინიძის მიერ ჩადენილი დანაშაული, პირველ რიგში, დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით დასტურდება. თუმცა, სასამართლომ განსასჯელისთვის შემამსუბუქებელი გარემოებებიც გაითვალისწინა. გაირკვა, რომ ჩუბინიძის ოჯახი მძიმე მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, ამასთან, განსასჯელის მამა მძიმე ავადმყოფი იყო, თავად ჩუბინიძე კი, წარსულში რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში შემჩნეული არ ყოფილა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასამართლომ მას კანონით განსაზღვრული სასჯელის მინიმუმი განუსაზღვრა და ჩადენილი დანაშაულისთვის, მხოლოდ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

■

შეზარხოშებული მამაკაცების კამათი საშინელი მკვლელობით დასრულდა

„მისგან საკუთარი თავი და ჩემი ოჯახი დავიცავი"

ხარაგაულის რაიონის სასამართლომ, 39 წლის განსასჯელს ჩადენილი მკვლელობისთვის, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ვეფხია ცუცქირიძეს ასეთი განაჩენი ორი წლის წინ, სოფელ ვახანში მომხდარი ფაქტის გამო გამოუტანეს. საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების შედეგად მოხდა. განაჩენის მიხედვით, ცუცქირიძემ დანაშაული წინასწარი განზრახვით ჩადინა, თუმცა, მსჯავრდებული აცხადებს, რომ სინამდვილეში, მან აწ გარდაცვლილისგან თავი დაიცვა, მისი მოკვლა კი, არასდროს ნდომებია.

შემთხვევა 2006 წლის 26 აპრილს მოხდა. საღამოს, დაახლოებით 9-ის ნახევრისთვის, სოფელ ვახანის (ხარაგაულის რაიონი) ცენტრში, მამაკაცები ალკოჰოლურ სასმელს სვამდნენ. ამ დროს, ვეფხია ცუცქირიძე და გელა ფერაძე შეკამათდნენ. გელა ფერაძეს იქვე მყოფი ძმა — გოჩა ფერაძე გამოესარჩლა და ისიც ჩხუბში ჩაერთო. როგორც განაჩენში წერია, ძმები ცუცქირიძეს უცენზურო სიტყვებით მიმართავდნენ. გარშემო მყოფებმა მოჩხუბრების გაშველება შეძლეს, მაგრამ, შინ მისული ვეფხია ცუცქირიძე დამშვიდებას არ აპირებდა. პირიქით, ბრალდების მხარის თქმით, მან ფერაძის მოკვლა განიზრახა. საქმის მასალების მიხედვით,

მან სწორედ ამ მიზნით აიღო გლუვლულიანი სანადირო თოფი, ცოლს კი დაუბარა, რომ დათვებზე სანადიროდ მიდიოდა. გარეთ გასულმა დაინახა, რომ გოჩა ფერაძე მეზობლის — პაატა ღონღაძის სახლიდან გამოვიდა და მას დაუყვირა — ფეხი არ გადადგა, თორემ, გესვრიო. განაჩენში წერია, რომ სწორედ ამ დროს, ფერაძემ პირველმა ისროლა მისკენ, მაგრამ არა დამიზნებით, არამედ, გაფრთხილების მიზნით. ამას, ცუცქირიძის მხრიდან ორი გასროლა მოჰყვა. პირველი გასროლის შემდეგ, ფერაძეს ხელიდან იარაღი გაუვარდა, მეორე ტყვია კი, მას გულმკერდის არეში მოხვდა — ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაჭრილს ფილტვი და ზურგის ტვინი დაუზიანდა, რასაც მწვავე სისხლნაკლებობა მოჰყვა. ასევე, ტყვიამ მას გულმკერდის მალები ჩაუმსხვრია. მძიმე ჭრილობის შედეგად ფერაძე გარდაიცვალა.

ცუცქირიძე დააკავეს და გასამართლეს კიდეც, მაგრამ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი, ორივე მხარემ გაასაჩივრა. დაზარალებული მხარე მიიჩნევდა, რომ ცუცქირიძისთვის განსაზღვრული სასჯელი მეტისმეტად ლმობიერი იყო და აცხადებდა, რომ სასჯელის ზომა დანაშაულის სიმძიმეს არ შეესაბამებოდა და ის აუცილებლად უნდა გამკაცრებულიყო. რაც შეეხება მსჯავრდებულს, წარდგენილ ბრალდებაში ის თავს დამნაშავედ არ ცნობდა და შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას მოითხოვდა. ამ საჩივრით, ორივე მხარემ ჯერ ქუთაისის სააპელაციო პალატას, ხოლო შემდეგ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატას მიმართა.

„მისი მოკვლა არ მინდოდა. განზრახ არ მომიკლავს. მისგან საკუთარი თავი და ჩემი ოჯახი დავიცავი“, — ასე ახსნა სასამართლოზე მსჯავრდებულმა თავისი ქმედება. მან აღნიშნა, რომ აწ გარდაცვლილი მასსა და მის ოჯახზე თავდასხმას გეგმავდა და ამ ჩანაფიქრს განახორციელებდა კიდეც, თოფიდან გასროლით რომ არ მოეგერიებინა იგი. ცუცქირიძისა და მისი ადვოკატის მტკიცებით, დანაშაული აუცილებელი მოგერიების ფარგლებში იქნა ჩადენილი და კვალიფიკაციაც შესაბამისი მუხლით უნდა მომხდარიყო.

სასამართლომ კი მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არც თავდასხმის ფაქტი იკვეთება და არც — თავდაცვის. მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის არგუმენტები არც სააპელაციო და არც საკასაციო პალატის მოსამართლეებმა არ გაითვალისწინეს და ხარაგაულის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვეს. არ დაკმაყოფილდა არც დაზარალებულის მოთხოვნა სასჯელის გამკაცრების თაობაზე. თუმცა, ეს მოთხოვნა აღნიშნულ მხარეს საკასაციო პალატის წინაშე აღარ დაუყენებია.

■

ფინანსური პოლიციის სამმართველოს უფროსს ბრალდებებს უყენებენ

ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსს — ზურაბ არსოშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ. ასეთ ბრალდებას მას სიგარეტის კონტრაბანდისთვის დაკავებული ნიკოლოზ ფოსოვი, მისი ახლობლები და თანასოფლელები — სოფელ ფლავის მცხოვრებლები უყენებენ. მათი თქმით, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა, სპეცოპერაციის დროს, ფოსოვს და მის ფეხმძიმე მეუღლეს — ეთერ გიუნაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. სოფელ ფლავის მკვიდრთა თქმით, სწორედ ამის შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ფოსოვის მეუღლე საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ის, რომ ფოსოვი მართლაც ნაცემია, სახალხო დამცველის წარმომადგენელმაც დაადასტურა. მან დაკავებული საკანში მოინახულა, რის შემდეგაც განაცხადა, რომ ის აშკარად დაშავებულია. თავად არსოშვილის თქმით, სპეცოპერაციის დროს, სოფლის მცხოვრებლებმა პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწიეს, ამის შედეგად, ფინანსური პოლიციის კუთვნილი რამდენიმე ავტომანქანა დაზიანდა.

■

გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმა სასამართლოს სხდომის ოქმებში უზუსტობები აღმოაჩინა

ადვოკატი შალვა შავგულიძე, მოსამართლეს სასამართლო სხდომის ოქმებში აღმოჩენილი უზუსტობების შესწორების მოთხოვნით მიმართავს. თავად ადვოკატის განმარტებით, შენიშვნები მაშინ იწერება, თუკი რომელიმე მხარე აღმოაჩენს, რომ სხდომის ოქმებში სასამართლო პროცესზე განვითარებული მოვლენები არასწორადაა ასახული. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის სასამართლო სხდომის ოქმების გაცნობისას, ადვოკატებმა არაერთი უზუსტობა აღმოაჩინეს. სწორედ, ამ შენიშვნებით მიმართავენ ისინი თბილისის საქალაქო სასამართლოს. ადვოკატების თქმით, მოსამართლე ჩემიას მიერ გამოტანილ განაჩენს, სააპელაციო წესით ისინი მას შემდეგ გაასაჩივრებენ, რაც მათი შუამდგომლობა — საოქმო ჩანაწერებზე გარკვეული საკითხების დამატების თაობაზე — განიხილება. *„მნიშვნელოვანი საკითხები ოქმებში მართლა გამოტოვებულია. ეს კი, იმაზე მეტყველებს, რომ სურთ, „შარდენ ბარში“, სუფრასთან მსხდომ ცნობილ პირებს პასუხისმგებლობა ააცილონ“*, — აცხადებს შავგულიძე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადვოკატი, თბილისის საქალაქო სასამართლოს, მათი მხარისთვის განაჩენის გადაცემის გაჭიანურებაშიც ადანაშაულებს და აცხადებს: *„განაჩენის გადაცემის მოთხოვნით, სასამართლოს მისი გამოცხადების მეორე დღესვე მივმართეთ, მაგრამ ამას რეაგირება არ მოჰყოლია. 6 ივლისს, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა, სამოტივაციო ნაწილი კი, რის საფუძველზეც სააპელაციო საჩივარი უნდა დაიწეროს, ჩვენთვის დღემდე უცნობი რჩება. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, სასამართლომ განაჩენის გასაჩივრების ვადის 1/3 უკანონოდ წაგვართვა“.*

■

ტარასას საქმე სასამართლოს გადაეცემა

ე.წ. კანონიერი ქურდის — ტარიელ ფოცხვერიას, მეტსახელად ტარასას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, არსებითი განხილვისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცემა. ბრალდებულის ადვოკატის — შალვა ხაჭაპურიძის თქმით, ამ დღეებში, ის პროკურატურისგან საბრალდებო დასკვნას მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ტარასა 2006 წლის 27 მარტს, ციხეში მომხდარი ბუნტის ორგანიზებასა და კანონიერ ქურდობაშია ბრალდებული. მისი ადვოკატი აცხადებს, რომ საქმეში ფოცხვერიას წინააღმდეგ უამრავი კანონდარღვევა ფიქსირდება. ამის დამტკიცებას კი, ის სასამართლოზე შეეცდება. ამჟამად, პატიმარი თბილისის №7 საპყრობილეში იმყოფება. როგორც ადვოკატი ამბობს, ტარიელ ფოცხვერიას ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, მაგრამ, ამის დაფიქსირება ოფიციალურ მხარეს ხელს არ აძლევს; ექსპერტიზის ჩატარება კი, დამოუკიდებელმა ექსპერტმაც ვერ გაბედა.

■

ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო

გემრიელი მდივანი და სტრიპტიზი სკვერში ანუ რამდენი „პიდარასტია“ კაბინეტში?

ჩვენი „გზავნილების“ თემას, შესაძლებელია, უამრავი სინონიმი მოვუძებნოთ. მაგალითად, ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო, იგივეა, რაც — ერთ ყურში შეუშვი, მეორეში — გამოუშვი; ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის ან კიდევ, მისი გათანამედროვებული ვარიანტი: დაიკიდე, მოგეშვება... მოკლედ, თემა საკმაოდ აქტუალურია და საინტერესო მესიჯებიც მივიღეთ. არ ვიცი, რას დავაბრალო — იმას, რომ ქალაქში დარჩენილი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მამაკაცია, თუ იმას, რომ თემა გახლდათ მათთვის საინტერესო, მაგრამ მესიჯების უმეტესი ნაწილი, სწორედ ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა გამოგვიგზავნეს. მოგზაურობა კარგია, მაგრამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ რჩევა: თუ უცხო ქვეყანაში მიდიხართ და იქაური ენა არ იცით, პირველ რიგში, ცუდი სიტყვები ისწავლეთ და შეეცადეთ, ისინი სწორად წარმოთქვათ. რატომ? — ამას ჩვენი მკითხველი გეტყვით.

მარი ჯაფარიძე

ნამდვილი საჯდომი

„ისეთი ამბავი უნდა მოგიყვეთ, რომ როცა ამას მისი მთავარი გმირი წაიკითხავს, შეიძლება, ჯერ მე მომკლას და მერე თავი მოიკლას, მაგრამ მე მაინც გავრისკავ და მოგიყვებით. მოკლედ, მე და ჩემი მეგობარი, მთელი ერთი წელი ჩინეთში ვიყავით. წამოსვლის წინადღეს გადაწყვიტა, რომ ის ტყავის ფეხსაცმელი ეყიდა, რომელსაც უკვე დიდი ხანია გარს უვლიდა. მაღაზიაში ერთად წავედით... იქ ყოფნის დროს, ცოტა ჩინური შევისწავლეთ. საერთოდ, ჩინურ ენაში არსებობს ასეთი ნიუანსი: ერთსა და იმავე სიტყვას თუ სხვადასხვა ტონით წარმოთქვამ, სხვადასხვა მნიშვნელობა ექნება. მაგალითად, სიტყვა „პი“-ს თუ დაბალ ტონალობაში იტყვი — ნიშნავს ტყავს, ხოლო თუ მაღალი ტონალობით — საჯდომს. ადამიანს ასეთი თვისება აქვს, რომ თუ ენა ცუდად იცის, სიტყვებს ხმამაღლა წარმოთქვამს. ჰოდა, ჩემი მეგობარი ბესოია მიადგა გამყიდველს და ეუბნება:

— თუ შეიძლება, მაჩვენეთ ყველაზე კარგი საჯდომის ფეხსაცმელი...

— ტყავის ფეხსაცმელი გნებავთ? — ეკითხება ახალგაზრდა გოგონა.

— კი, საჯდომის ფეხსაცმელი...

— აი, ამას შემოგთავაზებთ — ეცინება გოგონას...

— ეს ნამდვილი საჯდომია?

— დიახ, კარგი ხარისხის ტყავია...

— არა, ეს არ არის ნამდვილი საჯდომი, მე კარგად ვარჩევ — ნამდვილ და ხელოვნურ საჯდომს...

გოგონა სიცილს ძლივს იკავებდა. მასთან ერთად კი, მთელი მაღაზიის თანამშრომლები სიცილისგან ლამის ჩაბჟირდნენ და ცრემლად იღვრებოდნენ.

— საუკეთესო საჯდომი მინდა! — არ იშლიდა ბესო... ბოლოს, მე რომ იატაკზე გავწექი სიცილით, მაშინ მიხვდა, რა შეცდომაც დაუშვა და მაღაზიიდან გაწითლებული გამოვარდა... ბესო, მაპატიე, მაგრამ ამ ამბის დამალვა როგორ შეიძლებოდა?“

ქალების „მალიარი“

„ვინც რა უნდა ის თქვას, მაგრამ ქალები მაგრად მევასება და მათ სიყვარულს ვერავინ გადამაჩვევს... ჰოდა, ახლა, სწორედ მათთან დაკავშირებულ ერთ ამბავს მოგიყვებით. ერთ შაბათ-კვირას, გადავწყვიტე, რომ ჩემი მანქანისთვის მიმეხედა და მეგობარს დახმარება ვთხოვე. არ დამზარდა, მაგრამ უხასიათოდ გახლდათ — უფულობას უჩიოდა და ამას ისიც ემატებოდა, რომ თურმე, მისი მეგობარი გოგონა ფეხმძიმედ ყოფილა და ბავშვის გაჩენას აპირებდა. მოკლედ, თან მანქანას ვარემონტებთ, თან ამ საშინელ ცხოვრებაზე ვწუწუნებთ. ამ დროს, ჩემი ავტოფარეხის „მეზობელი“ ქალი მოვიდა თავისი „ჟიგულით“. ამ ქალზე თვალი მქონდა დადგმული, მაგრამ მასთან ახლოს მისვლას და გამოლაპარაკებას ვერ ვბედავდი. როცა დაგვინახა, თვითონ მოვიდა ჩვენთან და მოგვესალმა. სიხარულით ლამის სუნთქვა შემეკრა. დაინტერესდა — რას ვაკეთებდით და ავუხსენი, რომ ერთ ადგილზე, მანქანა ჟანგის გამო გახვრეტილი იყო. ჟანგი მოვაშორეთ, „დავშპაკლეთ“, ახლა კი, გადავლებავთ და ახალივით იქნება-მეთქი... ჩემი ძმაკაცი გულგრილად გვისმენდა, ეტყობა, თავის უბედურებაზე ფიქრობდა. ქალმა გვკითხა — რით „დავშპაკლეთ“, სად ვიშოვეთ და შეიძლებოდა თუ არა, რომ ამ ხერხით, მისი მანქანაც მოწესრიგებულიყო? იმისათვის, რომ ჩემი ძმაკაცი მძიმე ფიქრებიდან გამომერკვია და ჩვენს საუბარში ჩამება, მას მივმართე: აი, ძმაო, სულ უფულობაზე რომ წუწუნებ, გავხსნათ სახელოსნო და კარგ გოგოებს ნახვრეტები გავუმთელოთ-მეთქი. მან კი მიპასუხა: ეჰ, ერთს უკვე გავუმთელე, საკმარისიაო... მხოლოდ ამის შემდეგ მივხვდი — რაც ვთქვი, მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგან ჩემი მეზობელი თავისი გარაჟისკენ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და უკან აღარც მოუხედავს“...

ენაკვიმატი დაზარალებული

„ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ სახლის დალაგება ძალიან მიყვარს. სულ იმას მეჩხუბებიან, რომ არ შეიძლება კვირაში ერთხელ „მასტიკის“ წასმა, ფანჯრების წმენდა და ფარდების რეცხვა... მინდა და ვაკეთებ, სხვას რა ეკითხება? ერთ მშვენიერ დღეს, გადავწყვიტე, ყინული ჩამომედნო და მაცივარი გამომეწმინდა. მაცივრიდან თაროები გამოვიტანე და ფანჯრის რაფაზე დავაწყვე, რომ გამშრალიყო. ჩემს

მაცივარს სპეციალური კვერცხის ჩასალაგებელი, ე.წ. „ლატოკი“ აქვს და რა თქმა უნდა, ისიც დანარჩენ ნაწილებთან ერთად დავდე. უცებ, ორპირმა ქარმა დაუბერა, ფანჯარა მიიხურა და სწორედ ის „ლატოკი“ გადააგდო მეოთხე სართულიდან. გადავიხედე და რას ვხედავ? — სიმპათიური, მდიდრულად გამოწყობილი მამაკაცის თავზე არ დაეშვა? ძალიან შევწუხდი და ბოდიშის მოხდა ვცადე — უი, უკაცრავად, მაპატიეთ, ქარმა გადმოაგდო... — და დავამატე: ეგ კვერცხებისთვისაა-მეთქი... მამაკაცი არ დაიბნა და მეუბნება: თავიდან გადმოაგდეთ და დანიშნულების ადგილს შევუშვერო... აი, ასეთი ამბავი დამემართა და თუ ვინმეს არ მოეწონა, ნუ გაიცინებს, ბატონო“...

შედევრი

„ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ უცნაური ადამიანი, პროფესიით მხატვარი ვარ. თავს იმით ვირჩენ, რომ ვხატავ და ჩემ მიერ შექმნილ „შედევრებს“ სანაპიროზე ვყიდი. ვიდრე მარტოხელა ვიყავი, შემოსავალი მყოფნიდა, მაგრამ გაზაფხულზე, ნათესავებისა და მეგობრების დაჟინებული თხოვნით, ცოლი შევირთე და ჯიბეც შემითხელდა. საკმაოდ გავლენიანი მეგობრები მყავს და ქორწილი იმათ გადამიხადეს, უფრო სწორად, საჭირო თანხა მომცეს, ხოლო ღონისძიების მოწყობა, მე მომანდვეს. მეგობრებმა წინასწარ გამაფრთხილეს — შენებურად რამე არ გააფუჭო, ქორწილი ისეთი რამ არის, მთელი ცხოვრება უნდა დაგამახსოვრდესო. ჰოდა, ის არა მარტო მე, არამედ ყველას დაამახსოვრდება. ჩემი ცოლიც ჩემნაირი გიჟი აღმოჩნდა და ქორწილის ყველა ნიუანსი, რომელიც მე მქონდა მოფიქრებული — მოიწონა. მოკლედ, ყველაფერზე შევთანხმდით და

ცერემონიაზე მოსული ხალხი გადავრიეთ. პატარძლის წამოსაყვანად ლიმუზინით მივედი. თითქოს, ამაში უცნაური არაფერია, მაგრამ ხალხი იმან დაშოკა, რომ ლიმუზინს სამგლოვიარო გვირგვინებით მორთული კატაფალკი მიუძღოდა, რომელსაც წინ დიდი პლაკატი ჰქონდა მიკრული, წარწერით: „დავტირით თავისუფალ ცხოვრებას!“ მოკლედ, ხალხი გადაირია. დაიწყეს მითქმა-მოთქმა, მაგრამ ვინც რა უნდა თქვას, წიქვილმა კი, ფქვას. მაგრამ ეს არ არის ყველაფერი, რაც უნდა მომეყოლა — დაიწყო ჩემი ოჯახური ცხოვრება და ჩვეულებრივი ცოლქმარივით ვცხოვრობთ, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ სიგიჟეს, რომელსაც ერთად მოვიფიქრებთ ხოლმე და ვახორციელებთ კიდეც... ერთ მშვენიერ დღეს, შინ მივედი, კარზე დავაკაკუნე და რომ გაიღო, შიშისგან შევხტი — ჩემ წინ საშინლად მახინჯი ადამიანი იდგა და გაღიმებას ცდილობდა. თურმე, მეუღლეს სახეზე რაღაც ნიღაბი გაუკეთებია, რომელიც მოლურჯო-მომწვანო ფერის იყო. ამ სურათმა ჩემზე ისე იმოქმედა, რომ ღამის ღამითაც მესიზმრებოდა. ხატვის დროს კი, ეს სახე მოსვენებას არ მაძლევდა. დიდი ხანია, მაწვალებდა ფიქრი, რომ დემონური სახე შემექმნა, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგინე — როგორი სახე უნდა ჰქონოდა მას. ერთ მშვენიერ დღეს კი, იდეა მომივიდა — ჩარჩოზე ტილო გადავჭიმე და ცოლს ვთხოვე, რომ თავისი სახე „ეთხოვებინა“. ყველგან, გარდა ქუთუთოების, თმისა და ყურებისა, შესაბამისი ფერების საღებავები წავუსვი, მერე მოვკიდე თმაში ხელი და გადაჭიმულ, გამზადებულ ტილოზე ცხვირ-პირი მივაჭყლეტინე — მშვენიერი, დემონური სახე მივიღე. მხოლოდ სევდიანი თვალები მივახატე და ეგ იყო. ასე დაიბადა „შედევრი“, რომელიც გამოფენაზე გატანისთანავე გაიყიდა. როცა მყიდველი დაინტერესდა — საიდან მოვიფიქრე ასეთი საოცარი სახე? — მისი შექმნის ამბავი გულწრფელად მოვუყევი. რა ვიცი, რა იფიქრა ან სად რა თქვა, მაგრამ წისქვილი, წისქვილიიიიიი“.

ახალგაზრდა ბაბუ

„ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ ჩემს მეგობარ ირაკლის რომ ბაბუა ჰყავს, იმისთანას ნურავინ დაიკვეხნის. ჯერ ხმა აქვს ისეთი, რომ ირაკლისგან ვერ გაარჩევ. ტელეფონზე რომ დაგელაპარაკება, ვინ არის, ვერ მიხვდები — ირაკლი თუ ბაბუამისი. ჰოდა, ერთხელ, სწორედ ხმის ასეთი მსგავსებას გამო დამემართა კურიოზი. დავრეკე ირაკლისთან, ყურმილი ბაბუამისმა აიღო, მაგრამ მე მგონია, რომ ირაკლის ვესაუბრები:

— გამარჯობა, ძველო...

— გაგიმარჯოს, ლაწირაკო, — დიდი პაუზის მერე მიპასუხა.

— დიდი ხანია, შინ მიხვედი?

— ნახევარი საათი იქნება... (ეზოში ყოფილა)

— დავლიოთ?

— დავლიოთ!

— „მაყუთი“ გაქვს? — ვეკითხები და წინასწარ ვიცი, რომ უარს მივიღებ...

— მოიცადე, ვნახავ, — მპასუხობს, სადღაც მიდის და მალე ბრუნდება. — 40 ლარი მაქვს.

— ვაააა, საიდან „გაჩითე“? — ვეკითხები გაკვირვებული.

— პენსია ავიღე! — მპასუხობს და მგონია, რომ ირაკლი მეხუმრება.

— მაგარია, ახლავე მოვალ.

— რამდენ ხანში მოხვალ?

— შენი „წინაპრები“ სახლში არიან? — რა თქმა უნდა, მშობლებზე და ბაბუაზე ვეკითხები.

— არა.

— მალე მოვლენ?

— არა, ნამდვილად ვიცი, რომ არ მოვლენ...

— ბიჭო, ბაბუაშენი ხომ სახლში იყო? დღეს დავინახე, ფანჯრიდან იხედებოდა.

— ბაბუაჩემი 43-ში მოკვდა და როგორ მოვა? — მხოლოდ ამ სიტყვების მერე მივხვდი, რომ ირაკლის არ ველაპარაკებოდი და ისე დავიბენი, რომ ყურმილი დავკიდე. მერე კი, აზრზე რომ მოვედი, ბოდიშის მოსახდელად დავრეკე. იმ დღეს, სიმონ ბაბუამ ის 40 ლარი დახარჯა და ირაკლის გარეშე მაგრად ვიქეიფეთ. ახალგაზრდობას ვიხსენებო — ასე ამბობდა ბაბუ და თითქოს, თავისი 88 წელი აღარც კი ახსოვდა“.

სამს მინუს ერთი „პიდარასტი“

„ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ მე ძალიან არ მიყვარს ზედმეტად გადაპრანჭული მამაკაცები. ჩემი დაქალები კი, ისეთ ტიპებზე აფრენენ, რომლებიც სამსახურში ჰალსტუხით დადიან, შაბათ-კვირას — ჯინსით და თან დაადგან ფეხსაცმლის საწმენდი ღრუბელი, რომ წარამარა გაიპრიალონ. მე ერთ-ერთ ფირმაში, დირექტორის მოადგილედ ვმუშაობ. ჯერ მხოლოდ 24 წლის ვარ, მაგრამ უკვე ბევრს მივაღწიე. შესაძლოა, ამის გამოა, რომ საკუთარი პრინციპები მაქვს და ჩემს აზრსაც ყოველთვის დაუფარავად გამოვთქვამ ხოლმე. შესაძლოა, ბევრს ეს სულაც არ სიამოვნებს, მაგრამ მე მაინც ასე ვიქცევი. ერთხელ, შეფმა დამავალა, რომ ინგლისელი ბიზნესმენები მიმეღო და მათთან საქმიანი მოლაპარაკება მეწარმოებინა. სტუმრებს საკუთარ კაბინეტში ველოდი. მდივანმა მომახსენა: სტუმრები მოვიდნენო და სწორედ ისეთ ტიპებს შემოუძღვა, როგორსაც ვერ ვიტანდი — გადაპრანჭულებს, უხვად ოდეკოლონნაპკურებ ტიპებს. თმაზე ბრიოლინი ესვათ და ლამის ფეხზე დგომა არჩიეს, რომ სკამზე დაჯდომისას, შარვალი არ დამტვეროდათ. მათ რომ შევხედე, მომინდა, რაიმე ცუდი მეთქვა, მაგრამ მოლაპარაკებას ხომ არ ჩავშლი-

დი? ამიტომ ქართულად მაინც ვუკბენ-მეთქი, — ვიფიქრე და მდივანს ვუთხარი: ერთი ჩაი ჩემთვის და სამი ყავა, ამ „პიდარასტებისთვის“-მეთქი. უცებ, ერთი მომიბრუნდა და სუფთა ქართულით მეუბნება: მხოლოდ ორ „პიდარასტს“, მე სრულფასოვანი მამაკაცი ვარო... ძალიან უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი, მაგრამ რაღას ვიზამდი? — გავუღიმე და შევთავაზე, რომ მოლაპარაკება დაგვეწყო. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და უფროსისგან ქებაც დავიმსახურე. კარგად“.

ხელგაშლილი მასპინძელი

„ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვეთ, 90-იანი წლების დასაწყისში, ერთ აზიურ ქვეყანაში მოხდა, სადაც ახალგაზრდებს შორის, მსოფლიო ჩემპიონატი კრივში ტარდებოდა. თავი უამრავმა ადამიანმა მოიყარა. საქართველოდან რამდენიმე სპორტსმენი მონაწილეობდა და თითქმის ყველამ მედალი აიღო. ჩვენი მწვრთნელი სიხარულით ჭკუაზე არ იყო, რადგან ეს მართლაც დიდი წარმატება გახლდათ. ჩემპიონატის ბოლო დღეს, ჩვენმა მწვრთნელმა, ამ გამარჯვების აღსანიშნავად, რამდენიმე სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, რესტორანში დაგვპატიჟა. კარგად მოვილხინეთ, სასმელიც ბლომად მივირთვით და აზიელ ქალებსაც ვეხახუნეთ. რა თქმა უნდა, ჩვენი მწვრთნელიც დათვრა. რესტორნის ერთ კუთხეში დიდი გონგი იდგა, რომელსაც იქაურ ენაზე რაღაც წარწერა ჰქონდა. ჩვენი მწვრთნელი მივიდა, ჩაქუჩი აიღო და გონგს შემოჰკრა. რესტორნის ყველა კლიენტი, ასე, 30-40 ადამიანი, ფეხზე წამოდგა და ის ტაშით დააჯილდოვა. მწვრთნელმა კი, იფიქრა — ეს რა მაგარი ტიპი ვარო, ორივე ხელი მაღლა ასწია და საზოგადოებას მიესალმა. თან, მაგიდისკენ გამოეშურა. ხალხის ასეთი რეაქციის მიზეზს მხოლოდ მაშინ მივხვდით, როდესაც ხარჯის ქვითარი მოიტანეს... აღმოჩნდა, რომ გონგზე ასეთი ტექსტი ეწერა: ვინც ამ გონგს შემოჰკრავს, ის ყველა იმ კლიენტის ხარჯს იხდის, ვინც ამ დროს რესტორანში ვახშმობსო... ქვითარზე კი, რამდენიმე ათასი დოლარი იყო გამოწერილი... არ ვიცი, როგორ და რა სახსრებით გადაიხადა მწვრთნელმა ეს თანხა, მაგრამ მეორედ, ალბათ, გონგს აღარ გაეკარება...“

ოხუნჯი მამა

„ვინც რა უნდა, თქვას, მაგრამ იმ დასკვნამდე მივედი, რომ მშობლებს არ უნდა დაუჯერო. ერთ მშვენიერ დღეს, მშობლებთან და ცოლთან ერთად სტუმრად წავედი. მე და მამა კარგად შევზარხოშდით. შინ რომ დავბრუნდით, რძალ-დედამთილი „ზალაში“ განმარტოვდა და ალბათ, ქეიფის ამბებზე ჭორაობდა. ხომ იცით, ქალების ამბავი — ვის რა ეცვა, უხდებოდა თუ არა და ა.შ. მე და მამა კი, სამზარეულოში ვისხედით და „ბორჯომს“ ვწრუპავდით. ვხვდებოდი, რომ საკმაოდ შევთვერი და თავს ცუდად ვგრძნობდი. მაცივარი გამოვაღე იმ იმედით, რომ რაიმე ისეთი მეპოვა, რაც გამომაკეთებდა. პაკეტით რძე დავინახე და ვიფიქრე, რომ მესიამოვნებოდა. მამაჩემმა შემომხედა და თქვა: ჩემი ძმაკაცის ცოლი რძის ქარხანაში მუშაობს და ამას წინათ, ამბობდა, რომ თურმე, თუ რძის პაკეტზე ფეხით შედგები, ვერაფერს დააკლებ და გინდაც ზედ დაახტე, არ გასკდებაო... ამან დამაინტერესა და გადავწყვიტე — შემემოწმებინა. ხელი იმანაც შემიწყო, რომ მაცივარში მეორე, გაუხსნელი პაკეტი მეგულებოდა. მართალია, მთვრალი ვიყავი, მაგრამ იმდენს კი მივხვდი, რომ უსაფრთხოების ზომები უნდა მიმეღო და თუ იმ ქალბატონის ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამებოდა და პაკეტი გასკდებოდა, რძე იატაკზე დაიღვრებოდა. ამიტომ, სააბაზანოდან ტაშტი მოვიტანე, პაკეტი შიგ მოვათავსე. შეცდომაც სწორედ აქ დავუშვი. რატომ? — ამას ახლავე გაიგებთ. იმისათვის, რომ ჩემი ფოკუსი შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო, ბუნებრივია, სამზარეულოში დედა და ცოლი მოვიწვიე. ორივენი „შემოლაგდნენ“ და თვალყურს ინტერესით მადევნებდნენ. მე პაკეტი ერთხელ კიდევ შევასწორე, ვისკუპე და ორივე ფეხით დავახტი. რა თქმა უნდა, პაკეტი გასკდა, რძე ტაშტის კედელს ძლიერი ჭავლით მიასკდა, მერე ჭერისკენ აიღო მიმართულება და მარაოსავით

გაიშალა. შედეგად მივიღეთ ის, რომ რძე შემდეგნაირად განაწილდა: 40% — ჭერი, 20-20% — დედასა და ცოლს ერგოთ, 10% — მამაჩემს, 5% — მე, 4% — კედლებსა და ავეჯს და მხოლოდ 1% — იატაკს... ტაშტი კი, სრულიად ცარიელი დარჩა და შიგ მხოლოდ რძის პაკეტი ეგდო. შემდეგი ნახევარი საათის განმავლობაში, როდესაც დაღვრილ რძეს ვწმენდდი, საკუთარი თავის შესახებ ბევრი სიახლე შევიტყვე. კერძოდ ის, რომ უტვინო ვარ. დილით, როდესაც სამზარეულოში შევედი, ლამის წავიქეცი. ორიოდე კვირის წინ შეთეთრებული ჭერი ისე იყო გაფუჭებული, რომ ხელოსნის მეტი ვერავინ და ვერაფერი უშველიდა. მამაჩემი მაგიდას მისჯდომოდა და ლუდს წრუპავდა. ჩემს დანახვაზე ჩაიცინა და მითხრა: იცი, ახლა გამახსენდა, რომ იმ ქალს ის კი არ უთქვამს, პაკეტს თუ დაახტები, არ გასკდებაო... თუ ძირს დაგივარდება, არაფერი მოუვაო... რაღას ვეტყოდი? მივხვდი, რომ საკუთარმა მამამ მაგრად მაჭამა და ტელეფონზე ხელოსნის ნომერი ავკრიბე. არ დაუჯეროთ მშობლებს, თორემ, თქვენც ჩემსავით მოგივათ“.

გემრიელი მდივანი

„ვინც რა უნდა, თქვას, მაგრამ ძალიან მომწონს, როდესაც ვხუმრობ. გაზაფხულზე დაბადების დღე გადავიხადე და ყველა თანამშრომელი დავპატიჟე. ძალიან კარგად მოვილხინეთ. მერე, მათ შევთავაზე, რომ რაიმე თამაში გამოგვგონებინა და გვეხალისა. ჩვენთან ერთად, შეფის ახალი მდივანი გოგონა იყო, რომელსაც მოსვლისთანავე სექსუალური ქალის იმიჯი „მიეწება“ და დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩვენი თანამშრომელი მამაკაცი მასთან დაწოლაზე ოცნებობდა. სიმართლე გითხრათ, თვითონაც არ ეტყოდა არავის უარს, მაგრამ ეს შეფს არ მოსწონდა. ამის გამო, მასთან ფლირტაობისგან ყველა თავს იკავებდა და მხოლოდ ოცნებით კმაყოფილდებოდა. ამ გოგოს მოველაპარაკე და დავითანხმე, რომ მხოლოდ შორტითა და ბიუსტჰალტერით მაგიდაზე დაწოლილიყო. მე ტანსა და ფეხებზე მარწყვს დავალაგებდი, ხოლო 3 მამაკაცი, თვალებახვეული ეცდებოდა — მისი სხეულიდან მარწყვი ტუჩებით აეკრიბა და ვინც ყველაზე მეტს შეჭამდა, გამარჯვებულიც ის იქნებოდა. ამ წინადადებას ყველა სიხარულის ყიჟინით შეხვდა, მარწყვის ჭამის მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ 3 შევარჩიეთ. თეა დავაწვინეთ, ზედ მარწყვი დავალაგეთ და მოთამაშეებს ვთხოვეთ — თვალების ახვევამდე კარგად დაემახსოვრებინათ, სად იყო განლაგებული ხილი. მოთამაშეები თვალის ასახვევად მეორე ოთახში გავიყვანეთ და ამ დროს, გოგო მამაკაცით შევცვალეთ. უნდა გენახათ, იქ რა ამბავი იყო. სიცილით ჭერი ჩამოინგრა. მოთამაშეები, რა თქმა უნდა, მალევე მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ და გაიბუტნენ, მაგრამ თამაში ასეთია და რა ვქნათ? მე კი, ჩემსას მაინც არ ვიშლი, ათას გასართობ რაღაცას ვიგონებ და სიურპრიზებს ჩემს თანამშრომლებს ვუმზადებ ხოლმე. სამაგიეროდ, მხიარულად ცხოვრობენ და მუშაობენ“.

„ფრენია“ ტერორისტი

„ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ ამ გაზაფხულზე, ქუჩაში, წელს ზევით შიშ-

ველმა ვირბინე. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჩემი 4 თვის შვილი სასეირნოდ სკვერში ჩავიყვანე. მივაგორებდი საბავშვო ეტლს და გაზაფხულის სითბო მსიამოვნებდა. მოკლესახელოიანი მაისური და სპორტული ქურთუკი მეცვა. უცებ, ვიგრძენი, რომ კისერში რაღაცამ მწარედ მიკბინა. ხელი მოვისვი და მწერი მომხვდა. საერთოდ, ასეთი „ფრენია“ რაღაცების ძალიან მეშინია. ვცადე, მომეშორებინა, მაგრამ მაისურში ჩამიძვრა. ლამის გავგიჟდი — დავიკლაკნე და უცნაური მოძრაობების გაკეთება დავიწყე, ვცდილობდი, მწერი გარეთ გამომეშვა. ამასობაში, კბენა ვიგრძენი ჯერ მუცელზე, მერე მკერდზე და უკვე ჭკუიდან გადავდექი. ქურთუკი გავიხადე, მას მაისურიც მივაყოლე. თან, ამ დროს, ხმამაღლა ვკიოდი, ყველა გამვლელ-გამომვლელი მე მიყურებდა. დავრჩი წელს ზემოთ შიშველი, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა? მაისური დავფერთხე, თან, შიშისა და მწერის მიმართ ზიზღისგან ვტიროდი და მოვთქვამდი. იმის შემდეგ, იმ სკვერისკენ პირიც აღარ მიქნია. კიდევ კარგი, სახლიდან მოშორებითაა და იქ ჩემი ნაცნობები არ იყვნენ. თუმცა, ვინ იცის...“

„ჩამშვები მაიკა“

„მინდა, ჩემს ქმარზე მოგიყვეთ. ეჭვი მქონდა, რომ მას საყვარელი ჰყავდა. სამსახურიდან დაბრუნებული, დასაძინებლად რომ წვებოდა და ტანისამოსს იხდიდა, ხშირად ვამჩნევდი, რომ „მაიკა“ უკუღმა ეცვა ხოლმე. სამჯერ რომ შევნიშნე, მერე ავუშარდი. უარობდა, მაგრამ თავის სიმართლეში ვერ დამარწმუნა. ვკითხე — თუ პატიოსანი კაცი ხარ, „მაიკა“ უკუღმა რატომ გაცვია-მეთქი? ამის შემდეგ, ტანისამოსი უკუღმა აღარ სცმია. მერე, რა მოვიფიქრე, იცით? დილით „მაიკა“ ჩემი ხელით ჩავაცვი, ოღონდ, უკუღმა. ეს ისე გავაკეთე, რომ თვითონ ვერ შეემჩნია. საღამოს რომ დაბრუნდა, „მაიკა“ სწორად ეცვა. ახლა მთლად გადავირიე და ვეჩხუბე: „მაიკა“ წაღმა რატომ გაცვია-მეთქი? თვითონაც გადაირია — რა გამიწყალე გული, ხან წაღმა რატომ გაცვია, ხან — უკუღმა, მეც რა ჯანდაბა მემართებაო? — „მაიკა“ გაიძრო და ფანჯრიდან მოისროლა. ამ ამბის შემდეგ, მას „მაიკა“ აღარ ჩაუცვამს. ახლა კი, სულ სხვა ხრიკებს ვუმზადებ და ჯერ არ იცის.... ნ. ჯაფარიძე“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

წუპაკი დედამთილი

„გამარჯობა. მე საკმაოდ უცნაური თხოვნა მაქვს. მინდა, ჩემს დედას საკუთარი შვილები — ტყუპი გოგონა და ვაჟი ვაპოვნინო. ისინი 60-იან წლებში დაიბადნენ. დედას, მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, ბავშვები ბავშვთა სახლში ჩაუბარებია. ამის შემდეგ, მათ შესახებ არავინ არაფერი იცის. გთხოვთ, დაგვეხმაროთ, გვაპოვნინოთ ჩიტო და ჩიორა (ასე ერქვა ტყუპს) ელოშვილები და ტანჯულ ქალს სიხარული აჩუქოთ“.

„მე და ჩემი დაქალის ძმას ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. ამის გამო, დაქალოჩკა ანუ ჩემი მომავალი მულიკო გაგვებუტა — ამას თქვენგან არ მოველოდიო. მაგრამ ვინც რა უნდა თქვას, წისქვილმა კი ფქვას... ჩვენი სიყვარული ძლიერია და მას ვერაფერს დააკლებენ. ნია“.

„განათხოვარი ქალი ვარ და ახლობლებისგან ჭკუის დარიგება არ მაკლია: ხალხი არ აალაპარაკო, აბა, შენ იცი, როგორ ჭკუით მოიქცევიო. მეც მაგრად ვიდექი — რას მკადრებთ, არ გრცხვენიათ-მეთქი? მაგრამ შემიყვარდა ლევანჩო, მასაც ვუყვარვარ და ჩემი ორმხრივი სიყვარულის გამო, ჭკუაზე აღარ ვარ. ყოველ პაემანს გულისფანცქალით ველოდები და მასთან გატარებული ყოველი წუთით ბედნიერი ვარ. ახლა, როგორ ფიქრობთ, მე ხალხის ან ახლობლების აზრი მაინტერესებს? ჰოდა, ვინც რა უნდა, ის თქვასოოოოო. თათია“.

„შარშან ზაფხულს, მე და ერთი გოგო სულ ერთად დავდიოდით და ყველას შეყვარებულები ვეგონეთ. ჩვენ შორის კი, მხოლოდ წრფელი მეგობრობა იყო. წელს კი, ის გოგო ისევ ვნახე და მივხვდი, რომ უზომოდ მიყვარს. როგორც ჩანს, სხვების ნათქვამი ჩემმა ტვინმა სხვაგვარად აღიქვა და მართლა შემიყვარდა“.

„ეეეეჰ, სხვებს რომ არ ავყოლოდი, ახლა შეყვარებული მეყოლებოდა, მაგრამ იმდენი ილაპარაკეს, რომ წისქვილი გაიჭედა — ერთმანეთს დავშორდით. მაგრამ არ ვნანობ, რადგან ახლა, მისი ძმაკაცი მიყვარს, თუმცა, მეგობრულად ვუყვარვარ... ანასტასია“.

„მინდა, „გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ მესიჯს გამოვეხმაურო. ერთი ქალი ჯაფარიძის წინააღმდეგ შურისძიების გრძნობითაა შეპყრობილი. მინდა, მას ვუთხრა, რომ იმ ჯაფარიძეს ერთი ქალი უყვარდა, უყვარს და ეყვარება. ასე რომ, დაივიწყოს და ცხოვრებით დატკბეს“.

„მინდა, ჩემი გასაჭირის შესახებ გიამბოთ. ბავშვობიდან ძალიან მიყვარს ლამაზი გოგონები და ალბათ, ამიტომაც ჩამოვყალიბდი ლესბოსელად. ჩემი მასწავლებელი ქალი მამაკაცურად შემიყვარდა, მას კი, ძალიან ვუყვარვარ, როგორც ბავშვი. ისე ვეფერები ხოლმე, რომ მგონი, ჩემი მეგობრები რაღაცას ხვდებიან კიდეც. მე ის ქალი მართლა მიყვარს და თუ მიხვდება და გამიგებს, ბედნიერი ვიქნები. ვისაც რა უნდა, ის თქვას“.

„5 წლის წინ, ერთი ადამიანი გავიცანი. ის ჩემზე 13 წლით უფროსი იყო. მე განათხოვარი ვიყავი და ამის გამო, მის საყვარლობაზე უარი არ მითქვამს. როდესაც სიყვარულში გამოვუტყდი, ცივად მითხრა, რომ მისი ცოლი აუცილებლად ქალწული უნდა ყოფილიყო. მართლაც, დაქორწინდა და 42 წლის კაცმა, 24 წლის გოგო მოიყვანა ცოლად. ახლა მასთან ცხოვრობს, მე კი, სხვებთან ურთიერთობას მიკრძალავს. ამ ბოლო დროს, საერთოდ აღარ მეკონტაქტება. მისმა ნათქვამმა კი, გონებაში ჩამიბეჭდა, რომ ჩიხში ვარ და ჩემთვის მომავალი არ არსებობს. ახლა, გადავწყვიტე, სხვა ადამიანი შევიყვარო. იმედია, ისიც მასავით არ მომექცევა. მალხაზს კი მინდა, ბედნიერება ვუსურვო. მინდა, რომ მახო ექიმმა ჩემი მესიჯი წაიკითხოს. ამის მერე კი, რაც უნდა თქვას და მერე თუნდაც, წისქვილმაც კი ფქვას“.

„ჩემზე იმდენი ჭორი დადის, რომ სათვალავი ამერია. ბევრი მეგობარი ბიჭი მყავს, ამ ხალხს კი ჰგონია, რომ მამაკაცებს ხელსახოცებივით ვიცვლი. ეგ არ მადარდებს, მაგრამ მაინც მინდა, ამ მესიჯით ენაგატლეკილებს მივმართო: ხალხო, გაიგეთ, რომ სიყვარული და მეგობრობა ერთი და იგივე არ არის. ურეკელო ჭორიკანებო, თავი დამანებეთ“...

„აქამდე ვიღაცებს რომ დავდევდი, თურმე, არ ღირს ნერვების მოშლა. ახლა კი, ვინც რა უნდა თქვას, მამაჩემის შპს ფირმა „ოდამ“ კი ფქვას! ნათია“.

„მარი, 1000 წელი იცოცხლე და აცოცხლე „გზავნილები“, მე კი, გპირდები, რომ 10 საუკუნე შენი ქომაგი ვიქნები. ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ, 19 წლის, მაგრამ არაჩვეულებრივი აზრები მაწუხებს. რასაც ვინატრებ, ყველაფერი მისრულდება. მიმაჩნია, რომ ბედნიერ ვარკვლავზე ვარ დაბადებული. ჩემ გარშემო ყველა ფიქრობს, რომ ძალიან უცნაური ვარ, მაგრამ მაინც ყველას ვუყვარვარ. ხშირად ვფიქრობ სიკვდილზე და მაინტერესებს — როგორია ის. სიკვდილის შემდეგ, ძალიან მინდა, გალაკტიონის აჩრდილთან ერთად, ხელჩაკიდებულმა ვისეირნო. კიდევ, ძალიან მინდა, ჩემს საკუთარ გასვენებას დავესწრო და ზევიდან ვუყურო. მარი, შენც სხვებივით ფიქრობ, რომ ეს სიგიჟეა? რა ვიცი... ვინც რა უნდა თქვას, მე კი ჩემი სამყარო მაქვს... აჩრდილი“.

„მე ზურა ვარ, აიკიდოს მწვრთნელი. ძალიან ვიხალისე „გზავნილებზე“. ახლა ფოთში ვართ, შეკრებაზე და რაღაც სასაცილო ამბები მახსენდება. ყველაფერს ჩავიწერ და რომ ჩამოვალ, მოგიყვებით“.

„აღარ შემიძლია, ჩემს წუპაკ დედამთილთან ცხოვრება. ქმართან ალერსსაც კი არ მაცლის — დილაუთენია შემოვარდება ოთახში, საბანს გადაგვაძრობს და გვეჩხუბება: ადექით და საქმე გააკეთეთო. რა ვქნა?“

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: დაუგეგმავი ნაბიჯი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რა მოიმოქმედეთ სპონტანურად და რა შედეგი მოჰყვა ამ ნაბიჯს. მე კი, ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

დამეთანხმებით, რომ ნანული და გურამი გადაცემა „შაბათის შოუს“ ყველაზე პოპულარული გმირები არიან. ამ „ოჯახური წყვილის“ ეკრანულ ცხოვრებას ყველა თაობის მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს, ხოლო მათი „ფრთიანი ფრაზები“ დიდმა თუ პატარამ ზეპირად იცის. მაგრამ ბევრმა არც კი უწყის, რომ მიშა ანდღულაძისა და ვანო ჯავახიშვილის მიერ განსახიერებული ცოლ-ქმარი, არც მეტი, არც ნაკლები — მიშას დეიდა და ბიძა — ნანული ქოჩიაშვილი და გურამ ჯაფარიძე არიან. მაშ ასე, პირველად, ჩვენი ჟურნალის საშუალებით, წარმოგიდგენთ რეალურ ნანულის და მისი ცხოვრების რეალურ ამბებს.

„თითქმის მთელი ჩვენი ცხოვრება ასახული „შაბათის შოუში“...

ემა ტუხიაშვილი

— ბავშვობის დიდი ნაწილი მიშას ჩვენს ოჯახში აქვს გატარებული. დედამისი მუშაობდა, ამიტომ მიშასა და მის ძმას, დათოს ხშირად გვიტოვებდა. ძმისგან განსხვავებით, მიშიკო ძალიან მშვიდი ბავშვი

იყო. საკმარისი იყო, მისთვის ფურცელი და კალამი ან ფანქრები მიგეცა, მთელ დღეს ხატვაში გაატარებდა. ბავშვობაშიც ასეთი ვარცხნილობა ჰქონდა, ხვეული თმით დედას ჰგავს და მანერა ჰქონდა ასეთი — ქვემოდან ყურება იცოდა.

— **ალბათ, თქვენ და ბატონ გურამს გაკვირდებოდათ და ფიქრობდა — ვინ იცის, რაში დამჭირდება მათი ცხოვრებისეული ამბებიო?!.**

— ვერ ვიტყვი, რომ მიშიკო ბავშვობაში იუმორის ნიჭით გვაოცებდა, პირიქით, ყველას ძალიან გაგვიკვირდა, როდესაც იუმორისტულ გადაცემაში ვიხილეთ. მაგრამ იუმორი და არტისტულობა ჩვენ გენეტიკაში გვაქვს. ახალგაზრდობაში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზეც მითამაშია; სოფიკო ჭიაურელთან და ნუგზარ შარიასთან ერთად ვითამაშე ფილმში — „ენგურის ნაპირებზე“. გახსოვთ „გლახის ნაამბობში“ გაბრო რომ შედის დუქანში და თამრო რომ ეუბნება — მე ის თამრო აღარ ვარო?.. თამროს გვერდით რომ ქალი ზის, მე გახლავართ. ვისი პაროდია აღარ მაქვს გაკეთებული ახალგაზრდობაში. ძალიან მიყვარდა ანეკდოტების მოყოლა... ჩემი შვილი, დიტოც მე მგავს, თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა. მიშიკოს ძალიან უყვარდა, როდესაც დიტო ხუმრობდა სუფრასთან, სულ ეხვეწებოდა: ამას გააჯავრეო...

— **როდესაც პირველად ნახეთ თქვენი პაროდია „შაბათის შოუში“, როგორი რეაქცია გქონდათ?**

— დავურეკე მიშიკოს და შავი დღე ვაყარე: ჩვენ გარდა, ვერავინ ნახე, რომ გაგეშაყირებინა-მეთქი?! დამამშვიდა: კარგი, რა, დეიდა, არ გინდა, ისტორიაში შეხვიდეო?.. გურამი ხომ დასაბმელი გამიხდა, ძალიან ეწყინა, საკუთარი თავი რომ ამოიცნო ეკრანულ გურამში. ახალგაზრდობაში, მანაც ასეთი ნერვიულობა იცოდა — დაიწყებდა აქეთ-იქით სიარულს და მერე გავარდებოდა სახლიდან, თავს გამარიდებდა ხოლმე. ახლა ასე ვეღარ ინერვიულა — ინსულტი გადაიტანა ცოტა ხნის წინ და ფაქტობრივად, სკამსაა მიჯაჭვული... „შაბათის შოუში“ ნანულისა და გურამის გამოჩენის შემდეგ, მირეკავდნენ ნათესავები და მეუბნებოდნენ: ნახე, რა გაგიკეთა მიშიკომო!..

— **ასეთი თვალში საცემია თქვენი მსგავსება ეკრანულ გმირებთან?**

— თითქმის მთელი ჩვენი ცხოვრებაა ასახული, გარკვეულ ეპიზოდებს თუ არ ჩავთვლით. სიცილი და მხრებზე ხალათის მოსხმის მანერა ხომ მთლად ჩემი აქვს „შაბათის შოუს“ ნანულის. ვანო ჯავახიშვილის გურამი, მართალია, გარეგნულად არ ჰგავს ჩემს მეუღლეს, მაგრამ ხასიათი კოპირებული აქვს. მთელი ცხოვრება ქალებსა და სმას იყო გადაყოლილი, ბოლოს, ჭკუა ვისწავლე და არყის ბოთლში წყალს ვუსხამდი: ცეცხლი დალიე-მეთქი! არაყივით სვამდა წყალს და თვრებოდა, მაგრამ ერთი-ორჯერ მიმიხვდა ეშმაკობას. ამ ყველაფერს მიშიკო ჩვენს ოჯახში ხედავდა, შემდეგ კი, სცენარი დაწერა.

— **ეი. რუსიკო თქვენი მეუღლის ცხოვრებაშიც არსებობდა?..**

— *(იცინის)* ყველაფერი გინდა, მათქმევინო?.. გახსოვს, ის სკეტჩი, გურამი ავად რომ არის და რუსიკოს სახელს რომ ამბობს ბოდვისას?.. სინამდვილეში, გურამი მაშინ მთვრალი იყო, მაგიდაზე ჩამოეძინა და მაშინ წამოსცდა საყვარლის სახელი: რუსიკო, რუსიკოო. მივაგენი იმ ქალს და შავი დღე ვაყარე...

— **ის სკეტჩი თუ გახსოვთ, ნანული და გურამი პლაჟზე რომ ისვენებენ. თქვენც ხშირად დადიოდით ზღვაზე?**

სესხება-გასესხება

შპს „ევრიკა+“

სესხება-გასესხება ბინის მყარი გარანტიით, იპოთეკით.

გაქვთ თანხა დაგვირეკეთ,
არ გაქვთ – მით უფრო დაგვირეკეთ.
ჩვენთან ყველაზე კარგი პირობებია!

მის: ჯოსტავას ქ. 23 (რედაქციის პირდაპირ).
მარჯანიშვილის 21,30-4 სართ. (მაკდონალდსის მხარეს)
☎ 95-23-66; 99-69-00
899-44-64-60 ნინო 899-44-64-61 გიორგი

მართლა კარგი გოგო ვიყავი...

— გურამს დეიდა ჰყავდა გაგრაში, ამიტომ თითქმის მთელ ზაფხულს მის სახლში ვატარებდით. მანამ, სანამ ბავშვებს ავაყენებდი და დავაპურებდი, გურამი პლაჟზე „გაძვრებოდა“ და ქალებს აბამდა... მახსოვს, ერთ წელს, მეც გადამეკიდა ერთი ბათუმელი კაცი, მოსვენებას არ მაძლევდა. თავს არ ვიქებ, მაგრამ მართლა კარგი გოგო ვიყავი... გურამს როგორ გავუმხელდი ამ ამბავს?! სასწრაფოდ თბილისში წამოსვლა მოვიმიზეზე და ბავშვებთან ერთად, მანგლისში წავედი დასასვენებლად.

— კიდევ რა შეესაბამება „შაბათის შოუს“ გმირების — ნანულისა და გურამის ეკრანული ცხოვრებიდან სინამდვილეს?

— გახსოვს, ნანულისთან ინკასატორი რომ მივიდა სახლში?.. ეს ამბავი გლდანში, მე-8 მიკრორაიონში მოხდა. მაშინ ფოტოფირით ვაჩერებდით მრიცხველს. როდესაც „გლაზოკში“ დავინახავდი, რომ ინკასატორი იყო, ფირს გამოვაძრობდი და მერე ვუღებდი კარს, მაგრამ ერთხელ, ფირი მრიცხველში ჩამიწყდა და ინკასატორმაც დენის მოპარვის ფაქტზე დამიჭირა. იმ ამბის შემდეგ შემომეჩვია. ყოველ მოსვლაზე ფულს ვაძლევდი, რომ გამეჩუმებინა... ხომ გახსოვს, ნანული და გურამი სულ რომ ჩხუბობენ: დედაჩემი — დედაშენიო?! ამითაც ჩვენ გვგვანან. მე და გურამიც რომ დავიწყებდით ჩხუბს, მაშინვე დედაჩემს ახსენებდა. მეც არ შევარჩენდი და ვეტყოდი ხოლმე: დედაშენს მოუარე-მეთქი! ახლა ის ამყვებოდა: დედაჩემისგან რა გინდა, ქალო? ამ სიშორეზე ცხოვრობსო! მეც არ დავაყოვნებდი: მადლობელი იყავი, დედაჩემმა სახლში რომ შემოგიშვა! დედაჩემის ძვლები დაგესოს ყელში-მეთქი! — და ასე გრძელდებოდა — დედაჩემი და დედაშენი...

კადრი ფილმიდან „ენგურის ნაპირებზე“. მარჯვნიდან მესამე ქალბატონი ნანული

სუფრიდან თეფშები სტუმრებისთვის არასდროს ამიცლია...

— თქვენ თქვით, რომ შოუს ნანულისა და გურამის ცხოვრების გარკვეული ამბები თქვენსას არ ჰგავს. მაშინ გვითხარით, რით არ გგავთ ეკრანული ნანული?

— გახსოვს ალბათ, გურამის დაბადების დღეს რომ იხდიან და ნანული სტუმრებს სუფრიდან თეფშებს აცლის. ასეთი რამ არასდროს მიქნია. კიდევ, გიუნა ცოლს რომ მოიყვანს და ნანული ეუბნება რძალს: სილიკონები არ დამანახვოო! სად იყო ჩვენს დროს სილიკონები და მისთანები?! ასევე, მოგონილია ნანულისა და გურამის შეუღლებამდე, ნანული ცხრაჯერ რომ იყო ქორწინებაში. სინამდვილეში, გურამი ჯარიდან ახალი ჩამოსული იყო, ნათესავთან მნახა, ძალიან მოვეწონე და მშობლებთან ერთად მომადგა სახლში. რატომ არ მოვეწონებოდი? კარგად ვიცვამდი, დედაჩემი რეკიზორ-ბუღალტრად მუშაობდა... სხვათა შორის, მეც სულ კარგი თანამდებობები მეკავა. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და წლების განმავლობაში ვმუშაობდი მინისტრთა საბჭოში, Начальник секретной службы второго отдела ვიყავი.

— ნანულისა და გურამის წყვილმა, „შაბათის შოუს“ დიდი პოპულარობა მოუტანა. ხომ არ გიფიქრიათ, რომ თქვენი ცხოვრების აფიშირებისთვის მატერიალური საზღაური მოგეთხოვათ?

— სხვათა შორის, მიშიკოს ვუთხარი: ფული გადამიხადეთ-მეთქი, მაგრამ ასე მითხრა: დეიდა, მე კაპიკი გამომერთმევაო?! მიშიკო ძალიან თბილი ბიჭია. მეც და გურამიც ძალიან ვუყვარვართ. ცოტა ხნის წინ, მოსული იყო ჩვენთან. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია, მოიცალა და გურამის დაბადების დღეზე გვესტუმრა.

— ფრთხილად იყავით, ხომ შეიძლება, შოუსთვის ახალ ამბებს აგროვებდეს...

— არა მგონია, რადგან ამბობენ, რომ სექტემბრიდან, „შაბათის შოუში“ ახალი ოჯახური წყვილი გამოჩნდება. როგორც ვიცი, ქალს მაგულის არქმევენ... მაგრამ მე და გურამი მაინც დიდი ინტერესით დაველოდებით ყოველ ახალ გადაცემას: ვინ იცის, კიდევ რომელ ამბავს გააცოცხლებენ ჩვენი ცხოვრებიდან?!. ■

ჯობს, ერთ რაღაცაში იყო მაგარი, ვიდრე ყველაფერი ნახევრად იცოდეო — მითხრა ბედინამ, რომელიც თინეიჯერულ ასაკში, ქუჩის ცხოვრებით ცხოვრობდა. მას რაღაც, სულ „უბრალო“ მიზეზის გამო, 5 წლის განმავლობაში, ციხის კედლების ხეხვა მოუხდა და იქ დაბრუნებას, სიკვდილი ურჩევნია. ადამიანის დაჩაგვრას, ბედინას მგლური კანონის არც ერთი მუხლი არ ითვალისწინებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასწავლებლებს და კომუნისტურ რეჟიმს, რაღაც დოზით „ჩაგრავდა“ კიდეც.

„დაბოლოილი“ ბედინას „ტეხავი“ პონტი, „გაშრალი“ სისხლი, მგლური კანონი და ქსელში „გახლართული“ ობობა

ლიკა ქაჯაია

— ისეთ პონტში ვარ, რომ ჩემს თავზე რაღაცების მოყოლა არ „მევასება“. რეპერი ვარ და როგორ ფიქრობ — ბავშვობაში ცელქი არ ვიქნებოდი?

— „ვრედნი“ ბავშვი იყავი?

— მოუსვენარი ვიყავი, თვალი სულ ქუჩისკენ გამირბოდა, სახლში ვერ მაჩერებდნენ და ისეთი რაღაცები მაინტერესებდა, რაც ჩემი ოჯახისთვის მიუღებელი იყო.

— შენი ოჯახისთვის მიუღებელი რა იყო?

— ქუჩაში დგომა, ძველი ბიჭის იმიჯი და ა.შ.

— მაგარი ბიჭის იმიჯი როდის შეიქმენი?

— ალბათ მაშინ, როცა აზრზე მოვედი.

— აზრზე თინეიჯერობის ასაკში მოხვედი?

— ჰო, როცა ჩემში თინეიჯერული ტალღა შემოიჭრა, ვიგრძენი, რომ მაგარი ბიჭი ვიყავი.

— მარტო ეს იგრძენი?

— რა თქმა უნდა, არა. დავინახე ის ფერები, რომლებსაც ადრე ვერ აღვიქვამდი. ყველაფერი უფრო ლამაზი მომეჩვენა და რაღაც ახლის ძიება დავიწყე.

— რას გულისხმობ?

— ვთქვათ, თინეიჯერს აინტერესებს — რატომ არის ქალი ლამაზი? უნდა მას შეეხოს, მაგრამ არ იცის, ეს როგორ გააკეთოს და ეძებს გზას, რომლის მეშვეობითაც ამას მოახერხებს.

— შენ შავი გაგების ხარ?

— არ ვიცი, ეს კითხვა ჩემს მეგობრებს უნდა დაუსვა. ვარ იმ გაგების, რომლისაც მინდა, რომ ვიყო.

— შენი ქუჩაში გასვლა შენივე „სასტავმა“ განაპირობა?

— არა, ისინი არაფერ შუაში არიან, უბრალოდ, მინდოდა, კარგი ტიპი ვყოფილიყავი და ამას სახლში ჯდომით ვერ მივაღწევდი.

— ქუჩამ რა მოგიტანა?

— ბევრი რამ — ვისწავლე ჭეშმარიტი მეგობრობა, სიყვარული, უფროსებისადმი პატივისცემა და ა.შ. თინეიჯერულ ასაკში, ქუჩაში უფრო მეტ დროს ვატარებდი, ვიდრე დღეს.

— რატომ, ახლა პოპულარული ხარ და ქუჩაში „ბირჟაობა“ „გიტყდება?“

— თავს პოპულარულად არ მივიჩნევ — ისეთივე ვარ, როგორიც ყოველთვის ვიყავი. შეიძლება, სხვის თვალში ვანათებდე, მაგრამ საკუთარი თავი ვარსკვლავი არ მგონია.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— მე-6 კლასამდე (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მახსოვს) კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მერე მივატოვე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ სხვა ინტერესები გამიჩნდა. ერთი, რომელიღაც კონკრეტული საგანი უფრო მაინტერესებდა, ვიდრე ყველაფერი ის, რასაც სკოლაში ასწავლიან. მით უმეტეს, როცა შეიძლება, რაღაცები ცხოვრებაში გამოგადგეს. მაგალითად, სკოლაში 3 უცხო ენას — ინგლისურს, თურქულს და რუსულს გვასწავლიდნენ და როცა გერმანულიც დაგვიმატეს, საწყალ მასწავლებელს, რომელიც კლასში შემოვიდა და თქვა: „გუტენ ტაგო“, ვესროლეთ.

— რა ესროლეთ?

— რაც ხელში მოგვხვდა.

— იმედია, ხელთან ახლოს ყუმბარა არ გქონდათ... ზოგადი განათლების მიღების წინააღმდეგი ხარ?

— ერთმა ფილოსოფოსმა შესანიშნავი სიტყვები თქვა: ჯობს, ერთ რაღაცაში იყო მაგარი, ვიდრე ყველაფერი ნახევრად იცოდეო.

— შენ რომელი საგანი მოგწონდა?

— საგანი თუ მასწავლებელი?.. ყველაზე მეტად ისტორიის გაკვეთილი მიზიდავდა.

— თვალს მასწავლებლებისკენ აპარებდი?

— ჰო, იყვნენ მშვენიერი მასწავლებლები. მაგალითად, ძალიან აგრესიული, ქართულის მასწავლებელი გვყავდა და მასში, სწორედ ეს აგრესია მიზიდავდა. ასევე, ვგიჟდებოდი თურქულის მასწავლებელზე და უფროსკლასელებზეც.

— მაშინ, თურქული ენა კარგად გეცოდინება, არა?

— ერთი პერიოდი ისე ვსწავლობდი, რომ ოთხიანებს მიწერდა, მაგრამ მერე, ავუშვი და ახლა, ისიც კი აღარ მახსოვს, რაც ვიცოდი.

— არ მითხრა, მასწავლებლებს სიყვარულს ვუხსნიდიო...

— არა, მაგ დონემდე ვერ „გავქაჩე“.

— აბა, მოწონებას როგორ გამოხატავდი?

— ლოყების გაწითლებით... სიმპათიური ქალები ყოველთვის მომწონდა, მაგრამ მაშინ, ისეთი დრო იყო, რომ ფიქრი ადვილი გახლდათ, იდეის განხორციელება კი, ძნელი. ახლა, ყველაფერი პირიქითაა, ქალმა შეიძლება აქეთ „დაგკეროს“.

— ალბათ, მასწავლებლებს სისხლს „უშრობდი“, არა?

— კი, მაგრამ მათთვის არასდროს დამიდვია ჭიკარტი იმ მიზნით, რომ ერთი ადგილი დაზიანებოდათ, არც „ხლაპუშკა“ შემიგდია — ასაფეთქებლად, რადგან ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ისინი მართლა ხორცის საკები მანქანები კი არა, ჩვეულებრივი ადამიანები არიან.

— „შატალოზე“ ხშირად დადიოდით?

— აბა, რა! „სასტავი“ შევიკრიბებოდით და ხან მთაწმინდაზე ავდიოდით, ხან — „მზიურში“, ხანაც — ზოოპარკში... იმ ადგილას მივდიოდით, სადაც გული და გონება გაგვიწევდა.

— მგონი, პიონერიც იყავი, არა?

— სამწუხაროდ, ცუდი ყოფაქცევის გამო, პიონერი ვერ გავხდი და მაგარ „გატეხილში“ ვიყავი, ვბუზღუნებდი.

— დავიჯერო, მართლა ასე განიცადე?

— აბა, რა იქნებოდა, როცა მთელი ჩემი კლასი მიიღეს — „დედაენის“ ბაღში წაიყვანეს, ყელსახვევები გაუკეთეს, სამახსოვრო ფოტოები გადაუღეს და ა.შ. ეს რაღაც „პონტში“ „გამიტყდა“, მაგრამ როცა დრო გავიდა, ამით ვამაყობდი კიდეც — წითელი ყელსახვევი არასდროს გამიკეთებია-მეთქი.

— თინეიჯერ ბედინას შეყვარებულიც ეყოლებოდა...

— სკოლაში სწავლის პერიოდში, ერთი „ცალი“ შეყვარებული მყავდა. ჩემზე პატარა იყო და არ ვიცი, მართლა მიყვარდა თუ არა. მგონი, მის სიყვარულს იმ „პონტში“ უფრო ვიჩემებდი, რომ მაშინ, შეყვარებულის ყოლა, მაგარი ბიჭობის ტოლფასი იყო.

— იმას არ უყვარდი?

— არ ვიცი.

— ეს რას ნიშნავს, მისთვის არაფერი გიკითხავს?

— მისთვის სიყვარულიც კი არ ამიხსნია — საერთო დაქალებისგან გაიგო, რომ მომწონდა.

— „ტიპობა“ და მაგარი ბიჭობა კიდევ რაში გამოიხატებოდა?

— ვაჟკაცობაში, ჩხუბის დროს საქმის „დასტოინად“ ახსნაში. მაგარი იყავი, თუ სხვას არავის დაჩაგვრინებდი, დამნაშავეს ხელს დროზე დაარტყამდი და არა 1 თვის მერე და ა.შ. ყველაფერი რომ ჩამოვთვალო, ვაჟკაცობის კანონი დაიწერება.

— ქალის გულისთვის თუ გიჩხუბია?

— ბევრჯერ. პრინციპში, როცა რაღაცაზე ჩხუბი იწყება, იქ ქალი აუცილებლად ფიგურირებს.

— ალბათ, შენთვის თვალიც ბევრჯერ ჩაულურჯებიათ.

— არასდროს, რადგან არ ვიყავი ისეთი ბავშვი, რომლის დაგდება და ცემა ადვილია — ძალ-ღონე არ მაკლდა, სპორტზეც დავდიოდი. თუ ვინმეს ჩემი ცემა უნდოდა, მაშინ უნდა გავეკოჭე. როცა საქმის გასარჩევად მივდიოდი და ვიცოდი, რომ ის 30 კაცს დამახვედრებდა, მე 50 მიმყავდა ხოლმე.

— და ეს უსამართლობა არ იყო?

— უსამართლობა?.. უსამართლობა ისაა, როცა იციან, რომ მარტო მიდიხარ და იქ ხალხს გახვედრებენ.

— ისეთი შემთხვევა არ ყოფილა, როცა საქმის გასარჩევად ხალხი წაგიყვანია, ის კი, მარტო დაგხვედრია?

— ასეთი შემთხვევაც ყოფილა, მაგრამ ამ დროს, ის, რაც არ უნდა დამნაშავე ყოფილიყო, ხელს არ დავარტყამდით. ჩვენს მგლურ კანონში ადამიანის დაჩაგვრა-დაბეჩავება არსად წერია.

— სკოლის მოსწავლე დანას ატარებდი?

— კი და საჭირო დროს ვიყენებდი კიდეც.

— ახლაც ცივი იარაღის იმედად დადიხარ?

— რაღა დროს დანები და ჩანგლებია? ახლა, იარაღს ვატარებ ხოლმე.

— და საქმეების გარჩევის დროს იყენებ, არა?

— როცა საჭიროა, მაშინ უნდა გამოიყენო — სხვები რომ გიმიზნებენ, თავს არ დაიცავ?

— მეგობრებიც დაგიჭრია?

— კი, მაგრამ რისთვის, არ მახსოვს.

— არ მჯერა, ასეთ რაღაცეებს ვერ ივიწყებენ.

— ჰო, არა?.. მოკლედ, „ლისიჩკა“ დანებით ვხმალაობდით და ვისაც ფარი არ ჰქონდა, ის იჭრებოდა ხოლმე *(იცინის).*

— ბედინა, როგორი გოგოები მოგწონს?

— კარგები და სიმპათიურები. ნებისმიერი ასაკის ქალს, თავისი შარმი აქვს. არა აქვს მნიშვნელობა, ის 20 წლისაა, თუ 40-ს ზევით...

— ან სულაც 100 წელს ზევით, არა?

— ოჰ, ოჰ, ოჰ... ქალი ყველა ასაკში ლამაზი და მისაღებია, ოღონდ, გააჩნია სიტუაციას. ხანდახან ის „პონტიც“ ასწორებს, როცა 2 ქალი გყავს — ერთი მასაჟს გიკეთებს, მეორე — საჭმელს.

— მრავალცოლიანობის მომხრე ხარ?

— არა, ვფიქრობ, ერთი ცოლი უნდა გყავდეს და ყველა ქალზე მეტად გიყვარდეს.

— საცოლე არ გყავს?

— ქალების მეტი რა მყავს, მაგრამ საცოლი არ მაქვს. შეყვარებულობის ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი.

— თინეიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავი?

— ჩემი თინეიჯერობის დროს სად იყო ვიდეო და კარგი ცხოვრება? ერთი შვარცენეგერი და სტალონე ვიცოდი და ისიც არ „მევასებოდა“. ვფიქრობ, რომ როცა ვიღაცის ფანი ხარ, მისი ყველაფერი უნდა მოგწონდეს, მე კი, ყველაში ისეთ რაღაცას ვპოულობდი, რომ ეს ერთი რაღაც, ყველა მის დადებით თვისებას ხაზს გადაუსვამდა ხოლმე. ავიღოთ, იგივე ფრედი მერკური, უძლიერესი მომღერალი იყო, მაგრამ ჰომოსექსუალისტი გახლდათ...

— შენი რეპერობა რამ განაპირობა?

— ცხოვრებამ — დავწერე ლექსი, გავრითმე და გამოვხატე პროტესტი იმის მიმართ, რაც არ მომწონდა.

— ამბობენ — რეპი შავებისააო...

— შავების კი არა, ყველასია. რეპი იმ ადამიანების პოეზიაა, ვისაც რაღაცის მიმართ პროტესტის გამოხატვა სურს.

— ქართველი რეპერებიდან ვისთან მეგობრობ?

— ძველებიდან — კაბუსთან და შავ პრინცთან, ახლებიდან კი, იმასთან ვმეგობრობ, ვისაც რეპერად მივიჩნევ.

— შენი მეგობრობის უღირსად, ბევრ რეპერს მიიჩნევ?

— როგორ არა?! ტელევიზორი ჩართე და რამდენსაც გინდა, იმდენ ბანძ რეპერს გაჩვენებ.

— ბედინა, პლანს არ ეწევი?

— კი, ოღონდ „პო პრაზდნიკამ“. პლანზე „შეჯდომა“ სისულელეა, ის რაღაც მიზნის მიღწევაში, ყველა ვარიანტში ხელს შეგიშლის.

— გინდა თქვა, რომ პლანი ადებილებს?

— არა, მაგრამ სამაგიეროდ გაზარმაცებს, უსაქმურს გხდის. თუმცა, ხანდახან ტვინის უჯრედებსაც ხსნის და მუშაობაში გეხმარება.

— ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ტექსტებს მხოლოდ „პო პრაზდნიკამ“, მაშინ წერ, როცა დაბოლილი ხარ.

— მე მაშინ ვწერ, როცა მომინდება და ამისთვის, არც პლანი მჭირდება და არც მუზა.

— თუთუნი თუ შეგიხვევია?

— კი, ციხეში ყოფნის დროს.

— სულ რამდენჯერ დაგიჭირეს?

— რა ვიცი, სულ მიჭერდნენ, მაგრამ მერე, ფაქტის არქონის გამო, ისევ მიშვებდნენ. ბოლოს, დამიჭირეს და 5 წელი მომისაჯეს.

— რისთვის?

— იარაღის ტარება-შენახვისთვის და კიდევ რაღაცეებს „მტენიდნენ“, მაგრამ ვერ მოახერხეს.

— ესეც ქუჩამ მოგიტანა?

— არა, იღბალმა. თურმე, ბავშვობის „პილონკაზე“ მეწერა — მთელი 5 წლით ჩაგაყუდებენო.

— შენს ძველ კამერაში დაბრუნებას ისევ აპირებ?

— რას ამბობ? იქ აღარასდროს დავბრუნდები *(იცინის).*

— ვიცნობ ისეთ თინეიჯერებს, რომლებიც ციხეში ჩაჯდომაზე ოცნებობენ მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი ბიჭის სახელი ჰქონდეთ...

— ჩემს დროს, 24-კაციან კამერაში 50-ნი ვიჯექით და უჰაერობისგან ვიგუდებოდით. ახლა, თურმე, იმ კამერაში 100 კაცი ზის. შევიდნენ და ნახონ, რა ჩიტსაც დაიჭერენ. ჯობია, კაცი დაწყევლო, ვიდრე ციხეში შესვლა უსურვო.

— ციხეში ყოფნისას სვირინგი გაიკეთე?

— კი, ქსელში „გახლართული“ ობობა დამახატეს.

— ეს რისი სიმბოლოა?

— რაში გაინტერესებს? — არ გეტყვი.

— არის თუ არა აქსესუარი, რომელიც რეპერს აუცილებლად უნდა ეკეთოს?

— კაცობა და ვაჟკაცობა ის აქსესუარებია, რომელიც რეპერს ყველაზე მეტად უხდება და მოეთხოვება.

— და ეს „აქსესუარი“ ყველა რეპერს აქვს?

— ნამდვილ რეპერებს აქვთ და სხვებზე თავს ვერ დავდებ. ყველაზე მაგარი იცი, რა გვაქვს? — ცისფრები არ ვართ. თითქმის ყველა მუსიკალურ მიმდინარეობაში არსებობენ გადახრის მქონე ადამიანები, ჩვენთან კი, მათი არსებობა შეუძლებელია.

— და ასეთი რეპერი რომ „გაიჩითოს“?

— „პონტია“, ეს არ მოხდება და თუ ვინმე ფერს შეიცვლის, ის ველარ გაქაჩავს. როგორც შემოქმედს, გააფუჭებენ.

— ეჭვი ვინმეზე გაქვს?

— შეიძლება, მაგრამ არ გეტყვი.

— რით განსხვავდებიან დღევანდელი თინეიჯერები, შენი თაობის თინეიჯერებისგან?

— ორივე თაობას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. ესენი ჩვენზე ჭკვიანები, მაგრამ უზრდელები არიან. მაშინ ხულიგნურ რაღაცეებს „ფეხი“ მოტეხილი ჰქონდა, „კოჭლობდა“, ახლა კი, თითქოს — „გამოჯანმრთელდა“... არა უშავს, ყველაფერს ეშველება — კეთილი ბორიტზე ყოველთვის იზეიმებს.

— თქვენ არ იგინებოდით?

— კი, მაგრამ ჩუმად. ახლა, ბოლო ხმაზე ყვირიან — ბოზის შვილი ვიყოო. შეიძლება, ეს ცუდად ჟღერდეს, სინამდვილეში ისეთი არაფერია, მაგრამ ამას რომ ვიღაც გაიგონებს, მოგაძახებს — იყავი მერე, ვინ გიშლის, ოღონდ ნუ ყვირიხარო. კაცებს გინება უხდებათ (აბა, ხომ არ დავიწყევლებით), მაგრამ ეს ისე უნდა გააკეთო, რომ სხვა არ გააღიზიანო.

— წყევლა „ტეხავს“?

— კაცისთვის, რა თქმა უნდა. ის ქალის „იარაღია“.

— დაბოლოს, რას უსურვებდი თინეიჯერებს?

— ბევრი ფულის შოვნას, მაგარი მანქანების ყოლას, კარგი სახლების და „ბმანების“ ქონას...

— და ეს სრული ბედნიერებისთვის საკმარისია?

— მომეცი 700 მილიარდი დოლარი და ბედნიერი თუ არ ვიქნები, მაგასაც ნახავ.

— რომ გაღორდე?

— მაშინ იმ პირობით მომეცი, რომ ფულს არ „დავაჯდები“, მაგარ რაღაცეებს ვიყიდი და სხვებსაც დავეხმარები — თოვლის ბაბუასავით საჩუქრებს დავარიგებ.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შენ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

■

ვამტხმაურება

ლელე, *17 წლის:*

„ხალხნო, რა პონტია, სახურავზე გარუჯვა? მით უმეტეს, ამას 37 წლის ქალი რომ აკეთებს?!. აივანზე უფრო „უდობნი“ არაა?“

პავლიკა, *მონასტრის ბიჭი, 17 წლის:*

„შეყვარებულს გასარუჯავად არა მარტო სახურავზე, არამედ ჯოჯოხეთშიც ჩავყვებოდი, მაგრამ ყველაფერს მაინც ბახმაროში დასვენება სჯობია... ამიკოს კი მივმართავ — შვილობით, შენს თავს მიმართე, სარკის წინ. ლანკა ჩემი მეგობარია და ცოტა ფრთხილად იყავი, სიტყვები აკონტროლე, თორემ, ხალხურს გაცეკვებ. ლიკა, გთხოვ, დამიბეჭდე სრულად, რადგან შენს რუბრიკაში მესიჯს პირველად ვგზავნი“.

მამრი, *16 წლის:*

„ერთი რამ მაინტერესებს — დავიჯერო, მართლა არ „უტყდებათ“ სახურავზე გარუჯვა? ბიჭები რაღამ გამოაშტერა, კორპუსის თავზე რომ „ხმებიან“? მე ეს მაგრად „გამიტყდებოდა“.

ფოთი, „ჯ“, *29 წლის:*

„ლიკა, 14 წლის წინ, ტარიელი დაქალმა გამაცნო. ის დანახვისთანავე შემიყვარდა. ტარიელსაც მოვეწონე და ცოტა ხანში, სიყვარული ამიხსნა — იმწუთას, თავი უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი. მალე მივხვდით, რომ უერთმანეთოდ სუნთქვა გვიჭირდა... თვე და 25 დღე ოცნების კოშკებს ვაგებდი, მაღალი, ულამაზესი სვანი იყო. მან თავისი ძმა ფრიდონი, ბიძაშვილი და მამამისი გამაცნო, მე კი, ის მამიდაჩემს წარვუდგინე. ჩვენ ერთმანეთს შევპირდით, რომ ვერაფერი დაგვაშორებდა, მაგრამ ერთ დღეს, წავიდა და აღარ გამოჩნდა. მისიანებმა (რომლებიც სარძლოს მეძახდნენ), რატომღაც თავი ამარიდეს. 3 თვე გულისფანცქალით ველოდი, ვცადე — მისი მოულოდნელი გაუჩინარების მიზეზი გამეგო, მაგრამ ვერაფერი შევიტყვე. ჩემს ტანჯვას ბოლო არ უჩანდა და სასოწარკვეთილი სხვაზე გავთხოვდი, მას კი, წერილი დავუტოვე და დავემშვიდობე. ჩემი ქორწილის დღეს გამოჩენილა, წერილი წაუკითხავს და ცუდად გამხდარა. დღესაც არ ვიცი, რა მოხდა?.. უკვე, 14 წელია ქმარი მყავს, თუმცა, ჩემი გულის დიდი ნაწილი, ისევ ტარიელს ეკუთვნის — ვერ ვივიწყებ. მაინტერესებს — როგორ არის, ბედნიერია თუ არა? და თუ ამ მესიჯს წაიკითხავს, ნუ დაიზარებს, დამირეკოს — მას სულ 2 შეკითხვა მინდა დავუსვა და სანამ მათზე პასუხს არ მივიღებ, ვერ მოვისვენებ. ტარიელი წყალტუბოს რაიონში, სოფელ საკულიაში ცხოვრობს... გავიგე, მისი ძმა ფრიდონი დაუჭერიათ და სასჯელს იხდისო — ძალიან მეწყინა. ლიკა, თითქოს რაღაც ტვირთი ჩამომხსენი. იმედი მაქვს, რომ ამ მესიჯს დამიბეჭდავ და შევძლებ 14 წლის ოცნების ახდენას. წინასწარ გიხდი მადლობას“.

თიკა, *14 წლის:*

„ვეხმაურები თაკოს. მართალია, სპორტს არ მივდევ, მაგრამ კარატე ძალიან მომწონს. არც მე მიყვარს სარკესთან 24 საათის განმავლობაში ტრიალი, ამაზე დროის დაკარგვა უაზრობაა. იყავი ისეთი, როგორიც ხარ და ყველაფერი კარგად იქნება. პრანჭვა-გრეხაში ნამდვილად არაფერი ყრია. შენსას ბოლომდე მიაწექი, მე კი, წარმატებებს გისურვებ“.

უცნობი, *24 წლის:*

„მინდა, იმ 16 წლის გოგოს გამოვეხმაურო, რომელიც გაპარვას აპირებს. მეც 16 წლის გავთხოვდი და ამას ძალიან განვიცდი. იმიტომ კი არა, რომ ცუდი ქმარი მყავს, პირიქით, ძალიან ბედნიერი ოჯახი მაქვს, თავისუფალიც ვარ, მაგრამ ეს ის თავისუფლება არაა, რაც მანამდე მქონდა. არ ვიცი, ეს როგორ აგიხსნა. მოკლედ, შენთვის კარგი მინდა. გირჩევ, ჭკვიანად მოიქცე და არ იჩქარო“.

ნინი, *16 წლის:*

„ვეხმაურები 14 წლის თაკოს. თაკო, ჯერ პატარა ხარ, მაგრამ მაგრად გაგიქაჩავს და თუ ვინმეს ეს არ მოსწონს, დაიკიდე, რადგან ეს მათი პრობლემაა“.

ნინი, *18 წლის:*

„დათო, მე ის ნინი ვარ, ბიჭები რომ არ კოცნიან. მართლა დიდი სიამოვნებით დაგიახლოვდები, შენი ნომერიც ჩავიწერე და აუცილებლად შეგეხმიანები, მაგრამ მანამდე, იქნებ ამიხსნა — თუ ფიქრობ, რომ ღამაზი ვარ, მაშინ რატომ არავინ მკოცნის? შენც ბიჭი ხარ და აღბათ, ამ კითხვაზე პასუხი გაქვს. ჩემს ძმაკაცებს ვერ ვეკითხები, გამიბრაზდებიან ან ღადაობას დამიწყებენ. მხოლოდ შენ თუ დამეხმარები. არ გეწყინოს, ახლავე რომ არ გიმესიჯებ, კარგი? იქით ხუთშაბათს, შენს პასუხს ველოდები. დროებით“.

გიო ძორიძე, *15 წლის:*

„გამარჯობა. მე დამწყები რეპერი ვარ. დიდი ხანია, რაც ტექსტებს ვწერ, მაგრამ იმის საშუალება არა მაქვს, რომ სიმღერა სტუდიაში ჩავწერო. რომელიმე რეპერს ვთხოვ — ამ ნომერზე დამიმესიჯოს და რაიმით დამეხმაროს: 898145911. წინასწარ გიხდით მადლობას“.

შეზუ, *16 წლის:*

„ვეხმაურები თაკოს, რომელსაც გოგოები იმიტომ დასცინიან, რომ როკერია და თანაც, კარატისტი. ეგ გოგოები მაგრად დაიკიდე, ეტყობა, შენი შურთ. იყავი ისეთი, როგორიც ხარ“.

ლანკა, *19 წლის:*

„ვეხმაურები ნინის, რომელსაც ტელეფონით გაცნობილი ადამიანი სიყვარულს ეფიცება. ამიკომ ჩვეული „უცნაურობით“ გიპასუხა და მგონი, პესიმიზმით აგავსო, მე კი, სრულიად საპირისპიროს გეტყვი: ფოტოსურათებიც რომ არ ჰქონდეს ნანახი, მაინც შეიძლება შეუყვარდე იმიტომ, რომ ჭეშმარიტი გრძნობა 2 ერთმანეთისთვის შექმნილი სულის (და არა სხეულის) შეხვედრისას ჩნდება. მეც ტელეფონით გავიცანი, შემიყვარდა და დღეს ბედნიერები ვართ. ამიკოს კი ვურჩევ, თავისი უცნაურობები პესიმიზმით არ გამოხატოს, რადგან ეს გამაღიზიანებელია“.

ნათია, *16 წლის:*

„როგორ შემიძლია დაგივიწყო, როცა ყოველღამე მესიზმრები? როგორ შემიძლია არ ვიფიქრო, როცა მიყვარხარ და მენატრები?“ — ეძღვნება ლილოელ ღაშა გულედანს“.

ნინო, *14 წლის:*

„ვეხმაურები თაკოს. მინდა გითხრა, რომ მაგარი ხარ, იმიტომ, რომ როკს უსმენ. ეგრე გააგრძელე. მეც როკერი ვარ და დამცინიან, მაგრამ „მკიდია“ — ვინ რას იტყვის. ზოგიერთები თავ-თავის ადგილას „მოსვი“ და აღარ დაგცინებენ. სხვათა შორის, არც მე მიყვარს გაპრანჭვა. მოკლედ, თუ გინდა, ვიმეგობროთ, ამ ნომერზე დამირეკე: 893538147“.

საძმიანი, *22 წლის:*

„სალამი ელადიდან. ხელში შემთხვევით ჩამივარდა თქვენი ჟურნალის ერთ-ერთი ძველი ნომერი და „სვეტსკი“ მათხოვრებზე ძალიან ვიხალისე — ფულის შოვნის იოლი გზა აურჩევიათ. მე კი, სულელი, მაგისთვის ამხელა გზაზე წამოვედი. ნამდვილი კატასტროფაა“.

მარი, *15 წლის:*

„გუშინ საავადმყოფოში დამაწვინეს და აღმომიჩინეს ფილტვში წყალი, თირკმელში კენჭი და გულში თქვენ. ეძღვნება ნორიოელ ნინო კურატიშვილს და მარი ოსიკმაშვილს. ორივენი მიყვარხართ. პაკა“.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. კარგო ხომალდის ტვირთია.
2. „აბრუ“ და „იხტიბარი“ სინონიმებია.
3. სერი მოგრძოდ წამოზიდული გორაა.
4. ამლაყი ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენია.
5. ცხვრის დაგრილებას ნერბვას ეძახიან. ნერბი დედალი ცხვარია.

6. ლომმა აუცილებლად კვირაში 10 კილოგრამი ხორცი უნდა მიირთვას.
7. ოტო ბისმარკს ცხოვრების განმავლობაში, 28-ჯერ მოუწია დუელში ბრძოლამ.
8. შემოდგომაზე ხორბლის დასათესად ზაფხულში მოხნულ მიწას, ანეული ჰქვია.
9. ერთადერთი შინაური ცხოველი, რომელიც ბიბლიაში ნახსენები არ არის — კატაა.
10. მოხვევის პირველ მანიშნებლად, ავტომობილზე მექანიკური ხელი იყო დამაგრებული.
11. ალა პუგაჩოვას ჭირის დღესავით სძულს სიმღერა — „მილიონ, მილიონ, მილიონ ალიხ როზ“...
12. „მახლას!“ — დანანების გამომხატველი შორისდებულია და „რას იზამ!“, „რა გაეწყობას!“ ნიშნავს.
13. ნოსტრადამუსი, ჟან ბატისტ მოლიერი და ალექსანდრე ბლოკი ეპილეფსიით იყვნენ დაავადებულები.
14. „ფრთხილად, აჩქარებამ დაღუპა ყვითელი გველი, რომელმაც მზე შეჭამა“ — აფრთხილებდა კაა მაუგლის. P.S. ჯუნგლიში საკუთარი ისტორიები ჰქონდათ.
15. მაიკლ ჯორდანს ფირმა „ნაიკისაგან“ უფრო მეტი ფული აქვს მიღებული, ვიდრე მალაიზიაში მდებარე, ამ ფირმის ქარხანაში მომუშავე ყველა მუშას ერთად აღებულს.
16. ზოგიერთი რესტორნის მენიუში დელიკატესის სახით, სელაპის პენისი შედის. მიაჩნიათ, რომ ამ ცხოველის სასქესო ორგანო პოტენციას ამაღლებს.
17. ვან გოგი ციკლური შიზოფრენიით იყო დაავადებული. შეტევების დროს, მას ჰალუცინაციები, დარდი და სიბრაზე აწუხებდა. ჭამდა საღებავებს ან მთელი დღე, ერთ პოზაში გაქვავებული იჯდა.
18. 1299 წელს, ფლორენციის მოქალაქეებს მთავრობამ კომერციული გარიგებებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შედგენისას, არაბული ციფრების გამოყენება აუკრძალა, რადგან მათი გადაკეთება ძალზე ადვილი იყო.
19. ფაშისტების მიერ შემუშავებულ მომწამვლელ ნივთიერებას, რომელსაც ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვეების მასობრივი განადგურებისათვის იყენებდნენ,

სალომე გასვიანს ამერიკელი თანატოლები არ მოსწონს...

„რატომ ეკრძალება მას ღამის კლუბში შესვლა“...

მომღერალმა სალომე გასვიანმა, საქართველო 4 წლის წინ დატოვა და სასწავლებლად ამერიკაში გაემგზავრა. ზაფხულის არდადეგებს კი, ყოველთვის სამშობლოში, ოჯახთან ერთად ატარებს. ძალიან უყვარს ზღვა, ღამის კლუბები და მეგობრებთან ერთად გართობა.

სოფო ჭონიშვილი

— როცა სასწავლო წლის დასასრული ახლოვდება, ძალიან ბედნიერი ვარ — ვიცი, რომ თბილისში, ჩემს ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს დავუბრუნდები. მთელი წლის განმავლობაში, ძალიან დატვირთული გრაფიკი მაქვს: დავდივარ სკოლაში, მუსიკალურ აკადემიაში, მსახიობის ოსტატობასა და ცეკვაზე, ამიტომ, თავისუფალი დრო თითქმის აღარ მრჩება ხოლმე.

— ამერიკაში ყოფნის დროს, ყველაზე მეტად ვინ გენატრება ხოლმე?

— ყველა ძალიან მენატრება, განსაკუთრებით კი, ოჯახის წევრები.

— არ გიჭირს იქაურ გარემოში ცხოვრება?

— არა, არ გამჭირვებია. იქაურობას იოლად შევეჩვიე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან განსახვავებულები არიან.

— მაინც, რით არიან ჩვენგან განსხვავებულნი?

— მაგალითად, იმით, რომ ცივი ხალხია. ჩვენ კი, თბილი და სტუმართმოყვარენი ვართ.

— ამერიკაში მეგობრები თუ შეიძინე?

— კი. ერთი-ორი მეგობარი მყავს.

— მეგობრები, რა თქმა უნდა, აქაც გეყოლება. რა განსხვავებას ხედავ მათ შორის?

— ქართველ მეგობრებთან ძალიან თბილი ურთიერთობა მაქვს. თუმცა, მათგან განსხვავებით, ცოტა არ იყოს შებოჭილები და დაკომპლექსებულნი არიან. იქაური ჩემი თანატოლები კი, უფრო თავისუფლები, ზედმეტად უკომპლექსოები და თამამები არიან. ხშირად, მათი საქციელი არ მომწონს — თავისუფლება უზრდელობაში გადასდით ხოლმე.

— ამერიკაში ყოფნისას, თავისუფალ დროს როგორ ერთობი?

— ძირითადად, თავისუფალ დროს კინოში დავდივარ და ჩემი გართობა, ფაქტობრივად ამით შემოიფარგლება. მართალია, ღამის კლუბში სიარული ძალიან მიყვარს, მაგრამ იქაური კანონით, 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს, კლუბებში შესვლა ეკრძალებათ.

— კონცერტებზე არ გამოდიხარ?

— როგორ არა, რამდენჯერმე საკლუბო კონცერტი მქონდა — სიმღერებს ცოცხალ ბენდთან ერთად ვასრულებდი.

— თუ გყავს ისეთი ადამიანი, რომელიც შენს სასცენო ჩაცმულობაზე ზრუნავს?

— ჩემი მენეჯერის ასისტენტი, ახალგაზრდა გოგოა. ის ძალიან კარგად ერკვევა თანამედროვე მოდაში. კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე, რჩევებს მისგან ვიღებ ხოლმე.

— შენს რეპერტუარში სულ რამდენი სიმღერაა?

— მას შემდეგ, რაც ამერიკაში ვარ, სულ 14 სიმღერა ჩავწერე. თუ ქართულ სიმღერებსაც ჩავთვლით, მაშინ მათი რაოდენობა 60-ს მიაღწევს.

— ამერიკაში, ძირითადად, ინგლისურად მღერი, არა?

— დიახ, იქ სულ ინგლისურ სიმღერებს ვასრულებ.

— სიმღერის მშობლიურ ენაზე შესრულება არასდროს უთხოვიათ?

— არა *(იცინის)*...

— შენი ვოკალის პედაგოგი ვინ არის? თუ მოგწონს?

— ამჟამად, ვოკალზე ერთ-ერთ იმ კომპოზიტორთან ვმეცადინეობ, რომელიც თავის დროზე, კრისტინა აგილერას (როცა ის პატარა იყო) ასწავლიდა. ის ძალიან კარგი ადამიანია.

— როგორც ვიცი, შენი ხმა,

სელინ დიონის ხმას მიამსგავსეს...

— *(იცინის)* კი, მას ბევრი მამსგავსებს და ეს ამბავი ძალიან მახარებს. სელინ დიონი ამერიკელების საყვარელი მომღერალია. სხვათა შორის, ლას-ვეგასში გამართულ მის ერთ-ერთ კონცერტს დავესწარი, საიდანაც ისეთი აღფრთოვანებული დავბრუნდი, რომ ემოციებს ვერ ვფარავდი. ასეთ კონცერტებს, ის კვირაში 4-5-ჯერ მართავს.

— ამერიკაში თაყვანისმცემლები არ შეიძინე?

— ჩემს სკოლაში ბევრი თაყვანისმცემელი მყავს. ყველამ იცის, რომ ვმღერი. სკოლის დირექტორიც მგულშემატკივრობს — ჩემი წარმატებით ძალიან დაინტერესებულია. სულ ახლახან, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდი, ჩემი სიმღერის მელოდია ერთ-ერთ სატელევიზიო შოუს გასაფორმებლად გამოიყენეს და ის, ეთერში სექტემბრიდან გავა. ჩემი ხმა, აგრეთვე, კინოფილმშიც გამოიყენეს... კლასელებმა ჩემ შესახებ ყველაფერი იციან, ამიტომ მათგან დიდ ყურადღებას ვგრძნობ.

— სალომე, ცნობილ ადამიანებს თუ შეხვედრიხარ?

— კი, რამდენჯერმე კინოპრემიერაზე ვიყავი, სადაც ძალიან ბევრი ცნობილი სახე ვნახე. ბედნიერებაა, როცა მათ პირისპირ უყურებ — ისინი ცხოვრებაში უფრო მომხიბვლელნი და სიმპათიურები არიან.

— როგორც ვიცი, თბილისში სექტემბრამდე დარჩები. ამ პერიოდში, ხომ არ აპირებ ჩაწერო სიმღერა ან გადაიღო ახალი კლიპი?

— ამ ზაფხულს, მსგავსი არაფერი დამიგეგმავს. აქ სამუშაოდ კი არა, დასასვენებლად ჩამოვედი.

— სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისში დაბრუნდები თუ კარიერას ამერიკაში გააგრძელებ?

— რა თქმა უნდა, კარიერას იქ გავაგრძელებ. ძალიან სერიოზული მიზანი მაქვს, რომლის მიღწევასაც, საქართველოში ნამდვილად ვერ შევძლებ. ჩემგან ყველა დიდ შედეგს ელის...



მოდელის პროფესია კი მომწონს, მაგრამ იმდენად — არა, რომ ამ პროფესიის დაუფლებაზე ვიფიქრო

— მაინც, რას ელოდებიან?

— სუპერვარსკვლავობას *(იცინის)*, მწვერვალზე ასვლას...

— შენი აზრით, ამ მწვერვალზე ასვლა რთულია?

— რთული კი არა — ურთულესია. ამერიკაში, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ბევრი ადამიანია ჩასული, რომლებიც ჩემსავით კარიერის გასაკეთებლად სერიოზულად მუშაობენ. აქედან გამომდინარე, კონკურენციაც დიდია. ყველასგან განსხვავებული და გამორჩეული უნდა იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოგივა.

— როგორც ვიცი, შენ მოდელის პროფესიაც მოგწონს...

— მოდელის პროფესია კი მომწონს, მაგრამ იმდენად — არა, რომ ამ პროფესიის დაუფლებაზე ვიფიქრო. ჩემთვის სიმღერა პირველ ადგილზეა. თუმცა, ვცდილობ, წარმატებას მსახიობის ოსტატობაშიც მივაღწიო. როცა პატარა ვიყავი, თბილისში, „ბერიკების“ სტუდიაში დავდიოდი, რამაც ჩემში მსახიობობის სურვილი გააღვიძა, მაგრამ ამას რამდენად შევძლებ, ჯერ ვერ გეტყვით.

— შეყვარებული ხომ არ გყავს?

— *(იცინის)* რეალური შეყვარებული არ მყავს. ისე — „არარეალურად“ — ინგლისელი მსახიობი ჯუდ ლო მიყვარს. ამ მსახიობზე ვგიჟდები.

— შესაძლებელია თუ არა, რომ ამერიკელი ბიჭი სერიოზულად მოგეწონოს?

— არა... უფრო სწორად, არა მგონია, რადგან ისინი მართლა ძალიან სხვანაირები, თავზე ხელაღებულები და უზრდელები არიან.

— საქართველოში თაყვანისმცემელი ბიჭები არ გყავს?

— კი, როგორ არა. ჩემ მიმართ სიმპათიას სხვადასხვანაირად გამოხატავენ, მაგრამ ძირითადად, სასიყვარულო წერილები ინტერნეტით მომდის. ზოგიერთი უფრო გაბედულია და მირეკავეს კიდეც. ზოგჯერ, კართან ყვავილებსაც მიტოვებენ, მაგრამ ამ ყველაფერს ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან სისულელეებისთვის არ მცალია...

— უცხოეთში ყოფნის დროს, ქართული კერძები არ გენატრება?

— იქ, ჩემ გვერდით ისეთი ადამიანია, რომელიც ქართულ კერძებს ხშირად მიმზადებს. ისე, მექსიკური კერძებიც მიყვარს, მათ ძალიან გემრიელი სხვადასხვანაირი სოუსი, „ბიგ-მაკი“ და პიცა აქვთ.

— დასასვენებლად სად მიდიხარ?

— ზუსტად არ ვიცი. თუმცა, ახლახან დედამ მითხრა — ზღვაზე გაგიშვებო. ამ ამბავმა ძალიან გამახარა.

— ვისთან ერთად წახვალ?

— ალბათ, დასთან და სიძესთან ერთად.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ზარინი ერქვა.

20. „ზნაიტე ლი ვი, შტო ნიკაგდა ნაშა როდინა ნე ბივაეტ ტაკოი ბეზზაშიტნოი, კაკ 23-ვო ფევრალია ვეჩერომ,“ — არ ისვენებს მიხაილ ზადორნოვი — „ბეზზაშიტნოე ანა ტოლკო 24-ვო უტრომ.“

21. უილიამ შექსპირი ოჯახში რიგით მესამე შვილი იყო. მის მშობლებს პირველი ორი შვილი ადრეულ ასაკში დაეღუპათ. P.S. რას არის გადარჩენილი მსოფლიო დრამატურგია!...

22. „ალბათ, ფილმს იღებენ...“, „ამ მოედანზე, მალე ძროხები დაიწყებენ სეირნობას“, „მოგცლია, ერთი, რა დროს ხუმრობაა?!.“, „ქალაქის მთავარ პარკში, დილიდან დანის ტრიალია, შენ კი, მირეკავ და დროს მართმევ სულელური ხუმრობით...“ (ეს უკანასკნელი რეპლიკა მილიციის გენერალ-ლეიტენანტ ბოგდანოვს ეკუთვნოდა) — ასეთი ფრაზები ისმოდა მოსკოვში 1987 წლის 28 მაისს. ალიაქოთის მიზეზი კი, გერმანელი მფრინავი მატიას რუსტი გახლდათ, რომელმაც წითელ მოედანზე თავისი სპორტული თვითმფრინავი დასვა.



23. XX საუკუნის 40-50-იან წლებში მოღვაწე კინომსახიობი ბორის ანდრეევი არყის დიდი მოყვარული გახლდათ. გასტროლებზე ყოფნისას, ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში, მთვრალმა მსახიობმა ისეთი დებოში მოაწყო, რომ ადგილობრივ მილიციაში ამოყო თავი. ყვირილი და გინება ანდრეევს არც სამართალდამცავთა სამორიგეოში შეუწყვეტია და მორიგეს აქტი რომ ვერ შეედგინა, სამელნეს სტაცა ხელი და მთელი მელანი დალია.

24. ყველა ძველბერძნული ფილოსოფიური სკოლა, საკმაოდ სოლიდური ბიბლიოთეკის მფლობელი იყო. ეპიკურელთა, პლატონიკოსთა და არისტოტელეს მომდევართა საცავებში უამრავი წიგნი ინახებოდა. მხოლოდ სტოიკოსებს არ ჰქონდათ ბიბლიოთეკები. ისინი ყველა სახის კერძო საკუთრებას უარყოფდნენ.

25. გერმანელ თავადებს თავიანთ მიწებზე მცხოვრებ ებრაელებთან ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული. ებრაელები თავადებისგან გვარებს ყიდულობდნენ — სხვადასხვა გვარს სხვადასხვა ფასი ჰქონდა. მაგალითად, მორგენშტერნის ან ზილბერბერგის („ცისკრის ვარსკვლავის“ ან „ვერცხლის მთის“) შესაძენად, მხოლოდ მდიდარ ებრაელებს მიუწვდებოდათ ხელი. ღარიბი ებრაელები კი, იძულებულნი იყვნენ ისეთ გვარებს დასჯერებოდნენ, როგორიც იყო მაგალითად, ეზელკოპფი, რაც ქართულად „ვირისთავს“ ნიშნავს.

თბილისში ყოველთვის სიხარულით ეგებებიან მსოფლიოში აღიარებულ პიანისტს, ლექსო თორაძეს. მოლოდინი, რომელსაც საზოგადოება მოეცვა, განსაკუთრებული იყო მაშინ, როცა მრავალწლიანი იძულებითი ემიგრაციის შემდეგ, ბატონი ლექსო პირველად ჩამოვიდა სამშობლოში. სამწუხაროდ, კომუნისტურ რეჟიმს გარიდებულმა და აშშ-ში დამკვიდრებულმა წარმატებულმა მუსიკოსმა, მხოლოდ მაშინ მოახერხა ჩამოსვლა, როცა მისი სახელოვანი მამა — კომპოზიტორი გუგული თორაძე ჩვენ შორის აღარ იყო...

ამჯერად, ბატონი ლექსო შვილებთან — მამისა და ბაბუის სეხნიებთან, დავით და ალექსანდრე თორაძეებთან ერთად ესტუმრა თბილისს და ბევრი ახლობლისა თუ საზოგადოების სხვა წევრების გულები გაახარა.

საქართველოში ალფაჯოვანებული ძმები თორაძეები პირველად ამეჯიკედ ლედასაც ჩამოიყვანენ

თამარ კაპანაძე

ლექსო თორაძე:

— ...ძალიან მინდოდა, კარგად სცოდნოდათ, ჩემს შვილებს, ვისი გორისანი არიან, სად არის მათი ფესვები და ლამაზი ზღაპარივით ვუამბობდი ხოლმე იმ მშვენიერი ქვეყნის, იმ მიწის შესახებ, სადაც ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი და ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს, სადაც წინაპართაგან გადმოცემული საუკეთესო ტრადიციები აქვთ შემონახული. გაფაციცებით მისმენდნენ. აქედან ჩატანილ ვიდეომასალასაც უყურებდნენ და ვხვდებოდი — ნიადაგი მზად იყო საიმისოდ, რომ რეალურად მეჩვენებინა ის, რაც ოცნებაში უკვე შეიყვარეს... შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ამოდენა ემოციას მართლა არ ველოდი. სულ მცირე, ექვსიოდე დღით ვართ ჩამოსულები, ამიტომ, ძალზე დატვირთული დღის განრიგი გვაქვს. დრო — ცოტაა, სანახავი — ბევრი. მინდა, რაც შეიძლება მეტი ვაჩვენო, მთა და ბარი მოვატარო, ცა და მიწა შევაყვარო. მე ისინი თითქმის ყველა ქვეყანაში დამყავს, სადაც კონცერტები მაქვს. ამიტომ კარგად იცნობენ: გერმანიას, საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას. უამრავი რამ უნახავთ, მაგრამ ასეთი აღტაცებულები არასდროს ყოფილან. ჯერ არ წავსულვართ და — კიდევ როდის ჩამოგვიყვანო? — წამდაუწუმ მეკითხებიან. იმედს ვერ გავუცრუებ, ვეცდები, სურვილი შევუსრულო ბიჭებს და ისევ მალე ჩამოვიყვანო.

თორაძეების ოჯახი

ნინო თორაძე, *ლექსოს და:*

— ვისაც სამშობლოსგან შორს ცხოვრება არ განუცდია, ვერაფრით მიხვდება, თუ რა ძვირფასია იგი ჩვენთვის. როცა საცხოვრებლად ინგლისში დავმკვიდრდი და ვნახე, რომ იქ სამეზობლო ურთიერთობანი საერთოდ არ არსებობს, მოვახერხე, მთელი კვარტალი ერთმანეთთან დამეახლოებინა და შეხვედრების, დაბადების დღეებისა და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების ერთად აღნიშვნა ჩვეულებად მექცია. ქართული კერძებიც შევაყვარე და დედაჩემის სიტყვებიც გავამართლე: ქალი თუ მამაკაცი, ყველგან და ყველა სიტუაციაში, შენი ქვეყნის ღირსეული შვილი და ნამდვილი პატრიოტი უნდა იყოო... მგონი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ დევიდმა და ალექსანდრემ ახლა იპოვეს სამშობლო და ამერიკაში დაბრუნებულები, აუცილებლად შეიქმნიან თავიანთ მყუდრო ქართულ სამყაროს. დედამ იმის თქმაც ხშირად იცის — შვილები ჩვენი ანუ მშობლების ყველაზე მკაცრი მსაჯულები არიან და თუ მათ აღზრდაში შეცდომებს დავუშვებთ, ბოლოს, სანანებელი გაგვიხდებაო. ლექსომ ნამდვილად უშეცდომოდ აღზარდა ბიჭები. ისინი ყველაფერი ქართულით არიან აღტაცებულნი და როცა მათი ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი დედა რეკავს და კითხულობს — ხომ არ მოიწყინეს, ჰავამ და საკვებმა ხომ არ მისცათ ალერგიაო? — სიხარულით პასუხობენ, რომ აქ ყველაფერი ისეთი გემრიელი და კარგია, სამუდამოდაც სიამოვნებით დავრჩებოდითო. ვფიქრობ, ისინი ქვეცნობიერად გრძნობენ, რომ აქ მართლაც, მათი სამშობლოა.

სტუმრად კათოლიკოს-პატრიარქთან

ლიანა ასათიანი:

— როცა ჩემი ბიჭები სახლში შემოვიდნენ და პატარაობიდან დაწყებული, თავიანთი უამრავი ფოტო ნახეს, მყისვე შინაურ გარემოში იგრძნეს თავი. მიხვდნენ, რომ ეს — მათი სახლია, მათი ფუძე და ჭერი. მაგრამ როცა შემდგომში, არა მარტო ჩვენგან, არამედ საზოგადოებისგანაც დიდი სითბო და სიყვარული იგრძნეს, დარწმუნდნენ — მათ ბევრ რამეს ავალებს მამისა და ბაბუის სახელი და საქმიანობა... დევიდი ხშირ-ხშირად მიმეორებს თავისი „დამტვრეული“ ქართულით — ლიანა, მე შენ მიყვარხარო; ალექსანდრე უფრო მორიდებულია, თუმცა, თითო-ოროლა ქართული ფრაზა მანაც იცის. როცა სახლში მარტონი ვრჩებით, ხომ არც ერთს არ ვაკლებ ალერსს, მაგრამ ვგრძნობ — ჩუმად ორივე ეჭვიანობს: მე უფრო მეტად ვუყვარვარ ბებოსა და მამიდას, თუ ჩემი ძმაო?.. დევიდი დიდი კაცივით მარიგებს — ნუ ეწევი სიგარეტს, დაგახველებს და კოლოფს დაგიჭყლეტო...

ბიჭებთან საუბრის საშუალება არ მომეცა: როგორც უკვე აღვნიშნე, მამა-შვილებს ძალზე დატვირთული განრიგი ჰქონდათ. თუმცა, მათ თვალებში, ქცევაში იმდენი ემოცია ამოვიკითხე, რომ ვიფიქრე — იქნებ, არც არის საჭირო ზედმეტი სიტყვები-მეთქი... კიდევ, შევიტყვე — სიუზის იმდენი რამის შესახებ მიაწვდინეს ხმა, რომ ძლიერ დაინტერესდა და გადაწყვიტა, მომდევნო სტუმრობისას, თავადაც გამოჰყვეს შვილებს, რასაც დიდი კმაყოფილებით შეხვდა ქალბატონი ლიანა. მან თქვა, რომ სიამოვნებით მოიწვევს სიუზის და მასთან ერთად მოაწყობს ვოიაჟებს მთელ საქართველოში. ■

„კესანები“, „თეთრი ხომალდი“, „მაღლა და მაღლა“, „ირინოლა“, „ჩემი აღარა ხარ, მორჩა“, „თავისი დრო აქვს ყველაფერს, ჩემო“, „თავისუფლება ლომთა ხვედრია“ — ეს ის სიმღერებია, რომლებიც მსმენელმა პირველი აჟღერებისთანავე შეიყვარა. ყველამ იცის, რომ მათი ავტორი — მამუკა ჩარკვიანია, რომელიც დღეს ისეთ აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ვეღარ ეწევა, როგორც გასული საუკუნის 90-იან წლებში, თუმცა წელიწადი ისე მაინც არ ჩაივლის, რომ ერთი-ორი სიმღერა არ დაწეროს. აქა-იქ კონცერტებზეც იწვევენ. სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრებისთვის საკმარისი არ არის, მაგრამ რა ქნას — მუზა, როგორც თვითონ ამბობს, ნაცრისფერი სინამდვილის გამო, ვეღარ აქტიურობს...



მამუკა ჩარკვიანი

ვარდების რევოლუციის ჰიმნისთვის ჰონორარს ითხოვს, თუმცა, სასამართლოში ჩივილს არ აპირებს

ლალი ფაცია

— მამუკა, როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ, როგორ გადის დრო?

— ნაცრისფერია ცხოვრება და ასევე ვცხოვრობ. სასიხარულო ნაკლებია, ყოველ შემთხვევაში, ჩემ გარშემო ასეა. მაგრამ ყოველთვის ოპტიმისტი ვიყავი და ვარ. ალბათ, გვეშველება... ცოტა ხნის წინ, ორი კონცერტი მქონდა. ერთი — ბოლნისში, მიწვევით ვიყავი. 400-კაციანი დარბაზი სულ სავსე იყო, ცოცხლად 18 სიმღერა შევასრულე. კარგი კონცერტი გამოვიდა, მაყურებელიც კმაყოფილი ჩანდა. თბილისში რომ დავბრუნდი, ერთ-ერთ კლუბში, სამ დღეში გავმართე კონცერტი.

— ესე იგი, ხმა ფორმაში გაქვს და მღერი.

— ხმა მაქვს, ამ მხრივ ფორმაში ვარ, გამძლეობა მაქვს: 18 სიმღერას ცოცხლად რომ იმღერებ ერთ კონცერტზე, ცუდი შედეგი არ არის. აი, ჯანმრთელობის მხრივ, სუსტად ვგრძნობ თავს.

— ბოლო დროს, რაიმე ახალი სიმღერა ხომ არ დაგიწერია?

— ცოტა ხნის წინ, ორი სიმღერა დავწერე. უკვე გაორკესტრებულია, უბრალოდ, მისთვის ხმა ჯერ არ დამიდვია. ბოლო პერიოდში, რაღაც, ნაკლებად ვწერ. ამას ნაცრისფერ ცხოვრებას ვაბრალებ. ყოფით პრობლემებზე ვარ გადართული და შემოქმედებას ყურადღებას ვეღარ ვაქცევ. არადა, მე თუ არ ვიმღერე, შემოსავალი საიდან მექნება?! თუ არა და, ჩემი და მეხმარება ხოლმე.

— მამა არ გეხმარება?

— მამაჩემს რა აქვს, მაგრამ ისიც მეხმარება...

— რას აკეთებს ახლა ბატონი ჯანსუღი, რას საქმიანობს?

— არაფერს. სახლში ზის და ლექსებს წერს. ჯანსუღს ლექსები ამ ნაცრისფერ ცხოვრებაშიც ეწერება და ღმერთმა დააწერინოს!

— მოდი, პარალელები გავავლოთ შენსა და ბატონ ჯანსუღს შორის.

— მამაჩემი უფრო ვაჟკაცურად არის. საერთოდ, ვაჟკაცური აღმოჩნდა ცხოვრებაში, გამძლე, მომთმენი, ამტანი. მე ვერ ვარ ამტანი.

— რატომ? შენ ხომ ბატონი ჯანსუღის გაზრდილი ხარ!

— შეიძლება, ბევრ რამეში ვგავართ, რადგან თავიდანვე მასწავლა კაცობა, ცხოვრება, მაგრამ... მამაჩემს ჰგავს ჩემი და — თაკო. მე უფრო დედისკენ, ჩხეიძეებისკენ ვარ. უფრო რბილი ხასიათი მაქვს და ასევე, კარგი ცხოვრებისკენ ვარ მიდრეკილი, რომელიც ვერაფრით ავიწყვე. ასე რომ, მამაჩემს ვერ შევედრები.

— შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენს „ნაცრისფერ ცხოვრებაში“ რა იწვევს შენს გაღიზიანებას?

— არეულია ქვეყანა, ხომ ხედავთ, რა ხდება?! არ ვიღებ ამ ყველაფერში მონაწილეობას, თუმცა, ჩემი აზრი მაქვს ბევრ რამეზე. ერთი პერიოდი, თითქოს სიტუაციის დაწყნარებას პირი უჩანდა, მაგრამ ახლა, საშინლად აირია. ვის რა უნდა, ვერ გაიგებ. ჩვენი მთავრობაც არაპოპულარულ ნაბიჯებს დგამს. თვითონაც ამბობს, აღიარებს ამას, მაგრამ იმასაც დასძენს, რომ ასეთი ნაბიჯები ახლა საჭიროა. დალოცვილო, ერთხელ გადადგი პოპულარული ნაბიჯი, ამდენი არაპოპულარული ნაბიჯი არ გამიგონია!.. საშინელი უმუშევრობაა ქვეყანაში, ხალხი დაუსაქმებელია. ხალხს მასობრივი კონცერტებისთვის ფული არა აქვს, ამიტომაც არ ტარდება. მერე, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს: უცხოელ მუსიკოსზე 150 დოლარს გადაიხდის... ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ყველაფერი ერთმანეთზე ჯაჭვურად არის დაკავშირებული.

— მამუკა, არ გიფიქრია ოდესმე, პოლიტიკურ ორომტრიალში ჩაბმულიყავი?

— არა, მაგის ნერვები და თავი არა მაქვს. ერთი პერიოდი, კი მქონდა სურვილი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ჩემი ნერვები მაგას ვერ გაუძლებდა. ვიღაცა რაღაცას წამოგაძახებს... ჩემნაირ, ხელოვან ხალხს თავისი სისუსტეები აქვს... ის რომ ეთქვათ ან წამოეძახებინათ — შენ რომ სვამდი, ლოთობდიო? — მაგის თავი მქონდა?! საერთოდ, პოლიტიკა ყოველთვის ნაკლებად მაინტერესებდა, თუმცა ჩემი აზრი სულ მქონდა და მაქვს მიმდინარე პროცესებზე.

— ისე, სასმელი რამ შეგაყვარა?

— *(იცინის)* დიდი ხანია, აღარ მიქეიფია. ასე რომ, 10 წელია, აღარ დამილევია. წელიწადში ერთი-ორჯერ თუ დავლევ, მაგრამ ამას არ ვთვლი. ბოლო დროს, არაყსა და კონიაკს საერთოდ არ ვეკარები, ცივ ლუდს თუ დავლევ ხოლმე. სიმღერა, გიტარა, ქეიფი, მეგობრები — თითქმის ყოველდღე სუფრასთან ვიყავი. ადრე იტანდა ჩემი ორგანიზმი, ახალგაზრდა გახლდით. მერე, წლები მომემატა, ორგანიზმმა ვეღარ აიტანა, დასუსტდა.

— სინანულის გრძნობა ამ ყველაფერს თუ ახლავს — ვთქვათ, რატომ ვსვამდი ამდენს და რაღაც ასეთი?

— სინანულის გრძნობა თუ არ გაქვს, მონანიების — უვარგისი კაცი ხარ. რა თქმა უნდა, მაქვს სინანულის გრძნობა, მაგრამ ხელახლა რომ ვიწყებდე ცხოვრებას, არაფერს შევცვლიდი, რადგან რომ არა ჩემი წარსული, შეიძლება, ის სიმღერებიც ვერ დამეწერა, რაც შევქმენი. ალბათ, როგორც ვიცხოვრე, ისე უნდა მეცხოვრა...

— მთავრობა, რომელიც დღეს საქართველოს ჰყავს, მიგაჩნია, რომ თავის დანაპირებს არ ასრულებს?

— გარკვეულწილად, ალბათ — არა. ვერ შევაფასებ იმით, თუ რამდენად კარგი გზა დააგო, რამდენი შადრევანი გააკეთა. ამ ქვეყანას რომ მარტო შადრევნები არ შველის და სხვა რამე სჭირდება, — ფაქტია, რადგან ვხედავ, რომ ხალხი უმუშევარია, მშიერი... სამსახურიდან ითხოვენ ადამიანებს. ხელფასები ამის ხარჯზე

იზრდება. 40 წლის შემდეგ, სამსახურს ვეღარ პოულობენ. 50 წლის ვარ; თუ ნაცნობმა კერძო სტრუქტურაში არ შემიკედლა სამუშაოდ, ადგილს ვერ ვიშოვი. იქაც ალბათ, ნაკლებად ვჭირდები ვინმეს... ჩემმა ცოლმა, მაგალითად, სამსახური ვერ იშოვა. ეკონომისტია. მოაგროვა საბუთები, ბევრგან შეიტანა, მაგრამ... სულ ასაკის გამო არ იღებენ სამსახურში. ორივე უმუშევრები ვართ.

— მინდა შევეხოთ შენს სიმღერას — „თავისუფლება ლომთა ხვედრია“, რომელიც დღეს, ვარდების რევოლუციის ჰიმნად არის ცნობილი. როდის შექმენი ეს ნამუშევარი?

— მე ის აფხაზეთის თემაზე დავწერე და დავარქვი „ჰიმნი თავისუფლებას“, რომელიც ერთად ჩავწერეთ მე და „ქართულმა ხმებმა“.

— ამ ჰიმნით მოხდა საქართველოში ძველი ხელისუფლების დამხობა — ანუ ახლებმა დაამხეს ძველები...

— აფხაზეთის დაცემის გამოძახილი იყო. როგორც სიმღერა, ისე შევქმენი, უბრალოდ, მას ასე ერქვა — „ჰიმნი თავისუფლებას“. მერე ის ხალხმა აიტაცა.

— ისევე, როგორც არაერთი შენი სხვა სიმღერა...

— ეს, როგორც გამარჯვების სიმბოლო, ისე აიტაცეს. ევერესტზე რომ ავიდნენ, უნივერსიტეტში მიგვიწვიეს და ეს სიმღერა გვამღერეს. რაგბისტები (საქართველოს ნაკრები) თამაშზე ამ სიმღერით გადიოდნენ. კიდევ ბევრმა პარტიამ გამოიყენა ის თავის დროზე, მარტო ნაციონალებმა კი არა. რატომღაც ყველამ შეიყვარა.

— როდესაც ახალი ძალა პარლამენტის შენობაში შეიჭრა და იქიდან ძველი განდევნა, ფაქტობრივად, რევოლუცია მოხდა. ეს სიმღერა მაშინ დარბაზში გაუჩერებლად ისმოდა. შენ თუ იცოდი იმის შესახებ, რომ ეს სიმღერა იქ უნდა აჟღერებულიყო და თუ არა — როდესაც მოისმინე, რა განიცადე?

— მაგ დროს, ვიწექი, ნასვამი ვიყავი და ჩემმა დამ დამირეკა — ბიჭო, შენი სიმღერით რევოლუცია ხდებაო!.. ძლივს აღვიქვი, რა ხდებოდა... მოდი, ეს შემთხვევითობას დავაბრალოთ. რაღაც სიმღერა უნდა აჟღერებულიყო იქ და უეცრად, ვიღაცამ მიაწოდა თურმე ეს კასეტა. როგორც ჩანს, წინასწარ გამზადებული არ იყო. მერე, რევოლუციის ერთი წლისთავზე გაკეთებულ კლიპშიც გამოიყენეს. სხვადასხვა არხზე გადიოდა.



მამაჩემი უფრო ვაქკაცური აღმოჩნდა ცხოვრებაში

— როგორც ამ სიმღერის ავტორს, ამისთვის არაფერი (ჰონორარს ვგულისხმობ) მიგიღია?

— არა, ჩემთვის არც უკითხავთ არაფერი, არც დამკავშირებია ვინმე. იმიტომაც ვამბობ — ქვეყანაში საავტორო უფლებები არ არსებობს-მეთქი.

— პროტესტის გრძნობა არა გაქვს ამის გამო?

— როგორ შეიძლება, არ მქონდეს?! მაგრამ ამის გამო, სასამართლოში ვერ ვიჩივლებ.

— კულუარული ინფორმაცია მაქვს — ამ სიმღერაზე ანსამბლ „ალილოსთვის“ კლიპის გადაღებას აპირებენო. რას იტყვი?

— არც ამასთან დაკავშირებით ვიცი რაიმე. ისე, ეგ ანსამბლი რომ მღერის ამ სიმღერას, ვიცი. „ქართული ხმების“ შემდეგ, „ალილომ“ შეასრულა. როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია, სიმღერის ავტორს ჰონორარი სიმღერაში უნდა ეკუთვნოდეს, მისი ნებისმიერ ადგილზე აჟღერებისთვის. ზუსტად არ ვიცი, რამდენი ეკუთვნის, მაგრამ გარკვეული თანხა — ნამდვილად, მით უმეტეს, თუ კლიპს იღებენ. თუმცა, ასეთი რამ ჩვენში არ ხდება. არადა, ასე არ ცხოვრობს ნახევარი მსოფლიო... ეს საკითხი პარლამენტის გადასაჭრელია. ალბათ, რაღაც ჯგუფია შესაქმნელი, რომელიც გააკონტროლებს, მაგრამ ჯერ გადაუჭრელი პრობლემაა.

როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია, სიმღერის ავტორს ჰონორარი სიმღერაში უნდა ეკუთვნოდეს

— სიმღერა თუ გაგიყიდია?

— შემოქმედ კაცს ეს უჭირს, რთულია ჩემთვის. ჩემს ცხოვრებაში სიმღერა არასდროს გამიყიდია, ისე მიჩუქებია. ბოლოს, გიორგი ღოღობერიძეს ვაჩუქე. ბევრისთვის მაქვს სიმღერა მიცემული.

— „ჰიმნი თავისუფლებას“ — ამ სიმღერის ტექსტი ბატონ ჯანსულს ეკუთვნის. თუ გახსოვს, მამამ როდის დაწერა ეს ლექსი?

— წელი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მგონი, გასული საუკუნის 70-იან წლებში. ის ნაწყვეტი, რომელიც სიმღერაში გამოვიყენე, არის მამაჩემის პოემიდან „ჯაჭვის თორანი“. ცოტათი გადავაკეთე, რამდენიმე სტროფი გავაერთიანე. მთავარი აზრი ის არის, რომ „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია“. ამ პოემას 10 წლის წინ გადავხედე. მომეწონა და აფხაზეთის ტკივილს მივუძღვენი სიმღერა.

— ესე იგი, შენი ყველა სიმღერა ბატონი ჯანსულის ლექსზეა დაწერილი?

— თითქმის ყველა, ორი-სამი — დედაჩემის ლექსზეც მაქვს შექმნილი: მაგალითად, „ირინოლა“, „ქარი ქრის“ და კიდევ ერთი.

— გამოდის, რომ ოჯახური ბიზნესია...

— კი, მაგრამ ამ ბიზნესს ფული არ მოაქვს...

— პატარა ჯაკუნა ახლა რამდენი წლის არის?

— 9 წლის. უყვარს ეზოში გართობა და ფეხბურთის თამაში.

— სიმღერა?

— მაინცდამაინც — არა.

— უფროსი ქალიშვილი — ირინოლა რამხელაა?

— 29 წლის.

— როგორც მამა, ბაბუა, მეუღლე — მზრუნველი ხარ?

— ისე, რა. რომ ვთქვა, მაინცდამაინც კარგი ბაბუა ვარ-მეთქი, არ იქნება მართალი — კარგი მამა ვარ, უფრო რბილი ვარ. სიმკაცრე არ შემიძლია. რაც შეეხება ჩემს ბაბუობას — ვერ დავიტრაბახებ, რადგან კარგ ბაბუას შაბათ-კვირას, შვილიშვილი ცირკსა და ზოოპარკში უნდა დაჰყავდეს, მე ამას ვერ ვაკეთებ.

— შვილი და შვილიშვილი რაკილა თითქმის ტოლები არიან, შეგიძლია, ორივე ერთად წაიყვანო ცირკში...

— კი, მაგრამ შვილიც ვერ დამყავს.

— მერე, ბავშვს პრეტენზიები არა აქვს?

— კი, მაგრამ... ჩვენ ჯაკუნას ლარიანით ვიცილებთ ხოლმე *(ღიმება)*... ბაბუამისმა უთხრა — შენ ჩარკვიანი აღარ ხარ — ლარიანი ხარო: როგორც კი დაგინახავს, გეუბნება — ლარიანი არა გაქვს? ხომ არ გგონია, რომ მარტომ შეჭამოს რაღაც?.. აუცილებლად მეგობრებს შეყრის და იყოფენ. ეს თვისება მასში ძალიან მომწონს. მოკლედ, კაცური კაცია. უკვე დიდია.

— შენ რას ასწავლი?

— მას გენეტიკურად აქვს თანდაყოლილი, რომ კაცია, პატარა კაცი. ვასწავლი, იყოს მიმტევებელი, მეგობრები უყვარდეს, ნაკლები იჩხუბოს; იჩხუბოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვინმე შეურაცხყოფას მიაყენებს. თბილი ბავშვია, მაგრამ ამავე დროს — მკაცრიც. თავის დაცვა უნდა იცოდეს...

■

„მუშა" ელიავას ბაზრობიდან...

ინგა ჯაყელი

სოციალურმა მდგომარეობამ რომ ბევრ ქართველს აფიქრებინა მშობლიური ქალაქიდან თუ რაიონიდან სამუშაოს საძებნელად არათუ დედაქალაქში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში გადახვწა, ეს ახალი ამბავი არაა, მაგრამ რაც ჩემს დღევანდელ რესპონდენტს თავს გადახდა, ვფიქრობ, რომ მსგავსი რამ არავის ექნება გაგონილი, ყოველ შემთხვევაში, პირადად მე გავიოცე კიდეც და კარგადაც ვიხალისე.

38 წლის ვასიკო იმერეთის მაღალმთიანი რაიონის სოფელში გაიზარდა და რადგან სკოლაში მნიშვნელოვანი განათლების მიღება ვერ შეძლო, უმაღლესში სწავლაზე არც უფიქრია. ბაბუამ ადრეული ბავშვობიდანვე შეაჩვია შრომას, ამ მხრივ, „კონსულტაციები" არც მამისგან დაჰკლებია და ჩინებული მეურნეც დადგა. ცოლიც ადრე შეირთო, არც მისთვის მოუთხოვია „წითელი დიპლომი" და სამი გოგონაც შეეძინათ — ზედიზედ... მრავალშვილიანობის მომხრე ყოველთვის იყო და ამიტომ არ შეუშინებია გოგონების „ცვენას" — მეოთხე და მეხუთე მაინც იქნება ბიჭი, მაგრამ ქვეყანა რომ აირია, მარტო კაცი კი არა, ბუნებაც შემოსწყრა თითქოს ალალ და მშრომელ კაცს, აღარც სიმინდი მოდიოდა ძველებურად ბარაქიანად, აღარც ყურძენს ჰქონდა ფასი და უკვე გაჩენილი შვილებიც დაეხოცა ლამის შიმშილით, თორემ, კიდევ ბავშვის გაჩენაზე ფიქრს როგორღა გაბედავდა?!

ბევრი ითრია ფეხი, ჭირივით ეზარებოდა მშობლიური სოფლის დატოვება, მაგრამ უსაშველო რომ დაემართა, თბილისში დიდი ხნის წინ გადახვწილ ბიძაშვილს შეეხვწა — მიშველე რამე, არანაირ სამუშაოს არ ვითაკილებ, ოღონდ, შვილებს ლუკმაპური არ მოვაკლოო!..

მისი ბიძაშვილი კი, არც სახელმწიფო მინისტრი იყო და არც დიდი ბიზნესის პატრონი — ელიავას ბაზრობის ტერიტორიაზე გარბოდა ყოველ ცისმარე დღეს და უკვე „ოქროსხელებას" რეპუტაციის მქონეს, კლიენტი არ ელეოდა. ვასიკო გვერდით ამოიყენა და ისეთი რეკომენდაცია-დახასიათება მისცა, მალე მასაც გაუჩნდა მუდმივი კლიენტები და ფულიც. მართალია, მილიონები არასოდეს ჰქონია და ამდენი ფული არც ვინმეს უშოვია ელიავას ბაზრობის წინ დგომით, მაგრამ ფქვილს და შაქარს ყოველი თვის ბოლოს აგზავნიდა სოფელში და ესეც ბედნიერებად მიაჩნდა..

დანარჩენს თავად „მოგვიყვება", მე კი, ყოველგვარი სტილისტური ჩასწორების გარეშე, მის გულწრფელ მონოლოგს შემოგთავაზებთ:

— გადარეული ვარ კაცი, მოსვენება დავკარქე და აღარ ვიცი, რა ვქნა. მომატყუეს, შემაცდინეს, დამაქციეს და ხმის ამოღებას ვერ ვბედავ, ვის შევჩივლო, რამფრათ გავამხილო, ვინ გამამართლებს, თვარა, ქე მინდა ჩივილი..

რაია თუ იცი, მე ნამეტნავად მიმნდობი და ალალი კაცი ვარ, ბოვშვობიდან მორცხვი და ჩემი ინიციატივით სიგლახეს ვერაფრით მოვიფიქრებ, მით უმეტეს, ღალატს რავა გევევლებ გულში, მარა გამოუვალ დღეში ჩამაგდო იმ მაცთურმა...

მოკლეთ, ამ ოთხი წლის წინ, ერთმა კაცმა დამიქირავა — „დაჩაზე" ყანა-ვენახი მაქ მისახედი, კარგადაც გადაგიხდი, იქვე გაცხოვრებ ორი კვირა მაინც და კაი სადილ-ვახშამს არ მოგაკლებო!..

იმისთანა ჩაცმულ-დახურული იყო, მინისტრი თვარა, პარლამენტარი მაინც რო იქნებოდა, ეჭვიც არ შემპარვია. მარა მაი რა ჩემი საქმე იყო, ოღონდ, ფული გედეეხადა...

მიმიყვანა „დაჩაზე", სადაც სასახლე ჰქონდა ჩადგმული, მომიჩინა ოთახი, მაჩვენა საქმე და დამპირდა: თუ მეინდომებ და მოსაწონად მეიქცევი, რასაც დაგპირდი, ორი იმდენს გადაგიხდიო!..

მეც მევინდომე და ლამის ერთ დღეში გადავბარე ერთი ჰექტარი მიწა. წელმოწყვეტილი შევძვერი მიჩენილ ოთახში, ჭამის თავიც არ მქონდა, ძილი მეჩქარებოდა, მარა ვინ მაცალა? უნდა იბანავო, ისე ლოგინში ვერ ჩაგაწვენო, — მოსამსახურე დამადგა თავზე. სიკვტილივით არ მინდოდა აბანოში ჩასვლა, მარა მეტი რა გზა მქონდა. ისე, რაც მართალია, მართალია — ნამეტანი ვისიამოვნე, იმისთანა აბანო კინოში მქონდა მარტო ნანახი. მერე, ასევე ძალით მაჭამეს ვახშამი და დაგწექი, წავედი თვლემაში... ეიწია ამ დროს საბნის ყურე და შემომიძვრა ვინცხა... სახეზე ვერ ვარჩევდი სიბნელეში, მარა ტანი ჩამოსხმული ჰქონდა, ძლივს გავუძელი ცთუნებას, მარა მაინც გევიწიე კედლისკენ: უკაცრავად, რაცხა გეშლებათ-თქვა, ქალბატონო. მარა, ვინ გეიგონა, ჩემეფსკვნა და... გამომაშტერა!..

ნამეტანი ვინანე მერე ნამოქმედარი, მარა რაღა დროსი იყო. დილაზე გამოქცევას ვაპირებდი — ჯერ სირცხვილით და მერე შიშით, იმისთანა ბიჭები ტრიალებდენ ეზოში დაცვისთვის, ლუკმად არ ვეყოფოდი, რომ გეგოთ, რაიც ჩავიდინე... ვინ გამომშვა?!.. ორი კვირა დავრჩი და ყოველღამ ერთი და იგივე მეორდებოდა, ვერაფრით დევიცავი თავი!..

ორი კვირის მერე კი, მართლა დაპირებულზე მეტი გადამიხადა იმ კაცმა და ქე მიმიყვანა ისთევლე იქინე, საიდანაც დამიქირავა, თან დამიბარა: თუ დამჭირდი, მოგძებნიო!

ოთხი წელიწადი გავიდა და არ მოვუძებნივარ, მეც დევივიწყე ნელ-ნელა მომხდარი და ამ გაზაფხულზე რომ მომაკითხა, ველარც ქე ვიცანი... იმისთანა ფულს დამპირდა, ვერ გოვუძელი ცთუნებას, თვარა, ძველი სირცხვილის გახსენებისას, აღარც ქე მინდოდა ვითამ იქით გახედვა..

..წავედი და ზუსტად ისთე გამეორდა ყოლიფერი, რავარც ოთხი წლის წინ, ვითამ, ოთხი წლის წინ კი არა, გუშინ წამევედი იქიდან... ის ქალიც მევიდა და... ისთევლე შევცთი!..

რაც იყო — იყო, „მარცხი" ვის არ მოსვლია და მეც გედევიტანდი ჩუმათ ყოლიფერს, მარა ერთ დღეს, სამზარეულოში პატარა ბიჭი შემეიყვანა ძიძამ და ასე მეგონა — ჩემი შვათანა გოგო ეკავა ხელში, თლათ მისი პატარაობის ალი-კვალი იყო, ხალიც კი მსავით აუდა წარბის კუთხეში... გედვირე კაცი — ვისია აგი ბალანეთქვა?! — ამ ოჯახის ერთადერთი და ნანატრი მემკვიდრეა, შვიდი წელი არ ყავდათ შვილი და რავარც იქნა, ელირსათო! — მითხრა და წეიყვანა, ჩემი სულიც გეიყოლა..

იმ ღამეს რომ შემომიწვა ის ქალი ლოგინში, წოვუჭირე ყელში ხელი: მითხარი სიმართლე ვინ ხარ, თვარა შენც მოგკლავ და მეც მევიკლავ თავს — თქვა!..

გამიწია წინაალმდეგობა, მარა მერე ატირდა და გამენდო: უშვილობა ჩემი ქმრის ბრალია და არ უნდოდა ამის გამხელა, ამიტომ მეიგონა ამფერი ხერხი, შენ გარეგნულად მეეწონე, ის ბოვში შენი შვილია და ახლა მეორეთ უნდა, რომ დამაორსულოს, იმიტომ მოგიყვანაო!

ეტყობა, ქმარსაც უთხრა, რაც მოხდა ღამით და დამიბარა მეორე დღეს კაბინეტში, დოლარების სქელი პაჭკა დამიგდო წინ — ეიღე და ენას კბილი დააჭირე, თუ გინდა ცოცხალი დაგტიო, იტყვი სადმე და ჩემი წერა გახთები, მიწიდან ამოგთხრი, ჩემი სახელის გატეხას არ გაპატიებ. თუ ისთევლე დაორსულე ჩემი ქალი, პირობას გაძლევ, ერთი ამოდენა ფულს გაისად ამ დროს მოგცემო! — და გამომიშვა...

წემევიღე იგი ფული და იმდენი გამოდგა, ერთი ათი წელი რომ არ დამჭირდება ქალაქში ჩახეტება, თუ ჭკვიანათ გამევიზოგე, მარა შხამათ გადამდის კისერში ყველა კაპიკი — გამოდის, საკუთარი შვილი გავყიდე და იმაში აღებული ფულით ვარჩენ დანარჩენს. თანაც, იგი ბოვშვი ბიჭია და მე ქე ვარ დარჩენილი გოგოების ამარა...

ვერც ცოლს ვუმხელ ჩემს უბედურობას, მართალია, უნებურათ, მარა — მაინც ვუღალატე და რავარი გასაგებია ან საპატიებელი ამფერი რამე?! გავხმი და ჩამოვდნი, გაგიუებას ვარ მისული — ახლა იმისი ცნობისმოყვარეობა მკლავს — ორსული დავტოვე თუ არა ის ქალი, მარა მაგის ამბავს ვინ მეტყვის მე ან რა შვებას მომიტანს?!

მოკლედ, ჩემთვის დეიქცა ეს ქვეყანა თუ დეიქცა, მე არც „ვარდების რევოლუცია" მიშველის და არც „ნამგალი და ურმისი", თავშიც რომ ვიცე იგი ურო. თუ მოვკვეტი, შენ გეცოდინება მარტვანე რა დარდმაც ჩამაგდო ჭლექში და რამაც მომინელა! — მითხრა და ცრემლიც კი ჩაუდგა თვალებში.

თან, მეცოდებოდა ვასიკო და... თან, უკვე გითხარით, მაგრადაც ვიხალისე მის „უბედურებაზე". ახლა კი, ეს ამბავი თქვენს სამსჯავროზეც გამოვიტანე ჩემო მკითხველო და იმედია, არ გამიბრაზდებით — რა ნახე სასაცილოო?!

ქართველი რომ ვერ მოიფიქრებს და განახორციელებს — ისეთი რამ ხომ არ არსებობს ქვეყანაზე — ამიტომ დამეუფლა მხიარული განწყობილება, თან ვასიკოს ისეთი ლამაზი შვილები ჰყავს — ჯანმრთელები და ლოყებდაბრაწულები, არ შეიძლება არ გიხაროდეს მათი თუნდაც, ასეთი არატრადიციული ხერხით გამრავლება..

■

ფოტოგრაფიული ექსპერიმენტი

ხელოვნების საყმაწვილო სტუდია მუშაობს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების „ჰელადოსის“ ექსპერიმენტულ სპექტაკლზე, რომელსაც ამ სტუდიის ხელმძღვანელი, მსახიობი გოგა პიპინაშვილი ახორციელებს. ეს დადგმა თეატრის, კინოსა და ფოტოგრაფიის სინთეზს წარმოადგენს.

გადაღებები კვარიათსა და ბათუმში მიმდინარეობს. ვიდეომასალის ოპერატორია ლევან პატარაია. ფოტომასალის შექმნაზე, ამ გვერდის ავტორთან ერთად, მაია დეისაძე მუშაობს.

პრემიერა დაგეგმილია შემოდგომისთვის და „ვაკის სარდაფში“ გაიმართება. დამდგმელი რეჟისორები არიან – გოგა პიპინაშვილი და ოთარ ეგაძე, დამდგმელი მხატვარი – შოთა გლურჯიძე.

ია ფრანგიშვილი

sanam cocxlebi varT...

60-iani wlebi

მანანა იაშვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-28.

ცოდნა სიკვდილამდე შენია

60-იანი წლების კიდევ ერთი ნიშანი, ცოდნის შეძენის დაუოკებელი წყურვილი გახლდათ. საბჭოთის კომუნისტი ლიდერები არცთუ ისე უსაფუძვლოდ ტრაბახობდნენ, რომ წერა-კითხვის უცოდინარობა აღმოფხვრეს და მათ მიერ აშენებულ ქვეყანაში, მსოფლიოში ყველაზე წიგნიერი ხალხი ცხოვრობდა. მაგრამ ეს მათი და საბჭოთა რეჟიმის დამსახურება იმდენად იყო, რამდენადაც, „რკინის ფარდით“ ჩაკეტილ თაობებს ინტელექტუალური განვითარების ერთადერთ საშუალებად, ცენზურისაგან დაშვებული ლიტერატურის გაცნობა რჩებოდათ. მიღებული ცოდნის ანალიზით კი, კომუნისტური რეჟიმისთვის საკმაოდ არასახარბიელო დასკვნების გამოტანა იყო შესაძლებელი.

ამ დროს, ომგადახდილმა ქვეყანამ ეკონომიკურად ცოტა ამოისუნთქა და სწავლას მოწყურებულმა სოფლის ახალგაზრდობამ ქალაქს მიაშურა. აქ მათ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები და გაჭირვება ელოდებოდათ, მაგრამ მაინც სწრაფად მოახერხეს ქალაქურ ცხოვრებასთან ადაპტირება და საერთო ინტერესების მქონე ადამიანებთან დაახლოება. ერთეულებს თუ არ ჩავთვლით, მაშინ ჩვენი საზოგადოება გაცილებით დემოკრატიული და ტოლერანტული იყო.

საქართველოში წინააღმდეგობის ჯგუფების ჩამოყალიბება დაიწყო. მათ პოლიტიკურ ჯგუფებს ვერ დაარქმევ — უბრალოდ, სტუდენტური სამეგობრო ერთმანეთში უშიშრად ლაპარაკობდა საქართველოს წარსულსა და მომავალზე. ბევრი რამ ჰქონდათ გასარკვევი, დასადგენი და გასააზრებელი.

„თხუნელასავით, არქეოლოგიური გათხრები გვქონდა ჩასატარებელი, საქართველოს ნამდვილი ისტორიის დასადგენად“, — მეუბნება ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი შენგელია და ძნელია, არ დაეთანხმო. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად 60-იანი წლები იყო სინამდვილის გაცნობიერების, სწავლის, ფასეულობათა გადაფასების ათწლეული, რომლის გარეშეც, ეროვნული მოძრაობის შემდგომი გზა საფუძველგამოცლილი იქნებოდა.

აქა ამბავი ჟონსპირაციისა

ზვიად გამსახურდიასა და მის მეგობრებს სუკის მეხუთე და მეცხრე განყოფილებები მუდმივად უთვალთვალებდნენ. ამიტომ, ზვიადი ძალიან ფრთხილობდა და ახალ კონტაქტებს ერიდებოდა. სუკელები კი, პირიქით, ეჭვის გასაღვივებლად, ზედმეტად ტლანქად მოქმედებდნენ, თავს არ მალავდნენ და ამით გამსახურდიების იზოლაციას ახდენდნენ. ეჭვები კი, ზოგჯერ აბსურდამდე მიდიოდა. „კოლხური კოშკის“ მეზობლად საკუთარი სახლები იდგა, რომელთა მეპატრონეები სარდაფებსა და პირველ სართულებს აქირავებდნენ; იქ უმეტესად, რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტები ცხოვრობდნენ. შეიძლება, რომელიმე გაქირავებულ ბინაში მართლაც იყვნენ სუკელები, მაგრამ ზვიად გამსახურდიას ეჭვი ყველაზე ჰქონდა.

ჩვენთვის უკვე ცნობილმა ადამიანებმა — **გიორგი ყორღანაშვილმა, თამაზ კობერიძემ, ვახტანგ თორაძემ და ტრისტან ვანშვილმა** — პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაბარების შემდეგ, ბინა სწორედ გამსახურდიების კოშკის წინ დაიქირავეს. ზვიადთან ურთიერთობა და ნაცნობობა მათ არ ჰქონდათ, მაგრამ როგორც ჩანს, თავისდა უნებურად, მაინც აინტერესებდათ სახელოვანი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია და მისი ოჯახი. ზვიადი კი, მათ სუკის აგენტებად მიიჩნევდა და მეგობრებთან ჩიოდა. არავინ იცის — შეიძლება, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრის დროს, რომელიმე სიღნაღელმა სტუდენტმა ზედმეტი ინტერესით შეავლო თვალი ცნობილ სახეს ან იქნებ, ზვიადმა შეუბღვირა დროებით მეზობელს. მაშინდელი ორმხრივი გაუცხოება **გიორგი ყორღანაშვილის** მონაყოლში ახლაც ჩანს:

გიორგი ყორღანაშვილი

„ჩვენ არ ვიყავით დისიდენტები, სერიოზული წამოწყებები გვქონდა და ნამდვილი იატაკქვეშა მოძრაობა მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, სტალინი და „ახალგაზრდა გვარდიის“ იდეები მოვიშორე, მაგრამ წინააღმდეგობის ბაცილა უკვე გამჯდარი მქონდა და ვეძებდი, რისი გაკეთება იყო შესაძლებელი“.

ზედმეტ ეჭვსა და კონსპირაციას ვერც ყორღანაშვილმა აარიდა თავი. ის და მისი მეგობრები საჯარო ბიბლიოთეკაში შემოვლითი გზებით შოულობდნენ საჭირო ლიტერატურას. ჩვენ ტექნიკურ დარბაზში ვართ ჩაწერილი და ზედმეტი ყურადღება არ მივიქციოთ სხვა სახის ლიტერატურის მოთხოვნითო, — ასე არიგებდნენ ერთმანეთს. ერთმა გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ კი, მთლიანად ამოაგდო **გიორგი ყორღანაშვილი** კალაპოტიდან:

„მაშინ უკვე მთაწმინდაზე ვცხოვრობდი და ყოველდღე მიხდებოდა ლესია უკრაინკას ქუჩაზე ავლა, სადაც სუკი და შინაგან საქმეთა სამინისტრო გვერდიგვერდ იყო განთავსებული. ჩანთაში რაღაც-რაღაცები მიწყვია და კავშირგაბმულობის სახლს რომ ავცდი, გამაჩერეს — ერთი წუთით მობრძანდითო. დამთავრდა-მეთქი ყველაფერი, — ვიფიქრე, — რაც არ უნდა კონსპირაცია გასწიო, იციან, ვისთან ტრიალებ; მოგყვებიან, აკრებენ ყველას და გადაგვივლიან-მეთქი... აღმოჩნდა, რომ რაღაც ამოცნობაზე ხალხი სჭირდებათ და ამიტომ შემიყვანეს, თანაც — შინაგან საქმეთა სამინისტროში. ვზივარ სკამზე, ჩანთა მუხლებზე მიდევს და ვგრძნობ, როგორ ვცივდები. ცოტა ხანში მოვიდნენ და გვითხრეს — სხვა ჯგუფში ამოიცნეს, ბოდიში, აღარ გვჭირდებითო; საშვი გამოწერეს და ვინც იქ ვიყავით, გამოგვიშვეს. გადავრჩი, არადა, ნაღდად პროვოკატორი გამოვდიოდი.

მას შემდეგ, უფრო მეტ სიფრთხილეს ვიჩენდი, ჩანთით აღარაფერი დამქონდა და ლესია უკრაინკას ქუჩას შორიდან ვუვლი-

დი. როდესაც ავთო იმნაძე ჩავარდა, საერთოდ შევწყვიტეთ მოქმედება. მერაბი, ზვიადი და ვიქტორ რცხილაძე დისიდენტები იყვნენ. ჩვენ, არალეგალები ვიყავით. დისიდენტები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ჩვენ კი ფარულად ვმოქმედებდით“.

აქა ამბავი მოჰარული სტამბისა და ჩინეთის არმიისა

ფარულად მოქმედება თავიდან, მარქსის შრომების შესწავლა-დაკონსპექტებას და დილამდე კამათს ნიშნავდა. ბუკინისტებში იშოვეს ევგენი დიურინგის შრომები, რომლებიც ფრიდრიხ ენგელსის „ანტიდიურინგზე“ უკეთესი აღმოჩნდა. ბიბლიოთეკიდან ოტო ბაუერს და მარტინ შპენგლერს „თხოულობდნენ“ და ამაზეც კამათობდნენ. ხმამაღლა უკითხავდნენ ერთმანეთს „გველისპერანგს“ — მაშინ, ესეც საქმე იყოო, — ამბობდნენ. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც „კავკასიონი“ და „ბედი ქართლისა“ ჩაიგდეს ხელში და „გადააბულბულეს“. კამათში ყველას თენგიზ ზურაშვილი სჯობნიდა, რომელსაც გუზგუზ ზახარიჩს ეძახდნენ. თუმცა, არც ემზარ ჩიკვაიძე და გიორგი ყორღანაშვილი ჩამორჩებოდნენ. გადაწყვიტეს, საბეჭდი მანქანა ეშოვათ და „თვითგამოცემითი“ ჟურნალი გაევრცელებინათ. საბეჭდი მანქანა პეკინის ქუჩაზე, ერთ-ერთი დაწესებულების ყველასგან მიტოვებულ კაბინეტში შეიგულეს. ომამდელი გერმანული მექანიკური მანქანა იყო, ომის ნაალაფარი. შეღამებულზე, დაწესებულების კარს მიადგნენ. საკეტის ყურები გასახსნელით მოხსნეს, მანქანა გამოიტანეს და საკეტი ისევ თავის ადგილზე დაამაგრეს.

დაიწყეს ჟურნალ „სამების“ ბეჭდვა. გიორგი ყორღანაშვილი სწრაფად ბეჭდავდა, შემდეგ სხვებსაც ასწავლიდა. მხოლოდ ნემო ბურჭულაძე ზარმაცობდა — ვერ ვხედავო, ამბობდა.

საბეჭდი მანქანის გაქრობას არავინ შეუწუხებია — ეს ბიჭებმა ზუსტად იცოდნენ. მაგრამ დანჯღრეული მანქანა აღარ აკმაყოფილებდათ. სტამბაზე დაიწყეს ოცნება, რაც მაშინ, უპირობოდ, ციხეს მოასწავებდა. ჯერჯერობით, მანქანა 10 ეგზემპლარ, თხელ, პაპიროსის ქაღალდს თავისუფლად უმკლავდებოდა. ქაღალდს ოპერის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მაღაზია „საუნჯეში“ ცოტ-ცოტას ყიდულობდნენ — სუკმა არ მიაქციოს ყურადღება, დიდი რაოდენობით ქაღალდის შესყიდვასო. ჯგუფი თავს ხან „სანდოს“ უწოდებდა, ხან — „საქართველოს განთავისუფლების არმიას“.

1966 წელს, ბორის წიფურიამ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში თეატრალური წრე ჩამოაყალიბა. ავთო იმნაძემ რეჟისორობა იკისრა და პიესაც აირჩიეს — ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“. დაიწყო რეპეტიციები, რომლებსაც დაინტერესებული სტუდენტობა ესწრებოდა. თანდათან შეიკრა რაღაც ბირთვი, რომელიც რეპეტიციის შემდეგაც რჩებოდა და უკვე სხვა „მზიან ღამეზე“ საუბრობდნენ...

ავთო იმნაძე

ამ ორი ჯგუფის შეხვედრა კოწო ბეჟაშვილმა მოაწყო. თეატრალების ჯგუფს საქართველოს გადარჩენის გზად, ემიგრაციის და ჩინეთის არმიის იმედი ჰქონდა. გიორგი ყორღანაშვილი ამბობს, რომ მათმა ჯგუფმა ამგვარი ზღაპრები არ მიიღო და თეატრალებს გაერთიანება შესთავაზა. თეატრალები დათანხმდნენ და შეიკრა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: **ამირან და კონსტანტინე ბეჟაშვილები, ნოდარ მეძმარიაშვილი, ავთო იმნაძე, ირაკლი შენგელაია, გიორგი ყორღანაშვილი, ემზარ ჩიკვაიძე, თენგიზ ზურაშვილი, გურამ ოდიშარია და ნემო ბურჭულაძე**. მათ სხვადასხვა დროს, ახალი წევრები ემატებოდნენ ან ვინმე აკლდებოდა, მაგრამ ბირთვი მაინც უცვლელი რჩებოდა. ირაკლი შენგელაიას თქმით, თვითგამორკვევის პერიოდი იყო — როდესაც რაღაცრაღაცებს სწავლობდნენ და მომავლისთვის გეგმებს აწყობდნენ. ავთო იმნაძე ამ დროს, „ბალახობის პერიოდს“ არქმევს — როდესაც საზოგადოებას ეძინა და ძილში იცოხნებოდა. ახალშექმნილმა ჯგუფმა კი, ვერა ფიგნერის წიგნი — „როგორ უნდა წარვმართოთ იატაკქვეშა მუშაობა“ — გადააბულბულა და ახალი წევრების ძებნა ამ მეთოდით დაიწყო.

„ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“, — იწყებდა ფიგნერის მოსწავლე და ცოტა ხნის ლაპარაკის შემდეგ, მოსაუბრეს სთავაზობდა: „მოდი, მე და შენ ჩამოვაყალიბოთ ჯგუფი“; ასე იწყებოდა ახალი წევრის, სამეულში გაერთიანება. თუ ისინი ჩავარდებოდნენ, ძაფი მათზე წყდებოდა. ერთხელ ირაკლი შენგელაიამ უთხრა გიორგი ყორღანაშვილს — მგონი, ჩემი მეზობელი ჯემალ ლაზარიაშვილი „მახვევსო“. მართლაც ასე იყო: ჯემალმა არ იცოდა, რომ ირაკლი მთავარი კომიტეტის წევრი იყო. ჯგუფს „თეთრი გიორგი“ დაარქვეს და ფიცი და წესდებაც შეიმუშავეს: **„თუ დავარღვიე ეს ფიცი, დაე, მომევლინოს ქართველ მამულიშვილთა რისხვა!“**

„თვითგამოცემითი“ (არალეგალური) ჟურნალისთვის კოწო ბეჟაშვილი შრიფტს იპარავდა სტამბიდან და მეტალურგიის ინსტიტუტში, გიორგი ყორღანაშვილთან მიჰქონდა. სამსახურის შემდეგ, მეტალურგიის ინსტიტუტში იკრიბებოდნენ და იწყებოდა ასოების ჩარხვა. შრიფტებზე ყველაზე გულმოდგინედ, ირაკლი შენგელაია მუშაობდა. მაგრამ სტამბის გამართვა მაინც ვერ მოესწრო: ჯერ, კიბერნეტიკის ინსტიტუტის ძველ შენობაში ქსეროქსზე გადაღებული „გველისპერანგისათვის“ სუკმა რამდენიმე კაცი აიყვანა. კონსპირაციის მიზნით, „თეთრმა გიორგიმ“ დროებით შეწყვიტა მოქმედება, მაგრამ მისი წევრებისთვის არავის მიუკითხავს. შემდეგ, სტამბის იდეა

ირაკლის დაულევია, — არადა, სმა არასოდეს უყვარდა, — დამთვრალა და მილიციის განყოფილებაში, ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალში, შევარდნილა

ირაკლი შენგელია მიამბო, რომ მათ ჯგუფს ემიგრანტული „თეთრი გიორგის“ გავლენით დაერქვა სახელი:

„აღმოვაჩინეთ, რომ „თეთრი გიორგის“ წევრები, ფაშისტები და სისხლისმსმელები კი არ იყვნენ, არამედ — ჭეშმარიტი პატრიოტები. ჟურნალისტმა ილია კევლიშვილმა ემიგრანტული ჟურნალი „კავკასიონი“ მოგვიტანა, სადაც კომუნისტების 1924 წელს ჩადენილი მხეცობები იყო აღწერილი. შევკრებეთ და ხმამა-

თავისთავად გაქრა, რადგან საქართველოში უკვე ახალი ტექნიკა და სხვა საშუალებები გამოჩნდა — უფრო უსაფრთხო, ფოტოფირზე გადაღება და „შუქკოპირება“ იყო, რაც ავთო იმნაძეს ბრწყინვალედ ეხერხებოდა. ხოლო ძველი გერმანული საბეჭდი მანქანა კიდევ დიდხანს უწევდა „თეთრი გიორგის“ წევრებს სამსახურს.

აქა ამბავი მილიციის დარბევისა და სასიკვდილო განაჩენისა

ლა ვკითხულობდით ჟურნალს. შეგვზარა ფანიაშვილების ოჯახის ამოწყვეტის ამბავმა. მხეცებმა, ჩვილი ბავშვიც კი არ დაინდვეს. მახსოვს, ყველანი ფეხზე წამოვდექით. ყელში ბურთივით რაღაც მქონდა გაჩხერილი და დავიფიცეთ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებდით კომუნისტების წინააღმდეგ. ჩვენს ორგანიზაციას მაშინ, „სანდო“ დავარქვით“.

გივი ყორღანაშვილს ამ ამბის გაგრძელებაც წამოსცდა:

„ირაკლი მაშინ, საბურთალოზე ცხოვრობდა. ერთხელ გურამ ოდიშარია მირეკავს და მეუბნება — ბიჭო, მიშველე, ირაკლი დაიჭირეს, ცუდი ამბავი მოაწიაო. იმწუთას გავვარდი გურამთან შესახვედრად. თურმე, ირაკლის დაულევია, — არადა, სმა არასოდეს უყვარდა, — დამთვრალა და მილიციის განყოფილებაში, ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალში შევარდნილა. აუტეხავს მილიციელებისთვის ლანძღვა-გინება: თქვენაო, რა ხალხი ხართ, ვინ ხართ, ვის ემსახურებითო? თქვენი ასე და ისე, არა გრცხვენიათ, მათ ფორმას რომ ატარებთ, საქართველო არ გიყვართ, უსამშობლო ხალხი ხართ, დამიჭირეთ, თქვე სისხლისმსმელების ნაშიერებოო!.. დაიჭირეს და შეაგდეს კამერაში. რა ვქნათ, არ ვიცი. ეტყობა, ნასვამზე ნერვებმა უმტყუნა... უეცრად მომაფიქრდა „ოსტაპბენდერობა“. ბედზე, მეტალურგიის ინსტიტუტის წიგნაკები გვქონდა, რომლებიც წითელი ფერის იყო და ზედაც დიდი გერბი ეხატა. ამოვიღე წიგნაკი, შევედი მილიციის განყოფილებაში და მორიგეს ვეუბნები — გიორგი ვარ ყორღანაშვილი, ალბათ, მიცნობთ-მეთქი. მანდატი თავისი გერბით, კა-გე-ბესას ჰგავდა და თუნდაც გაეხსნა, ტყუილს არ ვამბობდი. მორიგემ — მობრძანდით, რა გნებავთო? — სად არის ჩვენი ძმა და მეგობარი, სად არის-მეთქი, ის მაიმუნი, რატომ დააკავეთ, რა მოხდა-მეთქი?.. მორიგემ მომიბოდიშა — არა, ბატონო, არ დაგვიჭერია, ისე შემოვიყვანეთ, თავისათვის ზიანი რომ არ მიეყენებინა და რამე არ დამართვოდა; გარეთ ისეთ რაღაცებს გაიძახოდა, შეგვეშინდა და შიგნით შემოვიყვანეთო. ქინჩილ-ქინჩილ გავაღებინე კამერა და ლამის კინწისკვრით გამოვიყვანე ირაკლი გარეთ. კორპუსს რომ მივეფარეთ, სიცილი აგვიტყდა“.

ირაკლი შენგელაია

ამით ინციდენტი არ ამოწურულა. ეს ამბავი მთავარი კომიტეტის გარჩევის საგნად იქცა. როგორც ჩანს, გივი ყორღანაშვილი ისე სერიოზულად მიუდგა ამ ამბავს, ისეთი ბუქი დააყენა, რომ სხვებმა მისი გამასხარავება (გაშაყირება) გადაწყვიტეს: მთავარმა კომიტეტმა ირაკლის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და აღსრულება გივის დაავალა. ყორღანაშვილი შავ დღეში ჩავარდა — არა, არ შემიძლია, მოვკვეთოთ, გავრიცხოთ და ამით მოვრჩეთო!.. მაგრამ კომიტეტი შეუვალი იყო: შენ ორგანიზაციის უსაფრთხოებას უზრუნველყოფ, ნაგანიც გადმოგეცით, უნდა აღასრულო განაჩენი, თორემ, მაგის სიმთვრალე სად ამოყოფს თავს და ამხელა საქმეს როდის გაგვიფუჭებს, ღმერთმა იცისო. საქმის გარჩევის შემდეგ, ირაკლი დაიბარეს, საყვედური უთხრეს — შენ გამო ორგანიზაციას ვწლითო. „სიკვდილმისჯილი“ და მისი „ჯალათი“ კრებიდან ერთად გამოვიდნენ და სანაპიროზე ჩავიდნენ, მშრალ ხიდთან. მიდიან და საუბრობენ, რა უნდა გააკეთონ და რისი გაკეთებაა აუცილებელი, რათა საქმე ადგილიდან დაიძრას. გიორგის ნაგანი ჯიბეს უმძიმებს და დავალება აწუხებს. რა თქმა უნდა, იარაღი არ ამოუღია, ისე დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

„აი, ავთო კი, მართლა უნდა მომეკლა, მაგრამ ვერც ის მოვკალი, არ გამოვიდა ჩემგან დამსჯელი და რაღას ვიზამ?!“ — იღიმება გივი.

აქა ამბავი ბრეჟნევის პროტესტისა

ეს ამბავი უკვე შემდეგ, 70-იან წლებში მოხდა. დაპატიმრებული ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მხარდასაჭერად, პროკლამაციების გაკვრა გადაწყდა. ჯემალ ლაზარიაშვილმა გაზეთიდან დიდი ასოები ამოჭრა, ქაღალდზე დააწება: **„თავისუფლება ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას!“** შემდეგ, ეს ქაღალდი ავთო იმნაძემ გადაიღო და გაამრავლა. ქალაქის ცენტრალური უბნები ხუთ სექტორად დაყვეს და ყველას თავისი სექტორი მიუჩინეს. თურმე, ამ საქმეში ავთო იმნაძემ თამრიკო ჩხეიძეც ჩართო, რაც სხვებმა არ იცოდნენ.

იმ დღეს წვიმდა. ქაღალდი ძნელი გასაკრავი იყო, მაგრამ თამრიკომ და მისმა ჯგუფმა ავთოსგან მითითებულ უბანში მაინც გააკრა პროკლამაციები. სახლისკენ რომ ბრუნდებოდნენ, თამრიკოს პროკლამაცია კიდევ აღმოაჩნდა და დაიჟინა — აგერ, ვერის პარკთან, ბრეჟნევის უზარმაზარ პორტრეტზე უნდა გავაკრა, ძალიან მოუხდებაო. ეხვეწა ავთო — არ გინდაო, მაგრამ ვერ გადაათქმევინა. ბრეჟნევიც „გაალამაზეს“ და დაიშალნენ. ეს სექტორი კი, გივი ყორღანაშვილს უნდა აეთვისებინა, რომელმაც თამრიკოს შესახებ არაფერი იცოდა. ბრეჟნევის აბრა მშვენიერი საკბილო იყო პროკლამაციისთვის და გივი, თავისი „ზაპოროჟეცით“, აბრას მიადგა. პროკლამაციის გაკვრა რომ დააპირა, გადმოუხტნენ მილიციელები, მაგრამ გივიმ მოასწრო და ვიწრო ქუჩებით მათგან გაქცევა მოახერხა. იმ ღამეს, გივის ჯგუფს სახლში არ დაუძინია, დაიმალნენ. მეორე დღეს შეიკრიბნენ და ავთოს პასუხი მოსთხოვეს. ცალკე კი, მასაც გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი, რომელიც ასევე გივის უნდა აღესრულებინა. ავთო თავს იმართლებდა — მე რა ვქნა, თუ თამრიკომ ბრეჟნევის გალამაზება მოინდომა? ჩვენთვის მთავარია, მეტი ხალხი ჩავრთოთ ეროვნულ მოძრაობაშიო. მაგრამ ჯგუფის წევრებს ასე უპირობოდ, საქმიანობის გაშლა არ სურდათ. მათ კონსპირაციული თამაშები უფრო მოსწონდათ და არალეგალური, იატაკქვეშა მუშაობის ფორმას ვერ თმობდნენ. ავთო უმტკიცებდა — სხვა დროა, სრულ იზოლაციაში მოვექცევითო, — მაგრამ არ დაუჯერეს და მოკვეთეს. ყორღანაშვილმა ვერც ავთოს მოკვლის გადაწყვეტილება შეასრულა და ისიც თან მიაყოლეს.

თამრიკოს პროკლამაცია კიდევ აღმოაჩნდა და დაიჟინა — აგერ, ვერის პარკთან, ბრეჟნევის უზარმაზარ პორტრეტზე უნდა გავაკრა, ძალიან მოუხდებაო

ჯგუფი თანდათან დაიშალა. ზოგი საკუთარი ძალებით ცდილობდა რაღაცას, სხვები დისიდენტებს შეუერთდნენ და ასე დააღწიეს იზოლაციას თავი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟურნალის საპარჭიერო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ავსტრალიის მთავრობამ, ნაკრძალების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობისთვის საგანგებო წესები შემოიღო. იქ, შინაური კატებისთვის, კომენდანტის საათია დაწესებული. კომენდანტის საათის დამრღვევ კატას იჭერენ, ნიკაპქვეშ საგანგებოდ შეყვანილი ელექტრონული ჩიპის საშუალებით, პატრონის ვინაობას ადგენენ და აჯარიმებენ. რამ აიძულა ავსტრალიის მთავრობა მსგავსი ზომები მიეღო?
2. მოლაღურს სხვანაირად „ბიჭო-გოგიას“ ეძახიან. რატომ?
3. პარიზში, სენაზე 43 ხიდია გადებული. რამდენი ხიდია აგებული მტკვარზე თბილისში?
4. რა განსაზღვრავს კუს კვერცხებიდან გამოჩეკილი პატარების სქესს?
5. რა არის ელდორადო?
6. დაასახელეთ ცნობილი ფიზიკოსი, რომელიც 19 წლის ასაკში, დანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე იყო.
7. დაასახელეთ ფრანგი მწერალი, რომელიც ხელმოკლე ლიტერატორებს ქირაობდა, გარკვეულ სიუჟეტს უყვებოდა და საკუთარი რომანის რამდენიმე თავს აწერინებდა.
8. სულთან რუქნადინის ტყვედ ჩაგდებული სარდალი — მელიქ ფაჰრ-ად-დინ ბაჰრამ-შაჰი, თამარ მეფემ ჯორის ნალში გაცვალა. რატომ?
9. ეს ინგლისელი მწერალი „ავე მარიას“ ტექსტის ავტორია.
10. ახალგაზრდობაში ამ ადამიანმა არ იცოდა, რომ ნახატი დაგრუნტულ ტილოზე სრულდებოდა. „მოვნახე ნაჭერი... ზეწარი იყო, დაკერება რომ არ მოუხერხდა არაფრით და გადავაკარი ჩარჩოზე... თურმე დაგრუნტვა ნდომებია. რომ დავხატე, უკანა მხარეს უკეთესი ნახატი შეიქმნა,“ — ღიმილით ჰყვება იგი თავისი პირველი ტილოს შექმნის ამბავს. დაასახელეთ ეს ადამიანი.
11. ზევსის სამ ასულს — ბედის ქალღმერთებს — ბერძნულ მითოლოგიაში პარკები ერქვათ. რას საქმიანობდნენ დები?
12. რატომ არქმევდნენ ესპანელები თავიანთ შვილებს რამდენიმე სახელს?
13. ისინი საუკეთესო მეგობრები იყვნენ. ორივე ვერაზე ცხოვრობდა, ერთი — „ბელინსკის“ 10 ნომერში, მეორე — „ბელინსკის“ 25-ში.

ანეკდოტები

* * *

ძუკუ მეგობრებს უყვება:
— ჩვენი სასტავი — 15 კაცი რესტორანში კანტიკუნტად ვზივართ. გაიღო კარი და შემოვიდა ჯგრო — სამი სვანი. იქ ჩხუბი აიწია... მამა შვილს ვერ იცნობდა. ხან ისინი იყვნენ ზემოდან, ხან ჩვენ ვიყავით ქვემოდან. ვჟლიტეთ, ვჟლიტეთ და დავრჩით ბოლოს სამი სამზე. გავეკიდე ერთს... გარბის, მივდევ... გარბის, მივდევ... მოვიხედე, ვხედავ — მეწევა. ამოვიღე ხანჯალი და დავარტყი ფერდში. არა გჯერა? აგერ, ა! — პერანგი აიწია ძუკუმ.

* * *

— გავიხადო? — ეკითხება ექიმს გასასინჯად მისული კინომსახიობი.
— საჭირო არ არის. გუშინ ვნახე თქვენი ბოლო ეროტიკული ფილმი.

* * *

კადრების უფროსი, ქუჩაში თავის თანამშრომელს ხვდება:
— რას ჰგავს ეს? თქვენმა ძმამ ახლახან დამირეკა და მითხრა, რომ საავადმყოფოში დაგაწვინეს.
— იდიოტი, ხვალ უნდა დაერეკა!...

* * *

— რისგან შექმნეს პირველი ქალი?
— პირველი ქალიშვილისგან.

* * *

— რატომ არ გადაარჩინეთ თქვენი ცოლი დახრჩობას?

— მე რა ვიცოდი, თუ იხრჩობოდა — ყვიროდა, როგორც ყოველთვის!

* * *

თბილისში საცხოვრებლად გადმოსული სვანი მეზობელს ეჩხუბება:
— შენს შვილს ზრდილობას ვერ ასწავლი?!
— რაშია საქმე?
— იმ დღეს ტელევიზორში გამოდიოდა, სამჯერ მივესალმე, მაგრამ ზედაც არ შემოუხედავს!

* * *

თავდამსხმელი შეიჭრა საჯარიმოში. ურტყამს — ძელია, ურტყამს თავით — ხარიხა, კიდევ ურტყამს — ისევ ძელი! ღმერთო ჩემო, შეაჩერეთ ვინმემ ან ბურთი მაინც მიეცით!

* * *

ოსამა ბინ ლადენმა იტალიაში ყოფნისას პიზის კოშკს ჩაუარა:
— დილეტანტები! — ჩაილაპარაკა თავისთვის.

* * *

— ცოტა ხნის წინ, აქ ქალი გაძარცვეს.
— ბევრი წაართვეს?
— კივილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რამდენიმე ათასი დოლარი...

* * *

დამკრძალავ ბიუროში:
— რომელი ტარიფით გინდათ მოაწყოთ დაკრძალვა?
— ყველაზე იაფი ტარიფით, სიაში მეცხრე ნომრად რომ წერია.
— კარგით, მაგრამ გაფრთხილებთ, მაგ ტარიფით დაკრძალვისას, თვითონ მიცვალებულს მიაქვს გვირგვინები.

* * *

გაკვეთამ აჩვენა, რომ ავადმყოფს ეძინა.

* * *

სვანს ეკითხებიან:
— რამდენი ფული გინდა, რომ გქონდეს?
— იმდენი... იმდენი, რო სპილო ვიყიდო!
— სპილო რა ჯანდაბად გინდა?!
— სპილო სულაც არ მინდა... ფული მინდა იმდენი!

* * *

მდივანი შეფს ეკითხება:

— მიყიდი ამ სამკაულს?
— ეს რა, ულტიმატუმია?!
— არა, ბრილიანტი!

* * *

— ჩვენი შვილი ვუნდერკინდია — 11 წლისამ დაამთავრა სკოლა.
— მერე?
— მერე არაფერი, აიღეს და 12 წლისა ჯარში წაიყვანეს.

* * *

ქორწილიდან ერთი თვის შემდეგ:
— კი, ბატონო, ვაღიარებ, რომ ოქროს მთებს გპირდებოდი, მაგრამ სარეცხის მანქანაზე საუბარიც არ ყოფილა!...

* * *

ჩანაწერი ავტომოპასუხეზე: „სავარაუდოდ სახლში ვარ, მაგრამ ერთ უსიამოვნო ტიპთან ლაპარაკი არ მინდა. დატოვეთ თქვენი შეტყობინება და თუ არ გადმოგირეკეთ, ესე იგი, ის ტიპი თქვენა ხართ.“

* * *

ცოლი წვეულებიდან ბრუნდება. ქმარი ეკითხება:
— როგორ გაატარე საღამო?
— არა უშავდა. წამოსვლისას ბერგმანებმა მთხოვეს — მეძღერა.
— მერე, რა ქენი?
— რა თქმა უნდა, ვიმღერე.
— კარგი გიქნია, ვერ ვიტან მაგ ბერგმანებს!...

* * *

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს:
— ბიჭო, რატო უყვიროდა წუხელ ჭიჭიკია ცოლს ასე მაგრად?
— ვერაფრით ათქმევინა, სად დახარჯა ფული და იმიტომ...
— კი, მარა, დღეს ორჯერ უფრო ხმამაღლა რომ ბღაოდა?!
— დღეს უთხრა...

* * *

საკონდიტროში მოხუცი კაცი შევიდა:
— 5 ცალი სკლეროზი მომეცით.
— ასეთი ნამცხვარი არა გვაქვს.
— როგორ არა გაქვთ, გუშინ ვიყიდე თქვენთან.
— გაიხსენეთ, იქნებ სხვა სახელი ერქვა?
— როგორ გავიხსენო, გაქანებული ეკლერი მაქვს!...

* * *

— მოდი აქ ბიძიკო, რამდენი წლის ხარ?
— ოთხის.

— ათამდე დათვლა იცი?
— ვიცი! ერთი, ორი, სამი... ათი!
— ყოჩაღ! ათს ზევით თუ იცი?
— როგორ არა! ვალეტი, დამა, კაროლი, ტუზი!

* * *

მილიონერის დაბადების დღეა. დილით მისი ცოლი იღვიძებს, გადის აივანზე და ხედავს — ქალაქის თავზე ულამაზესი ცისარტყელაა.
— ჰო, ასეთ სისულელეებზე ფული არ ენანება!...

* * *

ომი დამთავრდა. შინ მიმავალმა ჯარისკაცმა სოფელზე გაიარა და ხედავს, ორი ფეხმძიმე ქალი ერთმანეთს კეტებს ურტყამს მუცელში.
— თქვენ რა, გაგიჟდით? ომი დამთავრდა, ზეიმია, რა გაჩხუბებთ?
— შემორჩენილ გერმანელებს ვხოცავთ!

ჯრნალის საკანონიერო

„ეზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მთავრობა იძულებული გახდა, ამ ზომებისთვის მიემართა, რადგან ტყეში თავისუფლად მოსეირნე კატები, იშვიათი ჯიშის ფრინველებს ანადგურებდნენ.
2. ამ ფრინველის ხმიანობა, სწორედ, ამ სახელს მოგაგონებთ.
3. ათი.
4. კუს კვერცხებიდან გამოჩეკილი პატარების სქესს, ტემპერატურა განსაზღვრავს. მაღალ ტემპერატურაზე, მდედრობითი სქესის კუები იჩეკებიან, დაბალ ტემპერატურაზე — მამრობითი.
5. ეს გახლდათ ზღაპრული სიმდიდრით განთქმული, არარსებული ქვეყანა, რომელსაც ესპანელი კონკისტადორები ამერიკაში ეძებდნენ.
6. ნილს ბორი.
7. ალექსანდრე დიუმა უფროსი.
8. დამცირების მიზნით.
9. უოლტერ სკოტი.
10. ოტია იოსელიანი.
11. ერთი და ადამიანის სიცოცხლის ძაფს ართავდა, მეორე — ახვევდა, მესამე კი — ჭრიდა.
12. ესპანელები თავიანთ შვილებს რამდენიმე სახელს იმიტომ არქმევდნენ, რომ სიკვდილს თავგზა არეოდა და მათთვის ვეღარ მიეკვლია.
13. „ბელინსკის“ 10-ში ნიაზ დიასამიძე ცხოვრობდა, 25-ში — ქართლოს კასრაძე.

veluri wablis xeivani

ზაზა ვაჩნაძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-28

ამერიკაში თითქმის 15 წლის წინ წასული არქიტექტორი ნიკა ბერიძე თბილისში დაბრუნების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტს, სამშობლოში დარჩეს და ბიზნესსაქმიანობას მიჰყოს ხელი. მისი 13 წლის ქალიშვილის, თეონას დედა — ნატო უძრავი ქონების ფირმაში მუშაობს და თბილისის სიახლოვეს დიდი ნაკვეთის შეძენაში ეხმარება. ნიკა უკვე ოფისსაც ხსნის და აქტიური მუშაობისთვის ემზადება. მანამდე კი, უმცროსი ძმა — ირაკლი თავის ბინაში წაიყვანს და ორ ნაშას გამოიძახებს. ორგია ერთობ წარუმატებელი გამოვა და ძმებს შორის ბზარის გაჩენის მიზეზადაც იქცევა...

როცა გოგოები წავიდნენ, ნიკამ ჩაიცვა და ძმასთან გავიდა. ირაკლის ზედ არ შეუხედავს. მაგიდასთან იჯდა და ნოუტ-ბუკის ეკრანზე რაღაც ჩამონათვალს ჩასცქეროდა.

— გაგიტყდა? — ჰკითხა ნიკამ.

— გამიტყდა, აბა, არ გამიტყდა? ნაშა დამაწერე!.. — უპასუხა ირაკლიმ.

— მე დაგაწერე? — გულწრფელად გაიკვირვა ნიკამ.

— აბა, ვინ?! — ხელები გაშალა ირაკლიმ.

— რომელზე ამბობ? — დაინტერესდა ნიკა.

— დეაზე, თორემ, იმ მეორეზე მე გული ამერეოდა, — დაიჭყანა ირაკლი.

— ჰო-ო? რაღაცას ხომ არ ახურებ, ირაკლი?! — მაგრად გაუტყდა ნიკას.

— მე ვახურებ თუ შენ?! ვერ გავიგე, რა საქმეს მირჩევ? — მიაშტერდა ძმას ირაკლი.

— ეგ რა შუაშია?! მაინტერესებდა, ხომ არ ეწყინა-მეთქი. მით უმეტეს, თუ შენ არ დაგეკასა, მე დამევასა და გავუიმე.

— თუ იმან გაგუიმა?.. კაი, რა! — ხელი ჩაიქნია ირაკლიმ.

ნიკამ სიგარეტს მოუკიდა.

— ჰო, კაი, როგორც იყო. მაგრამ დეასთვის ხომ ხელი არ დამიკარებია. ვერ გავიგე, რას მაბრალებ...

ნიკა, რა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ — უნდოდა თუ არა — ირაკლი რომ ხახამშრალი დარჩა, მისი ბრალი იყო და ეს ლაპარაკიც იმიტომ წამოიწყო, როგორმე, ძმის წყენა გაენეიტრალებინა. პირიქით კი გამოუვიდა. ირაკლი „მაგარ გატეხილში“ ჩანდა და ეტყობოდა, რომ ნიკასგან უფრო „გაუტყდა“, ვიდრე იმ „თავისი“ დეასგან.

— შენ ალბათ, გაუიმული გყავს, არა, ეგ დეა? — არ იცოდა, უნდა დაესვა თუ არა ეს შეკითხვა, მაგრამ თავისდა უნებურად წამოსცდა ნიკას.

— მარტო მე? ალბათ, ნახევარ თბილისს...

— მაშ, რაღას იბოღმები?

— შენ იცი, ვინ არი ეგ ჩათლახი? რა დონის „კრისაა“, იცი?..

— არ ვიცი. ან საიდან უნდა ვიცოდე?! — გაუკვირდა ნიკას.

— შენ ძალიან ბევრი რამე არ იცი, ნიკა... — ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— რას გულისხმობ? — ვერ მიუხვდა ნიკა.

— რას და, როგორც მე ვატყობ, შენ ამ დროში არ უნდა ცხოვრობდე, — უთხრა ირაკლიმ. თან გააბოლა და კვამლი ხელით გაფანტა.

— არა, მართლა, — გაეცინა ნიკას.

— ნუ იცინი! — სერიოზულად თქვა ირაკლიმ. — შენ რა გგონია, რატომ არ მომცა?.. შენ გგონია, მართლაც, შენ დაევასე და იმიტომ?.. მიპასუხე!

— რა გიპასუხო?.. არა, მართლა, მე დავევასე და იმიტომ-მეთქი?.. რისი თქმა გინდა, მითხარი, ბოლო-ბოლო და მოვრჩეთ ამ ბაზარს!.. — ცოტა ხმას აუწია ნიკამ.

— რომ ვიცოდე, გეტყოდი, მაგრამ მეც არ ვიცი, ვერ...

— ეგ „ვერ“ რას ნიშნავს — „მერე გაიგებ“?.. თქვი, რას ბლანდავ, გამაგებინე! — დაიღალა ნიკა.

— რას ნიშნავს და, ან მე ამიყვანა „მუშკაზე“, ან — შენ. უფრო — შენ. მე ისედაც გაშიფრული ვარ და ყველამ იცის, ვინცა ვარ და რასაც ვაკეთებ. თუმცა, ვიღაცას ჩემი ჩაძირვაც შეიძლება უნდოდეს. ჰო, ეგ ჩათლახი ადრე უცხოელებზე აგროვებდა „სვოდკებს“. რამდენჯერმე ჩვენც გამოვიყენეთ, მაგრამ მერე დაგვეკარგა. ალბათ, სხვები მეტს უხდიდნენ და არც ჩვენ შეგვიწუხებია მაინცდამაინც. მოგეხსენება, პიარი მთელ ქალაქს სჭირდება და კლიენტი არ გვაკლია.

— რაღას დაპატიჟე, მერე?!

— აბა, ისე გამეშვი?.. ხომ ნახე, ყველამ უარი მითხრა. თან, ვიცოდი, რომ მაგარი ნაშა იყო. ამას იმიტომ გეუბნები, რომ იცოდე, ჰო — მაგარი „დაქსელილია“ ქალაქი! შენ კიდევ, საქმის წამოწყებას აპირებ. ფრთხილად უნდა იყო, ძმაო, ფრთხილად. საერთოდ, წარმოიდგენდი ოდესმე, რომ მურაზ ლეშკაშელის შვილს გაჟიმავდი? წარმოიდგენდი?!. ჰოდა, ვინ იცის, სად წამოჰკრავს ქვას ფეხს კაცი?!.

იმ საღამოს, ნიკა ველარ დარჩა ძმასთან. დაელექა რაღაც არასასიამოვნოდ გულში. სახლში წავიდა.

„ეს სულ სხვა სამყაროა. ეს არ არის ამერიკა“... — დიდხანს უტრიალებდა ეს მარტივი ფრაზა თავში.

მეორე დილას, ნიკა ჩვეულებრივზე გვიან ადგა, მთლად გამოფიტული იყო, გამოცარიელებული, თან, წინა დღის პერიპეტიების გამო, მაინდამაინც კარგ ხასიათზეც ვერ იყო. სამზარეულოში მხოლოდ თეონა დახვდა. ნიკამ სიგარეტი და სანთებელა მაგიდაზე დადო და სკამზე ჩამოვჯდა.

— ადექი, შვილო? დაგისხა ჩაი? — შეეკითხა თეონა.

— შენ რა?.. — გაუკვირდა ნიკას.

— ელისო ვარ... როგორ გეძინა, შვილო? — ჰკითხა ისევ თეონამ.

— კარგად, კარგად... ელისო, — აჰყვა ბავშვს ნიკა.

— აბა, საათზე დაიხედე, რომელია? ელისო ავადმყოფთანაა, ვერიკო — ინსტიტუტში... მურაბით თუ ლიმონით? ლიმონი ძალიან სასარგებლოა, — თქვა თეონამ.

— მართლა, ბებო? არ ვიცოდი... — თქვა ნიკამ.

— აი, ეგ სიგარეტი, რომელსაც თავს არ ანებებ, დამღუპველია. კაცს იმის ნებისყოფა არ უნდა ჰქონდეს, რომ ეს მავნე ჩვევა მოიშოროს და ეს შხამი, რომელიც ორგანიზმს წამლავს, გადააგდოს?! — ისევ ბებოს ჰბაძავდა თეონა.

— იცი, შენგან შეიძლება, მართლაც, დადგეს ერთი „კაი ელისო“... — უთხრა ნიკამ.

— კარგი, როცა გავიზრდები და ოთხმოცს გადავაბიჯებ, მეც „ელისო“ გამოვალ... — გაიცინა თეონამ.

— და ორი ელისო გვყოლება? — გაიკვირვა ნიკამ.

— რა ჭკვიანი ხარ! ჰო, როცა ოთხმოცის გავხდები, ელისო ორასი წლის იქნება, ხომ?!. მე თუ ექიმი გავხდები, აუცილებლად გამოვიგონებ უკვდავების წამალს.

— ეჰ, თეონა, ამას იმიტომ ამბობ, რომ ცამეტის ხარ. ცოტა ხნის შემდეგ კი, სიცოცხლე ისეთი ლამაზი აღარ მოგეჩვენება, როგორიც დღეს გგონია და უკვდავების წამალზე ფიქრსაც თავს დაანებებ.

კარზე ზარი დაირეკა.

— ბებიკუნა მოვიდა, ბებიკუნა მოვიდა!.. — გაიქცა კარის გასაღებად თეონა.

რეზი შემოვიდა. მხარზე ხელი დაჰკრა ნიკას:

— კარგ დროს მოვსულვარ: დაგიჭირე სახლში.

— მე დღეს ელისო ვარ, ჩაის ხომ მიირთმევთ? — ჰკითხა რეზის თეონამ.

— ჩამოასხი. ხომ გახსოვს, მაგარი მიყვარს.

— ვიცი, ვიცი, — გაუხარდა თეონას. — ერთი წუთით, ჩანთას ჩავალაგებ და სანამ ეს ადუღდება, მოვალ, — ანიშნა ჩაიდანზე თეონამ და გავიდა.

— შენზე მითხრეს, ოფისი გახსნიო, მართალია? — ჰკითხა რეზიმ ნიკას.

— ჰო, ოფისი კი გავხსენი, მაგრამ ჯერ მთლად „ჩამოყალიბებული“ არა ვარ... — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— შენ ისე აწვები, არც მაგისთვის დაგჭირდება ალბათ, ბევრი დრო, — თქვა რეზიმ.

— მეც მასე ვფიქრობ, — მიუგო ნიკამ.

— არ გაგიკვირდეს, მაგრად მაინტერესებს, რას აპირებ, — უთხრა რეზიმ.

— არც მიკვირს, პირიქით. საბოლოო ჯამში, მშენებლობას ვაპირებ, მაგრამ მანამდე, საპროექტო მჭირდება და რაღაც-რაღაცებში კარგად მინდა ჩავიხედო, — თქვა ნიკამ.

— მშენებლობა? შენ ეგ გამოგივა. მაგარი მომგებიანია, ერთი-ერთში ამოდისო, ამბობენ. ისე, დიდი თავი და მაგარი ჩალიჩიც უნდა... მაგრამ შენ თავიდანვე, მიდრეკილება გქონდა. ბოლო-ბოლო, არქიტექტორი ხარ, სხვას რომ თავი დავანებოთ... მე, მე „ცეხავიკი“ ვიყავი მუდამ. ვშოულობდი კიდეც ფულს, როცა სხვები ვერც ტოკდებოდნენ. სამკერვალო რომ მქონდა, ცოტა ფულს ვშოულობდი, გგონია?! გორში რომ ბამბეულის კომბინატი არ მიკეტილიყო, დღესაც კარგად ვიქნებოდი. გაქრა, ბიჭო, ძაფი, იცი, როგორ გაძვირდა?! ყველა „ცეხავიკი“ მოკვდა, ტო, დაიხოცნენ!.. კომუნისტების დროს, მატყლში რო ჰქონდათ ხელი... შინ მუთაქები რო ედოთ, ფულით დატენილი, — დაიხოცნენ!.. ჰო. მშენებლობა, არა?.. კარგად მოგიფიქრებია. ზედგამოჭრილია შენზე. არ შეეშვა, მაგაში ნაღდად უნდა გაგიმართლოს. დაიწყე და მერე საქმე გიჩვენებს, თვითონ, — დაასრულა მონოლოგი რეზიმ.

— ვიცი, რეზი, მაგრამ არ იცი, ამ ქალაქში მარტო ფული და საქმის ცოდნა რომ არაფერს ნიშნავს?!. — სინანულით ჩაილაპარაკა ნიკამ.

— ჰო-ო, შავები, თეთრები, წითლები, „კრიშები“... უმაგათოდ თითს ვერ გაატოკებ. ამ ბოლო დროს, ბევრს ისეთსაც ჩაყვინთვინეს, თავის დროზე, მილიონებს რო „ჭრიდა“. დათო გახსოვს, მგელაძე? გახსოვს, რა „ქეშის“ პატრონი იყო?.. იცი, რა ვალები დაიდო?! თავისი სახლი ხო გაყიდა! ძმის სახლიც გაყიდა... მეგონა, ვეღარ ამოყვინთავდა — მორჩა... ეგ ხომ სულ მთავრობის ხალხში ტრიალებდა ადრე, არა?.. ჰოდა, არ ვიცი, რა იჩალიჩა — სადღაც საბურთალოზე, პატარა ოთხსართულიანი კორპუსი ჩადგა და გამოძვრა მაინც ბოლოს, ბიჭი. თავისთვის ხომ აიშენა! მერე, ძმასაც აუშენა ბინა.

— სუფთად უნდა იმუშაოს კაცმა... — თქვა ნიკამ.

— თუ გამუშავეს, კი... ისე, ოჯახურ ბიზნესზე რას იტყოდი? — შეაპარა რეზიმ.

— რას გულისხმობ? — ვერ მიუხვდა ნიკა.

— თუ გამოგივიდა, რაც ჩაიფიქრე, მეც რომ ჩამრთო რამეში... რასაც მოვერევი, რომ დამასაქმო, რა ვიცი... — ამოღერღა რეზიმ.

— დაგასაქმო? კაი, რა, რეზი, გაგეგება, რო რამე ან მშენებლობის, ან პროექტირების?.. ჯერ არ ვიცი, არა, როდის რა იქნება. ჯერ მარტო ოფისი მაქვს, არა?.. საპროექტო საქმე უნდა დავძრა ჯერ... ჯერ დარაჯიც კი არ მჭირდება... — ხელი აუქნია ნიკამ.

— დარაჯი? — მაგრად ეწყინა უფროს ძმას. — შენ, ბიჭო, ვინ გგონივარ?! არ გავცხე შენს საპროექტოს, თავის ინჟინრებიანად?! თქვენი იყოს, ძმაო, ეს ქვეყანა, ვინც დაგაყვედროთ!.. გაირჭეთ ერთ ადგილზე, თავის მთაგორებიანად, თუ შეგეტევათ! — მიაგდო სიგარეტის კოლოფი გაკვირვებულ ნიკას რეზიმ და სახლიდან გავარდა.

— რეზი ბიძია ისევ გაიქცა? — იკითხა სამზარეულოში შემოსულმა თეონამ.

— რას ნიშნავს, თეონა — რეზი ბიძია ისევ გაიქცა? — არ მოეწონა მისი ნათქვამი ნიკას.

— მაპატიე, მამა, ეგ ყოველთვის ასე გარბის სახლიდან და იმიტომ ვთქვი, — მოუბოდიშა თეონამ.

ნიკა მიუახლოვდა და თეონას ლოყაზე აკოცა.

— თავისი ბრალი არ არის... მეც გაქცეული ვიყავი, მეც მაბრალებს ალბათ, და იქნებ, მართალიც არის... ნუ განსჯითო, — ასე არ წერია „ბიბლიაში“? შენ ხომ კარგად იცი „ბიბლია“? იცი, რაც მე წასული ვიყავი, ძალიან შეცვლილა აქ ხალხი... რეზიც შეცვლილია მაგრად...

— მარტო ელისო არ არის შეცვლილი, ჰო?

ნიკას სახე გაუბრწყინდა.

— მართალია, ყოჩაღ. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, — თქვა მან და ჩაი მოხვრიპა. — ამ ჩაის ხვრეპას ვერ გადავეჩვიე ვერაფრით.

კარზე ზარის ხმა გაისმა. თეონამ კარი გააღო. ანი აღმოჩნდა. სამზარეულოში შევიდა. ჩანთა მაგიდაზე დადო და ჩამოჯდა.

— დავიღალე. შეიძლება, ამ საგიჟეთში მუშაობა, ნიკა?!

— მაგაზე, მუშაობას რომ დავიწყებ, მერე გიპასუხებ, — უთხრა ნიკამ.

— როდის იწყებ? არ გინდა, მაგარი რეკლამა გაგიკეთო? ხვალვე შემიძლია, ჩაწერაზე წაგიყვანო, — შესთავაზა ანიმ.

— რა-ა? და რაზე უნდა ვილაპარაკო? ზოგიერთებივით, წინასწარ ვიტრაბახო? რისი თქმა იცი ხოლმე! შენ სადა ბანაობ?! უნდა მოგხვეტოთ ყველა ჟურნალისტი კაცმა და მტკვარში „გაბანაოთ“... ამერიკაში ვუყურებდი შენს გადაცემებს და თმა ყალყზე მიდგებოდა — რას აღარ როშავდით შენ და შენი რესპონდენტები!.. ჰო, ყველაფერს, გარდა იმისა, რაც უნდა გეთქვათ.

— თუ არ გინდა, გენაცვალე... — მაგრად „გაუტყდა“ ანის.

— მინდა?.. ჯერ სკამზე არ დავმჯდარვარ ოფისში. წარმოდგენა არა მაქვს, რა კლდე უნდა ვანგრიო — გრანიტის, მარმარილოსი თუ ტუფის ქვის და შენ კიდევ მოდიხარ და მეუბნები — წამო, რეკლამა უნდა გაგიკეთოო! თუ პოდიუმზე გინდა გამიყვანო, ეგ სხვაა...

— ბოდიში, გენაცვალე, ბოდიში! აღარ შეგაწუხებთ... — ტუჩი აიბზუა ანიმ.

— იცი, რა მგონია?.. თითქოს ვიღაცამ სპეციალურად აურ-დაურია ეს ქვეყანა, ასე ამოზილა და ყველაზე დიდი კოვზი სწორედ თქვენ გეჭირათ, ჟურნალისტებს, როცა ზელდნენ... არის ასე? თუ — არა? გამოსირეულები და გამოქლიავებულები ხართ ყველანი! ჯერ რეზიმ მომშხამა და ახლა, შენს სიტუტუცეს უნდა ვუგდო ყური?! — აღარ გაჩერდა ნიკა.

— კი, აბა, ბიჭო! შორიდან ყურება და კრიტიკა ადვილია. შენ რომ იქ თბილ ლოგინში გორაობდი, ჩვენ აქ სამ-სამი საბანი გვეფარა და რევოლუციებსა და ომებს ვაშუქებდით... თქვენგან არ გადმოვიღეთ, ეს პრეზენტაციებია, ა-ლა-ფურშეტებია თუ შოუებია?! იქაურ ჟურნალისტებს ტვინი გადმოსდით, არა, გარეთ? სულ შადრევანივით ასხამს!.. ერთი ნეხვია, მე თუ მკითხავ, ყველგან დაყრილი და ჩვენც იმ ნეხვში ვიქექებით და ისინიც...

— ანი, ჯერ თანამშრომლებიც კი არ ამიყვანია. ჯერ მხოლოდ ოფისი ავიღე და მინას ვყიდულობ, რომლის საბუთებსაც ვაგროვებ, არა?! ვთქვათ, წამოვედი და დავჯექი იმ ეთერში, რაზე უნდა ვილაპარაკო?

— მინას ყიდულობ? რა მინას ყიდულობ? სად? ახალი ამბავი... — გაუკვირდა ანის.

— საიდანაც ჩვენი გვარი მოდის. მამაპაპეულ მინას ვყიდულობ, ერთ დროს ჩვენი რომ იყო...

— ქართლში?

— ჰო!

— დაგლიჯა! რამხელაა?

— ოთხმოც ჰექტარამდეა.

— ამხელაა, თანაც?! შენ არ ხუმრობ! და, რა უნდა უყო მაგ მიწას, უნდა აყავავო? — ირონია გაერია ანის ხმაში.

— ჯერ არ ვიცი, უნდა მოვიფიქრო, — თქვა ნიკამ.

— შე საწყალო! მე შენ ბევრად ჭკვიანი მეგონე, ჩემო ნიკა, ბევრად, — თვალებში

უყურებდა ძმას ანი.

— მართლა? — ეწყინა ნიკას.

— რა უნდა უყო, ბიჭო, ქართლში მიწას, როცა გლეხებს თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებისთვის ვერ მოუვლიათ?! მაგრად დაუგოიმებიხარ ვიღაცას, ძალიან მაგრად.

— ჰო, არა?! შენ კიდევ, აი, ამწუთასაც დამიმტკიცე, რომ ტყემალზე ზიხარ, თან — ძალიან მყარად. შენ იცი, ბიზნესში საერთოდ, მიწის ბიზნესი რომელ ადგილზეა? მიპასუხე, აბა, ჟურნალისტო, იცი?

— არა, არ ვიცი, — ისევ ირონიულად უპასუხა ანიმ.

— ჰოდა, კარგი იქნებოდა, რომ გცოდნოდა, გამოგადგებოდა რამეში. მეოთხეზეა, მეოთხეზე! ჰო-ო, ძვირფასი მეტალების, მხატვრობის და ნუმიზმატიკის შემდეგ, მიწა მოდის. ყველა შეხლა-შემოხლა და ომი მიწის გამო არ იყო? ჯერ როდიდან! ამერიკელ მილიონერთა ოთხმოცი პროცენტი მიწებზე გამდიდრდა... — გამოამყღავნა მიწის ბიზნესის საკითხებში თავისი ცოდნა ნიკამ.

— შეადარე, რა, შენც ამერიკა და საქართველო ერთმანეთს!.. — გაეცინა ანის.

— ჰო, ჯერ ვერ შეადარებ, — დაუდასტურა ნიკამ.

— და ვერც ვერასოდეს, — დარწმუნებით თქვა ანიმ.

— ვინ იცის? ვინმე იფიქრებდა, რომ იაპონია ამერიკას დაეწეოდა და გაუსწრებდა?! — თქვა ნიკამ.

— იცი, რა, ჩემო ნიკა?.. შენ ეტყობა, იმ ამერიკამ ტვინი ცოტა სხვა მხარეს გადაგიტრიალა... თუმცა, შენ ბავშვობაშიც რომანტიკოსი იყავი. ჩემი რჩევა იქნება, თუ ჯერ ფული არ მიგიცია — ჰო, ჰო, — ტყუილად ნუ გადაყრი, მაგ ქვა-ღორღში, გაიგე? თუ ეგ შენი ნოსტალგია, მარტო თბილისზე კი არა, მამაპაპეულ მიწის ყივილზეც დაგემართა?

— კაი, კაი... როგორ ამბობს კარნეგი?.. არ არსებობს კამათში გამარჯვებული მხარე. იმიტომ რომ, ყველა მაინც თავის აზრზე რჩება. შენ რომ დასხამ ხოლმე და აპაექრებ შენს უვიცრესპონდენტებს, ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ვინმე გადაერწმუნებინოს?.. ჰოდა, წავედი მე ახლა ოფისში და საქმეს მივხედოთ... — ნიკამ ბოლო ლუკმა გადაყლაპა, ხელსახოცით ტუჩები მოიწმინდა, წამოავლო სიგარეტის კოლოფს ხელი და წამოდგა.

ნიკა დროს არ კარგავდა. მთელი თავისი შემოქმედებითი რესურსები მოიშველია და საქმეს შეუდგა. ზოგი ძველი მეგობარი მოინახულა, ზოგსაც ტელეფონით ელაპარაკა. ყველაფერი აინტერესებდა, რაც კი არქიტექტურასა და მშენებლობას შეეხებოდა: ფასები, ქალაქდაგეგმარება, განაშენიანების გეგმა. ყველაფერი, ყველაფერი, რაც კი მომავალ საქმიანობაში უნდა გამოსდგომოდა. ძველსა და ახალს ერთმანეთს ადარებდა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სწორ გზაზე იდგა.

ახლაც, თავის ოფისში ჩაკეტილიყო და თბილისს უბან-უბან სწავლობდა. თან დროდადრო, ქუჩას გაჰყურებდა და კომპიუტერისგან დაღლილ თვალებს ასვენებდა. ყველაზე მეტად დედაქალაქში, ახალ სამშენებლო უბნებზე მიჯრით „მიყრილი“ კოშკურა თუ ჩვეულებრივი მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობამ განაცვიფრა. არავითარი ქარგამტარიანობა, წყალგამტარიანობა თუ სხვა საპროექტო ნორმები არამცთუ დაცული, პირიქით — ეს ელემენტარული თუ აუცილებელი პირობები იმდენად იყო დარღვეული, რომ — მომავალ საზოგადოებას აუცილებლად მოუწევს ამ ყველაფრის დანგრევა და მიწასთან გასწორება, მერე კი, ყოველივეს თავიდან დაწყება, — ფიქრობდა ნიკა...

ბესომ დაურეკა და რომ გაიგო, ნიკა ოფისში იყო, — კი არ მოვდივარ, მოვქრივარო, — უთხრა.

— გელოდები, მაშ, ბესო. აღარ დააგვიანო... ჰო, სანამ არ მოხვალ, არსად გავალ, — უთხრა ნიკამ და ყურმილი დადო.

კედლის საათმა, რომელიც ნიკამ საგანგებოდ ოფისისთვის „მშრალი ხიდის“ ბაზრობაზე შეიძინა, რეკვით პირველი საათის დადგომა აუწყა და ნატოც გამოჩნდა, თავისი განუყრელი საქაღალდით ხელში.

— ოჰო, აი, მესმის სიზუსტე! — გაუკვირდა ნიკას. — შენ რა, კანტის ბიძაშვილი ხარ?

— დღეს კლიენტებთან სხვანაირად ვერ იმუშავებ. დრო — ფულია, ძმაო, ფული! არც სხვა უნდა ალოდინო და არც შენ უნდა დალოდო, — თქვა ნატომ.

— ჰო, აქაც მაგრად „შემოსულა“ უცხოეთი. თქვენ, ყოველდღიურობაში, ალბათ, ვერც ამჩნევთ, — თქვა ნიკამ.

ნატომ საქაღალდიდან საბუთები ამოიღო და ნიკას წინ დაუდო.

— აი, შეგიძლია ნახო, ყველა საბუთი წესრიგშია. ეს ასლებია, რომ გაეცნო. მიწის კადასტრის ხალხიც კი ჩავაყენე საქმის კურსში, რომ მერე, რაიმე გაუგებრობა არ ყოფილიყო. იცი, ვინ მუშაობს იქ? ნური არევაძე, ხომ გახსოვს?

— კი, როგორ, არა. ძალიან კარგი. ყველაფერში გენდობი. ჩემგან რა არის კიდევ საჭირო?

— დარჩა მხოლოდ ფულის გადარიცხვა, მეტი არაფერი. ფული ანგარიშზე რომ დაჯდება, ნოტარიუსი დამოწმებაღა იქნება საჭირო. დაარტყამს ნოტარიუსი ბეჭედს და ამით დამთავრდება, — მოახსენა ნატომ.

— სულ ეგაა? ეტყობა, გაუიოლებია აქაურ ბიუროკრატიას ბევრი რამე. არ მეგონა, ასე ადვილად თუ მომთავრდებოდა ყველაფერი... ორ-სამ საათში, ნებისმიერ ანგარიშზე დაგისვამ ფულს, — დაჰპირდა ნატოს ნიკა.

— მაშინ, ჩათვალე, რომ მიწა შენია. მხოლოდ რეესტრის აღება დარჩება, რასაც წინ ვეღარაფერი დაუდგება. მოგვცემს ჩვენი ნური რეესტრს და მიწა შენს საკუთრებაში გადმოვა, — თქვა ნატომ და ჩანთაში სიგარეტის კოლოფს დაუწყო ძებნა. ნიკა მიუხვდა და თავისი „ქემელი“ შესთავაზა.

— ამას ხომ არ მოსწევ?

— სიამოვნებით.

ნიკამ მოუკიდა და ნატომ ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— რას შვრები, მასე ხომ გაიგლეჯ ფილტვებს! — შენიშვნა მისცა ნიკამ.

— მე სხვანაირად არ შემიძლია. მე სულ ასე ვწევი, — თქვა ნატომ.

— ახლა, რაც ყველაზე მეტად გაინტერესებს შენ და ალბათ — მეც, — თქვა ნიკამ. — შენი რამდენია?

ნატო ოდნავ ანერვიულდა.

— ნუ ნერვიულობ, თქვი, — გაამხნევა ნიკამ.

— საერთოდ, სამი პროცენტი, მაგრამ როგორც თანაკლასელი, ორზეც თანახმა ვარ, — თქვა ნატომ და ტუჩი მოიკვნიტა.

— არა, სამი. სამი იყოს... — უთხრა ნიკამ და პატარა პაუზის შემდეგ, დააყოლა: — მე მგონი, ათი ქმრის ალიმენტს მაინც ვიხდი ერთად, ხომ?..

— ბევრად მეტის, — თითქოს შვებით ამოისუნთქა ნატომ, რადგან ყველაზე უხერხული მომენტი გადალახა. — მართალი გითხრა, ასეთი თანხის გარიგებაზე არც მიოცნებია. თეონას უნდა ვუმადლოდე. არ არის, მაშ, მაღლა ღმერთი?! ბავშვს ხომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რამხელა საჩუქარი გამიკეთა. საკუთარ თავსაც... — დააყოლა ნატომ.

— ძალიან გიყვარს თეონა? — ჰკითხა ნიკამ.

— შენ როგორ გგონია? — იქით ჰკითხა ნატომ. — მაგან გამაძლებინა. ვერც წარმომიდგენია — ეგ რომ არა, რა უნდა მექნა, როგორ უნდა მეცხოვრა. შენ ხომ კარგად იცი, რომ დღემდე, ბევრი ასეთ ნაბიჯს ვერ დგამს. ჰო, ადვილია? ყველაფერს მიაფურთხო — ნათესავებს, ტრადიციებს, საზოგადოებას საერთოდ...

— რაზე ლაპარაკობ? — ვერ მიუხვდა ნიკა.

— უქმროდ შვილის გაჩენა, ტაბუირებულია დღემდე. რა, არა? — თქვა ნატომ.

— აზრადაც კი არ მომსვლია, თავშიც კი არ გამივლია... მართლა, ვისი გვარი აქვს თეონას? რა გვიან მომაფიქრდა!.. — თავი იმართლა ნიკამ.

— ჩემი. მენაბდეა, — თქვა ნატომ.

— გინდა, ჩემი გვარი მივცეთ? — შეეკითხა ნიკა.

— ახლა?! — გაუკვირდა ნატოს. — რაღა აზრი აქვს? საცაა, გათხოვდება და ქმრის გვარზე გადავა. თეონა რომ ჩემს გვარზეა, ამას ჰქონდა თავისი დადებითი მხარე მარტოხელა დედობის დახმარებას ვიღებდი... — თქვა ნატომ.

— ჩემს გვარზე რომ ყოფილიყო, არ მოგცემდნენ? — იკითხა ნიკამ.

— არა, — თქვა ნატომ.

ნიკა ჩაფიქრდა. ნატოც.

— ნეტავ, ჩვენ ორში, რომელი უფრო ცოდვილია — მე თუ შენ? — იკითხა მცირე ხნის შემდეგ ნიკამ.

— ცოდვილი არ ვიცი და დამნაშავე ორივენი ვართ, — თქვა ნატომ და დასძინა: — შენ — ოდნავ მეტად...

— კაი, კაი, გავჩერდეთ, თორემ... ისედაც ძალიან შორს შევტოპეთ. რაც იყო — იყო, — ხელი ჩაიქნია ნიკამ.

— რაც იყო — იყო... შენთვის მაგის თქმა ადვილია, ახლა მე მკითხე!.. — ჩაილაპარაკა ნატომ. — არ მომიწია, მაგრამ, თეონას გულისთვის შემეძლო, ხელიც გამეშვირა ქუჩაში...

— აკი, არ მადანაშაულებდი?! — გაეცინა ნიკას. და მაშინვე დასძინა: — შენ შენი სილამაზე მაინც გადაგარჩენდა.

— რა-ს? — გადაიხარხარა ნატომ. — სილამაზე!.. ისეთი დრო იყო... სილამაზე!.. — ისევ გულიანად გაეცინა. — „გამოიზამთრე“ და ჩამობრძანდი, არა?!.

— იცინი, არა?! აბა, ის შაკო რომ გამაცანი?!. — ჰკითხა ნიკამ და სიცილი ტუჩებზე შეეყინა ნატოს.

— შაკო? — ნატო ოდნავ შეყოვნდა. — შენ ყოჩაღ, თავი რომ შეიკავე... იმან მიიღო მაგის გამო...

— ჰო-ო? ეგ — შენგან. ჩემგან ჯერ არ მიულია. მაშინ, შენ გამო შევიკავე თავი, — ფანჯრისკენ მიაბრუნა თავი ნიკამ.

— შენ რა?.. — არ მოეწონა ნატოს, ნიკას ნათქვამი.

— ჰო, თავი შევიკავე, კი არ ვაპატიე!.. — მკაცრად მიაქცერდა თვალებში ნიკა.

— ნუ მაშინებ! — უთხრა ნატომ.

ამ დროს, კარი გაიღო და ოფისში ბესო შემოვიდა. იმწამსვე იცნო ნატო.

— ვაი, ნატალია! შენ აქ რა გინდა, ე?! — ნატომ და ბესომ ერთმანეთი გადაკოცნეს. — აი, სიურპრიზი! შენ, როგორც ყოველთვის, ისევ ისეთი „სვეტსკი დამაჩკა“ ხარ! დაჯექი, დაჯექი, მე მაპატიეთ, ხომ არ შემოგეჭერით?

— პირიქით, — თქვა ნიკამ.

— ბესო, ბესო... მაგარი შეცვლილი ხარ, ბიჭო, ვერც გიცნობდი, ალბათ, — უყურებდა ნატო ბესოს და ეღიმებოდა.

— ე, ჩემო ნატო. „ბარაბანს“ არ მოხვედრია ალბათ, იმდენი, რაც მე ამ წლებში მომხვდა... — ხელი ჩაიქნია ბესომ.

— ჰო-ო?.. შენ ეგ არც იმ წლებში გაკლდა, როგორც მე მახსოვს... — გაეცინა ნატოს.

— ჰო-ო?.. — გაუხარდა ბესოს. — აბა, რა გახსოვს, დედას გაფიცებ, გაიხსენე, რა!

— რამდენიც გინდა, — თქვა ნატომ. — არ გახსოვს, მეათეში ზედაზენზე ექსკურსიაზე რომ ვიყავით და ვიღაც ბიჭებმა საათი მკითხეს? შენ რომ მოქანდი და მკითხე — შენგან რა უნდოდათო? — არაფერი, გეუბნები, საათი მკითხეს-მეთქი. — როგორ გაბედესო?! — და გადმოვიდა მთელი ავტობუსი... ერთი ორმოცი ბიჭი მაინც იყო... მახსოვს, მაგრად დაგალილავეს.

— მაშინ?! მაშინ გადავრჩი — კეტი ავიღე და კლდეს მივეყუდე ზურგით... ვერ მომეკარნენ ახლოს. შოთა იცემა მაშინ მაგრად, შამანაური. ჰო, ის გემოზე ზვიპეს. ჯერ რამხელა ცხვირი ჰქონდა და ორი იმხელა აჯდა მთელი კვირა!.. ნატო, ნატო... ნატალია... — უცქერდა და ეღიმებოდა ბესოს.

— სხვა? ცოლ-შვილი თუ გყავს? — შეეკითხა ნატო.

— ცოლ-შვილი?.. — „მაზოლზე“ დაადგეს ფეხი ბესოს. — ცოლ-შვილი მყავდა, კი. ახლაც მყავს, მაგრამ — გაშორებულები ვართ. ბავშვებს ვნახულობ, კვირაში ერთხელ... შაბათს ან კვირას... მე კი მინდა შვილები, მაგრამ იმათ უნდათ ჩემნაირი მამა?.. ვერც ამ ღმერთის გავიგე რამე... — ჩაილაპარაკა ბესომ. — არც მოსწიოო, არც დალიოო, არც დაწვეო, არც ადგეო... გამოვიხურე კარი და წამოვედი...

— მუშაობ სადმე? — ჰკითხა ნატომ, ხელში იაფფასიანი უფილტრო სიგარეტი რომ შენიშნა ბესოს.

— ვმუშაობ?.. ვინ გამუშავებს, თორემ, კი... — ხელი ჩაიქნია ბესომ. — წავედი აფხაზეთში, ვიომე... ჯარისკაცი თურმე, მარტო ომში სჭირდება მთავრობას, ამათი დედა რომ ვატირე!.. მერე? ე-ე! ცალი ფეხი იქითა მაქ, რა! მინდა, ამოვადგა, რა, რომ აქეთ ცხოვრებისკენ მოვტრიალდე, მაგრამ რა ვიცი, ტო, ვერაფრით ვერ ამომიწევია. მე მგონი, მაჯლაჯუნები მებლაუჭებიან უკვე ქვევიდან...

— ტვინში გყვანან შენ ეგ მაჯლაჯუნები, ტვინში!.. — გაეცინა ნიკას. — მე მაქვს შენთვის სამუშაო. წახვალ? ქალაქგარეთაა...

— ვინ ოხერი?! რატო არ წავალ? აქ რას ვაკეთებ, რო?! — ჩაიცინა ბესომ

— თვეში 250 დოლარი გეყოფა? — სერიოზულად ჰკითხა ნიკამ.

— რა ამბავია მაგდენი ფული?! რა უნდა ვაკეთო, რო? — დასერიოზულდა ბესო.

— არაფერი — ნაკვეთს უნდა მიხედო. იარაღი გექნება და უნდა უყარაულო იქაურობას.

— ნარგავებია რამე თუ?.. — დაინტერესდა ბესო.

— არა, მოსაპარავი ბევრი არაფერია. კარიერებია კირქვის. რამდენიმე შენობა დგას ძველი. ტყეა, ტყე იქ ძირითადში საყარაულო, რომ არ გაჩეხონ... მიწას დამუშავებ, რა ვიცი... დარგავ, დათესავ. თუ გინდა, იყოლიე შინაური, გარეული... რა ვიცი — ძაღლი, ღორი, ძროხა. ბუნებაში იქნები, ცოტას დამშვიდდები, დაწყნარდები... — აკვირდებოდა ბესოს ნიკა.

— ტყე რამხელაა, რო? — იკითხა ბესომ. — დიდია?

— ოთხმოცი ჰექტარია, — უთხრა ნიკამ.

— ოთხმოცი ჰექტარი?! მივდივარ. ფულს ვინ გადამიხდის? — აჩქარდა ბესო.

— მე, — უთხრა ნიკამ.

— შენია? — ჰკითხა ბესომ.

— კი. ვიყიდე. აი, შენ ერთი თვის ხელფასი, წინასწარ, — მაგიდაზე დაუდო ნიკამ ფული ბესოს. — ეს ორმოცდაათიც — პრემია. აიღე, ნუ გერიდება.

ბესომ გაუბედავად მოჰკიდა ფულს ხელი, ფრთხილად გაკეცა და გულის ჯიბეში ჩაიდო.

— უკვე პრემიაც დავიმსახურე?!. — უხაროდა ბესოს. — რას აღარ მოვედე, სად აღარ ვიმუშავე და ფულს არავინ მაძლევდა. ერთხელ, „სანტექნიკებთან“ ვმუშაობდი. სანამ არ ვცემდით იმ ჩვენს პატრონს, მანამ ფულს არ იძლეოდა... აქ ხელი არ გამიტოკებია და პრემიაც დავირტყი... როდის მივდივარ? — ორივეს შეხედა ბესომ.

— დამირეკე ხვალ და შეგახვედრებ კაცს, ვინც უნდა წაგიყვანოს, — უთხრა ნიკამ.

— ნიკა, შენ არ იფიქრო... — სახეში მიაჩერდა ნიკას ბესო. — მე იქ სალოთაოს არ გავხსნი...

— რა სალოთაოს? მარტო უნდა იყო, ბიჭო, ცხრა კილომეტრშია იქიდან სოფლები! მგლებთან თუ დალევ — დაჯექი და სვი, სანამ არ მოგბეზრდება... — გაეცინა ნიკას.

— დალევა არ მოუნდეს ადამიანს, თორემ, მგლებთანაც დალევს... — თქვა ბესომ და იმასაც გაეცინა.

— მაგარი მოსასმენია თქვენი ლაპარაკი, — გაეცინა ნატოსაც. — საშენო სამსახური იშოვე, ბესარიონ, რას იტყვი?

— ბესარიონი აღარ დამიძახო, იცოდე! სად გაიხსენა?!. ვცოფდებოდი, ბესარიონს რომ მეძახდნენ... ხომ შეიძლება, რომ ახლა დაგტოვოთ? — წამოდგა ბესო. — ნატოს ხელზე ვეამბოროთ. — აკოცა და ნიკას გაუწოდა ხელი. — სხვები არ ვიცი და, ჩემს გადასარჩენად ჩამოსულხარ, ნიკა... — უეცრად გაჩუმდა. რაღაცის თქმა უნდოდა და განაგრძო: — ძმაო, მინდოდა მეთქვა და ვერა ვთქვი: რა ყოფილა სამსახური!.. აბა, გკოცნით და — დიდი მადლობა! ნახვამდის.

— დილითვე დამირეკე! — უთხრა ნიკამ.

— კარგი, — უთხრა გახარებულმა ბესომ და კარი გაიხურა.

— მეც მეჩქარება, — თქვა ნატომ. — თეონას კაფეში წაყვანას შევპირდი. ჩვენი შერიგების და გარიგების ამბავი უნდა აღვნიშნოთ...

— უჩემოდ? სხვა დროს არ გამომტოვოთ, — უთხრა ნიკამ.

— თუ კარგად მოიქცევი, არ გამოგტოვებთ... — რატომღაც ჩაფიქრდა ნატო.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა ნიკამ.

— იმ პატარა ინციდენტს, რომელიც ჩემთან მოხდა... — მაინც გაახსენა ნატომ.

— მაპატიე, მაგრამ ვერ დაგპირდები... — თქვა ნიკამ.

— სანწყენია. ჩათვალე, რომ მილიონი მადლობა გადაგიხადე, — თქვა ნატომ და წამოდგა.

— რომლებიც თეონას უფრო ეკუთვნის... ჩემ მაგიერ აკოცე, — უთხრა ნიკამ.

ნატო დაეშვიდობა და გავიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თანდაყოლილი ანომალიები

რა ფაქტორები შეიძლება გახდეს ბავშვის განვითარების შეფერხების მიზეზი და რას უნდა მიაქციონ ყურადღება დედებმა შვილის ჩვილობის პერიოდში, რათა ესოდენ ფართოდ გავრცელებულ თანდაყოლილ ანომალიებს აარიდონ თავი?.. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შედგენილ დაავადებათა რიგში შედის: ნერვული სისტემის, თვალის, ყურის, სახისა და კისრის ფუნქციების დარღვევები, ტუჩისა და სასის ნაპრალების ანომალიები (ე.წ. „კურდღლის ტუჩი“ და „მგლის ხახა“), სისხლის მიმოქცევის, სუნთქვის ორგანოების, საჭმლის მომნელებელი, სასქესო ორგანოების დაავადებები.

ნინო ჯავახიშვილი

დედებისთვის რჩევა-დარიგების მისაცემად, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ახალშობილთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორ ***იური მუჩაიძეს*** *მივმართეთ.*

— განსაკუთრებით საშიშია ნაყოფის დაზიანება ორსულობის პირველ მესამედში. რა შეიძლება გახდეს ამ დაზიანების მიზეზი? პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ მომავალი დედა არ დასნეულდეს ინფექციური დავადებებით: ჰერპესით, წითურით, ქლამიდიოზით, ასევე — ტუბერკულოზით, ათაშანგით... აღსანიშნავია, რომ იგივე წითურა მოზრდილებისთვის არ წარმოადგენს სერიოზულ საშიშროებას, მაგრამ ნაყოფს შეიძლება დაუზიანოს სმენა, მხედველობა, გამოიწვიოს ყრუმუნჯობა, გულის მანკი. ტოქსოპლაზმოზმამ (ერთ-ერთი ინფექციური დაავადება) შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური დარღვევა, გონებრივი და ფიზიკური ჩამორჩენილობა, ეპილეფსია და დაუნის სინდრომიც კი. მოკლედ შევეხები იმ ანომალიებს, რომლებიც უფრო ხშირად გვხვდება: პირველი — ეს არის კანის ანომალია, როდესაც კანზე, ვთქვათ, ზედა ტუჩზე ან წარბზე, ზოლის ფორმის ლაქები შეინიშნება. მშობლები ამის გამო ძალიან ნერვიულობენ, მაგრამ ეს შემაშფოთებელი არ არის. ერთი წლის შემდეგ, ლაქები თავისით გაქრება, მთავარია, ხელი არ ახლოთ. იგივე ითქმის გემანდიომაზე — სახეზე გაჩენილ წითურ ლაქებზე. თუ არ იზრდება, საშიში არ არის, თვითონვე გაქრება. მაგრამ თუ მისი ზრდა შეინიშნება, საჭიროა ქირურგიული ჩარევა. საკმაოდაა გავრცელებული ე.წ. „კურდღლის ტუჩი“, — როცა ახალშობილს ზედა ტუჩზე ჭრილი აქვს; ზომა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, ზოგჯერ ჭრილი იმდენად დიდია, რომ მთელი ტუჩის დეფორმირებას ახდენს. ასეთი დეფექტი უფრო ხშირად, ბიჭებში გვხვდება. როდესაც ახალშობილები „მგლის ხახით“ იბადებიან, მათ უჭირთ წოვა, ცუდად იმატებენ წონაში და მათ საჭმელს პიპეტით ან კოვზით აწვდიან. მოზრდილ ასაკში, საგრძნობლად ეცვლებათ ხმა, უჭირთ ლაპარაკი... ხშირია ასევე გულ-სისხლძარღვთა სისტემის ანომალია, თანდაყოლილი გულის მანკი, ასევე სასქესო ორგანოების ანომალია. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ე.წ. თიაქარი ყიფლიბანდზე. ასევე გვხვდება ყრუმუნჯობა, კოჭლობა, კუზი, განუვითარებელი მტევანი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ცერებრალურ დამბლაზე, რომელიც პერინატალური სამშობიარო ტრავმის გართულებას წარმოადგენს. ახალშობილი დამბლით არ იბადება. ეს დაავადება უფრო გვიან — 4, 5, 7 თვის ასაკში იჩენს თავს. ეს არის ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება. თუ დედას ორსულობის დროს ჰქონდა ჟანგბადის უკმარისობა, ანემია, გადაიტანა ინფექციური დაავადება ან ფსიქიკური ტრავმა, მაშინ ახალშობილსაც შეიძლება რაიმე გადახრა ჰქონდეს. უბრალოდ, უვიცი პედიატრი ვერ ამჩნევს ამ გადახრებს და მშობლებს ამშვიდებს — მერე რა, რომ ბავშვი თავს ვერ იჭერს, რომ რეაქციები არა აქვსო?! არადა, ერთი თვის ან თვე-ნახევრის ბავშვს მუცელზე რომ დააჭიროთ ხელი, თავს ზემოთ უნდა სწევდეს და თუ ამას ვერ ახერხებს, ცხვირს მაგიდას ურტყამს. არავის ვაშინებ, მაგრამ მას შესაძლოა, ცერებრალური დამბლა განუვითარდეს. ასეთ დროს, ძალზე მნიშვნელოვანია დროული დიაგნოსტიკა. ახალშობილს ესაჭიროება დახმარება. არ უნდა ველოდოთ, როდის გახდება 5 თვის. მშობლები კი, საუბედუროდ მშვიდად ელოდებიან ხოლმე. ვურჩევ მათ, რომ ერთ წლამდე, ყოველთვიურად გაასინჯონ ბავშვი ექიმს, რათა დროულად დადგინდეს, აქვს თუ არა ახალშობილს რაიმე გადახრა.

უფრო კონკრეტულად ცერებრალური დამბლის შესახებ ბავშვთა ნევროლოგიისა და ნევრორეაბილიტაციის ცენტრის დირექტორი, ექიმი-ნევროლოგი **ზაზა კაკუშაძე** *მოგვითხრობს:*

— ცერებრალური დამბლა ბავშვის მუცლად ყოფნის, ახალშობილობის ან ჩვილობის პერიოდში ვითარდება. ის სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ, თავის ტვინის დაზიანების შედეგს წარმოადგენს. ამ დაავადებას, ფიზიკურ შეზღუდულობასთან ერთად, გონებრივი პრობლემებიც ახასიათებს, თუმცა გონებრივი ჩამორჩენილობის, შეფერხების ხარისხი სხვადასხვა სიმძიმის შეიძლება იყოს.

— თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ იმ მიზეზებზე, რომლებიც ცერებრალურ დამბლას იწვევს.

— ცერებრალური დამბლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მოძრაობის დარღვევა, რომელიც სხვადასხვა ხარისხის უნარშეზღუდულობას იწვევს. ხშირად, მოძრაობის დარღვევასთან ერთად, შეინიშნება გონებრივი განვითარების შეფერხება და ეპილეფსია. ამ დაავადების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, ინფექციური დაავადებები მუცლად ყოფნის და ახალშობილობის პერიოდში, გენეტიკური დაავადებები და მშობიარობის დროს ჟანგბადის ნაკლებობა.

— რა ასაკში შეიძლება დაისვას ცერებრალური დამბლის დიაგნოზი და რამდენად მნიშვნელოვანია მკურნალობის შედეგის თვალსაზრისით, ადრეული დიაგნოსტიკა?

— რაც უფრო მძიმეა დაზიანება, მით ადრეულ ასაკში ჩნდება ნიშნები და ეჭვი იმისა, რომ შესაძლოა საქმე გვაქვს ამ დაავადებასთან. ახალშობილობის პერიოდში, როგორც წესი, დიაგნოზის დასმას ვერიდებით, რომ შეცდომა გამოვრიცხოთ. ვაკვირდებით ე.წ. ნეირომოტორული რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს. ეჭვის საფუძველი ჩნდება მაშინ, როდესაც ბავშვის ძირითადი მოტორული ფუნქციების ჩამოყალიბება გვიანდება. ბავშვი 6 თვის ასაკში დამოუკიდებლად უნდა ჯდებოდეს და თუ ამას 8 თვის ასაკშიც ვერ ახერხებს, აუცილებელია მკურნალობის დაწყება.

განსაკუთრებული ყურადღება მშობლებს პირველ თვეებში მართებთ. როცა ბავშვის სხეული მეტისმეტად დაჭიმულია ან პირიქით — ძლიერ მოდუნებული, აუცილებლად ექიმს უნდა მიმართონ. შეიძლება ეს მხოლოდ გარკვეულ სეგმენტებშიც აღენიშნებოდეს — ვთქვათ, მხოლოდ ხელებში, ფეხებში, ერთ ხელში ან ერთ ფეხში, ცალ მხარეს... ძალზე ყურადსაღებია თავის დაჭერის, მზერის ფიქსაციის უნარიც. თუ 2-3 თვის ბავშვი თავს ვერ იმაგრებს ან ერთი

თვის ასაკიდან (ზოგჯერ უფრო ადრეც) მზერას ვერ აფიქსირებს; უფრო მოგვიანებით, თვალს ვერ აყოლებს მოძრავ საგნებს; 4-5 თვის ასაკში ვერ ცნობს დედას და არ რეაგირებს მის ხმაზე; 3-4 თვიდან არ რეაგირებს სათამაშოებზე; თქვენი დახმარებით 8 თვიდან ვერ დგება ფეხზე, ერთი წლიდან კი დამოუკიდებლად — მშობელმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს.

— ახლა მკურნალობის მეთოდები გაგვაცანით.

— პირველ რიგში, მშობლებს თავიდანვე უნდა ავუხსნათ, რომ რაც არ უნდა ეფექტური იყოს მკურნალობა, გარკვეული კლინიკური მახასიათებლების აღმოფხვრა შეუძლებელია. ამიტომ, ძირითადად, ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალური ფუნქციური დამოუკიდებლობის მისაღწევად, იმისთვის, რომ ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვი მომავალში, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გახდეს და არ აღმოჩნდეს იზოლირებული. მკურნალობის დაწყებისას, უნდა დავსახოთ რეალური მიზნები და არ უნდა მოვექცეთ ილუზიების ტყვეობაში. თუ ვხედავთ, რომ ბავშვი დამოუკიდებლად სიარულს ვერ ახერხებს, მაშინ სხვა მიზანი უნდა დავისახოთ და დრო ამაოდ არ დავკარგოთ. მკურნალობისას, ყველაზე მნიშვნელოვანია ფიზიკური თერაპია (ძირითადი მოტორული ფუნქციების გაუმჯობესება), მეტყველებისა და ენის თერაპია და ე.წ. ოკუპაციური თერაპია. ოკუპაციური თერაპია საქართველოსთვის ახალი დარგია. ის პირველად, რამდენიმე წლის წინ ჩვენს ცენტრში, უცხოელი პარტნიორების დახმარებით დაინერგა. ამ მეთოდის ძირითადი მიზანი, სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის ხელშეწყობაა. ძალიან მნიშვნელოვანია, გადაადგილებისათვის საჭირო დამხმარე საშუალებები და სპეციალური ავეჯი. როდესაც ვლაპარაკობთ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ: ბავშვები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სპეციალური ავეჯით და დამხმარე საშუალებებით, როგორც შინ, ასევე საბავშვო ბაღში, შემდეგ სკოლაში...

ქ-ნი **მერი**, *მშობელი:*

— 9 წელია, რაც გათხოვილი ვარ. 8 წლის ბიჭი მყავს, მარიამი კი 4 წლისაა. გართულებების გამო ნაადრევი მშობიარობა დამეწყო და მარიამი შვიდთვენახევრის დაიბადა... ხშირია შემთხვევა, როდესაც ბავშვს, სამშობიარო ტრამვის გამო, სისხლჩაქცევები ემართება, მით უმეტეს — დღენაკლულს, მაგრამ ჩვენ სამშობიაროდან ისე გამოგვწერეს, რომ ამის შესახებ არავის არაფერი უთქვამს. თვე-ნახევრის იყო, როდესაც ექიმი გამოვიცვალეთ და მაშინ შევიტყვეთ, რომ თავში სისხლჩაქცევები ჰქონდა — სიმსივნური წარმონაქმნის კოლტები. უკვე გვიანი იყო — სისხლჩაქცევის გაწოვა გვიან მოხდა, რამაც ბავშვის განვითარება შეაფერხა. მარიამი ვერ დადის, ელამიცაა..

თავისი წონა წამლები აქვს მიღებული და უამრავი მასაჟი გაკეთებული, მაგრამ ამაოდ... ერთი წელია, რაც ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრში დავდივართ და უკვე ბევრი რამ აითვისა. ადრე ვერ ჯდებოდა, ახლა ჯდება, დამოუკიდებლად ჭამასაც ახერხებს. უფრო აქტიური გახდა, შიშის გრძნობა გაუქრა. ასეთ ბავშვებს ხომ განსაკუთრებით გამძაფრებული აქვთ შიშის გრძნობა. ძალიან კარგი მახსოვრობა აქვს, 3 წლის წინანდელი ამბებიც კი ახსოვს:

— სხვა ბავშვებს რომ უყურებს, გული ხომ არ სწყდება?

— იცით, არა. სხვათა შორის, არასდროს უკითხავს — სხვები რომ დადიან, მე რატომ ვერ დავდივარო? მამამისს აიმედებს, წავალ და სიგარეტს მოგიტან ხოლმე, როცა გავივლიო. როგორც ჩვეულებრივ ბავშვს, მარიამსაც ძალიან უყვარს სათამაშოები. განსაკუთრებით — სამზარეულოს მოწყობილობა. ეს ჩემი მზითვიაო — ამბობს. ძალიან უყვარს მუსიკა. მელოდიაზე ყველა ქართველ მომღერალს ცნობს...

ძალზე ძნელია იმასთან შეგუება, რომ შენს შვილს ასეთი დაავადება სჭირს და არაფერი ეშველება.

ქ-ნი **ხათუნა**, *მშობელი:*

— სტუდენტი ვიყავი, როდესაც გავთხოვდი, 19 წლის ასაკში. ექიმი პატარა პრობლემას ვერ გაუმკლავდა და დამაჩქარებლებით 7 თვის ორსულობისას მამშობიარა. მაშინ გამოუცდელი ვიყავი. არაფერი ვიცოდი. სწორედ იმ ექიმმა დამღუპა და მთელი ჩემი ცხოვრება ტანჯვად აქცია. ტყუპი შემეძინა, ერთ-ერთი, დაბადებიდან მე-11 დღეს დაიღუპა, ლიზი კი დღეს 10 წლისაა. ორი თვე საავადმყოფოში ვიწექით, ექიმმა მაშინვე სწორი დიაგნოზი დაუსვა და გამაფრთხილა თუ ყურადღებას არ მიაქცევ, შეიძლება ბავშვი ინვალიდი დარჩესო. იმდენად პატარა ვიყავი, რომ ვერც კი გავაცნობიერე, რა მოხდა. ვფიქრობდი, ვუმკურნალებ და განიკურნება-მეთქი. მერე, თანდათანობით ბედს შევეგუე. ძალზე მძიმე ტრავმაა ეს, დედისთვის. მაინც იმედი მაქვს, რომ ყველაფერი უკეთესად იქნება. არც მინდა, ბოლომდე ჩავწვდე ჩემს მდგომარეობას და იმაზე ვიფიქრო, რა იქნება ხვალ.

— ამის შემდეგ შვილის გაჩენის არ შეგშინებია?

— რა თქმა უნდა, არა. ერთი წუთითაც არ შემშინებია იმის, რომ სხვებიც ასეთები იქნებოდნენ. ლიზის უნდა ჰყოლოდა დედმამიშვილები და ღმერთმა დაგვაჯილდოვა იმით, რომ მას ძმები ჰყავს — 3 წლის ნიკოლოზი და 5 თვის გიორგი. ნიკოლოზი გიჟდება ლიზიზე, ისე უყვარს. ზრუნავს მასზე, საჭმელს არ შეჭამს, თუ ლიზის არ მიაწოდა. ლიზის ფეხი სტკივა და თვითონ მივუტან, რომ არ იწვალოსო — გვეტყვის ხოლმე. ლიზისაც ძალიან უყვარს ძმები.

— მამამისმა როგორ გადაიტანა ეს ამბავი?

— იცით, ლიზი საკუთარმა მამამ მიატოვა — ასეთი შვილი არ მინდაო, — და ახლა მასზე სხვა ზრუნავს. ლიზიმ იცის სიმართლე და არც კითხულობს მამას. ჩემმა მეუღლემ დიდი ტვირთი აიღო საკუთარ თავზე და ღირსეულად ატარებს. ყველა სურვილს უსრულებს. ამიტომ ამბობს ლიზი — ღმერთმა გამომიგზავნაო. 25 წლის გავთხოვდი მეორედ, ერთმანეთი გვიყვარდა და სიყვარულმა ყველაფერი შეგვაძლებინა...

დაბოლოს, კიდევ ორიოდე კითხვა დავუსვით ექიმ-ნევროლოგ **ზაზა კაკუშაძეს**.

— ახდენს თუ არა ეს დაავადება გავლენას სიცოცხლის ხანგრძლივობაზე?

— ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ითქვა, რომ ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვები 7-8 წლის ასაკს აღწევენ და შემდეგ ილუპებიან, რამაც მშობლების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია, ამიტომ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო — ეს დავადება სიცოცხლის ხანგრძლივობაზე არ მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სიკვდილი შეიძლება გამოიწვიოს მეურვეობაში, მოვლასა თუ კვების რეჟიმში არსებულმა შეფერხებებმა, აგრეთვე — რესპირატორულმა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებმა.

— შესაძლებელია თუ არა, ამ დაავადებების თავიდან აცილება?

— დაავადების არსებობის საწყის პერიოდში აღმოსაჩენად, ძალზე მნიშვნელოვანია ორსული ქალის მდგომარეობის გამოკვლევა. ფეხმძიმობის პერიოდში ნაყოფის თავის ტვინის დაზიანების შემთხვევაში, დაავადების თავიდან აცილება შეუძლებელია. ამიტომ სასურველია, გენეტიკური კონსულტაცია ორსულობის წინა პერიოდში, გამოკვლევები თანდაყოლილი ინფექციების შესახებ, ასევე კარგი კვება და მოვლა.

■

როგორ დავაფრთხოთ კოღოები

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

წელიწადის ყოველ დროს თავისი ღირსებებიც აქვს და ნაკლოვანებებიც. ზაფხულს სითბოსთან და ბუნების სიახლოვესთან ერთად, კოღოების ურდოც მოჰყვება თან.

კოღოები — ეს სისხლისმწოველი არსებები — განსაკუთრებით აქტიურდებიან თბილ, უქარო საღამოებსა და დილის საათებში.

ალბათ შენიშნავდით, რომ ზოგიერთ ადამიანს კოღოები მთელ სხეულზე თავდაუზოგავად კბენენ, ზოგს — სულ რამდენჯერმე, ზოგსაც — საერთოდ არ ეკარებიან. რატომ ხდება ასე და რითაა ეს გამოწვეული, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა კოღოების ქცევაში აღინიშნება ზოგადი კანონზომიერებები, რომელთა ცოდნა ამ ვერაგ მწერებთან ბრძოლაში დაგვეხმარება. კოღოებს განსაკუთრებულად იზიდავს ოფლიანი კანი: ადამიანებს, რომლებიც არ ოფლიანდებიან, კოღოები იშვიათად ან საერთოდ არ კბენენ. მაგრამ საკმარისია, მათ კანი წყლით დაისველონ, სისხლისმწოველები მაშინვე დაესხმიან თავს. დიდი მნიშვნელობა აქვს ტანსაცმლის ფერსაც. კოღოებს უყვართ ცისფერი და არ უყვართ ყვითელი ფერი.

კანის ჩხვლეტის მომენტში, სისხლისმწოველი თავისი პატარა საჩხვლეტ-საწოვარა ხორთუმით კანში ასხურებს განსაკუთრებული ნივთიერების წვეთს, რომელიც კბენას უმტკივნეულოს ხდის და აქვეითებს სისხლის შედედების უნარს (ლოკალურად). ამასთანავე, კანში მოხვედრილი უცხო ცილა — ე.წ. „კოღოს ნერწყვი“ კბენის ადგილას იწვევს უსიამოვნო შეგრძნებებს: წვას, ქავილს და ვითარდება ადგილობრივი ანთებითი პროცესი: კანის გაწითლება და შეშუპება. მრავალრიცხოვანი ნაკბენის არსებობისას, შეიძლება, სხეულის ტემპერატურამ მოიმატოს და ორგანიზმის მძიმე ინტოქსიკაციაც კი განვითარდეს (მსგავსი რეაქცია განსაკუთრებით ხშირად ახლავს თან ქინქლის ზოგიერთი სახეობის ნაკბენს, რომელსაც „ნერწყვში“ აქვს განსაკუთრებული ჰემოლიზური შხამი).

როგორ ვებრძოლოთ?

კოღოებმა შენობაში რომ არ შემოაღწიონ, ფანჯრებზე წვრილუჯრედოვანი (არა უმეტეს 2 მმ ზომის) სინთეზური ბადე ან დოლბანდის ნაჭერი უნდა გააკრათ. აუცილებელია აგრეთვე, კარ-ფანჯრების ღრიჭეების ამოვსებაც. ოთახში შემოღწეულ კოღოებთან ბრძოლა ადვილი არ არის: ისინი იმალებიან კარადების უკან, ტუალეტში, სააბაზანოში, ავეჯის ქვეშ. ოთახში ცხოვრება კი მათ საკმაოდ დიდხანს — ერთ კვირამდე — შეუძლიათ. მათ განადგურებას უნდა შეეცადოთ მტვერსასრუტით, სპეციალური აეროზოლებით ან ფირფიტებიანი ელექტროფუმიმატორით.

კოღოებისგან ინდივიდუალური თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა რეპელენტი — ქიმიური ნივთიერება, რომელიც აფრთხობს აბეზარ მწერებს. კანზე წასმის შემდეგ, რეპელენტი, სხეულის ტემპერატურის ზემოქმედებით, ნელ-ნელა ორთქლდება და წარმოქმნის თავისებურ არომატულ საფარს, რომლის სისქე 1 მმ-ია. სწორედ ამის გამო სისხლისმწოველები არ მოგვეკარებიან. ასეთი ეფექტის მიზეზი ბოლომდე არ არის გამორკვეული. როგორც ჩანს, რეპელენტის მოლეკულები ახშობს მწერების გრძნობათა ორგანოებს და ისინი ვეღარ აღიქვამენ ისეთ გამღიზიანებლებს, როგორებიცაა სითბო, სუნი, ოფლი და ა.შ.

ცხელ ამინდში ფიზიკური შრომის დროს, რეპელენტის დაცვითი უნარი მნიშვნელოვნად ქვეითდება.

კოღოებისგან თავდასაცავად, შეგიძლით გამოიყენოთ სოდიანი ხსნარი (1 ჩ/კ საჭმელი სოდა იხსნება 1 ჩ/ჭ წყალში) და დღეში რამდენჯერმე წაისვათ სხეულის მოშიშვლებულ ნაწილებზე. ვიდრე „სოდიანი საფარი“ კანს იცავს, კოღოები მასზე დაჯდომას ერიდებიან.

კბენის შემდეგ ქავილისა და შეშუპების შესამცირებლად, გამოიყენეთ აბზინდისა და ბაბუაწვერას წვენი.

ნაკბენის დასაზელად ასევე იყენებენ ნიშადურის სპირტის წყალხსნარს (თანაბარი რაოდენობით ურევენ სპირტსა და წყალს) ან სოდის წყალხსნარს (1 ჩ/კ სოდა 1 ჩ/ჭ წყალზე). სოდის ნაცვლად, მარილიც შეიძლება გამოიყენოთ. ასეთივე ეფექტურია ოხრახუშის ახალგამოწურული წვენი, კეფირი, მაწონი, ძმარი და ლიმონის წვენი.

თუ ნაკბენის ირგვლივ ქსოვილების ქავილი და შეშუპება რამდენიმე დღე გრძელდება, არ არის გამორიცხული, რომ ალერგიული რეაქცია გქონდეთ: დადგენილია, რომ მოსახლეობის 10%-ს მწერების ნაკბენებისადმი მომატებული მგრძნობელობა აქვს. ■

სად არის მამაკაცური ძალა?

მედიკოსთა არსენალში გამოჩნდა მამაკაცთა დელიკატური პრობლემების გადაჭრის საიმედო იარაღი — ასაკობრივი ცვლილებების ჰორმონული კორექციის ახალი საშუალება. ტესტოსტერონის ერთი ინიექცია სამ თვეში ერთხელ, ისევ აღვიძებს ინტერესს ქალებისადმი, აღადგენს სქესობრივ ლტოლვას, მეხსიერებას და ძილს; მატულობს კუნთების კუმშვადობა, მაგრდება ძვლები. ყმაწვილობის ასაკის დაბრუნება, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ სიცოცხლის ხარისხი მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

ტესტოსტერონი — მთავარი მამაკაცური ჰორმონია. იგი ასტიმულირებს კუნთოვანი მასის ზრდას. იცავს სისხლძარღვებსა და გულს, განსაზღვრავს ლიბიდოს, გავლენას ახდენს ინტელექტზე, ცხოვრების სტილზე, ხელოვნებისადმი დამოკიდებულებაზე. ასაკის მატებასთან ერთად, მისი რაოდენობა ყოველწლიურად 1%-ით მცირდება. შედეგად იწყება პრობლემები, რომელთა გადაჭრაც ჰორმონის დამატებითი დოზის შეყვანის გზით ყოფილა შესაძლებელი.

„უკვე 20 წელია, მამაკაცთა ჰორმონული რეაბილიტაციის პრობლემებს ვსწავლობ და დავრწმუნდი, რომ თუ ტესტოსტერონის დონეს ნორმის ფარგლებში შევინარჩუნებთ, მამაკაცი 55 და 75 წლის ასაკშიც კი შეძლებს, შეინ-

არჩუნოს მამაკაცობა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას მრავალრიცხოვანი გამოკვლევა იძლევა“, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ჰამბურგის უნივერსიტეტის ურولოგიისა და სექსოპათოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა პროფესორმა აქსამ იასინმა.

ტესტოსტერონის პრეპარატები დიდი ხნის წინ შეიქმნა, მაგრამ ზოგი მათგანი ტოქსიკური იყო, ზოგი — მისაღებად მოუხერხებელი, ზოგიც არ იძლეოდა სისხლში ჰორმონის ნორმალური დონის შენარჩუნების შესაძლებლობას. ამჟამად კი შეიქმნა პრეპარატის ახალი საინიექციო ფორმა, რომლის გაკეთება წელიწადში 4-ჯერაა საჭირო. მეცნიერები და პრაქტიკოსი ექიმები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ბევრ რამეს შეცვლის. პრეპარატი მსუბუქი, უსაფრთხო და სასარგებლოა: ფიგურა დაკუნთული რჩება, ჭარბი ცხიმები იწვება, ქვეითდება ათეროსკლეროზის განვითარების რისკი, I ტიპის შაქრიანი დიაბეტის მქონე ავადმყოფებში კი, მცირდება ინსულინის მოხმარების დონე. ტესტ-

ოსტერონის ინიექციების დაწყება ნებისმიერ ასაკში შეიძლება.

ეს ჰორმონი პირდაპირ გავლენას არ ახდენს წინამდებარე ჯირკვალზე და არ ზრდის პროსტატის კიბოს განვითარების რისკს (როგორც ადრე ეგონათ). თუმცა ურولოგთან ან ანდროლოგთან წინასწარი გამოკვლევა აუცილებელია. ■

დღევანდელი მანდილოსნების უმეტესობა, ფორმის შესანარჩუნებლად ათასგვარ დიეტას მიმართავს და არც სპორტულ დარბაზში ვარჯიშზე ამბობს უარს. განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც სცენაზე დგომა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა უწევთ. ჯგუფ „ენსის“ ერთ-ერთი წევრი, მომღერალი ეკა გაბიტაშვილი კი ცდილობს ვიტამინებით მდიდარი საკვები მიიღოს, რადგან ამას მისი პროფესია მოითხოვს. (როგორც მოგეხსენებათ, ეკა ოპერის მომღერალია). „დიეტაზე არასოდეს ვყოფილვარ, რაც და რამდენიც მინდა, ყოველთვის იმდენს ვჭამ. ჭარბი წონა არასდროს მაწუხებს“, — მითხრა მან.

ეკა ბაბისაშვილი ეზომ ცაცხვ აჩიდებს

„კვიპროსში ყოფნის დროს, კანის ალერგია დამეწყო“

სოფო ჭონიშვილი

— ჩემთვის დილა თერთმეტის ნახევარზე იწყება, გაღვიძებისთანავე ყავას ვსვამ, რადგან სხვა არაფერი მაფხიზლებს. ამას დედაჩემი კატეგორიულად მიკრძალავს, მაგრამ რა ვქნა, უკვე მიჩვეული ვარ და ვეღარ გადავეჩვევი. ყავის დალევის შემდეგ ვიღებ შხაპს, სახეზე ვისვამ სპეციალურ ლოსიონს, შემდეგ კი, თმას ვიწესრიგებ. საერთოდ, ძალიან ნელი ვარ, ამიტომ თუ სადმე მივდივარ, 2 საათით ადრე ვიწყებ მომზადებას.

— სარკის წინ დიდხანს ტრიალებ?

— როცა მაკიაჟს ვიკეთებ, მაშინ შედარებით მეტი დრო მჭირდება, სხვა შემთხვევაში სარკის წინ ტრიალი მაინცდამაინც არ მიყვარს.

— მაკიაჟს ყოველდღიურად იკეთებ?

— ყოველდღიურად მსუბუქ მაკიაჟს ვიკეთებ. ვინაიდან, ცხიმიანი კანი მაქვს, პუდრას ხშირად ვხმარობ. მიყვარს, როცა სახე აჭრელებული არ არის. თანაც, მის წასასმელად დიდი დროც არ მჭირდება. ასე, რომ პუდრის წასმის გარეშე სახლიდან არ გავდივარ, მაგრამ თუ გარუჯული ვარ, მაშინ იმასაც აღარ ვისვამ — „ზაგრის“ დროს, კანს მაკიაჟისგან ვასვენებ.

— რა ფირმის კოსმეტიკას იყენებ?

— ძირითადად, „შანელის“ და „დიორის“ფირმის კოსმეტიკას ვხმარობ, თუმცა, სხვადასხვა ფირმის ხარისხიანი კოსმეტიკაც მაქვს. საერთოდ, მირჩევნია ყველაფერი ცოტა მქონდეს და ხარისხიანი, ვიდრე, ბევრი და უხარისხო. ვფიქრობს, რომ სახეზე ყველაფრის წასმა არ შეიძლება. რამდენჯერაც უხარისხო კოსმეტიკა წავისვი, იმდენჯერ, კანი საშინელ დღეში ჩავიგდე.

— რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ თავი კომფორტულად და მოწესრიგებულად იგრძნო?

— პირველ რიგში თუ თმა ფორმაში მაქვს, ეს ჩემთვის სრული კომფორტია.

— სახის კანის რაიმე განსაკუთრებული მეთოდი თუ გაქვს?

— სახის კანს განსაკუთრებულად არ ვუვლი. უბრალოდ, მას საღამოთი „მალაჩკოთი“ ვიწმენდ და თვალის გარშემო ნაოჭების საწინააღმდეგო კრემს ვისვამ.

— ბუნებრივ ნიღბებს არ იკეთებ?

— არა, არასდროს გამიკეთებია, ერთადერთხელ — სოფო მასხულიამ *(ჯგუფ „ენსის“ წევრი),* მოსკოვიდან მკვდარი ზღვის მცენარეების „მასკა“ ჩამომოტანა და ის წავისვი. მწვანე ფერის იყო და ისე საშინლად მახმებოდა სახეზე, რომ ვეღარც ვიცინოდი და ვეღარც ვლაპარაკობდი, მაგრამ ძალიან კარგი შედეგი ჰქონდა — კანი თოთო ბავშვის კანივით გახდა.

— სილამაზის სალონში ხშირად დადიხარ?

— ადრე, კვირაში 2-ჯერ მაინც დავდიოდი, რადგან ძალიან პრობლემური თმა მაქვს, ჩემით „ჩოლკასაც“ კი ვერ ვიკეთებ. ახლა გადავწყვიტე, თმა დავასვენო, ამიტომ, ვცდილობ, თავი როგორმე სახლში მოვიწესრიგო. რაც შეეხება პედიკიურს და მანიკიურს, მას სალონში არ ვიკეთებ — ნუნები თითქმის არ მაქვს, ამიტომ, ფრჩხილს თვითონაც მშვენივრად ვიწესრიგებ.

— სოლარიუმში თუ ირუჯები ხოლმე?

— სოლარიუმში აღარ დავდივარ. ჩემმა დერმატოლოგმა (კანის ექიმმა) მირჩია, ისეთი კანი გაქვს, მზეს უნდა მოერიდოო. რამდენიმე თვის წინ, როცა კვიპროსში ვიყავი, იქ კანის ალერგია დამეწყო, ახლა კი გამიარა, მაგრამ სიფრთხილეს მაინც ვიჩენ.

სოფო მასხულიამ მოსკოვიდან მკვდარი ზღვის მცენარეების „მასკა“ ჩამომოგანა და ის წავისვი

— ახლა სად აპირებ გარუჯვას?

— ჯერჯერობით, როგორც ხედავთ, ისევ თეთრი ვარ. ოპერაში სპექტაკლი მქონდა, სადაც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი არისტოკრატი ქალის როლს ვთამშობდი. როცა ერთ-ერთრეპეტიციაზე ოდნავ გარუჯული მივედი, მისაყვედურეს — შეუძლებელია, რომ იმ პერიოდში, არისტოკრატი ქალი გარუჯული ყოფილიყოო.

— ფორმას როგორ ინარჩუნებ?

— დიეტაზე არასოდეს ვყოფილვარ, პირიქით, ვცდილობ, კარგად ვიკვებო, რადგან ისეთი პროფესია მაქვს, რომ ეს აუცილებელია. ამ ბოლო დროს ვზარმაცობ და არც სპორტულ დარბაზებში დავდივარ.

— ე. ი. გასუქების არ გეშინია, არა?

— სიმსუქნის პრობლემა ნამდვილად არ მაქვს. თუ შევატყვე, რომ 1-2 კილო მოვიმატე, ღამით ჭამას ვწყვეტ ხოლმე და მაშინვე ფორმაში ვდგები. საერთოდ, როცა რაღაცაზე ვნერვიულობ, ჭამის მადა მემატება. მაგალითად, ახლა ფეხბურთის მატჩების ყურების დროს, შუაღამისას ვჭამდი ხოლმე.

— ვის გულშემატკივრობდი?

— ბრაზილიას, მაგრამ ამ გუნდმა იმედები გამიცრუა.

— როგორია შენი ჩაცმის სტილი?

საერთოდ, სასურველია, რომ როგორიც ღმერთმა შეგქმნა, ბოლომდე ისეთად დარჩე

— თითქმის სულ სპორტულ სტილში მაცვია. თუმცა, ქალურად ჩაცმაც ძალიან მიყვარს — ტანზე მომდგარი „მიდი“ სიგრძის კაბები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და ა.შ. მაგრამ, ყოველდღე ასე ვერ ჩავიცვამ, ეს დისკომფორტს შემიქმნის.

— რა ფერებს ანიჭებ უპირატესობას?

— ძირითადად, საზაფხულო ტანსაცმელი ჭრელაჭრელა ფერებში მაქვს, ზამთარში, მუქ ფერებს — შავს ან ყავისფერს ვიცვამ. ძალიან მიყვარს ღია ყავისფერი, თეთრი, ჟოლოსფერი და სალათისფერი ტანსაცმელი.

— სამკაულები თუ გიყვარს?

— ზამთარში აქსესუარების ტარება არ მიყვარს, მაგრამ ზაფხულში ვცდილობ, ტანსაცმლის შესაფერისი ლამაზი ბიჟუტერია ვატარო. თუ სადმე კარგი სამკაული ვნახე, მას აუცილებლად ვყიდულობ, თუმცა, მერე შეიძლება საერთოდ არ გავიკეთო.

— ძვირფასი ნივთები თუ გიყვარს?

— სიმართლე გითხრა — ოქრო არ მიყვარს, მაგრამ ერთი პერიოდი ძვირფას ნივთებს მაინც ვყიდულობდი ხოლმე. მერე მოხდა ისე, რომ გაგვქურდეს და ყველაფერი წაიღეს.

— როგორი სუნამოები მოგწონს?

— იყო პერიოდი, როცა „არმანის“ სუნამოებს არ ვღალატობდი, მაგრამ ამ ბოლო დროს, შანელის „შანსს“ ვანიჭებ უპირატესობას. საერთოდ, თუ ერთი სუნამო მომეწონა, მანამ ვიპკურებ, სანამ არ მომბეზრდება.

— ეკა, რა აზრის ხარ პლასტიკურ ოპერაციებზე?

— საერთოდ, სასურველია, რომ როგორიც ღმერთმა შეგქმნა, ბოლომდე ისეთად დარჩე, მაგრამ თუ ადამიანს თავის გარეგნობაში რაღაც არ მოსწონს და ამის გამო დაკომპლექსებულია, მაშინ ის რაღაც უნდა შეცვალოს. პირადად მე, რაიმის შეცვლაზე არასდროს მიფიქრია.

— იმიჯს ხშირად იცვლი?

— როცა ცნობადი სახე ხარ, ვფიქრობ, რომ შენი ერთი და იმავე სტილით, მაყურებელს თავი არ უნდა მოაბეზრო. ამიტომ, თმის ვარცხნილობას და ფერს ხშირად ვიცვლი ხოლმე. იმიჯის შეცვლა ხომ შენც გახალისებს და ცხოვრების სტიმულს გაძლევს. ■

ფშავის უმზეური ტყე, პირჩაშავებული ხეობები, ცას მიბჯენილი მთები დღესაც ფანტასტიკურ ბურუსში ახვევს ფხოველთა მოდგმას. აქა-იქ მიმოფანტული სოფლები დევის ნაფეხურებივით ჩაჭედილა ფერდობებზე და თვალშეუდგამი სიმაღლიდან დაჰყურებს სამყაროს. აქ ჯერ კიდევ ცოცხლობენ მითები. არაგვი ისევ ძველებურად იმტვრევს ხერხემალს კლდეთა ვიწროებში და ისევ დულს ორნახადი მთიური სული.

...ცხოვრობდა ოდითგან ამ ტყეებსა და წყალვარდნილებს შორის ფშაველი კაცი. განიერ მკერდით სუნთქავდა, ჯიხვივით ყელყელაობდა და მაგიურად ელტვოდა თავისუფლებას. მტერთაგან ბრძოლაში ყალიბდებოდა კაიფმის კულტი... აქ ყანწში ვერცხლის ჩათლა ისევე სარწმუნო იყო, როგორც ზიარება. ახლა აღარავინ უწყის, პოეტური ფოლკლორის ამ პატარა წიაღში, როდის ამოიზარდა მათი მთავარი მფარველი — „მუხის ანგელოზი“.

უბუკლიდეთ ლუმპრის ჯუმრი!

ფშაველებს ლუმპრი არ დაუბერდებათ

ეთერ თარიმანი

„მუმლი მუხასაო“...

მღეროდა ქართველი და ხეთა შორის უძლიერესს, გამძლეს, ფესვმაგარ მუხას ცეცხლისკევრგადავლებულ სამშობლოსთან აიგივებდა. ხის კულტი უხსოვარი დროიდან არაერთ ქვეყანაში აღმოცენებულა: ძველ საბერძნეთში მუხა მიაჩნდათ მოდგმის წარმომშობად; ანტიკურ ფულზე გამოსახულ იუპიტერს თავზე მუხის ფოთლების გვირგვინი ადგას; ლიბანის მთებში საღმრთო მუხებით არის შემოფარგლული აბელის საფლავი, პალესტინაში დღესაც ხარობს „საღმრთო მუხნარი“... ჩვენში ხეთა მსახურება ფესვმოკიდებული ყოფილა თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ჯავახეთში, გარე კახეთში, სადაც მუხას საღმრთო ხედ მიიჩნევდნენ. მის ირგვლივ ტყის გაკაფვა მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნეოდა. მისი სახელი უამრავ ადგილს შემორჩა: რკონი, მუხრანი, დიდმუხა (ფრონის ხეობაში) ქურმუხი (საინგილოში), ჭყონდიდი, მუხადგვერდი... ამ უბერებელი ხის ენერგეტიკული ძალა ყველგან მკურნალობის ძალის მომცემად მიიჩნეოდა.

ძვ. ქართული ლოცვიდან: „სენო მსგავსო ასპიტისაო, გამოდი ძირთაგან... მუხ-

აო, ძირნი შენნი წამლად დაწუნე და განაქარნე ქარსა მას ნიავქარსა“.

მოქცევა

„...აქამდის ცუდად ვილოცეთ,
ოქრო, ვერცხლი და ხენია,
შიგ ჩასახული ეშმაკი,
მისგან არ მოგვილხენია.“

„წმინდა გიორგის შესხმა“
ძველი ხელნაწერებიდან.

უკანა ფშავში, ხმელგორზე უზარმაზარი მუხა მდგარა. იგი იყო ფხოველთა კერპი და „მფარველი“. საქვეყნო საქმეების გასარიგებლად ამ „მუხის ანგელოზთან“ შეიყრებოდა ხოლმე ფშაველთა თორმეტივე თემი. იქ წყდებოდა შინაური, საგვარტომო, ჩვეულებითი სიმართლისა და თავდაცვის საკითხები. თავხევისბერი მტერთან საბრძოლველად დროშით ხელში აქედან მიუძღოდა ლაშქარს. ფშაველი კაცი ხომ მუდამ დარაჯად ედგა საქართველოს შეუვალობას. გზას უკეტავდა ჩრდილოეთიდან მარბიელ ტომებს. მეფის დაძახილზეც ბარში ხშირად ჩამორბოდნენ „ვოუები კერკეტა“.

გამოხდა ხანი. თამარის მეფობის ბოლო ჟამს „გადგნენ ფხოელნი, დურძუკნი, დიდონი“. თამარს მუდამ სწამდა ფშავლების სულგრძელობის და როცა ივანე ათაბაგის მეთაურობით „მთეულთა მოსარჯულებლად“ მეფის ამქარი დაიძრა, თამარმა ლაშას სახელდებით ჯვარი და წმინდა გიორგის ხატი უწინამძღვრა მეომრებს, „რაითა მოექცია განდგომილნი“.

ივანე „წარსდგა მთათა ფხოელთა“ და მათ სულიერ შესაკრებელთან დასცა ბანაკი. ორრავდა, ბორგავდა, გმინავდა ადათით დაბრმავებული თემი. ცულს არ იკარებდა „მუხის ანგელოზი“. მაშინ მთიელთა შორისაც ბევრს „გულს ედვა“ მადლი ქრისტიანობისა. ერთი მათგანი, ვინმე აფციაური, იდუმალ ეახლა მხარგრძელს და მუხის ანგელოზის „აქილევსის ქუსლის“ საიდუმლო გაუმჟღავნა. მისი რჩევით კატა (ეშმაკის სიმბოლო) დაკლეს, სისხლი მუხას ასხურეს. ლეგენდის მიხედვით, მოსწყდა მუხას ოქროს შიბი, რომლითაც ზეცასთან იყო მიბმული, აფრინდა, გადაიკარგა... ასე დაეცა მუხის სიძლიერე. ხე მოჭრეს, მის ადგილას ჯვარი აღმართეს, მახლობლად ეკლესია ააგეს და შიგ ლაშას სახელზე წმინდა გიორგის ხატი დააბრძანეს. მოჯარდა ფშავი. მუხლი მოიყარა ქრისტესმიერ ჯვართან, ლაშარის წმინდა გიორგი თავის პირველ სალოცავად აქცია, ხოლო თამარი „ხატად თვისა“...

„მფარველად გვექმენ ქართველთა,
ჩვენო ლამაზო დედაო.“

ვაჟა

ფშავლებს თამარი მფარველ ანგელოზად მიაჩნიათ დღესაც. მათი რწმენით ის უკვდავია, ჩაუქრობელი შუქურვარსკვლავი.

„თამარ მეფე და ხონთქარი,
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
ზედ ალმასები დაჰკიდა.“ — მღერიან ფშაური „ფერხისას“ (ფერხულის) დროს... დიდი მოწინების გამო ფშავლებმა არაგვის გამოღმა ღელეში თამარის სალოცავიც დააარსეს. როცა მეფის გარდაცვალების ამბავი შეუტყვიათ, დათალხულან. ბარში ფეხით ჩამოსულან მოტირალი დედაკაცები. ცას სწვდებოდა თურმე იმათი მოთქმის ექო.

თამარისა და ლაშას სიყვარული ისე ღრმად გამჯდარა მათ შეგნებაში, რომ შემდგომში ივანე მხარგრძელისაგან დამხობილი მუხის ამბავი ხან მათთვის საძულველ ზურაბ ერისთავს მიაწერეს, ხან შაჰ-აბასს, რომელთაგან ვერც ერთმა ვერ შეძლო ფხოვის დაჩოქება. ლაშარი კი მათ შემეცნებაში დარჩა, როგორც გმირი და მხედარი, რომელიც წინ უძღოდა ლაშქარს და განსაცდელისგან იფარავდა.

„ლაშარელაის ლურჯასა,
ფაფარი სხავის გიშრისა,
შაჯდება, გაემართება,
კოტორ გაჰყვება ნისლისა,
თავის ყმათ მიეშველება,
ხან რო არ იყოს მისვლისა“.

...ლაშარის წმინდა გიორგის ეკლესია ისევ დგას. ახლაც ყორითაა შემოზღუდული. ხავსი მოსდებია ერთ დროს ხალხმრავალ საკრებულოს, თემ-სოფლის თავშესაყარს. ეს სიმწვანე მარადიულობას ინახავს თავის უბეში და არ ხუნდება. სალოცავის მორღვეულ კედლებს ისევ ატყვია სანთლის ნაღვენთი. შემოწირული ზარებიდან ერთ-ერთზე ისევ იკითხება: „ქ: ესე ზარი შემოგწირე მე ერისთავმან რევაზ, შენ: წმინდა გიორგის ლაშას“. ერისთავებმა რახან ფშავი ვერ დაიმორჩილეს, ცოდვების მოსანანიებლად ეს ზარი შესწირესო ლაშარს — გვარწმუნებენ აქაურები.

„ლაშარი გავაზიაროთ“

ლაშარში ფშავლების გარდა, ხევსურებსა და თუშებსაც ჩაუდგამთ სამანი. ერთმანეთზე გადაკიდებული ქისტები, ხევსურები და თუშები, სალოცავმა შეარიგა... არხოტელებმა ფიცის გაუტეხლობის ნიშნად თორმეტი ცხვარი დაუკლეს ლაშარს. ხალხმა იმ შავბნელი დროის ამბავიც შემოინახა, როცა თუშებმა ხოშარა გადაბუგეს. ამ ბრძოლაში მათ ბელადს — თილიძეს ერთიანად გაუწყდა ყველა მეომარი. თუშებმა ფშავლების გამარჯვება ლაშარის ჯვარს მიაწერეს. თილიძემ შეიგნო მისი ძალა და თავსისხლის საზღაურად წლისთავზე „თეთრი ქორაი“ ხარი ამოიყვანა შესაწირავად. სტუმართმოყვარე ფშავლები ამ დაუძინებელ მტერს ისე გამოეგებნენ, „როგორც ბატონსა ყმანია“. მართალია, უსაყვედურეს — შენ აქ არ მოგესვლებოდა, დიდი ქენ ცოდვა-ბრალიაო, მაგრამ ისიც იციან, რომ ლაშარი გულმოწყალეა, შეუნდობს ცოდვას. ამიტომაც პასუხობს თილიძე:

„დამაცათ ფშავლის შვილებო,
მალოცეთ თქვენი ჯვარია,
სამხვეწროდ მომიყვანია,
თეთრი ქორაი ხარია,
სამეშვლოდ მომიყვანია,
პირთირთველაი ცხვარია.“

ასე აერთიანებდა ლაშარი საუკუნეების მანძილზე მოსისხლე ტომებს, აქცევდა მათ „ფიცვერცხლნაჭამ“ ძმებად და ერთ მუშტად შეკრულს საერთო მტრის წინააღმდეგ ისტუმრებდა.

„თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო,
ლაშარი გავაზიაროთ,
ერთმანეთს მხარი ვუჭიროთ
და მტერი დავაზიანოთ“.

„წასვლა სჯობს წარმავალისა“...

მთის ბევრ მშვენიერ კერაზე ჩაქრა ცეცხლი და გაიშვიათდა ჩვილი აკვანში. ბევრი დაცლილი სოფელი გახდა ძეხორციელს მონატრული. დიდი ხანია წარსულს ჩაჰბარდა ხევისბერობის ინსტიტუტიც. მისი მკრთალი ნაშთები ახლა გადასხვაფერებულია და უღიმღამო. უხუცესებს ბოლო თავხევისბერი ბიჭურ ბადრიშვილი ახსენდებათ — საკითხავი კაცი იყო, თემ-სოფლის დამრიგებელიო. მეგობრობდა აკადემიკოს ნიკო კეცხოველთან, საქართველოს ხელმძღვანელ პირველ პირებთან. ყველასთან ერთი სათხოვარი ჰქონია: აღედგინათ ლაშარის წმინდა გიორგის სალოცავი და იქ ღვთისმსახურება შემოელოთ... ამაოდ დაშვრა. ლაშარი კი მლოცველს ვერ აუდის. ეს ის ხალხია, ვინც არ ერევა არც ერთ სექტას, ვერაფერს გაუთავთავდებია მასში ეროვნულ ქრისტიანული ტრადიციები, რწმენა და წმინდა გიორგის უკვდავება. ფშავლის შვილები დღესაც მისტირიან იმ წმინდა ჯვრებს, რომლის წინაშე მუხლს იდრეკდნენ და ღმერთს ადიდებდნენ. 1915 წელს ვაჟა-ფშაველა „სახალხო ფურცელში“ აღშფოთებით წერდა: „მღვდელი ფარნაოზ ზამბახიძე ეძებდა ფშავში თამარის საფლავს. მონასტრის კედლიდან ამოუღია სამი ჯვარი: ერთი ცნობილი ლაშარის ჯვარი, მეორე — თამარ მეფისა და მესამე

„ალვის ფანჯრით აჩს ალვირდ, ბაღის ჟის ბლის ჟილა ნაზ ფიდჟი, ნოდ - ჯალეფიან, ეუბაბიან“

ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი ახმეტის რაიონში, ალაზნის ველის დასავლეთით, სოფელ ალავერდთან მდებარეობს: „ალაზნის დასავლეთით არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, ზღუდე — პალატებიანი, გუმბათიანი, რომელმან მოირგო სახელი ალონის გამო, რომელ არს ალონგუერდი“, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი, ალავერდის მონასტერთან დაკავშირებით. მისივე ცნობით, ალონი ალაზნის ველის ძველი სახელწოდებაა — სწორედ „ალონად წოდებული“ ველის სახელწოდების გავლენით, მის გვერდით მდებარეობის გამო ეწოდა ალონგუერდი, მოგვიანებით კი — ალავერდი, ერთ-ერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს მონასტერს, რომელიც დაარსებულია VI საუკუნეში, ერთ-ერთი ასურელი მამის, იოსებ ალავერდელის მიერ...

მორენა მერკვილაძე

მამა იოსები საქართველოში V საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოვიდა, ცამეტ ასურელ მამასთან ერთად. გადმოცემის თანახმად, მან თან ჩამოიტანა უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილისგან გამოთლილი პატიოსანი ჯვარი, რომელსაც მუდამ თან ატარებდა. თავდაპირველად, მამა იოსები წინამძღვართან, იოანე ზედაზნელთან და დანარჩენ ასურელ მამებთან ერთად, ზედაზნის მთაზე დაემკვიდრა და იქვე მოღვაწეობდა; ორი წლის შემდეგ კი, იოანე ზედაზნელისა და ქართლის კათოლიკოსის, ევლავიოზის კურთხევით, კახეთში გავიდა და ალონის ველზე განმარტოვდა. მამა იოსების ცხოვრების თანახმად, იმ დროს, ალავერდი უდაბური, კაცთაგან უვალი და უნაყოფო ადგილი იყო — ირგვლივ მხოლოდ ნადირები მკვიდრობდნენ. ამიტომ ცხადია, მამა იოსებს მრავალი გასაჭირისა და განსაცდელის დათმენა უხდებოდა.

კაცთაგან განმარტოებით და უდაბურ სამკვიდრებელში განმარტოებულ მამა იოსებს შემთხვევით შეხვდა ერთი დიდებული, რომელიც ყრმათა თანხლებით, სწორედ იმ ადგილას იყო გასული სანადიროდ, სადაც ნეტარი მამა მოღვაწეობდა. დიდებული, დანახვისთანავე მიხვდა, რომ მის წინ ღმერთშემოსილი კაცი იდგა, ცხენიდან ჩამოქვეითდა და თაყვანი სცა მას; შემდეგ ვინაობა და იქ ყოფნის მიზეზი გამოჰკითხა. როდესაც ნეტარი მამის შესახებ ყოველივე შეიტყო და მისი ქადაგება მოისმინა, ქრისტიანულ სჯულზე მოექცა და აღუთქვა, რომ ალავერდის უდაბნოში ეკლესიას ააშენებდა. მართლაც, მალე ააგო ალავერდის უდაბნოში პატარა ეკლესია, წმინდა გიორგის სახელზე. მამა იოსების შესახებ მრავალ ადამიანს ესმა და მასთან მისვლა იწყეს. ყველა, ვინც კი ნეტარი მამის ცხოვრების წესი იხილა და მისი ქადაგება მოისმინა, ქრისტიანულ სჯულზე მოექცა. ბევრი მათგანი იმდენად მოხიბლა მამა იოსების ცხოვრების წესმა, რომ ბერად აღიკვეცა და იქვე დაემკვიდრა. ასე დაედო სათავე ალავერდში სამონასტრო ცხოვრებას. მეუდაბნოე ბერთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. ალავერდის მონასტრის პირველი წინამძღვარი, იოსებ ალავერდელი იყო, რომელიც დაუცხრომლად იღვწოდა კახეთში ქრისტიანული სჯულის განმტკიცებისა და გავრცელებისათვის. მისი ღვაწლით, მართლაც აღმოიფხვრა იმ მხარეში ურწმუნოება და განმტკიცდა ღვთისმსახურება.

ამბა, იოსებ ალავერდელი მრავალი წლის მანძილზე წინამძღვრობდა ალავერდში სამონასტრო ცხოვრებას. გარდაცვალების შემდეგ კი, მის მიერვე აგებულ წმინდა გიორგის ტაძარში დაკრძალეს. წმინდა იოსების საფლავი ალავერდის მონასტრის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს სიწმინდეს წარმოადგენს. რაც შეეხება სიტყვა „ამბას“ — ის სირიული წარმოშობისაა და მონასტრის წინამძღვრის „მამის“ შესატყვისს წარმოადგენს. ეს სიტყვა იოსებ ალავერდელმა დაამკვიდრა. X საუკუნიდან, „ამბა“ ალავერდის ეპარქიის მწყემსმთავართა ზედწოდებაა, რომელსაც იმის გამო ატარებენ, რომ ალავერდელი ეპისკოპოსები ტრადიციულად, მონასტრის წინამღვრებიც არიან.

X საუკუნის დასაწყისში, იოსებ ალავერდელის მოღვაწეობის პერიოდში აგებული პატარა ეკლესიის ადგილზე, კახთა მეფე კვირიკემ ახალი ტაძარი ააგო. იგი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეკლესიაა საქართველოში. იმავე პერიოდში ალა-

---

თავ-წყაროსი. ლაშარის ჯვარი გადაუცია ბერის ილარიონისთვის. ეს ჯვარი ტარიანად იქნება არშინ-ნახევარი. ჯვარი ვნახე მაღაროსკარში, ოქრომჭედელ დავით ჯანაშვილთან, სადაც ბერ-მონაზონ ილარიონს მიუტანია გასაკეთებლად. რადგან ტარი ჰქონდა მოტეხილი, მამა ილარიონს უნდა შევნიშნოთ, რომ მან ჯვრის აქეთ-იქით ზიდვაზე ხელი აიღოს. სწორედ ამ ხურჯინის ბრალია, რომ ჯვარი მოსტეხია. მე ვიცი, რომ ეს ჯვარი ილარიონმა ჩამოიტანა ეპისკოპოს ანტონთან... ჯვარი თავის ადგილას უნდა იყოს და ვისაც იმის ნახვა ჰსურს, მობრძანდეს და ინახულოს. მამა ილარიონს შეიძლება მოსკოვიდან და პეტროგრადიდანაც მოუვიდეს რუსის ეგზარხოსების და არქიელების ბრძანება, ლაშარის ჯვარი წამოიღე და თვალით გვიჩვენო. იქაც უნდა გაქანოს?.. არა! ბერმა ილარიონმა ჯვარი ისევ თავის ადგილას უნდა მიიტანოს და დაასვენოს“...

ვაუაც ამაოდ დაშვრა. დარჩა ლაშარი უჯვროდ, უმოძღვროდ...

როცა უკანა ფშავის მოსახლეობა ბარად ჩამოსახლდა და უგზოობის გამო ლაშარში მისვლა გაძნელდა, ჩაბანოელები: ციხელაშვილი და ჯიმშიტაშვილი ხმელგორზე ავიდნენ, იქიდან წმინდა გიორგის ეკლესიის ნიში ჩამოიტანეს და თიანეთიდან 25-28 კილომეტრის მოშორებით, მთების გულში დაავანეს. საჯარედან წამოღებული ნაკურთხი მიწა იქაურობას მიმოაბნიეს და ლაშარიც აქ გადმობრძანდა თავის წეს-რიტუალებით. ეს იყო XX საუკუნეში. მოგვიანებით იქ პატარა საკურთხეველიც ააგეს. ახლა ყველაზე ხალხმრავალი ლაშარობა სწორედ თიანეთის „ლაშარის გორზე“ იმართება. მკათათვის მეორე შაბათ-კვირას დღესასწაულს იწყებს გოგოლაურთა თემი. მათ მოჰყვება აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობა. ისინი სალოცავში მარტო რელიგიური გრძნობების დასაკმაყოფილებლად არ იკრიბებიან. იქ დღესაც ტრიალებს თავისუფლების ღვთიური მადლი...

P.S... ფშავლები თავიანთ მოსისხლესთან გამარჯვებას მუდამ ლაშარს მიაწერდნენ. ერთ-ერთ ომში გაწბილებულ ქისტებს თუ ლეკებს იმის იმედიღა დარჩენიათ, ფშავლებს ლაშარი ან დაუბერდებათ, ან მოუკვდებათ და საწადელს მაშინ მივაღწევთო.

„ფშავლებსა ლაშარის ჯვარი,
ნეტარ არ დაუბერდათა?
ვინ იტყვის დაბერებასა,
ნეტარ არ მაუკვდებათა?!“

ლაშარი 800 წელზე მეტი ხნისაა. არც დაბერებულა, არც მივიწყებულა. წუთისოფლისთვის შესაძლოა ეს დიდი დრო არ არის, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის კი, იგი 8 გრძელი საუკუნეა.

ამ ხანში მართლაც ბევრი რამ ბერდება და კვდება.

ლაშარი კი არსებობს მარადიულად. წმინდა გიორგის სალოცავთაგან ის ერთადერთია, რომელმაც თავის წმინდა სამყოფელზე არც რუს ეგზარქოსებს დაადგმევინა ფეხი, ვერც საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო საყდრის საწყობად გადაქცევა... დგას დღემდე და მოწიწებით ელის მართლმადიდებლურ კალენდარში ადგილის დამკვიდრებას.

■

ვერდი საეპისკოპოსო ცენტრად იქცა, მონასტრის მთავარი — წმინდა გიორგის ახალაგებული ტაძარი კი — საკათედრო ტაძრად. ასევე X საუკუნიდან, ალავერდის მონასტერი კახეთის მეფეთა საძვალედ იქცა. აქ არიან დაკრძალულნი ალექსანდრე და მისი ვაჟი გიორგი, დედოფალი ანა (თეიმურაზ მეორის მეუღლე), მონაზონი მარიამ-მაკრინე (ერეკლე პირველის ასული) და სხვა. გადმოცემის თანახმად, ალავერდის მონასტრის მთავარი — წმინდა გიორგის ტრაპეზის ქვეშ, დაბრძანებულია წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის რამდენიმე წმინდა ნაწილი: წამების შემდეგ წმინდა ქეთევანის ნაგვემი სხეული ჯალათებმა ნადირთა საჯიჯგნად მიაგდეს, მაგრამ დედოფლის წამების მხილველმა ფრანგებმა მისი ცხედარი გამოისყიდეს, საკმევლით და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს. მოგვიანებით კი, დიდმოწამე ქეთევანის წმინდა თავი, მკლავთან და კიდევ რამდენიმე წმინდა ნაწილთან ერთად, მის ვაჟს, თეიმურაზ მეფეს გაუგზავნეს. მან ქართლ-კახეთის სამღვდელოება და დიდებულნი შეკრიბა და წმინდა ნაწილები პატივით დაკრძალა, ალავერდის წმინდა გიორგის ტაძრის ტრაპეზის ქვეშ.

ალავერდის მონასტერში ასევე დაბრძანებული ყოფილა ცხოველმყოფელი ჯვრის (რომელზეც ჯვარს აცვეს მაცხოვარი) ნაწილი, რომელიც კახეთის მეფე ლევანს (1520-1574) უბოძა იერუსალიმის პატრიარქმა გერმანემ, მაცხოვრის აღდგომის ტაძრის განახლებისთვის. იქვე იყო დავანებული წმინდა იოსებ ალავერდელის მიერ ასურეთიდან ჩამოტანილი წმინდა გიორგის „ალავერდისად“ წოდებული სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც ძვირფასი ქვებით ყოფილა შემკული. ხატი 1616 წელს ალავერდის მონასტერზე თავდასხმისას, საკუთარი ხელით გაუძარცვავს შაჰ-აბასს და ძვირფასი თვლები თავისი მხლებლებისთვის დაურიგებია. გარდა ამისა, ალავერდის მონასტერში ინახებოდა ჩოლოყაშვილის მიერ შეწირული, ბოჭორმის წმინდა გიორგის ხატი და ალავერდის ღვთისმშობლის კარედის ხატი. მონასტერში აგრეთვე, მრავალი დიდი და მცირე ზომის ოქროსპერანგიანი ხატი ყოფილა დაბრძანებული. 1921 წელს, კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ, ეს სიწმინდეები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადააბრძანეს და ბევრი მათგანი დღემდე იქაა დაცული. მაგალითად, ბოჭორმის წმინდა გიორგის ხატი; „ალავერდისად“ წოდებული ხატი წმინდა გიორგისი; ღვთისმშობლის კარედის ხატი და სხვა. იქვე ინახება ალავერდის ცნობილი „ოთხთავიც“.

ალავერდის მონასტერი ხშირად განიცდიდა მომხდურთაგან რბევა-აწიოკებას, ამიტომ, ცხადია, სამონასტრო ცხოვრებაც ფერხდებოდა და კომპლექსში შემავალი ტაძრები და შენობა-ნაგებობებიც ნადგურდებოდა. მტერი განსაკუთრებით მონასტრის, მთავარ — წმინდა გიორგის ტაძარს ერჩოდა, რის გამოც, XV საუკუნეში, ძალზე დაზიანებული ყოფილა გუმბათის ყელი, კედლები და სხვა. იმავე პერიოდში, ალექსანდრე კახთა მეფის ბრძანებით, ჩატარდა ტაძრის რესტავრაცია, რომლის დროსაც, თავიდან აუშენებიათ ჩამოქცეული კედლები და გუმბათის ყელი. სწორედ ამ რესტავრაციის დროს დაუშენებია ტაძრისთვის აღმდგენ ხუროთმოძღვარს, იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი მაღალი გუმბათი, რომლის შემდეგაც, მისმა სიმაღლემ 50 მეტრს მიაღწია და საქართველოში ყველაზე მაღალ ნაგებობად იქცა. მეფე ალექსანდრე პირველს ალავერდის მონასტრისთვის უხვად შეუწირავს მამულებიც.

1616 წელს, ალავერდის მონასტერი შაჰ-აბასმა დაარბია, სწორედ ამ დროს გაძარცვა მან „ალავერდისად“ წოდებული, წმინდა გიორგის ხატი. კახთა იმჟამინდელ მეფეს, თეიმურაზ პირველს მოუხერხებია, კახეთის ეკლესიების ხატები სვეტიცხოველში გადაემალა, მათ შორის, ალავერდის მონასტრის ხატებიც (რომლებიც თეიმურაზის შვილიშვილს, ერეკლე პირველს (1688-1703) დაუბრუნებია ალავერდელი ეპისკოპოსისთვის). ამის შემდეგ, ალავერდში სამონასტრო ცხოვრება შეწყდა. შაჰ-აბასის მიერ დარბეული მონასტერი 1656 წელს, კახთა მეფე როსტომმა განაახლა, მაგრამ სულ მალე, კახეთი თურქმანთა მომთაბარე ტომებმა დაიპყრეს და ალავერდის მონასტერსაც დაეპატრონნენ: მონასტრის მთავარი ტაძარი საჯინიბოდ აქციეს, ადგილ-მამულებს კი საძოვრებად იყენებდნენ. მაჰმადიანებმა ქრისტიანული მონასტერი თავიანთ ციხესიმაგრედ გადააქციეს. მონასტრის ტერიტორიიდან მათი განდევნა 1659 წელს აჯანყებულმა ქართველებმა მოახერხეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაჰმადიანთა მიერ მიყენებული ზარალის გამო, ალავერდის საეპისკოპოსოს აღდგენა XV საუკუნის ბოლო წლებამდე ვერ მოხერხდა.

1742 წელს, ალავერდის მონასტრის მთავარი ტაძარი საშინელმა მიწისძვრამ დააზიანა. მისი აღდგენა დაიწყო თეიმურაზ მეორის მეუღლემ, თამარ დედოფალმა, რომელიც სამეფო ამალისა და ხალხის თანხლებით თავადვე მისულა აგებული ეკლესიის გასაწმენდად. მაგრამ თამარ დედოფალმა ვერ მოასწრო ტაძრის აღდგენა — მის მიერ დაწყებული საქმე მისმა ძემ, ერეკლე მეორემ დაასრულა. იმავე პერიოდში, მომხდურთაგან დასაცავად, მონასტერს ქვის გალავანი შემოარტყეს.

მიუხედავად მრავალგზის დაზიანებისა და რესტავრაციისა, ალავერდის მონასტრის მთავარმა ტაძარმა მაინც შეინარჩუნა პირვანდელი სახე, თუმცა, გარკვეული ცვლილებებით: თავდაპირველად, იგი სამიარუსიანი ყოფილა. სამი მხრიდან თაღებიანი ღია გალერეა ერტყა გარს და სამი შესასვლელი, (კარიბჭე) ჰქონდა, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში, გალერეა მოუნგრევიათ, ჩრდილოეთის კარიბჭე კი ამოუშენებიათ.

კომუნისტური მმართველობის დასაწყისში — 1929 წელს, ისევე, როგორც საქართველოს თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი, ალავერდის მონასტერიც დაიხურა; კომუნისტებმა ის დაარბიეს, მსახურთაგან კი, ზოგი მოკლეს, ზოგი — დააპატიმრეს. იმავე პერიოდში საჯაროდ მოკლეს მონასტრის იმჟამინდელი წინამძღვარი, ამბა ალავერდელი, მღვდელმთავარი პიროსი (ოქროპირიძე). თუმცა ალავერდის მონასტერში სხვა ეკლესია-მონასტრებზე გაცილებით ადრე — XX საუკუნის 40-იან წლებში აღდგა ღვთისმსახურება, სრულიად საქართველოს იმჟამინდელი კათოლიკოს-პატრიარქის, კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით. ამის შემდეგ, ალავერდში კვლავ დამკვიდრდნენ ბერები და ცხადია, განახლდა სამონასტრო ცხოვრებაც.

ყოველწლიურად, 27 სექტემბერს — ჯვართამაღლების დღეს, ალავერდის მონასტერში დღესასწაული — „ალავერდობა“ იმართება, რომელზეც კახეთის რაიონებში მცხოვრები უამრავი ადამიანი და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული მომლოცველები იყრიან თავს. „ალავერდობა“ უძველესი დღესასწაულია, რომელიც მოსავლის აღება-დაბინავებასთანაა დაკავშირებული და მონასტრის დამაარსებლის, იოსებ ალავერდელის სახელზე იმართება.

გარდა ამისა, სექტემბერში ალავერდის მონასტერში კიდევ ორი დღესასწაული იმართება: 13 სექტემბერს — წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის ხსენებისა და 15 სექტემბერს, ამბა იოსებ ალავერდელის ხსენების დღეები.

■

რევაზ ძოძუაშვილი – ბესტის შემჩერებელი და ლატვიელთა საფეხბურთო განმანათლებელი

ქართველი მწვრთნელებიდან რევაზ ძოძუაშვილი ერთადერთი გახლავთ, რომელმაც უცხო ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებში მუშაობისას, წარმატებას მიაღწია. ლატვიაში აღიარებენ, რომ უკანასკნელ პერიოდში, ამ სახელმწიფოში ფეხბურთის წინსვლა სწორედ ქართველი სპეციალისტის მოღვაწეობას უკავშირდება. ძოძუაშვილი ლატვიის ეროვნულ გუნდს 1998-1999 წლებში წვრთნიდა და აღნიშნულ პერიოდში, ლატვიელებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ისტორიულ წარმატებას მიაღწიეს — სტუმრად ნორვეგიისა და საბერძნეთის ძლიერი ნაკრებები დაამარცხეს. სხვათა შორის, ბატონი რეზოს მიერ დამოძღვრილმა ლატვიამ მაშინ, საკუთარ მოედანზე საქართველოს ნაკრებსაც სძლია. იმის ჩამოთვლა კი, თუ ძოძუაშვილს სულ რამდენ კლუბში უმუშავია, შორს წაგვიყვანს. უბრალოდ, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი საფეხბურთო სპეციალისტებიდან, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მას ყველაზე მეტი გუნდი გაუწვრთნია. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბატონი რეზო, დავით ყიფიანთან ერთად, საქართველოს ეროვნულ გუნდში მუშაობდა, რომელიც სკანდალურად დატოვა — ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ღიად დაუპირისპირდა მერაბ ჟორდანიასა და ფედერაციის იმჟამინდელ ხელმძღვანელობას. რაც შეეხება მის საფეხბურთო კარიერას — ძოძუაშვილმა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 301 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მან 49 შეხვედრაში ითამაშა, მეტოქის კარში გოლი არ გაუტანია, თუმცა, ბევრი მცველისთვის შესაშური, არაერთი რეიდი განუხორციელებია მოწინააღმდეგე გუნდის ნახევარსა და საჯარიმო მოედნისაკენ. იგი 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახლავთ, ხოლო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ოთხგზის დაეუფლა ბრინჯაოს მედალს. ამჟამად, ძოძუაშვილი ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ.

ლაშა თაბაგარი

ასკეტური ცხოვრების მიმდევარი

— საბავშვო ბაღიდან, სერგო კუტიავაძესთან ერთად ვიზრდებოდი. სკოლაში კი, ლევან და გივი ნოდიები სწავლობდნენ ჩემთან ერთად. საერთოდ, ქუთაისელმა ბიჭებმა თბილისის „დინამოს“ არსებობის ისტორიაში, გუნდის წარმატებაში დიდი როლი შეასრულეს. ფეხბურთში მხოლოდ ტალანტი საკმარისი არ არის — აუცილებელია შრომისმოყვარეობაც. ბევრ ჩემს ნიჭიერებით გამორჩეულ თანატოლს სწორედ ეს თვისება აკლდა. ალბათ, მათ არ ჰყავდათ ისეთი მასწავლებელი, რომელიც სათანადო დარიგებას მისცემდა. ამ ბიჭებს, ფეხბურთის თამაშთან ერთად, დალევა, გართობა და დროის ლამაზად გატარება სურდათ; ყოველივე ეს, საკუთარ თავს ავუკრძალე და თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი. თავდაპირველად, ქუთაისის „ტორპედოს“ საფეხბურთო სკოლაში დავდიოდი, ხოლო მეცხრე კლასში სწავლისას, ადგილობრივ „იმერეთში“ მიმიწვიეს, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობდა. თავიდან, ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე გამოვდიოდი და გოლებიც გამქონდა. სხვათა შორის, კარიერის განმავლობაში, არც ერთ გუნდში ყოფნა არ მეთაკილებოდა. ჩანთაში ბურთი მედო და ისე დავდიოდი, ვცდილობდი, შესაფერისი გუნდი მომეძებნა. კარგი ხალხი კი ყოველთვის მეხმარებოდა. 1963 წელს, მწვრთნელმა მიხაილ იაკუშინმა თბილისის „დინამოში“ მიმიწვია, სადაც დუბლშემადგენლობაში ვთამაშობდი. ამავე დროს, წინადადებით ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ მომმართა და ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია მომცა. ამიტომ, არჩევანი ქუთაისელთა სასარგებლოდ გავაკეთე. იაკუშინზე კი იმის თქმა შემიძლია, რომ ის ფეხბურთის აკადემიკოსი გახლდათ. პირველად, მას 20 წლის ასაკში შევხვდი და მივხდი, რომ თავდაუზოგავი შრომის შედეგად, ადამიანს, გამოცდილებასთან ერთად, ნიჭიც ემატება. მან დამარწმუნა, რომ დისციპლინასა და თავდადებას ბევრი რამ შეუძლია. იაკუშინი მომავლის მწვრთნელი იყო, რომელსაც ფეხბურთი დეტალებში ესმოდა. მისი დიდი დამსახურებაა, რომ 1964 წელს, „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა *(თუმცა, გუნდის მთავარი მწვრთნელი მაშინ, უკვე გავრილ კაჩალინი გახლდათ. — ავტ.).*

გარდა ამისა, ვიტალი დარასელიაც ხომ სწორედ მან ჩამოიყვანა ოჩამჩირიდან...

თავდასხმიდან დაცვის ხაზში და ახლენილი წინასწარმეტყველება

— „ტორპედოში“ ერთი სეზონი ჩავატარე და შემდეგ, გუნდი დავტოვე. ეს იმანაც განაპირობა, რომ ძირითად შემადგენლობაში ყოველთვის ვერ ვხდებოდი, რაც, ცოტა არ იყოს, მწყინდა. არადა, ახალგაზრდა ვიყავი და თავი უკვე ჩამოყალიბებულ ოსტატად მიმაჩნდა. ამის გამო, მწვრთნელებს ხშირად ვეკამათებოდი, შემდეგ, სპორტულ ჩანთას ვიღებდი და მივდიოდი. ჭკუის დამრიგებელი არავინ მყავდა, რომ ეთქვა — არასწორად იქცევიო. პირიქით, ზოგიერთი იმასაც მეუბნებოდა — ღირსი ხარ და ძირითადში რატომ არ გაყენებენო?! ქუთაისიდან სოხუმის „დინამოს“ მივაშურე, სწორედ იქ მივხვდი, რომ არასწორად ვიქცეოდი. თავიდან, გუნდში მივედი, როგორც თავდამსხმელი, მაგრამ საბოლოოდ, დაცვაში გადამიყვანეს, რამაც გული დამწყვიტა. თუმცა, ჩემთვის უმთავრესი, გუნდში სტაბილურად თამაში გახლდათ. უკანა ხაზში დამაჯერებელი გამოსვლით თანაგუნდელთა პატივისცემა რომ მოვიპოვე, გულში წყენის ნატამალიც აღარ დამრჩა. ვგრძნობდი, რომ გუნდს ვჭირდებოდი. თანაც ვფიქრობდი — თავდასხმაში იმის ლოდინს, პასს როდის მომცემენ, სჯობს, ბურთი მეტოქეს თავად ავართვა და სურვილისამებრ განვკარგო-მეთქი... მართლაც, ასე ვიქცეოდი და ეს სიამოვნებას მანიჭებდა. 1965 წლის მიწურულს, ოდესის „ჩერნომორეცთან“ ერთად ვიყავი შეკრებაზე, მაგრამ საბოლოოდ, გუნდში არ დამტოვეს. სოხუმში ერთი სეზონი გავატარე და კვლავ ქუთაისში დავბრუნდი. „ტორპედოს“ მაშინდელი მწვრთნელი ვსევოლოდ ბლინკოვი კვალიფიციურ მცველებს ეძებდა და მას

ჩემი კანდიდატურა შესთავაზეს. მასთან მუშაობამ დიდხანს არ მომიწია, რადგან ის მალევე მოსკოვში დაბრუნდა. „ტორპედოში“ გატარებული ერთი წლის მანძილზე, თბილისის „დინამოსთან“ დაპირისპირებისას, ორჯერ მომიწია სლავა მეტრეველის პერსონალურად მეურვეობამ, რაც საკმაოდ კარგად გამომივიდა. მომდევნო სეზონში კი, ვიაჩესლავ სოლოვიოვმა „დინამოში“ მიმიწვია. მან პირველსავე შეხვედრისას მითხრა, რომ არა მარტო კლუბში, არამედ საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშიც შემეძლო. სოლოვიოვი ნამდვილი პროფესიონალი გახლდათ და დარწმუნებული ვარ, იგი სამწვრთნელო ასპარეზზე თავს დღესაც მშვენივრად იგრძნობდა. ის ჩემთვის პირველი ადამიანი იყო, რომელმაც შინაგან ბარიერს გადააბიჯა და ადამიანზე არა ლოზუნგებით ან კომკავშირული მეთოდებით ახდენდა ზემოქმედებას (რაც იმხანად ძალზე გავრცელებული მეთოდი გახლდათ), არამედ რჩევით. მან „დინამოში“ პრემიალური სისტემა დანერგა და გამარჯვების შემთხვევაში, ფეხბურთელები დამატებით თანხას იღებდნენ. საერთოდ, სოლოვიოვი გაბედული და თავისებური პიროვნება გახლდათ. უნდა აღვნიშნო, რომ მისი წინასწარმეტყველება მართლაც, ახდა და 1969 წელს, ქვეყნის პირველ ნაკრებში მიმიწვიეს, რომლის შემადგენლობაშიც პირველად, კოლუმბიის წინააღმდეგ ვითამაშე. დებიუტი ჩემთვის იღბლიანი აღმოჩნდა, რადგან 3:1 მოვიგეთ.

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის „დამჭერი“

— მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად, ჩრდილოეთ ირლანდია უნდა დაგვემარცხებინა, რომლის შემადგენლობაშიც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი — ჯორჯ ბესტი გამოდიოდა. მის გარდა, ცენტრალური თავდამსხმელის, დუგანისაც გვშინოდა, რომელიც მშვენივრად თამაშობდა თავით. გუნდში ნახევარი წლით ადრე დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ ვის უნდა გაეწია პერსონალური მეურვეობა ამ ორი ფორვარდისთვის. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, გავრილ კაჩალინმა სოხუმში გასამართ შეკრებაზე ქვეყნის მასშტაბით, ყველა მარჯვენა მცველი მიიწვია, რომელთაგან ბესტის მეურვე უნდა შეერჩია. მის სიაში თავიდან, მეშვიდე ვიყავი, მაგრამ კაჩალინმა მალე დაასკვნა, რომ ჩრდილოირლანდიელთა ლიდერის წინააღმდეგ სათამაშოდ, ყველაზე შესაფერისი, ჩემი კანდიდატურა გახლდათ. იქიდან მოყოლებული, 6 თვის განმავლობაში, ბესტთან დასაპირისპირებლად ვემზადებოდი. ამ პერიოდში, მკაცრ რეჟიმს ვიცავდი და თავს ყველაფერი ავუკრძალე. მაშინ, ვიდეოპარატურა არ არსებობდა და ჩვენ რამდენჯერმე გვიჩვენეს კინოფირი, რომელზეც ინგლისისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები გუნდების დაპირისპირება იყო აღბეჭდილი. მართალია, ბესტი უმაღლესი დონის ოსტატი იყო, მაგრამ მიშა მესხის წინააღმდეგ თამაშის შემდეგ, არც ერთი გარემარბის არ მეშინოდა. მთავარი იყო, ნახევარი წელი არ მოვდუნებულიყავი და სულ, მაღალი ტონუსი შემენარჩუნებინა. მიუხედავად კაჩალინის გადაწყვეტილებისა, ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ბესტის „დაჭერას“ მანდობდნენ. საბოლოოდ, ამის შესახებ, თამაშამდე ორი-სამი დღით ადრე შევიტყვე. მაშინვე ყურადღების ცენტრში მოვექეცი, რადგან მომავალი მატჩის შესახებ რაც კი იწერებოდა, ყველგან აქცენტი ჩემსა და ბესტის დაპირისპირებაზე კეთდებოდა. თუმცა, ამისთვის ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი და აღნიშნული ფაქტი საერთოდ არ მაფრთხობდა. პირიქით, ჯორჯზე, რაღაც თვალსაზრისით, გაბრაზებულიც კი ვიყავი: თამაშზე რომ გამოვედით, ტრიბუნაზე მჯდარი 60000 მაყურებლიდან, მგონი, 40000 — ქალი იყო, რომელიც ბესტს გულშემატკივრობდა. ის სიმპატიური ბიჭი გახლდათ და სუსტი სქესის წარმომადგენლებში პოპულარობით სარგებლობდა. ბურთს როგორც კი მიიღებდა, ქალებს წივილ-კივილი ჰქონდათ ატეხილი... დაკისრებულ მოვალეობას კარგად გავართვი თავი და ბესტს თავის გამოჩენის საშუალება არ მივეცი. შეხვედრა ფრედ — 0:0 დასრულდა და ამ მატჩმა აღიარება მომიტანა. მოსკოვში გასამართავ განმეორებით შეხვედრაზე ჩრდილოირლანდიელთა კერპი აღარ ჩამოსულა, არადა, თავდაპირველად ამბობდა, რომ რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დუელს მაინც მომიგებდა. ვფიქრობ, მისი ჩამოუსვლელობის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ირლანდიელები მიხვდნენ — მოსკოვში ჩვენ წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდნენ. საბოლოოდ, შესარჩევი ციკლის დარჩენილი ნაწილი უდანაკარგოდ გავიარეთ და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე მოვხვდით. ბესტის გარდა, კარიერის განმავლობაში, ყველაზე მეტად, იუგოსლავიელ დრაგან ჯაიჩთან დაპირისპირება დამამახსოვრდა. როდესაც მის წინააღმდეგ პირველად ვითამაშე, ვერ „ავიყვანე“ და მივხვდი, რომ ბევრი რამ მქონდა დასასახვწი. ჯაიჩს მოედანზე კიდევ ოთხჯერ შევხვდი და მოგვიანებით, თავად განაცხადა — ძოძუაშვილმა ჩემი სრულად ნეიტრალიზება მოახერხაო. სხვათა შორის, ერთ-ერთ

ქართულ ტელეარხზე ჯორჯ ბესტზე გადაღებული ფილმი უჩვენეს, რომელშიც ძოძუაშვილის გვარი საერთოდ არ უხსენებიათ. ცხადია, მეწყინა და ჟურნალისტს, რომელმაც ფილმი შექმნა, ვუთხარი — იმ ერთი საათის განმავლობაში, რაც ფილმში ილაპარაკე, შეგეძლო, ჩემი გვარი არ დაგესახელებინა, მაგრამ უბრალოდ გეთქვა: ბესტი ერთმა ქართველმა „დაკეტაო“.

პოლიტიკისა და მსაჯის შეცდომის მსხვერპლნი

— მსოფლიო ჩემპიონატის წინ, საპრიზო სამეულში მოხვედრა დაგვისახეს მიზნად. მაგრამ ტურნირის დაწყებამდე, საკმაოდ ბევრი პოლიტიკური საკითხი გვიშლიდა ხელს გამარჯვების მიღწევაში. მექსიკაში ჩასულები, თანხის ეკონომიის მიზნით, ისეთ სასტუმროში დაგვაბინავეს, რომელსაც საცურაო აუზი არ ჰქონდა. წარმოიდგინეთ, ასეთ სიცხეში, იმის საშუალება არ მოგვცეს, რომ გავგრილებულიყავით. სხვა ნაკრებებს რომ ვუყურებდით, მათი ფეხბურთელები ჩვენზე გაცილებით კარგად ჩაცმულ-დახურულები იყვნენ და მეტ ფულსაც იღებდნენ. თან, მომავალ კონტრაქტებზე ფიქრობდნენ. ჩვენ კი, თითქოს ციხეში ვიყავით დამწყვდეული, რადგან ზედმეტად ხმის ამოღებისაც გვეშინოდა... ახალი ჩასულები ვიყავით და უნდა გვესადილა, როდესაც გუნდის უფროსმა მწვრთნელებს უთხრა — მაგათ წვნიანი რად უნდათ, ეგენი რა ენერგიას ხარჯავენო?.. საბჭოთა მოთამაშეთა მატერიალური ანაზღაურება, სხვების, თუნდაც, სოციალისტური ქვეყნების ფონზე, აშკარად ყველაზე დაბალი იყო. გარდა ამისა, მექსიკაში არ წამოიყვანეს სტრელცოვი და ვორონინი, რომლებიც იმ პერიოდში არსებული, უაზრო პოლიტიკის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. კაჩალინს მათი გუნდში შეყვანაც რომ ნდომოდა, უფლებას მაინც არ მისცემდნენ, რადგან იმხანად, ასეთი ტენდენცია იყო — სპორტის ჩინოვნიკები გუნდში ახალგაზრდების ყოფნას მოითხოვდნენ. მაშინ ნაკრებში ორი „დაჯგუფება“ არსებობდა — „იაკუშინის გუნდი“ და „კაჩალინის გუნდი“. პირველში გამოცდილი ფეხბურთელები შედიოდნენ, ხოლო მეორეში — ახალგაზრდები. მე კაჩალინის გუნდს მივეკუთვნებოდი. მსოფლიო ჩემპიონატზე აკლიმატიზაციასთან დაკავშირებით, არავითარი პრობლემა არ შეგვქმნია, რადგან იმ წლებში, ლათინურ ამერიკაში ამხანაგურ თამაშს ხშირად ვატარებდით. კენჭისყრის შედეგად, არცთუ ისე ძლიერი ჯგუფი შეგეხვდა. პირველ თამაშზე, მექსიკელებთან, მწვრთნელებმა რატომღაც არ დამაყენეს, არადა, გუნდის ძირითად ფეხბურთელად მივიჩნეოდი. თუმცა, ამის მიზეზი ალბათ, არა სპორტული ხასიათის, არამედ სულ სხვა რამ გახლდათ. შესარჩევ ციკლში ჩვენს კარს რუდაკოვი იცავდა, რომელმაც ჩემპიონატის წინ, მძიმე ტრავმა მიიღო და მისი ადგილი კავაზაშვილმა დაიკავა. გარდა ამისა, ძალიან კარგად თამაშობდნენ: მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი, გივი ნოდია. ქართველები თითქმის ნახევარ გუნდს შევადგენდით

და ცხადია, ჩვენი მოედანზე ერთად გამოყვანა ვიღაც-ვიღაცებისთვის სასიამოვნო არ გახლდათ... შეხვედრა ფრედ დასრულდა, მაგრამ მასპინძელთა შეტევის მარცხენა ფლანგმა ძლიერად ითამაშა და ამიტომ, მომდევნო მატჩში, ბელგიელებთან, ლოგოფეტის მაგივრად, დაცვაში ისევ მე დამბრუნეს. ის დაპირისპირება დაცვის ხაზმა კარგად ჩაატარა, ხოლო თავდამსხმელებმა მეტოქეს 4 გოლი გაუტანეს. თუმცა, გუნდს კომბინაციური თამაში არ გამოსდიოდა. მესამე შეხვედრაში სალვადორის ნაკრებს ვძლიეთ და მექსიკელებთან ერთად, თანაბარი ქულები დაგვიგროვდა. არსებული წესების თანახმად, ჯგუფში პირველ ადგილზე გასულის ვინაობა კენჭისყრით უნდა დადგენილიყო, რომელზეც პარკუიანი გაემართა, რადგან იგი იღბლიანად მიიჩნეოდა. მეოთხედფინალში მეტოქედ ურუგვაი შეგვხვდა, რამაც უზომოდ გაგვახარა, ვინაიდან მივიჩნევდით, რომ ამ გუნდის დამარცხება შეგვეძლო. ამიტომ, როცა მოედანზე გამოვედით, ბევრმა ჩვენგანმა წინასწარ გადაწყვიტა, რომ უკვე ნახევარფინალში ვიყავით. იმ მატჩში შესაძლოა, ურუგვაი მეტს გვიტევდა, მაგრამ საერთო ჯამში, თამაში თანაბარი იყო. დაცვის ხაზი 3 ტაიმის განმავლობაში, კარგად გაისარჯა და დროდადრო, კონტრშეტევასაც ვახორციელებდით, მაგრამ მსაჯის შეცდომამ ტურნირიდან გამოგვთიშა. საბოლოოდ, ურუგვაიელებმა 1:0 დაგვამარცხეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

წარმატებული სანაკრებო კარიერა

— შეხვედრის შემდეგ, უაზრო სიამაყის გრძნობა დაგვეუფლა, რადგან ჩვენს წარუმატებლობას ყველანი მსაჯს ვაბრალებდით. ურუგვაისთან გამარჯვების შემთხვევაში, მომდევნო ეტაპზე ბრაზილიას შევხვდებოდით და შესაძლო იყო, პელეს წინააღმდეგ პერსონალურად მეთამაშა. მართალი გითხრათ, ამისთვის უკვე მამზადებდნენ. ბესტთან და ჯაიჩთან დაპირისპირება წარმატებით გამომივიდა, პელესთან იმავეს თუ გავაკეთებდი, ეს ჩემი კარიერის პიკი იქნებოდა. თუმცა, ეჭვი მეპარება, რომ ბრაზილიელები დაგვემარცხებინა... დარწმუნებული ვარ, რომ მექსიკაში უკეთესი გუნდის ჩაყვანა შეიძლებოდა. მანამდე, მთავარი მწვრთნელის პოსტი იაკუშინს ეკავა, რომლის ნაკრები ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნეოდა. ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში იტალიელებთან დამარცხების გამო, ის გუნდიდან გაათავისუფლეს. ნაკრები კაჩალინს ჩააბარეს, რომელმაც გაახალგაზრდავების პროცესი დაიწყო. ჩემი აზრით, გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელების აყვანა ასეთი რევოლუციური ტემპით არ უნდა მომხდარიყო. დღესდღეობით, როგორც მწვრთნელს, მესმის — ყველაზე კარგი გამოსავალი, ნაკრებში გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების სინთეზი იქნებოდა. თუმცა, კომუნისტურ საზოგადოებას თავისი კანონები ჰქონდა და ურუგვაისთან სწორედ გამოცდილება არ

გვეყო... მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უდიდესი წარმატებაა და გამონაკლისი არც მე ვარ. მქონდა შანსი, რომ 1974 წელს, გერმანიაში გამართულ მუნდიალზეც მეთამაშა, მაგრამ ნაკრები „დიდ პოლიტიკას“ შეეწირა და ჩვენ მაგივრად იქ ჩილელებმა იასპარეზეს. ცხადია, სანაკრებო დონეზე უფრო მეტს მივაღწიე, რისი დადასტურება თუნდაც, 1972 წელს, ევროპის ჩემპიონატის ფინალში თამაშია. მართალია, მაშინ გერმანიასთან 0:3 წავაგეთ, მაგრამ ასეთი დონის ტურნირის გადამწყვეტ მატჩში, ისტორიის მანძილზე მხოლოდ 5 ქართველ ფეხბურთელს აქვს ნათამაშები, რომელთაგან ერთ-ერთი — მე ვარ. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩატარებული შეხვედრებისას, ჩემთვის არავის უთქვამს — შენი გულისთვის წავაგეთო. ერთადერთი, 1972 წლის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ, სადაც პოლონელებთან დავმარცხდით, გერმან ზონინმა წარუმატებლობა მე დამაბრალა. თუმცა, ის ნაკრების მთავარი მწვრთნელი არ გახლდათ და გუნდში მხოლოდ იმიტომ აიყვანეს, რომ ვოროშილოვგრადის „ზარია“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახადა, თორემ, ნაკრების თავკაც პონომარიოვს ამის თაობაზე სიტყვაც არ დაუძრავს... ქვეყნის პირველ გუნდში უკანასკნელი თამაში 1974 წელს, ჩეხოსლოვაკიასთან ჩავატარე, რომელიც 0:1 დავთმეთ.

თამაშით გადაღლილი

— 1976 წელს, თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში 3 მატჩი ჩავატარე და შემდეგ, გუნდი დავტოვე. ისე მოხდა, რომ „დინამომ“ თასი პირველად მოიპოვა. კლუბიდან იმიტომ არ წავსულვარ, რომ მთავარი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი გახდა. უბრალოდ, გადავიღალე და ვიფიქრე, რომ საკუთარი თავი ამოვწურე. რაც არ უნდა იყოს, „დინამოში“ 10 წელი ვითამაშე, ხოლო ნაკრებში — 5, თან იმ დროს, ჩვენთან სპორტული მედიცინა იმ დონეზე არ იდგა, რომ ძალა სათანადოდ აღგვედგინა. 10 წელი საშინელ რეჟიმში გავატარე და ასეთ ყოფაში შეიძლება, გავგიჟებულიყავი. როგორც კი მივხვდი, ადრინდელ დონეზე ველარ ვთამაშობდი, მაშინვე ფეხბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება მივიღე. ერევანში მშვენიერი მატჩი ჩავატარე ადგილობრივი „არარატის“ წინააღმდეგ, რომელშიც არკადი ანდრეასიანს პერსონალურად ვმეურვეობდი. თამაშის დამთავრების შემდეგ კი, ახალკაცს საკუთარი გადაწყვეტილება გავუმხილე. მარჯვენა მცველის ადგილზე პრეტენზიას ახალგაზრდა თამაზ კოსტავა აცხადებდა და მწვრთნელმაც ალბათ, მისით ჩემი ჩანაცვლება გადაწყვიტა. ამას რომ მივხვდი, ახალკაცისთვის ხელი აღარ შემიშლია. მართალი გითხრათ, 10 წლის განმავლობაში, არა მხოლოდ მეტოქეების, არამედ საკუთარი მწვრთნელების წინააღმდეგ თამაშიც მიხდებოდა: მუდამ ის უნდა მემტკიცებინა, რომ კარგი ფეხბურთელი ვიყავი, რაც ადვილი საქმე არაა. მესმოდა, რომ ახალკაცს შეიძლებოდა, კიდევ გამოვდგომოდი, მაგრამ ჩემი თავი სათადარიგოთა სკამზე ვერ წარმომედგინა. რაც შეეხება იმას, რომ იოლად შემელივნენ, — ეს საბჭოთა კავშირში გასაკვირი არ იყო. ამჟამად ფეხბურთელს 30 წელი რომ უსრულდება, არავინ ეუბნება, თამაშს თავი დაანებეო; მაშინ კი, ის გიხაროდა, თუ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, სამსახურს იშოვიდი.

ფეხბურთში დარჩენილი

— თავიდანვე მივხვდი, რომ უფეხბურთოდ დავიღუპებოდი და მალევე, მწვრთნელობა დავიწყე, რამაც კარიერის დასრულება ადვილად გადამატანინა. „დინამოდან“ წამოსვლის შემდეგ, თბილისის არმიული სპორტული კლუბის გაწვრთნა დამავალეს, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. ამოვიღე ძველი ჩანაწერები და გავიხსენე, რასაც თავის დროზე, იაკუშინი, კაჩალინი, ბესკოვი, სოლოვიოვი მეუბნებოდნენ. მართალი გითხრათ, ფეხბურთელიდან მწვრთნელად მალე გარდავიქმენი. სხვათა შორის, ჩემმა გუნდმა თავიდანვე წარმატებას მიაღწია და შეიარაღებული ძალების ჩემპიონატი მოვიგეთ. ამან დიდი სტიმული მომცა და ცოტა ხანში, საბჭოთა კავშირის მეორე ლიგაში მოასპარეზე სამტრედიის „ლოკომოტივში“ მიმიწიეს. ამის შემდეგ, კიდევ რამდენიმე გუნდში ვიმუშავე და დავით ყიფიანმა თბილისის „დინამოში“ თავის ასისტენტად გადამიყვანა. 1992 წელს, მთავარი მწვრთნელი გავხდი და ჩამოვაყალიბე კოლექტივი, რომელსაც რუსეთის საფეხბურთო კავშირის ყოფილმა თავჯდომარემ, ვიაჩესლავ კოლოსკოვმა „XXI საუკუნის გუნდი“ უწოდა. მაგრამ იმ პერიოდში, ქართული ფეხბურთის და მათ შორის, „დინამოს“ საქმეებში აქტიურად ერეოდნენ პოლიტიკური ძალები, რომელთა გამოც, „დინამოს“ დატოვება მომიხდა... მაშინ ხმა გავრცელდა, თითქოს მურთაზ შელიასთან მომივიდა კონფლიქტი და ამას შევეწირე. სინამდვილეში, ჩვენ უბრალოდ შევლაპარაკდით, რაც ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის ხანდახან ხდება, ხოლო მიზეზი სხვა რამ იყო.

ალბათ, ბევრს არ აძლევდა ხელს იმ

ადამიანთან ურთიერთობა, რომელსაც საკუთარი პრინციპები აქვს... პირველი გუნდი, რომელსაც საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩავუდექი სათავეში, უკრაინული შეპეტოვკის „ტემპი“ გახლდათ და მის რიგებში 8-9 ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა. უკრაინიდან საქართველოში ერთი წლით დავბრუნდი და შემდეგ, ლატვიას მივაშურე, სადაც რიგის „სკონტოსა“ და ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიყავი. ყველაზე ეგზოტიკური ადგილი, სადაც მწვრთნელად მიმუშავია, საუდის არაბეთი იყო. ამ ქვეყანაში საშინელი კანონებია. ევროპელ მწვრთნელს 5 თვით იწვევენ, რადგან იციან, რომ მეტხანს ვერ გაძლებს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ გრამ ლუდს ვერ დალევ და ქუჩაში ქალს ვერ დაელაპარაკები. ვარჯიშის დროს კი, შეიძლება, ფეხბურთელებმა ყველაფერი მიატოვონ და ლოცვა დაიწყონ. ისინი დღეში 6-7-ჯერ ლოცულობენ.

ქუჩის ბიჭებისა და ღარიბების თამაში

— როგორც სპეციალისტმა, XVIII მსოფლიო ჩემპიონატიდან ჩემთვის ბევრი სასარგებლო ინფორმაცია მივიღე. განვლილ ტურნირზე მრავალი ახალი ტაქტიკური მონახაზი ვიხილეთ და საბოლოოდ, გაიმარჯვა გუნდმა, რომელშიც დაცვა, თავდასხმასთან ერთად, ჰარმონიულად მოქმედებდა. სხვათა შორის, მეც ყოველთვის ამის მიმდევარი ვიყავი. იტალიელებს, მარჩელო ლიპის სახით, ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავდათ, რომელმაც ჯერ საკლუბო დონეზე მიაღწია წარმატებას, შემდეგ კი — სანაკრებოზე. იტალიელებმა დაგვანახვეს, რომ არა მარტო კარგად თამაში, არამედ მეტოქის წინასწაროობიდან გამოყვანაც ეხერხებათ. მატერაციმ იმდენი ქნა, რომ ზიდანი „წამოიკიდა“ და მოედნიდან გააგდებინა. მართალია, ფრანგი კაცურად მოიქცა, მაგრამ — არასპორტულად. ზიდანმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ფეხბურთი ქუჩის ბიჭებისა და ღარიბების საქმეა: მან ბურთის თამაში ქუჩაში დაიწყო და საბოლოოდ, კარიერა ხულიგნურად დაასრულა... მე ბრაზილიას ვგულშემატკივრობდი, რომელმაც იმედი ვერ გამიმართლა. თუმცა, შესაძლოა, ამ შემთხვევაში სხვა ფაქტორებმაც იქონია გავლენა. შესაძლოა, მწვრთნელზე, კაფუსა და რობერტო კარლოსის ავტორიტეტმა იმოქმედა, რომლებიც მან სათადარიგოთა სკამზე არ დასვა. არადა, ბრაზილიელებს მათი შემცვლელი ახალგაზრდა ფეხბურთელები ნამდვილად ჰყავდათ. ფრანგებთან მარცხში კი, დიდი წვლილი სწორედ კაფუსა და კარლოსს მიუძღვით. რაც შეეხება რონალდინიოს, — მან „ბარსელონაში“ თამაშით, გერმანიამდე დაიპყრო მსოფლიო და ისე ჩანდა, თითქოს მოტივაცია აღარ ჰქონდა — ამაზე მეტი რაღა უნდა გავაკეთოო?!. ბრაზილიელთა მწვრთნელმა ფრანგებთან თამაშისას, თავდასხმაში რონალდო, რომელიც არცთუ ისე კარგ სათამაშო ფორმაში იყო, მარტო დატოვა, რაც არასწორი გადაწყვეტილება იყო: მან სამი მეტოქის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო და ამის შედეგად, გუნდს იმ თამაშში საგოლე მომენტი ფაქტობრივად, აღარ შეუქმნია. ■

ბიზნესმენისა სანდოლურად ცნობილი მემკვიდრე კარგი გემოვნებით გამოირჩევა

80 წლის წინ, ამბიციურმა ამერიკელმა ბიზნესმენმა კონრად ჰილტონმა დალასში სასტუმროს მშენებლობაში დააბანდა ფული და ამ კაპიტალდაბანდებამ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სასტუმროთა ქსელს ჩაუყარა საფუძველი. თავბრუდამხვევი სისწრაფით მზარდი იმპერიის საკეთილდღეოდ, ჰილტონი მუხლჩაუხრელად შრომობდა, ფინანსური საკითხებს თავად აკონტროლება, სასტუმროთა შიდამოწყობის საკითხებს დეტალურად განიხილავდა და ამ საკითხებში საუცხოო გემოვნებას ამჟღავნებდა. მისმა მცდელობამ ნაყოფი გამოიღო: კონრადმა კოლოსალური კაპიტალი და ქონება დააგროვა, მაგრამ 92 წლის მოხუცის ანდერძის თანახმად, ფული მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრების ნაცვლად, მის მიერ დაარსებულ საქველმოქმედო ფონდს რჩებოდა, რომელსაც პატრონაჟს კათოლიკური ეკლესია უწევდა...

მოგვიანებით ჰილტონის ვაჟს, ბარონს არაადამიანური ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ სასამართლოს გზით, მამის მილიონები ოჯახისთვის დაებრუნებინა. უნდა ითქვას, რომ ბიზნესმენის მემკვიდრეობა მხოლოდ ფულით არ შემოიფარგლებოდა. კონრადის შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს დიდი წინაპრისგან მისი ტალანტიც გადაეცათ. ჰილტონის შვილმა, ბარონმა და შვილიშვილმა, რიკმა სასტუმროების ბიზნესსა და უძრავი ქონებით ვაჭრობის სფეროში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს.

დიდი კონრადის შვილთაშვილმა, მაღალი საზოგადოების ძუ ლომმა — პერის ჰილტონმა ჯერჯერობით პროფესია ვერ შეარჩია, მაგრამ სახელოვანი წინაპრისგან მემკვიდრეობით ნატიფი გემოვნება მიიღო და ეს ტალანტი ახლახან ბრწყინვალედ წარმოაჩინა კიდეც, როდესაც ჰილტონების ოჯახის ახალი სახლის მოწყობა ითავა.

ეს ვილა ლოს-ანჯელესის პრესტიჟულ გარეუბანში ბელ-ეირში მდებარეობს. რიკ და კეტი ჰილტონებმა სახლსა და მამულში ორი წლის წინ 10 მლნ დოლარი გადაიხადეს. ცოლ-ქმარი დროის უმეტეს ნაწილს, ნიუ-იორკში ატარებს და ბელ-ეირს მხოლოდ მაშინ სტუმრობს, როდესაც 4 შვილის მოსანახულებლად, ლოს-ანჯელესში ჩადის. სამაგიეროდ, ოჯახის ახალი მამული თავიდანვე მოეწონა მათ ქალიშვილს, რომელმაც ბელ-ეირში დასახლება გადაწყვიტა. პერისმა მის ახალ სამფლობელოს მეურნე ადამიანის თვალი მოავლო და დაასკვნა, რომ გარშემო ყველაფერს რეკონსტრუქცია ესაჭიროებოდა.

ინტიმური ტელეფონი
822-006-008
822-006-088
822-006-108
(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

მშობლებთან ერთად

უნდა ითქვას, რომ ჰილტონებმა ორსართულიანი ვილა მშვენიერ მდგომარეობაში ჩაიბარეს — სახლს იდეალური რემონტი და გემოვნებით შერჩეული ავეჯი ამშვენებდა. მაგრამ პერისის აზრით, გასული საუკუნის 30-იანი წლების სტილში აშენებულ შენობას მისი შიდადიზაინი არაფრით შეეფერებოდა. პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ შენობის დაცლის ბრძანება გასცა. ცარიელი სახლის ხილვამ გოგონა მიახვედრა, რომ სივრცე ჯეროვნად არ იყო გამოყენებული და შენობა ხელახალ დაგეგმარებას მოითხოვდა. პერის ჰილტონისთვის ამგვარი სამუშაოს სპეციფიკა უცნობი იყო, ამიტომ დახმარებისთვის მეგობარ არქიტექტორს მიმართა. როდესაც მშენებლებმა შიდაკედლები მოანგრიეს და სახლს მხოლოდ მზიდი კედლებიღა შერჩა, ცხადი გახდა, რომ პერისი სწორ გზას ადგა. არქიტექტორმა სართულების გეგმა დახაზა და პერისთან ერთად, ოთახების განლაგებაზე დაიწყო მუშაობა.

ვიდრე საბოლოო გეგმას შეიმუშავებდნენ, უამრავი ვარიანტი განიხილეს, დაიწუნეს და საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ პირველ სართულზე მხოლოდ ორი უზარმაზარი სასტუმრო ოთახი, მათი დამაკავშირებელი დიდი ჰოლი და პატარა სამზარეულო, მეორე სართულზე — 4 საძინებელი ოთახი იქნებოდა, ხოლო სარდაფი სპორტდარბაზს დაეთმო.

ვიდრე მშენებლები კედლებს აშენებდნენ, გოგონამ სახლის მიმდებარე ტერიტორიის განახლებაზე დაიწყო ფიქრი. პირველ რიგში, მას აუზის ზომა არ მოსწონდა. სიმცირესთან ერთად, აუზი ძალზე სტანდარტული იყო, პერისი კი რაიმე განსაკუთრებულს ეძებდა. იდეა პერის ჰილტონს მაშინ დაებადა, როდესაც მეგობრის სახლში მოხატულფსკერიანი აუზი იხილა, მაგრამ სხვისი იდეის ბრმად გადამღერება არ ისურვა და საკუთარი, ორიგინალური ვარიანტი შეიმუშავა. მან არასწორი ფორმის აუზის ესკიზი შეადგინა, რომლის ფსკერს მოზაიკით მოკირწყლული მზე და მზის გარშემო ზოდიაქოს 12 ნიშანი ამშვენებდა. არქიტექტორმა ეს იდეა კიდევ უფრო განავრცო და პერისს აუზის შორიახლოს სტუმრებისთვის განკუთვნილი პატარა სახლის, ჩოგბურთის კორტის, მინიგოლფის მოედნის აშენება შესთავაზა. სამუშაოები მამულის მთელ ტერიტორიაზე გაჩაღდა...

ამასობაში, სახლში კედლები აშენდა და ოთახების ფერის შერჩევის დროც დადგა. ჰოლებისა და დერეფნებისთვის პერისმა თეთრი ფერი შეარჩია, სასტუმრო და საძინებელი ოთახები კი — კრემისფრად, ღია ყვითლად და პასტელის სხვა ფერებად შეაღებვინა. ოთახების გაფორმების ძირითად კომპონენტად ავეჯი, სურათები და სხვა აქსესუარები გამოიყენა. ამ საქმეში კი პროფესიონალი დიზაინერის დახმარებაზე უარი თქვა და მთლიანად საკუთარ გემოვნებას მიენდო. მრავალრიცხოვანი კატალოგითა და ჟურნალით შეიარაღებულმა პერისმა სახლის მოსაწყობად, ლოს-ანჯელესის სალონები და მაღაზიები დალაშქრა და შესაფერისი ავეჯის ძიებას თვე-ნახევარი შესწირა.

ჰოლებისა და დერეფნებისთვის პერისმა თეთრი ფერი შეარჩია


ვიდრე მშენებლები კედლებს აშენებდნენ, გოგონამ სახლის მიმდებარე ტერიტორიის განახლებაზე დაიწყო ფიქრი

ოვდა. იდეალური მამულის შესაქმნელად, ლანდშაფტური დიზაინის შექმნა იყო აუცილებელი. ამ რთულ საკითხში ჰილტონი მხოლოდ საკუთარ თავს აღარ ენდო და დახმარებისთვის სპეციალისტს მიმართა. ორი თვის შემდეგ, სახლის გარშემო ქვით მოკირწყლული გზები დაიგო, ეზო კი ყვავილების გაზონებმა და მშვენიერმა ხეებმა დაამშვენა...

როდესაც ბოლოს და ბოლოს, ახლობლებმა პერისის შრომისა და შემოქმედებითი წვის ნაყოფი იხილეს, — მშობლები, ბებიები და ბაბუები, ძმები, და, — უკლებლივ ყველანი აღფრთოვანებულნი დარჩნენ. იმ დღიდან, ბელ-ეირი ჰილტონების საგვარეულო დინასტიის ოჯახურ ბუდედ გადაიქცა, ეს კი, პერისის დამსახურებაა!

■

ნატალი პორტმანის მამა ქალიშვილის მოითხოვდა წინადაცვეთის ჩესის ჩატარებით უმუქრება

ნატალი პორტმანს სურს მომავალი შვილები იუდაიზმის სულისკვეთებით აღზარდოს და ამიტომ, „მართლმორწმუნე ებრაელ მამაკაცთან შეხვედრაზე ოცნებობს“. „ჩემი მომავალი შვილების ებრაელებად აღზრდა, ჩემთვის უმთავრესია. ეს კი შეუძლებელია, თუ გვერდით კარგი ადამიანი, ღირსეული პარტნიორი არ მეყოლება. ისრაელში ყოფნისას გაცილებით მეტად ვგრძნობ თავს ებრაელად“, — ამბობს მსახიობი. საინფორმაციო საშუალება არ ამხელს სახელს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ნატალის ამჟამინდელი ბოიფრენდი ებრაული წარმოშობის არ არის. ამის გამო, ნატალის მამა ხუმრობს — მას წინადაცვეთა უნდა ჩავუტაროო. „მამა ამ სულელურ ხუმრობას ხშირად უმეორებს და ანუგეშებს, რომ ეს ძალზე უბრალო ოპერაციაა“, — ამბობს ნატალი.

სხვათა შორის, 22 მაისს ნიუ-იორკის ერთ-ერთ კაფეში პორტმანი ისევ მსახიობ ჯეიკ გილენჰაალთან ერთად ნახეს. ჯეიკი ნატალის, კაფეს შესასვლელთან ვარდების თაიგულით ხელში ელოდა. როგორც ამბობენ, ნატალიმ ვარდები სიამოვნებით მიიღო. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, როდესაც ნატალი იერუსალიმში სწავლობდა, მის მეგობარ ჯენიფერ ენისტონთან ერთად ხშირად ხედავდნენ.

გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ პორტმანი დიდი ესპანელი მხატვრის, ფრანსისკო გოიას შესახებ გადაღებულ ფილმში — „გოიას აჩრდილები“ — ითამაშებს. მის გმირს — მხატვრის მუზას, ალისიას, ერეტიკოსობაში ადანაშაულებენ. ალისია ინკვიზიციის ხელში აღმოჩნდება — წამების დროს, მას ტანსაცმელს შემოახევენ. 25 წლის მსახიობი ფილმში — „სიახლოვე“ ერთხელ უკვე გაშიშვლდა. ამ სურათში ნატალიმ სტრიპტიზის მოცეკვავე ქალი განასახიერა, მაგრამ მისი თხოვნით, პიკანტური ეპიზოდები მანამდე ამოჭრეს სურათიდან, ვიდრე ის გაქირავებაში მოხვდებოდა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ მსახიობს შესთავაზეს როლი ფილმში, რომელსაც მაიკლ ჩაბონის გახმაურებული რომანის — „კავალერისა და კლეის საოცარი თავგადასავლების“ მიხედვით იღებენ და ფილიპ გრეგორის ისტორიული რომანის — „სხვა ბოლეინი“ მიხედვით დაგეგმილ ფილმში, რომელშიც XV საუკუნის მოვლენებია აღწერილი. ■

სიყვარული და ალკოჰოლი ლინდსეი ლოხანს ინგლისში უსმენს

ამბობენ, მომღერალი და მსახიობი ლინდსეი ლოხანი იმდენადაა გატაცებული უელსელი მსახიობით რიზ აიფანსით, რომ ინგლისში სახლის ყიდვაც კი გადაწყვიტა, რათა საყვარელ ადამიანთან, რაც შეიძლება ახლოს იყოს. აიფანსი მაყურებელმა ფილმებით — „სასტუმრო“ და „ნოტინგ-ჰილი“ გაიცნო. წყვილი ერთმანეთს ტოპმოდელმა კეიტ მოსმა გააცნო. ლოხანს ინგლისისკენ მხოლოდ ახალი სიყვარული როდი უბიძგებს. ნორჩი მსახიობი ფიქრობს, რომ ბოჰემის წარმომადგენლები საკუთარ ინდივიდუალობას ინგლისში უკეთ ავლენენ, ვიდრე ამერიკაში. არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ასაკის გამო, ლოხანს ამერიკაში ალკოჰოლიანი სასმლის შეძენა უჭირს. ამ თვალსაზრისით, ბრიტანული კანონები ბევრად უფრო ლოიალურია. ■

ნიკოლას კეიჯი ახალგაზრდების გადასარჩენად იმრძვის

ნიკოლას კეიჯმა სამხედრო კონფლიქტებში დაზარალებული ახალგაზრდების დახმარების ფონდში 2 მლნ დოლარი გადარიცხა. მსოფლიო მასშტაბით 300000 ახალგაზრდა აღმოჩნდა ჩათრეული შეიარაღებულ დაპირისპირებაში. ნიკოლას კეიჯის შეწირულობა ამ ადამიანების სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას მოხმარდება. „იფიქრეთ იმ 9 თვეზე, როდესაც თქვენი შვილის დაბადებას ელოდებით, იფიქრეთ იმ მომენტებზე, როდესაც შვილს ქუჩაზე გადასვლას, წერა-კითხვას და სუფრასთან მოქცევის წესებს ასწავლით. შემდეგ კი, ის ბოევიკი წარმოიდგინეთ, რომელიც თქვენს შვილს ხელში ავტომატს მიაჩეჩებს და მკვლელობის ჩადენას აიძულებს“, — ამბობს ნიკოლას კეიჯი. ■

რასელ ქროუს მეორე ვაჟიშვილი შეეძინა

ცნობილ ავსტრალიელ მსახიობს, „ოსკაროსან“ რასელ ქროუს მეორე ვაჟიშვილი შეეძინა. ტენისონ სპენსერ ქროუ სიდნეიში დაიბადა. ახალშობილი 3,6 კგ-ს იწონის. ვარსკვლავის წარმომადგენელი აცხადებს, რომ დედა და ჩვილი თავს შესანიშნავად გრძნობენ. ოჯახის უფროსი ვაჟი, ჩარლი უკვე 2 წლისაა. რასელმა მომავალი მეუღლე — დენიელ სპენსერი 1990 წელს, ფილმის — „გზაჯვარედინი“ — გადაღებებზე გაიცნო. 2003 წლის აპრილში, ავსტრალიის სანაპიროზე მდებარე ქროუს ვილაში მათი ქორწილი შედგა. უკვე ივლისში კი, წყვილმა განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ ოჯახის მემკვიდრეს ელოდებოდა. ჯვრისწერის ცერემონიაზე დენიელ სპენსერმა განაცხადა, რომ შვილების გაჩენაზე ზრუნვას დაუყოვნებლივ დაიწყებდა: „ჩვენი თაფლობის თვის მიზანია, დავისვენოთ და ბავშვის ჩასახვაზე ვიზრუნოთ. რასელი მანამდე უნდა გახდეს მამა, ვიდრე 40 წელი შეუსრულდება“, — თქვა მაშინ მისის ქროუმ. ოჯახმა რასელის 40 წლის იუბილე და ქორწინების წლისთავი 2004 წლის 7აპრილს ერთდროულად აღნიშნა. ■

არნოლდ შვარცენეგერმა მოტოციკლის მართვის უფლება მიიღო



კალიფორნიის შტატის გუბერნატორმა, არნოლდ შვარცენეგერმა, როგორც იქნა, მოტოციკლეტის მართვის უფლება მიიღო. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ცოტა ხნის წინ, „ტერმინატორი“ მოტოციკლეტით მგზავრობისას, ავტომობილს შეასკდა. საბედნიეროდ, ავარიას მსხვერპლი არ მოჰყოლია. გამოძიებისას გაირკვა, რომ შვარცენეგერს არა აქვს მართვის მოწმობა, რომელიც მას მოტოციკლეტის ტარების უფლებას აძლევს! გუბერნატორმა Harley-Davidsonu დიდი ხნის წინ შეიძინა, მაგრამ 1968 წლიდან მოყოლებული (შვარცენეგერი ამერიკაში 1968 წელს გადავიდა საცხოვრებლად), არ გაუვლია ამერიკაში მოტოციკლეტის მართვის უფლებისათვის საჭირო ტესტი, რადგან ასეთი მართვის მოწმობა ევროპაში ჰქონდა მიღებული. ■

პერის ჰილტონი „ცნობილ ადამიანად“ მუშაობს!

პერის ჰილტონმა ერთ-ერთ ინტერვიუში გულახდილად აღიარა, რომ მაღალი საზოგადოების წვეულებები სულაც არ ხიბლავს, ეს მისთვის მხოლოდ „სამუშაოა“ და როდესაც პრესაში სხვადასხვა მიღებასა და პრეზენტაციაზე გადაღებული მისი სურათები ქვეყნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ პერისს ამისთვის სოლიდური თანხა გადაუხადეს! „ყველას თავისებური სამუშაო აქვს. ჩემი „სამსახური“ — წვეულებებში მონაწილეობაა. ხალხს ვერ წარმოუდგენია, რომ მე მოკრძალებული ადამიანი ვარ. სინამდვილეში, მართლაც, ასეთი გახლავართ. ფოტოების გადაღება და კამერაზე მუშაობა საერთოდ, არ მიყვარს და თუ ამას ვაკეთებ, ეს იმას ნიშნავს, რომ შრომით ვალდებულებას ვასრულებ“, — განაცხადა პერისმა. ...გოგონამ გაზეთ The Sun-ის ჟურნალისტს კიდევ ერთი საიდუმლო გაუმხილა: მან აღიარა, რომ სკანდალური რეპუტაციის მიუხედავად, ხანმოკლე, „ერთღამიანი“ სასიყვარულო კავშირები არ იზიდავს. პერისი ამბობს, რომ ამგვარი კავშირი „უხეში და ვულგარულია“. „ბიჭებს მიუწვდომელი გოგონები უფრო მოსწონთ. იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ამგვარი ურთიერთობები იზიდავს, მოცდა მოუწევთ“. ინტერვიუს ბოლოს, მაღალი საზოგადოების ძუ ლომი მკითხველებს შეჰპირდა, რომ მომდევნო ინტერვიუში მათ მილიარდერის მოხიბვლის გზებს ასწავლის... ■

ბრედ პიტი ჯენიფერ ენისტონს გათხოვებაში სელს უშლის

როგორც ამბობენ, ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯენიფერ ენისტონი ახლო მომავალში გათხოვებას აპირებს. ჯერჯერობით, მსახიობის მატრიმონიალურ გეგმებს მხოლოდ ის აფერხებს, რომ პრესა მისი ყოფილი მეუღლის, ბრედ პიტის ახალ ოჯახს ძალზე დიდ ყურადღებას უთმობს. როგორც მოსალოდნელი იყო, ჯენიფერის ძველმა კავალერმა და პარტნიორმა (ფილმში „განქორწინება ამერიკულად“), ვინს ვონმა სატრფოს გული და ხელი შესთავაზა. ეს ამბავი მსოფლიოს ყველაზე რომანტიკულ ქალაქში — პარიზში მოხდა, სადაც ისინი ფილმის — „განქორწინება ამერიკულად“ პრომოკამპანიის ჩასატარებლად ჩავიდნენ. 37 წლის ენისტონი ვონის წინადადებას დათანხმდა და მიუხედავად იმისა, რომ წყვილი ახლო ურთიერთობას საჯაროდ არ ადასტურებს, უკვე საქორწინო გეგმებს აწყობს. როგორც აღინიშნა, ქორწინებას მხოლოდ ბრედ პიტის ახალი ოჯახის გარშემო ატეხილი ალიაქოთი უშლის ხელს. როგორც ჩანს, ჯენიფერი ქორწილის შესახებ განცხადებას მაშინვე გააკეთებს, როგორც კი ბრედის, ანჯელინა ჯოლისა და მათი ქალიშვილის, შილო ნუველის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი ჩაცხრება. ■

ალენ დელონი გადაწყვეტილებას იცვლის და კინოოკრანს უმრუნდება

ლეგენდად ქცეულმა ფრანგმა მსახიობმა, ალენ დელონმა ასტერიქსის თავგადასავლების ამსახველი კინოეპოპეის ახალ სერიაში — „ასტერიქსი და ოლიმპიური თამაშები“ — მონაწილეობა გადაწყვიტა. ეკრანზე

ალენ დელონი მკაცრ, შეუბრალებელ იულიუს კეისარს განასახიერებს. სწორედ ასეთია სცენარისტ ფრედერიკ ფორესტიესა და რეჟისორ ტომ ლანგმანის ჩანაფიქრი. ფორესტიემ სახელი გაითქვა სურათებით: „ნათლიები“ და „სრული ამძრავი“, ლანგმანი კი, დღემდე პროდიუსერად მუშაობდა და ფრანგები მას, როგორც ცნობილი რეჟისორის კლოდ ბერის შვილს, ისე იცნობდნენ. ამ ფილმის გადაღება ღირსშესანიშნავი იმიტომაც არის, რომ ახალგაზრდა, არცთუ ისე პოპულარულმა კინემატოგრაფისტებმა ფილმის შესაქმნელად საფრანგეთისთვის დღემდე არნახული თანხა — 78 მლნ ევრო მიიღეს. ამაზე მეტი მხოლოდ ლიუკ ბესონს ანდვეს, როდესაც იგი ფილმზე — „მეხუთე ელემენტი“ მუშაობდა.

ალენ დელონმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ კინოს საბოლოოდ ემშვიდობება, მაგრამ ახლა აღიარებს, რომ კარგმა სცენარმა და მთავარი როლის შესრულების შეთავაზებამ აიძულა, გადაწყვეტილება შეეცვალა. ალენ დელონის გარდა, სურათში კვლავ მონაწილეობს ჟერარ დეპარდიე. მაყურებელი იხილავს აგრეთვე პოპულარულ ბელგიელ მსახიობს — ბენუა პულვორდს და პენელოპა კრუსის დას — მონიკა კრუსს. ფილმის გადაღებები ესპანეთში უკვე დაიწყო. ავტორები იმედოვნებენ, რომ სურათი ეკრანებზე 2008 წლის იანვარში გამოვა.

■

ულინსმანის „მემკვიდრე“ იოაჰიმ ლიოვი

იურგენ კლინსმანის ყოფილმა თანაშემწემ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში, იოაჰიმ ლიოვმა ქვეყნის საფეხბურთო კავშირთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ეროვნულ გუნდს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის მოამზადებს, რომელიც ავსტრიასა და შვეიცარიაში გაიმართება.

„მიზანი ყველასთვის ცნობილია — ჩვენ გვსურს, რომ 2008 წელს ევროპის ჩემპიონები გავხდეთ“, — ამბობს გერმანიის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარე, ტეო ცვანციგერი. ლიოვი გერმანიის ნაკრების მეათე მთავარ მწვრთნელად იქცა.

2004 წლის ივლისიდან, ის იურგენ კლინსმანის ასისტენტად მუშაობდა, ასე რომ, მე-18 მსოფლიო ჩემპიონატზე ბუნდესგუნდის მიერ დაკავებული მესამე ადგილი — მისი დამსახურებაცაა. მუნდიალის დასრულებისთანავე, კლინსმანმა საჯაროდ განაცხადა, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტის გაგრძელებას აღარ აპირებდა და თავისი პოსტის დასაკავებლად, ლიოვს რეკომენდაციაც გაუწია. „ბედნიერი ვარ, რომ ის ამ პოსტს დაიკავებს. მას ჩემს თანაშემწედ არასოდეს მივიჩნევდი. საწვრთნელი პროცესის დიდ ნაწილს ის ხელმძღვანელობდა“, — დასძენს კლინსმანი. ცვანციგერისა და ნაკრების მენეჯერ ოლივერ ბირჰოფის თქმით, იოაჰიმ ლიოვთან ერთად, გერმანიის ეროვნული გუნდი კვლავაც შეტევითი ტაქტიკის დახვეწაზე იმუშავებს.

მესანიმნავი ახალგაზრდა გუნდი გვყავს, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების პროცესში იმყოფება

გერმანიის ნაკრების მეორე მწვრთნელის პოსტის დაკავებამდე, ლიოვი შტუტგარტისა და კარლსრუეს გუნდებს, აგრეთვე — თურქეთის და ავსტრიის კლუბებს წვრთნიდა. მისი ხელმძღვანელობით, „შტუტგარტმა“ 1997 წელს, გერმანიის თასი მოიგო, ხოლო მომდევნო წელს, თასების თასის გათამაშების ფინალში გავიდა. ბუნდესლიგაში ჩატარებულ 52 მატჩში, ლიოვს 7 გოლი აქვს გატანილი. თავისი აქტიური კარიერა მან მოთამაშე-მწვრთნელის რანგში 1995 წელს დაასრულა.

იოაჰიმ ლიოვი და იურგენ კლინსმანი

მწვრთნელის პროფესიას ლიოვი შვეიცარიაში დაეუფლა, მაგრამ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა მისთვის დიპლომის გადაცემაზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც, მან ჰენეფის სპორტულ სკოლაში ცნობილი ფეხბურთელებისთვის მოქმედი, სპეციალური სამწვრთნელო კურსები გაიარა. სწორედ იქ გაიცნო ბუნდესგუნდის ამჟამინდელმა თავკაცმა კლინსმანი, რომელსაც მისი პირდაპირობა უმალვე შეუნიშნავს. როდესაც 4 წლის შემდეგ, კლინსმანი ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, მან უმალვე მიიწვია თანაშემწედ ლიოვი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიოვი პრინციპული ადამიანია. მას ეროვნული ნაკრების გამოცდილ მოთამაშეებთანაც კი არ აფრთხობს საფეხბურთო ექსპერიმენტების ჩატარება. „გერმანელებმა უნდა ვისწავლოთ ის, რომ სამწვრთნელო საქმიანობას კიდევ უფრო სერიოზულად ვუდგებოდეთ. როგორც წესი, ნებისმიერ საქმეს წვრილმანები წყვეტს. შესანიშნავი ახალგაზრდა გუნდი გვყავს, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების პროცესში იმყოფება. მიუხედავად ამისა, უკვე შეუძლია, მიღწევებით იამაყოს“, — დასძენს იგი. კლინსმანი კი ხაზს უსვამს იმას, რომ მისი ყოფილი თანაშემწე და ამჟამად, უკვე ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ხელმძღვანელის ნიჭითაცაა დაჯილდოებული: „ის ყოველთვის ხედავს, თუ რა არის საჭირო და სწორ გზას ირჩევს.

რაც შეეხება თავად კლინსმანს, — მას გერმანიის ნაკრებში მუშაობა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ დასრულებული მუნდიალი დიდი ნერვიულობის ფასადაც დაუჯდა. ამიტომაც გადაწყვიტა, რომ ადგილი იოაჰიმ ლიოვისთვის დაეთმო. „ამჟამად ყველაზე მეტად მსურს, რომ ნორმალური ცხოვრების სტილს დავუბრუნდე. ორი წლის განმავლობაში მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობამ დიდი ენერგია წამართვა, — განაცხადა გერმანიის ეროვნული გუნდის უკვე ყოფილმა თავკაცმა, მაინის ფრანკფურტში გამართულ პრესკონფერენციაზე. — ამ მომენტში, ისეთივე ენთუზიაზმითა და ენერგიით მუშაობის გაგრძელება აღარ შემიძლია. მე გადაღლილი ვარ, ამიტომ უახლოეს ნახევარ წელს დავისვენებ და არავითარ წინადადებას აღარ მივიღებ. ორი შესანიშნავი წლისთვის მადლობას ვუხდი ნაკრების ფეხბურთელებსა და ქომაგებს, აგრეთვე — გერმანიის საფეხბურთო კავშირს. არ შემიძლია, ცალკე არ მოვიხსენიო ცვანციგერი, რომელიც ყოველთვის მეხმარებოდა. ყველაზე რთულ წუთებშიც შემეძლო, მას დავყრდნობოდი. ის მაშინაც მხარში მედგა, როდესაც მამაჩემს ვეთხოვებოდი...“

■

G8 და პოლიტიკის ნიუანსები

დასაწყისი იხ. გვ. 6

„კაცობრიობა ვულკანის პირას როკავს“, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და ამით გლობალურ დათბობასთან ბრძოლაში მიღწეულ პროგრესზე მიანიშნა. „რვიანმა“ ასეთი „როკვის“ შეჩერების უნარი ვერც ერთი საკითხის განხილვისას ვერ გამოამჟღავნა...

ჩუმი ანგარიშსწორება

(La Tribun, საფრანგეთი)

ყველა ელოდა, რომ „რვიანი“ ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე გაამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ წინა პლანზე, ახლო აღმოსავლეთში შექმნილმა სიტუაციამ და დასავლეთის ეკონომიკაში მისმა შესაძლო შედეგებმა წამოიწია.

ომი, რომელშიც ისრაელი, ლიბანი და ლივანის ექსტრემისტული შიიტური პარტია „ჰეს ბოლაჰი“ (რომლის ზურგსუკან, სირიისა და ირანის „აჩრდილი“ მოიაზრება) ჩაერთო, მრავალმხრივაა საშიში... ცეცხლი, რომელიც ახლო აღმოსავლეთში გიზგიზებს, დასავლეთისთვის შეიძლება, საშინელ ხანძრადაც კი იქცეს...

თუ მხოლოდ ეკონომიკაზე ვილაპარაკებთ, გასულ კვირას, ნავთობის ფასმა მორიგი რეკორდი მოხსნა და თითო ბარელი ნავთობის ფასი თითქმის 80 დოლარამდე გაიზარდა, რაც მსოფლიო ეკონომიკისთვის ძალზე სარისკოა. აშკარაა — როცა ახლო აღმოსავლეთში ყველაფერი იწვის, ეს, პირველ რიგში, „შავ ოქროზე“ აისახება.

ამ მხრივ, ყველაზე უსიამოვნო მაინც იმის შეგნებაა, რომ მსოფლიო დიპლომატია სრულიად უიარაღო და უძლურია. გაეროს მიერ გამოთქმული, სამშვიდობო მოწოდებები რჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა. უშუალოდ სამიტს რაც შეეხება — ეს გოლიათების ფორუმი სრულიად უძლური ჩანს, რადგან ის რუსეთს, აშშ-სა და ევროპის ქვეყნებს შორის ჩუმი ანგარიშსწორების ფონზე მიმდინარეობს... ჩვენ ჯერ კიდევ ძალზე შორს ვართ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების იმ აგრერიგად ნანატრი აქციისაგან, რომელიც მათ მძიმედ დაავადებული არაბული დიპლომატიის სასთუმალთან უნდა გამართონ. სინამდვილეში, მათ ძალზე ღრმა წინააღმდეგობები აშორებს ერთმანეთს: ჯორჯ ბუშის ამერიკა არ მალავს, რომ ის პრაქტიკულად უპირობოდ უჭერს მხარს ისრაელს. ევროპის ხმა ფაქტობრივად, დაუძლურებულია და უკვე აღარ ისმის. რუსეთის ხმა კი, მხოლოდ საკუთარ ხანმოკლე ინტერესებს აყოლილი ჟღერს...

შეწყვეტილი ჩოჩქოლი

(The New York Times, აშშ)

პუტინის სტრატეგმა ვლადისლავ სურკოვმა თავის „საიდუმლო სიტყვაში“ (როგორც ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მონათლეს), რუსულ და ძველი საბჭოური მემკვიდრეობის პრობლემებს ძალზე მკაცრი შეფასება მისცა. მისი აზრით, მართალია, რუსეთი ევროპის შორეული კუთხეა, მაგრამ ის მაინც არ არის ევროპა... ერთი სიტყვით, იმის ნაცვლად, რომ ევროპისადმი ასეთი „კუთვნილების“ გამო იღელვოს, რუსეთმა გარკვევით მიანიშნა, რომ კუნთების ასათამაშებლად და დასავლეთის მხრიდან ნებისმიერი ჭკუის დარიგების უარსაყოფად, ყოველმხრივ მზადაა..

ბუში რუსეთში სწორედ იმ მომენტში ჩავიდა, როცა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკურ წრეებში აქტიური დებატები მიდის იმის თაობაზე, თუ ამერიკულმა ადმინისტრაციამ რუსეთის მიმართ როგორი პოლიტიკა უნდა აწარმოოს. ამერიკელ დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს იმედი აქვთ, რომ ბუში შეძლებს პუტინის დარწმუნებას — უარი თქვას მართვის ავტორიტარულ მეთოდებზე და რუსეთი მრავალ სფეროში ბევრად უფრო ნაყოფიერ პარტნიორად აქციოს...

ორი პრეზიდენტი ერთმანეთს ამჯერადაც მეგობრული ფამილარობით შეხვდა. თუმცა, პუტინი საკმაოდ კრიტიკულად გამოეხმაურა რუსეთის მიმართ ამერიკის პოლიტიკოსთა მიერ გამოთქმულ ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნას. დიკ ჩეინის მიერ მოსკოვის მისამართით ამ ცოტა ხნის წინ გამოთქმულ ბრალდებებს კი, „ნადირობისას წარმატებული გასროლა“ უწოდა...

რუსეთში კვლავ აშკარაა ბევრი ქრონიკული პრობლემა, მათ შორის — მოსახლეობის მასობრივი სიღატაკე; სუსტდება ინფრასტრუქტურა, სასამართლო სისტემა სულ უფრო მეტად უკრავს კვერს ხელისუფლებას, მილიციაში კორუფციაა გამეფებული, მწვავედ დგას უფლებებისა და თავისუფლების პრობლემებიც, რომელთა გადაწყვეტასაც ბუში დაბეჯითებით მოითხოვს.

მაგრამ რუსეთმა, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ გეოპოლიტიკურ პოლუსზე მდებარე ქვეყანამ, უკვე გამოიღვიძა და წარსული დიდების აღდგენასაც ჯიუტად ცდილობს.

პუტინი სანქტ-პეტერბურგში გამართულ ზეიმზე ნამდვილად მიესალმა „დიდი რვიანის“ — ამ პრესტიჟული კლუბის — დანარჩენ შვიდეულს, თუმცა, ზეიმზე შესასვლელი „ბილეთი“ მაინც ერთი მინიშნებით „გაიცემოდა“: კრემლი ამბობს — „რუსეთი დაბრუნდა, შეწყვიტეთ ჩოჩქოლი“. ამ დროს, დასავლეთი საკუთარ კურსსაც კი ვეღარაფრით განსაზღვრავს. „ამ 15-20 წლის მანძილზე, ჩვენ მგონი, ცოტა დაგვავიწყდა კიდეც, თუ როგორები არიან რუსები. ახლა კი, ისინი კვლავ, ნაღდად „რუსულად“ იქცევიან...“ — დანანებით განაცხადა ვაშინგტონის კარნეგის ფონდის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების დირექტორმა ენდრიუ კაჩინსმა...

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 42 55 44
822 006 005
822-006-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაჯავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

„პაჭიმრები ამბობენ, რომ საკანში გადასვლას, კარცერში ყოფნა ურჩევნიათ“...

სასამართლო და პენიტენციარულ სისტემებს გადაუდებელი რეფორმა ესაჭიროება

დასაწყისი იხ. გვ. 7

თითქმის თვეზე მეტი გავიდა, რაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კოტე კუბლაშვილს მივმართე თხოვნით — მოეწოდებინა ინფორმაცია, გასული წლის განმავლობაში პროკურატურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, სასამართლოს მიერ რამდენი ეჭვმიტანილის მიმართ იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი. პასუხი ჯერჯერობით არ მიმიღია. ვფიქრობ, ამის მიზეზი არის ის, რომ ამგვარი ფაქტები თითქმის არ არსებობს. საპროცესო შეთანხმების ფაქტი მრავლადაა, მაგრამ პროკურატურის მოთხოვნის საწინააღმდეგო — არა. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი რომ არ არის, ამას ყველა ხედავს. სწორედ ამიტომ, საზოგადოება სასამართლოს მიმართ უნდობლობას გამოხატავს.

— ის, რომ სასამართლო მიკერძოებულია და პროკურატურის გავლენას განიცდის, რით არის განპირობებული?

— როცა ამერიკაში ვიმყოფებოდი, ერთ-ერთმა პროკურორმა მითხრა: ბრალმდებელი, რომელსაც სასამართლოში საქმე შეაქვს და ეს საქმე სააპელაციოდ გადადის, არც სამსახურში და მით უფრო — საზოგადოებაში ნდობით ვერ სარგებლობს, ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებენო. სამწუხაროდ, საქართველოში თითქმის ყოველი მეორე სასამართლო განაჩენი საჩივრდება, ამიტომაც არის საგამოძიებო იზოლატორები გადატენილი. ამავე დროს, რაც პროცესებზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან ხდება, ჩემთვის ესეც მიუღებელია. უნდა ვეცადოთ, რომ სასამართლო დარბაზში თავშეკავება გამოვიჩინოთ. რაც არ უნდა იყვიროს ოპოზიციამ და რაც არ უნდა დიდი წყენა გამოხატოს ხელისუფლებამ, სასამართლო, საზოგადოების ნდობას მხოლოდ მას შემდეგ აღიდგენს, რაც რეფორმა რეალურად განხორციელდება, სასამართლოს მიეცემა საშუალება, პროკურატურაზე დამოკიდებული არ იყოს. მართლმსაჯულებაში განსახორციელებელ რეფორმებზე ამჟამად სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. კანონი სასამართლოს შესახებ, თავიდან იწერება, რადგან მხოლოდ ცვლილებების შეტანამ შედეგი არ გამოიღო. ეს კი ხანგრძლივი პროცესია, ამიტომ ბევრი დრო სჭირდება.

— მოსამართლე გიორგი ჩემიაზე რას ფიქრობთ?

— რაც შეეხება მოსამართლე ჩემიას, მინდა გითხრათ, რომ ამ პიროვნებასთან არაერთი სატელეფონო საუბარი მქონია. როდესაც რუსთავის კოლონიაში პატიმრის ვადამდელი გათავისუფლების საკითხი წყდებოდა, ამგვარ საქმეს ყოველთვის გიორგი ჩემია განიხილავდა. იყვნენ პატიმრები, რომლებმაც ღირსეულად მოიხადეს სასჯელის გარკვეული ნაწილი და ციხეში განსაკუთრებული ყოფაქცევით გამოირჩეოდნენ. ასეთ პატიმრებს კანონიერად ეკუთვნით ვადაზე ადრე გათავისუფლება. მიუხედავად ამისა, მოსამართლე ჩემია პატიმრებს გათავისუფლებაზე რატომღაც, ყოველთვის უარს ეუბნებოდა. როდესაც მივმართე კითხვით — თუ რატომ იქცეოდა ასე, მიპასუხა, რომ იგი პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვერ იღებდა და მისი თქმით, ჯობდა, ეს საქმეები უზენაეს სასამართლოს განეხილა. გირგვლიანის საქმის შემთხვევაშიც, მოსამართლე ჩემიამ, ვფიქრობ, პასუხისმგებლობას აარიდა თავი.

— საზოგადოებაში უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია მცირეწლოვანი დამნაშავის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილმა მძიმე სასჯელმა, — მაშინ, როდესაც გაცილებით მძიმე დანაშაულისთვის, გირგვლიანის მკვლელებს შედარებით მსუბუქი სასჯელი განუსაზღვრეს. ამაზე რას იტყვით?

— ყოველთვის ვარიდებ თავს იმას, რომ რაიმე სახის შედარებები გავაკეთო. გეტყვით, რომ ნამდვილად არ მეგონა, თუ 14 წლის ბიჭს არცთუ ისე მძიმე დანაშაულისთვის 10-წლიან პატიმრობას მიუსჯიდნენ. როდესაც სასამართლო პროცესის შემდეგ, ამ ბიჭის მშობლები მოვიდნენ და სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ მაცნობეს, შოკში ჩავვარდი. ჩემს თავს იშვიათად ვაძლევ უფლებას, უზენაესი სასამართლოს რომელიმე მოსამართლეს ამა თუ იმ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით წერილობითი შუამდგომლობით მივმართო, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს გავაკეთე: ვთხოვე, რომ მიიღონ ჰუმანური გადაწყვეტილება, გაითვალისწინონ, რომ იგი არასრულწლოვანია და სამართალში პირველად არის მიცემული. ვიმედოვნებ, რომ უზენაესი სასამართლო ჩემს შუამდგომლობას ყურადღებას მიაქცევს.

— როგორ შეაფასებთ სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე საპროტესტო აქციებს? ითქვა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მოქალაქეთა უფლებებს ხელყოფდნენ. თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამის შესახებ?

— პირადად მე, ნამდვილად არ მინახავს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები პროფესორ-მასწავლებლების უფლებებს არღვევდნენ თუ არა. მე მხოლოდ სატელევიზიო კადრები ვნახე და მხოლოდ ამის საფუძველზე დასკვნების გაკეთება არ მსურს. „პროტესტანტი“ პროფესორ-მასწავლებლების მიმართ დადებითად განწყობილი ნამდვილად არა ვარ. მოეწონათ თუ არა ის, რომ პრეზიდენტმა უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო გააუქმა, ამას უნდა შეჰგუებოდნენ და საპროტესტო აქციების ტალღა არ უნდა აეგორებინათ. მიმაჩნია, რომ ისინი კანონს უნდა დამორჩილებოდნენ. როდესაც პროფესორ-მასწავლებლები კანონს არ იცავენ და საპროტესტო აქციებს მართავენ, რა მაგალითს აძლევენ სტუდენტებს?!. რაც შეეხება გიორგი ხუბუას — არც მის პოზიციას ვიზიარებ. ჩემთვის მიუღებელია ის, რომ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი პრობლემას მოლაპარაკებებით ვერ აგვარებს და საპატრულო პოლიციას მიმართავს. ვფიქრობ, რომ იგი ამ თანამდებობისათვის შეუფერებელია.

— ევროსაბჭოს უმაღლესმა კომისარმა, ადამიანის უფლებათა საკითხებში პენიტენციარულ სისტემაში არსებული ვითარების გამო, შენიშვნები გამოთქვა და გარკვეული დრო მისცა ხელისუფლებას მდგომარეობის გამოსასწორებლად. როგორ ფიქრობთ — რამდენად მოახერხებთ ამ მითითებების შესრულებას?

— ევროსაბჭოს უმაღლესმა კომისარმა მოინახულა მეხუთე იზოლატორი და რაც მან გვითხრა, ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მან კატეგორიულად მოითხოვა, რომ კარცერები, რომლებიც განთავსებულია სარდაფებში, აუცილებლად უნდა შეიცვალოს; ის პატიმრები, რომლებიც კარცერებში იმყოფებიან, ამბობენ, რომ საკანში გადასვლას, კარცერში ყოფნა ურჩევნიათ, რადგან იქ დასაწოლი ადგილი მაინც აქვთ... მიუხედავად იმისა, რომ საკნებში, შეიძლება ითქვას, უფრო მძიმე მდგომარეობაა... კომისრის მოთხოვნას აუცილებლად შევასრულებთ და პატიმრებს საკნებში დავაბრუნებთ: სანამ გლდანში ახალი საგამოძიებო იზოლატორი არ აშენდება, სხვა, უკეთესი გამოსავალი არ არსებობს. პატიმრის უფლებების დაცვაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაშინ როდესაც მსჯავრდებულს არა აქვს საშუალება, სკამზე ჩამოჯდეს ან თავისუფლად დაიძინოს... გარდა იმისა, რომ ციხეებში მძიმე სოციალური პირობებია, გაუსაძლისი ყოფის გამო, პატიმრები კარგავენ ადამიანურ ღირსებას. როდესაც საპყრობილეებში შევდივარ, ერთი სული მაქვს, როდის გამოვალ იქიდან... პატიმრების ამ მდგომარეობით შეწუხებული ვარ. ციხეში ე.წ. „მაყურებლები“ ძალიან ჩაგრავდნენ პატიმრების უმრავლესობას და ამას მკაცრი წინააღმდეგობა გავუწიეთ. ვერ ვიტყვი, რომ ეს ინსტიტუტი საერთოდ მოისპო, მაგრამ რომ შესუსტდა — ეს ფაქტია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მდგომარეობა თანდათანობით უკეთესობისკენ იცვლება. რაღაც პერიოდის განმავლობაში, პენიტენციარული სისტემის თემა „აჟიტირებული“ იყო, მაგრამ შემდეგ ჩაცხრა. ეს სწორედ იმიტომ მოხდა, რომ ამ სისტემაში მდგომარეობა თანდათან სწორდება. ■

ორგასმიანი

შიო გვეტაძე

ნაოპერაციები კრიმინალი საშკა ჩერქეზი განაგრძობს გამომძიებელ ლევან მინდელისთვის თავისი ცხოვრების შესახებ თხრობას. კრიმინალების გარემოცვაში მოხვედრის შემდეგ, მან საბოლოოდ აირჩია ცხოვრების გზა და მალე, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, ქურდულ სამყაროში ავტორიტეტიც მოიპოვა. რუსეთში რამდენიმე დიდ ძარცვაში მონაწილეობდა, ერთწლიანი პატიმრობაც მოიხადა, შემდეგ კი, უფრო ხანგრძლივი „სროკიც“ მიუსაჯეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ვილნიუსში გადავიდა საცხოვრებლად და ძალზე ფრთხილად იქცეოდა, ჯგუფთან ერთად, სულ რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა. ამ ქალაქში გატარებული 5 წლის შემდეგ, თამაზს გულმა მშობლიური ქალაქისკენ გამოუწია. ის თბილისში ჩამოვიდა, სასტუმროში დაბინავდა და იმ სახლისკენ აიღო გეზი, სადაც წლების წინ, მისმა პატარა დამ, ეკამ დალია სული...

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-28)

„ცოცხალია თუ არა დეიდა თამარი? ნეტავ, თუ მიცნობს?“ — ვფიქრობდი და სწრაფად მივუყვებოდი საფეხურებს.

კარი უცნობმა მამაკაცმა გამიღო, გაკვირვებით მომაჩერდა.

„უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით, სად ცხოვრობს თამარ ნადირაძე?“ — შევეკითხე თავაზიანად.

„რა მოგახსენოთ?.. ვფიქრობ, ამ სახლში ასეთი არავინაა“.

გული დამწყდა, ბოდიში მოვიხადე და უკანვე გამოვბრუნდი. ეზოში მეეზოვეს შევეჩეხე. დაკვირვებით მივაჩერდი. ვიცანი, თუმცა წლებს სულ ერთიანად გაეთეთრებინა ძია ამაიაკის მეჩხერი წვერულვაში. გულგრილად შემომხედა. მივხვდი, რომ ვერ მიცნო.

„ბოდიში, ძიაკაცო, თუ შეიძლება, თქვენთან ერთი კითხვა მაქვს“, — მივმართე მე.

მან უხმოდ შემათვალიერა.

„რა გნებავთ?“ — შემეკითხა ბებრული ჩიფჩიფით.

„ხომ ვერ მეტყვით, სად ცხოვრობს თამარ ნადირაძე? ის ამ სახლში, №18 ბინაში ცხოვრობდა, ამ თოთხმეტიოდე წლის წინ“.

ამაიაკმა გაკვირვებით შემომხედა.

„თამარ ნადირაძე?.. მერედა, თქვენ ვინ ბრძანდებით?“

„მე მისი შორეული ნათესავი ვარ, მოსკოვიდან“.

„ნათესავი? რა ნათესავი?“

„შორეული ნათესავი“.

„აი, ის თამარი, და რომ დაუჭირეს?“ — ისევ შემეკითხა მოხუცი.

„დიახ, დიახ!“

ამაიაკი ერთხანს დუმდა, აშკარად ყოყმანობდა, შემდეგ გაუბედავად მიპასუხა:

„ის ხომ მოკვდა, შვილო. რამდენი ხანია, მოკვდა, საწყალი...“

გულში რაღაც ჩამწყდა, გავშეშდი.

„მოკვდა?“ — ვიკითხე უაზროდ.

„ჰო, შვილო, აგერ 12 წელი იქნება, სწორედ ომის დაწყებამდე მოკვდა. კარგი ქალი იყო, ცხონებული, და და სიძე დაუჭირეს, პატარა დისშვილი მოუკვდა, უფროსი ბიჭი სადღაც გადაიკარგა. მერე თქვეს, ქურდებთან იყო, მოკლესო, — არ ვიცი, ვინ მოუტანა ეს ამბავი საწყალ ქალს, მას შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია. ღმერთმა აცხონოს, საწყალი, აღარავინ დარჩა, მეზობლებმა დავასაფლავეთ ის საცოდავი“.

„სად დაასაფლავეს?“

„დისშვილის გვერდზე დამარხეს. ეჰ... — ამოიოხრა მოხუცმა — ძნელია, შვილო, უთვისტომობა. ერთი ახლობელიც არ მიჰყოლია სასაფლაომდე, ერთი ცრემლიც არ ჩაჰყოლია ნათესავისა. პატარა რკინის ჯოხიც მე დავასვი მის საფლავზე, წარწერიანი ფირფიტით“.

ამაიაკმა ხალათით მოიწმინდა ბებრული ცრემლი. გულზე თბილად მომხვდა ამაიაკის სიტყვები. ეს მოხუცი სხვა ერისა და დეიდაჩემისათვის უცხო ადამიანი, გულწრფელ მწუხარებას გამოთქვამდა. ჯიბეზე ხელი გავიკარი, ორი 100-მანეთიანი ამოვიღე და ამაიაკს გავუწოდე.

„ძიაკაცო, დიდი მადლობელი ვარ ჩემი ნათესავის კეთილი მოგონებისათვის. ბოდიშს ვიხდი, ცუდად ნუ ჩამომართმევთ, ამ ფულით გთხოვთ, თამარის შესანდობარი შესვათ“.

ამაიაკმა გაკვირვებით შემომხედა, წყენა დაეტყო.

„მე ცრემლს ფულზე არ ვყიდი“, — მითხრა გულმოსულად.

შევწუხდი, საქციელი წამიხდა.

„ბოდიშს ვიხდი, მაგრამ რადგან ფულზე უარს მეუბნებით, გთხოვთ, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ დეიდაჩემის მოსაგონებლად“.

„დეიდათქვენი? განა, თამარი თქვენი დეიდაა?!“ — გაოცებით მკითხა მოხუცმა და დაჟინებით დამაცქერდა. მივხვდი, რომ უნებლიეთ გავეცი თავი. უკან დავიხიე:

„ჰო, დეიდად მეკუთვნოდა, თამარი დედაჩემის ბიძაშვილი იყო“, — ვუპასუხე რაც შეიძლება მშვიდად, შემდეგ, გამოკითხვის თავიდან ასაცილებლად, ხელკავი გამოვდე.

„გთხოვთ, ძია, უარს ნუ მეტყვით, აქ სადმე ახლოს შევიდეთ“.

„რატომაც არა?! ღვინის დალევა დიახაც, შეიძლება, ოღონდ — ჩემს მოხუცს გავაფრთხილებ და ახლავე გამოვალ“.

ამაიაკმა წინასაფარი მოიხსნა და გამეცალა.

...პლეხანოვის პროსპექტზე რესტორანში შევედით, თავისუფალ მაგიდას შემოვუსხედით და ოფიციანტს ვახშამი შევუკვეთეთ. ამაიაკმა დაწვრილებით მიამბო დეიდის უკანასკნელი დღეების შესახებ.

„სულ იმ დაკარგულ ბიჭს დასტიროდა, მოთქვამდა, მისმა დარდმა ჩაიყვანა საფლავში. უკანასკნელ ხანს, არავის ნახვა აღარ უნდოდა, მთელი დღეები იჯდა უსმელ-უჭმელი, დარდითა და შიმშილით მოიკლა თავი“, — მიამბობდა შეზარხოშებული ამაიაკი და ყოველი მისი სიტყვა გახურებული შანთივით მიდაგავდა გულს...

გვიან ღამით, მოხუცი შინ მივაცილე და სასტუმროში დავბრუნდი. ვიხსენებდი დეიდის სახეს, მის ხმას, სიარულს და გული მეკუმშებოდა. ვინ იცის, როგორ მოეწყობოდა ჩემი ცხოვრება, ადამიანების სიძულვილით შეპყრობილი, დეიდას რომ არ გავქცეოდი?! რუბენას მაინც არ ჩავუვარდებოდი კლანჭებში და მგელკაცობასაც ავცდებოდი...

მეორე დღეს, სასაფლაოზე წავედი. 14 წლის განმავლობაში, ბევრი რამ შეცვლილიყო. გაჭირვებით მივაგენი თამარის საფლავს, ისიც — ძია ამაიაკის წყალობით. რკინის პალოზე დამაგრებულ, უკვე გვერდზე მოქცეულ ფირფიტაზე ჟამთა სვლას ჯერ კიდევ ვერ გადაერეცხა მიცვალებულის გვარი და საფლავის ნომერი. მის გვერდით, ეკას ოდნავ ამობურცულ საფლავს ეკალბარდები მოსდებოდა, თამარის საფლავიც სარეველას დაეფარა...

დიდხანს ვიჯექი ორ საფლავს შუა, წარსულს ვიგონებდი. სურათი სურათს ცვლიდა, გონებაში კინოფირივით გაირბინა ბავშვობის წლებმა, ბედნიერმა დღეებმა. ნათლად დამიდგა თვალწინ უკანასკნელი 10 იანვარი — საზეიმო ვახშამი, შავბნელი ღამე, გაფითრებული მამა, აქვითინებული დედა, ეკას ავადმყოფობა, სიკვდილი, სახლიდან

გაქცევა, მწუხარებით დატანჯული დეიდის სახე... არტაშა, რუბენა, მრავალი ქურდობა, ციხე და გადასახლება, სასაფლაოზე უკანასკნელად 14 წლის წინ, ამავე ადგილზე ეკასთვის მიცემული ფიცი და ამ ფიცის გატეხა, ციალა... „სად არის ნეტავ, ახლა?.. კიდევ ვახსოვარ?..“ — ვფიქრობდი.

„ჩემი ბრალი არ არის, დეიდა, ჩემი ბრალი არ არის!“ — ვეჩურჩულებოდი საფლავს და 14 წლის შემდეგ პირველად გადმომცვივდა ცრემლები.

დიდხანს ვიჯექი საფლავთან, შემდეგ, მესაფლავე მოვძებნე, თოხი ვთხოვე და საფლავების გაწმენდას შევუდექი. გულმოდგინედ ვმუშაობდი, უცნაური დაჟინებით ვგლეჯდი ეკალბარდს, რომელსაც ჩემთვის ძვირფასი ადამიანების საფლავი მთლიანად დაეფარა.

...დაღამდა, ჩრდილები ჩამოწვა. გრილმა ნიავმა შეატოკა მეზობელ საფლავზე მზრუნველი ხელით დარგული ახალგაზრდა კვიპაროსები. მოწყენილი წამოვდექი, სამუდამოდ დავემშვიდობე საფლავებს და მძიმედ დავადექი ქალაქისკენ მიმავალ გზას. არასოდეს ვყოფილვარ ასეთი გაბოროტებული.

თბილისმა მიმზიდველობა დაკარგა ჩემთვის — ამ ვეებერთელა ქალაქში ერთი კაციც არ მეგულებოდა, ვისთვისაც შემეძლო, დარდი გამეზიარებინა, წარსულზე მესაუბრა, ბავშვობა მომეგონებინა, გამეღიმა ან მასთან ერთად, ცრემლები მეღვარა.

ახლა, 17 წლის ყმაწვილი აღარ ვიყავი. წლებმა ბევრი რამ შეცვალა ჩემში, მაგრამ ერთი რამ უცვლელი დარჩა: სიძულვილი ადამიანებისადმი, რომლებმაც მგლების ბუნაგში შემაგდეს, მგლად მაქციეს!

...რუსთაველის პროსპექტზე ხალხი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა. ახალგაზრდები, მოხუცები, ქალები, წყვილები. მოღიმარნი, მხიარულნი, კოხტად ჩაცმულნი... ყველას ჰქონდა თავისი დიდი თუ მცირე სიხარული, პატარა ბედნიერება, სიყვარული, ცხოვრების მიზანი... მე, მხოლოდ მე ვიყავი ისეთი, ვისაც წილი არ ედო ბედნიერებაში და ბნელით მოცულ მომავალს ერთი მიმქრალი ვარსკვლავიც არ მინათებდა...

მესამე დღეს, ვილნიუსში დაბრუნება გადავწყვიტე, აღარ მინდოდა თბილისში დარჩენა, სადაც ჩემი არათუ სახელი, ეროვნებაც არავინ იცოდა. წლების მანძილზე რუსეთის სხვადასხვა ქალაქში წაწნალმა ზედმიწევნით შემასწავლა რუსული ენა. აქ, თბილისშიც არავის დავლაპარაკებივარ ქართულად, გარდა ძია ამაიაკისა, ოღონდ ეს იყო: თუმცა უკვე მესამე გვარს ვატარებდი, მაგრამ ეროვნება არ შემიცვლია — ისევ ოსი ვიყავი, რადგან ჩემი გარეგნობა აშკარად მიუთითებდა არარუსულ წარმოშობაზე.

ვილნიუსში გამგზავრების წინადღეს, 21 მაისს, ზაფხულისთვის უჩვეულო პაპანაქება დაიჭირა, ჰაერი გამდნარი ლითონივით ლივლივებდა, სიცხის ბუღი ასდიოდა ქალაქს... თხელ პიჟამაში ჩაცმული, ჩემს ნომერში რბილ საწოლზე ვიწექი და შემთხვევით ჩემს ხელში ჩავარდნილ ძველ გაზეთს ვათვალიერებდი. ეს იყო ჩემი ერთადერთი სიამოვნება: ქართულ ლაპარაკს მონატრებული, ხარბად ვკითხულობდი სხვადასხვა შრიფტით აწყობილ სტრიქონებს. გულგრილად გადავავლე თვალი „მოწინავეს“, რომლეიც შრომით მიღწევებზე მოუთხრობდა მკითხველს; მეოთხე გვერდზე უცხოეთის დეპეშათა სააგენტოების ცნობები გადავიკითხე... ომს აპირებენ, ომისათვის ემზადებიან. ამერიკა ატომური ბომბით იარაღდება, — იტყობინებოდა გაზეთი. „წყალსაც წაუღია! ჩემი არაფერი დაიკარგება. მთელი მსოფლიო რომ გადაიბუგოს, ერთი კაცის სიკვდილიც არ შემაწუხებს“, — გავივლე გულში და გაზეთის თვალიერება განვაგრძე. აგერ, განცხადება დისერტაციების დაცვის შესახებ: ზოგი, მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს ეძიებს, ზოგი — დოქტორობისთვის იბრძვის. განცხადებათა სიმრავლემ გამაკვირვა და უეცრად, ერთ-ერთმა მათგანმა ტყვიანაკრავივით წამომაგდო საწოლიდან. გულმა გამალებით დამიწყო ცემა, სისხლი მომაწვა, თვალები ამიჭრელდა. პატარა განცხადება იუწყებოდა, რომ 19... წლის 21 მაისს, დღის 3 საათზე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, ექიმი ციალა ბარათელი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე...

„ციალა, ციალა ბარათელი, ჩემი ციალა!“ — აღმომხდა სიხარულით და გაზეთი გულში ჩავიკარი, განცხადებას დავეკონე... შემდეგ ფეხზე წამოვიჭერი, საათს დავხედე: ორს 15 წუთი აკლდა. სასწრაფოდ ჩავიცვი და ანგარიშმიუცემლად დავეშვი კიბეზე.

ქუჩაში გამოვვარდი და თითქმის სირბილით გავწიე სამედიცინო ინსტიტუტისაკენ.

„ციალას, ციალას ვნახავ! მის ხმას მოვისმენ, ალერსიან მზერას დავიჭერ!“ — ზარივით რეკდა გულში და იმწუთას ჩემთვის სხვა აღარაფერი არსებობდა...

ზემელზე გამოვერკვიე, შევჩერდი.

„სად მივდივარ? მაქვს კი უფლება, მის ხელს შევეხო, უმანკო სახეს შევხედო?!“ — გამიელვა გულში და ჩემს სიხარულს შხამი გადაესხა.

დიდხანს ვიდექი გაოგნებული და ვერ გადამეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავი. ხელში ჩაბღუჯული გაზეთი გავშალე, კვლავ და კვლავ გადავიკითხე განცხადება. ეჭვი შემეპარა: „იქნებ, სხვა არის, იქნებ უბრალო დამთხვევაა?“ — ვეკითხებოდი ჩემს თავს.

სკვერში შევედი, მოცელილივით დავეცი მერხზე, ჩავფიქრდი: „შენ შეცდი, დისერტანტი, ციალა არ არის: მავნებლის შვილს არავინ მისცემს უფლებას, დისერტაცია დაიცვას!“ — ჩამძახოდა ვიღაც.

...დიდხანს ვებრძოდი ეჭვს, ბოლოს დამძლია, თითქმის დავრწმუნდი, რომ ეს ციალა ბარათელი — სხვა იყო, ჩემთვის უცნობი და სრულიად უცხო. სასტუმროში დაბრუნება გადავწყვიტე.

„კი, მაგრამ მამის სახელი? აქაც შეცდომაა? — გამიელვა თავში და შევჩერდი. — წავალ, ვნახავ, თუ ის არ არის, ჩემი მისვლით არაფერი დაშავდება“, — გადავწყვიტე დიდი ყოყმანის შემდეგ და სწრაფი ნაბიჯით გავუყევი ლენინის ქუჩას.

საყვავილეს გავუსწორდი. „მიყვარს იები“, — გამახსენდა და ციალას ნაღვლიანი სახე დამიდგა თვალწინ. ცხადად ვიგრძენი, თუ როგორ დამაბნია მკერდზე იის კონა... სარდაფში ჩავედი. ყვავილის გამყიდველი თავაზიანად მომეგება, ალბათ, ჩემმა ტანსაცმელმა მოახდინა შთაბეჭდილება.

„იები გაქვთ?“ — შევეკითხე რუსულად.

„რაღა დროს იებია? მაისი ილევა!“ — მიპასუხა გაკვირვებულმა გამყიდველმა.

„იცით, რა, — მივმართე ღიპიან გამყიდველს ხვეწნით, — მე ძალიან მინდა იები, იქნებ, როგორმე მიშოვოთ ერთი კონა მაინც, სულ, სულ პატარა კონა“.

უარის ნიშნად, თავი გაიქნია:

„ახლა იებს ვერსად იშოვით“.

გული დამწყდა.

„ვარდები ინებეთ, რომელიც გნებავთ“, — შემომთავაზა გამყიდველმა და ხელით მიმითითა კუთხისკენ, სადაც წყლით სავსე ლარნაკებში სხვადასხვა ფერის ყვავილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სილამაზეში და სასიამოვნო სურნელებას აფრქვევდნენ.

ლამაზი თაიგული გავაკეთებინე, ხელთ შერჩენილ გაზეთში შევახვიე, გაკვირვებულ გამყიდველს 100-მანეთიანი შევაჩეჩე და სარდაფიდან გამოვედი.

„საცოლესთან თუ მიდის, აბედნიეროს!“ — მომესმა, კიბის უკანასკნელ საფეხურზე ასვლისას, გამყიდველის ქართულად ნათქვამი და მწარედ გამეღიმა.

...სააქტო დარბაზი მალე ვიპოვე. უხმაუროდ შევედი და სულ ბოლო რიგში თავისუფალ მერხზე ჩამოვჯექი. ხალხით გაჭედ-

ილ აუდიტორიას გადავავლე თვალი. სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთიღა რჩებოდა, გული საშინლად მიცემდა.

ზუსტად 3 საათზე, მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდას რამდენიმე კაცი შემოუჯდა. იმავე წამს მაგიდის გვერდით, კათედრაზე დისერტანტი ავიდა.

ხარბად დავაცქერდი. შეცდომა გამორიცხული იყო — კათედრასთან ციალა იდგა და აუდიტორიას უღიმოდა. ჩემი გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა, უეცრად მოზღვავებულმა სიხარულმა სუნთქვა შემიკრა. თვალებში სხივჩამდგარი, აღფრთოვანებული მივჩერებოდი ჩემთვის დაუვიწყარ სახეს და გარკვევით მესმოდა ჩემივე გულისცემა.

რა ცოტათი შეცვლილიყო ციალა! ისევ ისეთი ტანკენარი იყო; მაღალი მკერდი, დიდრონი თვალები და ბავშვივით გაბუტტული წითელი ტუჩები... ოდნავ დასრულებულიყო, მაგრამ ეს კიდევ უფრო შესამჩნევს ხდიდა მისი ნაკვთების სინატიფეს. თვალებად ქცეული მივჩერებოდი ციალას და იმწუთას, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო.

დისერტანტი დინჯად ლაპარაკობდა, გატაცებით წარმოადგენდა რაღაც დებულებას და საკუთარ თავში მტკიცედ დარწმუნებული, მშვიდად შესცქეროდა დარბაზში მყოფთ. მისი მსჯელობა ჩემს გონებამდე არ აღწევდა, სიხარულმა ყველა სხვა გრძნობა დამიხშო.

უეცრად, აქამდე ჩუმად მყოფი დარბაზი ახმაურდა. გამოვერკვიე. სამეცნიერო საბჭოს წევრები დარბაზიდან გადიოდნენ. ისევ შევცქეროდი ციალას, რომელსაც მეგობრები შემოხვეოდნენ და სამეცნიერო ხარისხს წინასწარ ულოცავდნენ, ხელს ართმევდნენ და კოცნიდნენ.

საბჭომ თათბირი დაამთავრა. თავმჯდომარემ გადაწყვეტილება გამოაქვეყნა: ციალას ერთხმად მიანიჭეს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. დარბაზში ტაში დასცხეს. სხვებთან ერთად, მეც ფეხზე წამოვიჭერი, ყმაწვილური აღტაცებით შევუერთდი ტაშისცემას. პირველად, მოხუცმა თავმჯდომარემ მიულოცა, შემდეგ — საბჭოს ყველა წევრმა ჩამოართვა ხელი. შემდეგ, ვიღაც წარმოსადეგი, 35-იოდე წლის კაცი მიუახლოვდა, ღიმილით გაუწოდა ხელი და ლოყაზე აკოცა.

„ილიამ არავის დაუმთო, ყველას დაასწრო მილოცვა!“ — მომესმა ჩემ გვერდით მხიარული ხმა.

„ასეც უნდა, ყველაზე დიდი სიხარული მეუღლეს მართებს!“ — უპასუხა მეორემ.

„მეუღლე?! მაშ, ციალა გათხოვილა და ეს წარმოსადეგი მამაკაცი მისი ქმარია?!“ — გამიელვა თავში და გული ჩამწყდა. სიძულვილით შეეხედე ჩემი სიყვარულის „მომტაცებელს“, რომელიც სახეგაბრწყინებული ელაპარაკებოდა ვიღაცებს, მაგრამ ეს — წუთით, მხოლოდ ერთი წუთით; შემდეგ, ჩემს გულში ადამიანურმა გრძნობამ გაიმარჯვა: „ციალა გათხოვდა! დისერტაცია დაიცვა! მან გაიმარჯვა ცხოვრებასთან ჭიდილში — ყველაფერი დასძლია. არ მოუწამლო ეს ბედნიერი წუთები, თამაზ!..“ — ჩამძახა ვიღაცამ. მერხზე ჩამოვჯექი, ჯიბიდან ავტოკალამი ამოვიღე, უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოვხიე.

„ძვირფასო ციალა, გილოცავ დიდ სიხარულს! გისურვებ ბედნიერებას! შენ იები გიყვარდა. მაპატიე, რომ ვერ ვიშოვე!“ — დავწერე ხელის კანკალით. შემდეგ, ფურცელი ორად გავკეცე, წითელ ვარდებს შორის ჩავდე, თაიგული ვიღაც ლამაზ გოგონას მივაწოდე, ვთხოვე, დისერტანტისთვის გადაეცა და ნელი ნაბიჯით გასასვლელისკენ გავწიე.

ისევე, როგორც 14 წლის წინ, მუხრანის ხიდთან, ახლაც შეეჭერდი და ციალას შეეხედე — მან ღიმილით ჩამოართვა ქალიშვილს ვარდები, მოკეცილი ფურცელი გაშალა, თვალი გადაავლო.

„ვისგან არის?“ — იკითხა შემკრთალი ხმით. გოგონას პასუხისათვის არ დამიცდია — სწრაფად გავედი კარში და ჩქარი ნაბიჯით გავიარე დერეფანი. არ მინდოდა, ციალას ვეცნე, არ მინდოდა, სიხარული მომეწამლა მისთვის.

იმ ღამით, გალახული ბავშვივით ავტირდი. ძლიერ გამიკვირდა — არ მეგონა, თუ ცრემლი გამოჟონავდა ამდენ ჭირვარამში გამოვლილ ჩემს გაყინულ გულს. რა მატირებდა — ციალას ბედნიერება თუ ჩემი უბედურება?.. არ ვიცი! მხოლოდ ეს იყო — სადღაც, გულის რომელიღაც კუნჭულში ვიგრძენი, ჩემი ცხოვრების უკუღმართობაში მარტო ხალხი რომ არ იყო დამნაშავე. ცაილაც ხომ ჩემს დღეში, ჩემს მდგომარეობაში ჩააყენა ცხოვრებამ! მაშ, როგორ მოხდა, რომ მე ქურდი გავხდი, ის კი, ცხოვრების ფართო შარაგზაზე გავიდა?!.

არ მშურდა ციალასი, მე მხოლოდ ჩემი თავი შემეცოდა და ავტირდი. მაგრამ ერთი წუთითაც არ მიფიქრია, ადამიანებს დავბრუნებოდი — ჩვენ შორის დიდი ხნის დამწვარი იყო ხიდი!..

ჩარგიევმა თხრობა შეწყვიტა, გამშრალი ტუჩები გაილოკა.

— თუ შეიძლება, ცოტა წყალი მომაწოდეთ, — მიმართა სმენად ქცეულ მინდელს და სუსტად გაუღიმა.

გამომძიებელი გამოერკვა, ფრთხილად მიუტანა დაჭრილს გაფიცხებულ ბაგესთან წყლით სავსე ჭიქა, რამდენიმე ყლუპი დაალევინა.

— იქნებ, დანარჩენის თხრობა გადავდოთ? — შენიშნა წყნარად.

— არა, ბატონო ლევან, თითქმის დავამთავრე. თუ არ დაგღალეთ, ბარემ მომისმინეთ.

— კი, მაგრამ თქვენთვის ამდენი ლაპარაკი არ შეიძლება.

დაჭრილმა მწარედ გაიღიმა.

— ჩემი ჯანმრთელობის გაფრთხილებას აზრი აღარ აქვს, მე ვგრძნობ აღსასრულის მოახლოებას, ამიტომ ვჩქარობ. ბარემ ბოლომდე მოისმინეთ ცოდვილის აღსარება.

— მაშ, ექიმს დავუძახებ, — წამოდგა მინდელი.

— არავითარ შემთხვევაში, ბატონო ოლევან! გთხოვთ, ნუ იზამთ ამას. მინდა, მარტომ მომისმინოთ. ციალას... ქალბატონი ციალას გარეშე. და საერთოდ — გთხოვთ, არ უთხრათ მას ჩემი ნაამბობის შესახებ. ალბათ მიმიხვდით, რატომ მსურს ეს... სხვას, ვისაც გინდათ, უამბეთ... მაგრამ ისე, რომ... „ადრესატი“ უცნობი დარჩეს.

მინდელი გამომცდელად მიაჩერდა.

— კარგი, — დათანხმდა ბოლოს, — საუბარზე ნუ დავისწრებთ, მაგრამ...

— გმადლობ, ბატონო ლევან. ვიცი, რისი თქმაც გსურთ. მე კარგად ვარ, ჯერჯეროობით, ექიმის დახმარება არ მესაჭიროება, თხრობაც შემიძლია. ძალიან გთხოვთ, მომისმინოთ, კარგი?

— რა გაეწყობა, — მიუგო გამომძიებელმა...

დაჭრილმა მადლიერი მზერა მიაპყრო საწოლთან დახრილ გამომძიებელს, ცოტა ხანს დუმდა და შემდეგ, განაგრძო:

— მეორე დღეს, ვილნიუსში დავბრუნდი, ისევ საშკა ჩერქეზად გადავიქეცი და ღვინოსა და ქალებში ვიხრჩობდი ბოღმას. ბავშვობაში სადღაც წამიკითხავს — ადამიანმა რა პროფესიაც არ უნდა აირჩიოს, პირველობას უნდა ელტვოდესო. მე ქურდი გავხდი, მეამაყებოდა კიდეც ჩემი პროფესია და თუ პირველი არა, უკანასკნელიც არასოდეს ვყოფილვარ, ხოლო ქურდობის დაწყებიდან 3-4 წლის შემდეგ, როსტოვში მეხივით ქუხდა საშკა ჩერქეზის სახელი და ყველა, ვისაც რაიმე საერთო ჰქონდა ჩემს წრესთან, უსიტყვოდ მემორჩილებოდა. ცხოვრებაზე გაბოროტებულს, ჩალის ფასად აღარ მიღირდა სიცოცხლე, ყოველ ახალ საქმეზე გულგრილად, მშვიდად მივდიოდი. არაერთხელ მოვხვედრილვარ ტყვიების წვიმაში, სიკვდილისთვისაც არაერთხელ ჩამიხედავს თვალებში, მაგრამ სახეზე ფერიც არ შემცვლია... ეს იყო თუ სხვა რამ, ტყვია მზოგავდა, ხოლო ქურდებში მამაცისა და გაბედული კაცის სახელი გამივარდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ძალზე ვფრთხილობდი. წელან გითხარით — ჩალის ფასად არ მიღირდა სიცოცხლე-მეთქი, მაგრამ ციხეში მოხვედრა მაინც არ მინდოდა. საქმეზე მხოლოდ მაშინ მივდიოდი, როცა ყველაფერი გაზომილი იყო და შესაფერისი გეგმაც — მიღებული. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ უვნებლად გადავრჩი, როცა არა ერთი და ორი ქურდი ჩავარდა. მე კვალს არ ვტოვებდი, საშკა ჩერქეზის ხსენებას კი, ვერც ერთი ქურდი ვერ გაბედავდა: ჩემი ხსენების საზღაური — უეჭველი სიკვდილი იყო... ასე მივათრევდით ერთმანეთს მე და სიცოცხლე, რომელიც ქვით სავსე ხურჯინივით მეკიდა მხრებზე.

ციალასთან შეხვედრის შემდეგ, რამდენჯერმე მიფიქრია — ხელი ამეღო ბოროტებაზე, მაგრამ ვერ შევძელი. უნდა დავმშვიდობებოდი ყოველივე იმას, რასაც 14 წლის განმავლობაში შევესისხლხორცე. ესეც არ იყოს, რაღაცით ხომ უნდა მეცხოვრა. თუმცა, უფრო მგონია, ისევ ნებისყოფა არ მეყო ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად...

ასე გავიდა კიდევ 3 წელი. უკანასკნელ 2 წელიწადში, საქმეში პირადად არ მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ არც ერთი დიდი ქურდობა ან ძარცვა არ მომხდარა უჩემოდ: მე ვხელმძღვანელობდი ყველაფერს,

მე ვგზავნიდი საქმეზე, მევე ვანაწილებდი ნაქურდალს, ვიგებდი და ვაგებდი.

შარშანწინ ივნისში, ვილნიუსში ერთი ცნობილი ქურდის ბინაში ივანისელს შევხვდი. დავიახლოვე, საიმედოდ მოვაწყვე. ის მე მხოლოდ საშკა ჩერქეზად მიცნობდა. ეროვნებაც არ იცოდა ჩემი, არც არასოდეს უკითხავს: თვითონ კვალიფიციურმა ქურდმა, კარგად იცოდა ჩვენი კანონი. 2 თვის შემდეგ, მეც არ ვიცი, რატომ, ერთ საქმეზე წავედი, რომელიც — თქვენთვის საინტერესო არ არის. არ გაგვიმართლა — სამძებროს გადავეყარეთ. 7 კაციდან 4 მოგვიკლეს. მე და ივანისელი ერთად გავრბოდით. თითქმის სამშვიდობოს გასული, მძიმედ დამჭრეს ბარძაყში. წავიქეცი. წაქცეულს, გამახსენდა ბათუმი და მკერდში დაჭრილი, ქვიშაზე მოფართხალე გოგია, რომელსაც რუბენამ შუბლში ჩააჭედა ტყვია. „ახლა ჩემი ჯერია...“ — წარმოვთქვი ხმამაღლა და გულგრილად ველოდი, როდის დამახლოდა ტყვიას, უვნებლად დარჩენილი ივანისელი.

„რა მოგივიდა, საშკა?“ — შემომძახა ივანისელმა და დაიხარა.

„წადი, თავს უშველე, ჩემი საქმე გათავებულია!“ — მივუგე მე.

ივანისელმა ერთი მიიხედა უკან, შემდეგ ხელი დამავლო და ზურგზე მომიგდო. საშინელმა ტკივილმა ლამის გონი წამართვა, მაგრამ ყელში მომდგარი ყვირილი ჩავიხშე.

შემდეგ, აღარ მახსოვს, რა მოხდა. ივანისელი მგლური ნაბიჯებით გარბოდა. ხანდახან გონზე მოვდიოდი, მაგრამ გარემოს შეცნობის უნარი დაკარგული მქონდა... რომელიღაც სარდაფში გავახილე თვალი. საწოლთან სკამზე ივანისელი იჯდა და მშვიდად მიყურებდა. პირველად ვერ მივხვდი, სად ვიყავი, შემდეგ კი ყველაფერი გამახსენდა და ლოგინიდან წამოწევას შევეცადე.

„იწექი, არ გაინძრე!“ — გამაფრთხილა ივანისელმა და მკერდზე დამადო ხელი. გავიღიმე. სითბო ვიგრძენი მის მიმართ, რომელმაც, ნაცვლად იმისა, რომ ადგილზე გავეთავებინე, რისკი გასწია და გადამარჩინა. როგორ მოვიქცეოდი მე მის ადგილზე? ალბათ ისე, როგორც რუბენა მოექცა გოგიას...

ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა. ძვალი ოდნავ იყო გაკაწრული. ერთი თვის შემდეგ, ფეხზე დავდექი. ივანისელი კი, იმ დღიდან, აღარ მომშორებია და ვცდილობდი, სარისკო საქმეზე აღარ გამეგზავნა.

ამ უკანასკნელი საქმის შემდეგ, ძალიან გაჭირდა ვილნიუსში თავის გატანა. მილიციამ ერთმეორის მიყოლებით „აკრიფა“ ჩვენი ხალხი და ბოლოს, ჩემს თავისუფლებასაც დაესვა წერტილი.

ერთ დილას, სრულიად მოულოდნელად დამაკავეს ქუჩაში. ძიება დიდხანს არ გაგრძელებულა. ოთხიოდე საქმე დამიმტკიცეს და 25 წლით გამგზავნეს შორეულ ბანაკში. ჩემი ჩავარდნის მიზეზი ციხეში გავიგე, მაგრამ შური არავისზე მიძიებია — უჩემოდ დაეხრჩოთ, საშა ჩერქეზის კვალზე მილიციის დამყენებელი...

ყველა ადამიანი იმედით ცოცხლობს. არც ქურდები ვართ ამ სიკეთეს მოკლებული. მაგრამ დაჭერის დღიდან, მხოლოდ გაქცევაზე ვფიქრობდი. ძიების პერიოდში, ამისთვის შესაფერისი მომენტი არ ჩამივარდა, უაზრო რისკზე კი არ წავედი, რადგან წესად მქონდა, ყოველი საქმე კარგად მოფიქრებისა და აწონ-დაწონის შემდეგ დამეწყო.

სასჯელის მოსახდელად, შორეულ ჩრდილოეთში გამგზავნეს. კოლონიაში ძირითადად, ქურდი-რეციდივისტები იყვნენ მოთავსებული. მიმიღეს, უფროსადაც მაღიარეს. საშკა ჩერქეზის სახელი აქაც კარგად იყო ცნობილი.

გავეცანი თუ არა კოლონიის პირობებს, გაქცევის იმედი დავკარგე: თვით საპატიმროს ტერიტორიიდან გასვლა არ იყო მაინცდამაინც ძნელი, სადარაჯო ზონიდან გასხლტომაც შეიძლებოდა, მაგრამ მთავარი სიძნელე შემდეგ იწყებოდა: 150 კილომეტრზე მეტ მანძილზე უდაბური ტაიგა უნდა გამევლო და სიცივესა და ნადირს რომ გადავრჩენოდი, შიმშილი მომკლავდა. მდგომარეობა თითქმის გამოუვალი იყო. დროებით ხელი ავიღე განზრახვაზე და შემთხვევას დავუწყე ლოდინი. პატიმრები მუშაობდნენ, პირობები სავსებით ნორმალური გვქონდა, ეს იყო — ზონის გარეთ არ გვიშვებდნენ, თორემ, სხვა მხრივ, თითქმის არაფრით განვსხვავდებოდით ჩვეულებრივი მუშებისაგან.

გავიდა 8 თვე. გაქცევაზე ფიქრი არ მშორდებოდა. ყოველი პატიმრის ოცნება ხომ თავისუფლებაა.

ერთ საღამოს, ჩვენთან ბარაკში უცნობი პატიმარი მოვიდა და საშკა ჩერქეზი იკითხა. გამიკვირდა მისი თხოვნა — რამდენიმე წუთით ცალკე გავყოლოდი, მაგრამ უარი არ მითქვამს. განვცალკევდით. მხოლოდ ახლა დავაკვირდი. უცნობი, ასე, 45-50 წლისა იქნებოდა, ტყვიასავით ჩასხმული, მხარბეჭიანი, გრძლად მოშვებულ წვერში ჭაღარა გარეოდა. ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი და ვცდილობდი, გამომეცნო მისი ჩემთან მოსვლის მიზეზი.

„გაგიკვირდა ჩემი მოსვლა?“ — მითხრა მან.

„რაზე მოსულხარ?“ — ვუპასუხე კითხვითვე.

„საშკა ჩერქეზის ვაჟკაცობაზე ბევრი რამ გამიგონია, უფრო სხვანაირი მეგონე“.

„ამის სათქმელად მოხვედი?“

„ცაცია არ მერქმეოდა, მარტო მაგისთვის რომ მოვსულიყავი“.

დაკვირვებით შევათვალიერე. უკვე ვიცოდი პატიმრებისგან, რომ მეექვსე ბარაკის მამასახლისი, მეტსახელად ცაცია, ძველი ქურდი და სავსებით სანდო იყო.

„მაინც რა გინდა?“ — შევეკითხე მოგვიანებით.

„არ მოგწყინდა გალიაში ჯდომა?“ — პირდაპირ დამისვა კითხვა ცაციამ.

„დავუშვათ. მერე?“

„მერე ის, რომ არის ერთი გეგმა. მის შესასრულებლად, გაბედულებაა საჭირო, შენ ის გაქვს, არც მე ვარ ლაჩარი“.

„რა გეგმაა?“

ცაცია წამით შეყოვნდა. შემდეგ ცივად გაიცინა.

„გეტყვი: ჩემთან ბარაკში ბევრია სანდო და თავზე ხელაღებული, მაგრამ მე შენთან მოვედი. გასვლა შეიძლება, გარეთ კავშირი გვაქვს. თუ სადარაჯო ზონას გავცდით, გავალთ“.

„მერე — ტაიგა? ამაზე იფიქრეთ?“

„ვიფიქრე. აქ ერთი ქურდი — იაკუტი იჯდა. 6 წელი მოათავა, დიდი ხანი არ არის, რაც გაათავისუფლეს, მაგრამ ითხოვა და სოფელში, აქედან დაახლოებით 150 კილომეტრში დასახლდა. ის დაგვეხმარება“.

„150 კილომეტრს როგორ გავივლით უდაბურ ტაიგაში, იარაღისა და პროდუქტების მარაგის გარეშე?“

„150 კილომეტრის გავლა საჭირო არ არის: აქედან 40 კილომეტრში პროდუქტი იქნება დამალული. თვითონ კი, ზონიდან 2 კილომეტრში დაგეხვდება. იქამდე მისვლაა საჭირო, მერე ფიქრი არ არის — მეგზურობას იაკუტი გაგვიწევს“.

„სანდოა ეგ ვიღაც იაკუტი?“

„ამაზე მე ვაგებ პასუხს“ — მომიგო ცაციამ მტკიცედ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სახელგანთქმული ადამიანები და მათი საავტომობილო მისწრაფებები

ერთხელ, უფროსი თაობის ჰოლივუდელმა ვარსკვლავმა — ზა ზა გაბორმა პოლიციელს სილა გააწნა. სასამართლომ მას 3-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა, თან აიძულა, ავტომანქანის მართვის მოწმობაში თავისი ასაკი ჩაეწერა. ციხეში ყოფნისას, გაბორმა ახალი აფორიზმი „შვა“: „ხელოვნება, რეალობის ასახვა როდია; ერთი რეალობის ატანაც სავსებით საკმარისია...“

საქმეში ჩახედულ ადამიანებს თუ დავუჯერებთ, იმ ორ ათეულზე მეტ ავტომობილს შორის, რომელიც ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედ მეორის ფარეხში დგას, ხუთი — „როლს-როისის“ „ფანტომია“. აღნიშნულ ხუთეულს გვირგვინოსანი ქალბატონი, ცხადია, საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებს. მაგალითად, ამ რამდენიმე ხნის წინ ავსტრალიაში მოგზაურობისას, მან RR Phantom V-ზე შეაჩერა არჩევანი.

Spyker C8 Laviolette-დან (რომელიც სკანდალურად ცნობილ ფილმში — „ძირითადი ინსტინქტი“ — მთავარ სატრანსპორტო საშუალებად გვევლინება) შერონ სტოუნი ისეთივე მოკლე და „გულახდილი“ სამოსით რომ გადმოსულიყო, როგორიც ყველაზე შოკის მომგვრელ ეპიზოდში ეცვა, ის უეჭველად, უფრო მეტად „გააშუქებდა“ იმ ინტიმურ ადგილს, რომელიც ეკრანზე წამიერად გამოჩნდა... თუმცა, მისი ლიმუზინიდან — Town Car — გადმოსვლის დროსაც, შეუდარებელი შერონი ახერხებს ისეთი პოზების „დაჭერას“, რომლებიც გარშემო მყოფთა აღფრთოვანებას იწვევს.

როცა MG Midget-ის საჭეს მიუჯდა, რომელიც დაახლოებით მისი ასაკისაა, კეიტ მოსი, შესაძლოა, ცდილობდა, დაერწმუნებინა გარშემო მყოფნი, რომ ეთხოვებოდა შეცდომებით სავსე აწმყოს და დიდი სისწრაფით წარსულში დაბრუნებას ცდილობდა — იმ უცოდველ წარსულში, როდესაც არც კოკაინთან ჰქონდა შეხება, არც ალკოჰოლთან და არც სკანდალური თავგადასავლებით იყო ესოდენ მდიდარი მისი ცხოვრება...

Nasdaq-100 Open-ის საჩვენებელ საჩოგბურთო ტურნირზე, მარტინა ჰინგისმა საკმაოდ ბევრი არბენინა კორტზე ინდიანაპოლისის ჩემპიონი ავტორბოლაში, ელიო კასტრონეველი. მაგრამ კორტის მიღმა, „საკუთარ მოედანზე“ Indy Racing-ის პილოტმა რევანში აიღო — ჩოგბურთის ვარსკვლავი სპეციალურ სარბოლო ტაქსიში ჩასვა და გაურკვეველი მიმართულებით გააქანა.

8 წლის ასაკში, მსახიობი პეთსი კენსიტი ლურჯ ფრინველს ეძებდა (ის ამავე სახელწოდების ფილმში, მეტერლინკის ზღაპრის მიხედვით, მიტილის როლში მოგვევლინა). როცა 18-ის გარდა, ჯგუფთან — Eight Wonder — მსოფლიოს მერვე საოცრებასა და პლატინის ალბომებზე ოცნებობდა. დღეს, პეთსი 38 წლისაა და დარწმუნებულია — „სრულ ბედნიერებას ვერაფრით დაეწევი“ — თუნდაც, BMW X5-ით მიქროდე.

როგორც ამერიკელები იტყვიან ხოლმე — დიდ ქალაქში მხოლოდ ორი რამ შეიძლება იყოს სრაფი — სექსი და FedEx (Federal Express — საბანკო გადარიცხვის სისტემა). შესაძლოა, ამას კიდევ დაემატოს რაიმე, ოღონდ — არა Linkoln Town Car, რაც ძალზე კარგად მოეხსენება კინოვარსკვლავ სარა ჯესიკა პარკერს...

C M Y K

ერთხელ, როცა ჯინსი ჩვეულ ადგილას არ დახვდა, ნაომი კემპბელმა მობილური ტელეფონით თავი გაუტეხა მოახლეს. როცა ამის გამო, მას ნიუიორკელი დეტექტივები ესტუმრნენ, „შავმა ავაზამ“ მათთან ძალზე გულთბილი ურთიერთობა დაამყარა. შესაძლოა, იმიტომ, რომ სამართალდამცველებმა ნაომი, მისგან ჩვენების ასაღებად, პოლიციის განყოფილებაში ახალთახალი Lexus 460-ით „გაასრიალეს“.

წლების წინ, გერმანელი მსახიობი ქალი ვერონიკა ფერესი ჩიოდა, რომ არცთუ ისეთი კარგი კანი აქვს. მაგრამ შემდეგ, მან კოსმეტიკური ფირმა — Diadermine გახსნა და მალევე, „მაღალი კლასის მქონე ქალად“ იქცა. ამ „კლასის“ ერთ-ერთ თვალსაჩინო მაჩვენებლად მისი საუცხოო მანქანა — Jaguar S-Type შეიძლება მივიჩნიოთ.

ერთხელ, ხუმარა ვარსკვლავმა — ჯორჯ კლუნიმ, მეორე ვარსკვლავის და მეგობრის — ბრედ პიტის ავტომანქანის ძარას მიაკრა ორი წებოვანი ფურცელი წარწერებით — „მე გეი ვარ, მაგრამ ხმის მიცემის უფლება მაქვს!“ და — „ამ მანქანის საჭეს პატარა პენისი უზის“. ლოს-ანჯელესელი მძღოლები, ბრედის მანქანის გამოჩენისთანავე, მსახიობს ხელს უქნევდნენ და სიგნალს აძლევდნენ...

გაგრძელება 72-ე გვერდზე

არ გამოგრჩეთ ივლისის ნომერი



თქვენ სრულ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

ნეკა სეგისკვერაძე ახალგაზრდა მძღოლია. მან ოთხიოდე თვის წინ ესპანური წარმოების მანქანა — „სეატი ტოლედო“ იყიდა და თავისი შენაძენით ძალიან კმაყოფილია. ვიდრე ნეკა ამის შესახებ მოგვიყვებოდა, ვთხოვეთ, მოეთხრო, რა სიახლეებია მის შემოქმედებით ცხოვრებაში და აპირებს თუ არა ზაფხულში დასვენებას.

ნეკა სეგისკვერაძე

დაცვის ბიჭების დაცინვის ობიექტი გახდა

„მანქანა ისე მოულოდნელად ვიყიდე, რომ თვითონაც შოკში ჩავვარდი“

ნინო ჯავახიშვილი

— ამ სიცხეში ვმუშაობ და დასვენებაზე ვოცნებობ. ზოგჯერ, მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ ბუნებაში გავდივარ და ეს ძალიან მამშვიდებს. ხშირია გასვლითი კონცერტებიც. გარდა ამისა, ჩემი შემოქმედების თაყვანისმცემლები მალე იხილავენ ჩემს ვებ-საიტს, რომლის დიზაინზეც ახლა ვმუშაობთ.

— ახლა, იმ სიახლის შესახებაც ვისაუბროთ, რომელიც ავტომანქანა — „სეატ ტოლედოსთანაა“ დაკავშირებული.

— დიდი ხანია, რაც მანქანის ყიდვა მინდა. წელიწად-ნახევრის წინ, მამაჩემის მეჯვარე მოვატყუე — მანქანის მართვა ვიცი, ქალაქგარეთ გამიყვანე და საჭესთან დამსვი-მეთქი. მცხეთაში წავედით. საჭესთან რომ დამსვა, მიხვდა, რომ არაფერი ვიცოდი. იხტიბარი არ გავიტეხე — შემახსენე რაღაც-რაღაცები, დამვიწყებია-მეთქი. მანაც „შემახსენა“... ასე „ნაგლად“ მივუჯექი საჭეს და თბილისში უპრობლემოდ ჩამოვედი. ამის შემდეგ, მანქანა რამდენჯერმე მათხოვა. ჩემმა მეგობრებმაც ნდობა გამომიცხადეს — თავიანთი მანქანებიც მომანდვეს და ასე, ნელ-ნელა მძღოლი გავხდი... მალე, მართვის მოწმობაც ავიღე. მარტში კი, სრულიად მოულოდნელად, მანქანაც ვიყიდე. მე და ჩემი მეგობარი მშობლებთან ერთად ბორჯომში მივდიოდით. დილომში, მანქანების ბაზრობასთან რომ ჩავიარე, ვთქვი: ერთხელ უნდა შევიარო და მანქანების ფასები გავიგო-მეთქი. მეგობრის მამამ მითხრა — ჩემი ახლობელი მანქანას საკმაოდ იაფად ყიდის და ვნახოთო. ვნახეთ და მომეწონა. მეორე დღეს, ხელოსანი მივიყვანე, ყველაფერი შევამოწმებინე. მესამე დღეს ბანკიდან სესხი გამოვიტანე და მანქანა ვიყიდე. ეს ყველაფერი ისე უეცრად მოხდა, რომ თვითონაც შოკში ჩავვარდი.

— შენი მანქანა რა ფერისაა?

— მუქი მწვანე. მართალია, უახლესი მოდელი არ არის, მაგრამ კარგ მდგომარეობაშია. ჩემი პირველი მანქანაა და თანაც, საკუთარი შრომით შეძენილი. ამას წინათ, მანქანა მამაჩემს ვათხოვე, მაგრამ ეს ამბავი დამავიწყდა. ტელევიზიიდან რომ გამოვედი, კარგა ხანს ვეძებდი და რომ ვერ დავინახე, კინაღამ გავგიჟდი. ასეთი რამ დაახლოებით სამჯერ დამემართა, რის გამოც, დაცვის ბიჭების დაცინვის ობიექტი გავხდი.

— სისწრაფე გიყვარს?

— სისწრაფე მიყვარს მაშინ, როცა ტრასა თავისუფალია, მით უმეტეს, რომ ამის საშუალებას ჩემი მანქანაც მაძლევს, სპორტული რეჟიმიც აქვს, რომელსაც ჯერჯერობით არ ვიყენებ. მაგრამ ქალაქის ქუჩებში ვფრთხილობ. ძალზე დამთმობი მძღოლი ვარ, რის გამოც, მამაკაცი მძღოლებისაგან კომპლიმენტებსაც ვიღებ. ჩემი თავაზიანობა ზოგს აკვირვებს კიდეც.

— პატრულთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— ერთადერთხელ გამაჩერეს — გვიან ღამით სამსახურიდან დაღლილი მოვდიოდი, ტრასა თავისუფალი იყო და წითელზე გავიარე. 20 ლარით დამაჯარიმეს და მითხრეს: გიცანით, მაგრამ რას იზამ, კანონი — კანონიაო. ისეთი დაღლილი ვიყავი, ხვეწნის თავი არ მქონდა, ჩქარა გამოწერეთ და გამიშვით-მეთქი, ვუთხარი. საბუთების წართმევის საშიშროება რომ ყოფილიყო, პანიკას ავტეხდი.

— შენი მანქანით ქალაქგარეთ თუ გასულხარ?

— წყნეთს, წავკისსა და მცხეთს არ გავშორებივარ. ამ ზაფხულს, მანქანით ბათუმში მინდა წასვლა, მაგრამ ვეჭვობ, რომ მშობლები ამ ამბავს სიხარულით შეხვდებიან... საერთოდ, მანქანის მართვა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. უმეტეს შემთხვევაში სამსახურიდან გამოსული, პირდაპირ სახლში არ მივდივარ, მანქანით დავსეირნობ და განტვირთვას ვცდილობ.

— მანქანის მოვლა თუ გიყვარს?

— რა თქმა უნდა, ვცდილობ, მანქანას გავუფრთხილდე, მაგრამ მოუცლელობის გამო, სამრეცხაოში მამაჩემს მიჰყავს ხოლმე. ბოლოს ავტოსამრეცხაოში როდის ვიყავი, აღარც მახსოვს.

— საავარიო სიტუაცია თუ შეგიქმნია?

— ყოფილა შემთხვევა, როდესაც ვიღაცას ისე უცებ გადაუჭრია გზა, — რომ არა ჩემი სწრაფი რეაქციის უნარი, მანქანას დავამტვრევდი. ვაკვირდები — ვისაც ახალი კარგი მანქანა ჰყავს, ყველა უფრთხილდება, მაგრამ ვისაც ის არ ენანება — იმდენად ცუდად მართავს, რომ საფრთხეს გვიქმნის. სხვათა შორის, როცა მანქანაში სხდებიან, შიშით მეკითხებიან — ვაიმე, ქალი საჭესთან, მძიმე შემთხვევაა, ხომ ფრთხილად ივლი და არ დამამტვრევო? — პანიკაში ცვივდებიან.

— მანქანა რომ გაგიფუჭდეს, რას იზამ?

— რაღაც-რაღაცებში გავერკვიე, მაგრამ მანქანა შუა გზაზე რომ გამიფუჭდეს, რა თქმა უნდა, ვერ შევაკეთებ — მეგობარს დავურეკავ და დახმარებას ვთხოვ... მანქანა 3 დღის შეძენილი მქონდა, როცა ქუჩაში გამიჩერდა და ვეღარ დავქოქე. იქვე ახლოს, ჩემი მეგობარი ბიჭი ცხოვრობდა და მას დავურეკე — ირაკლი, მიშველე, მანქანას ვეღარ ვქოქავ-მეთქი — აღმოჩნდა, რომ ბენზინი გამითავდა...

3 დღის შეძენილი მქონდა, როცა ქუჩაში გამიჩერდა და ვეღარ დავქოქე

1 უბრალო უზურგო სკამი
2 დროებითი სადგომი
3 ძაღლის ჯიში
4 ძვირფასბეწვიანი მტაცებელი
5 ყოვლისმომცველი, საყოველთაო
6 შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი
7 ქართველი მათემატიკოსი
8 ამერიკის შტატი
9 ქვემეხების ზალპი
10 იტალიური ავიაკომპანია
11 სამაგიდო თამაში
12 მცირე ჩრდილი
13 ქალაქი საფრანგეთში
14 ტუბერკულოზი
15 ბოქლომი
16 ფეთქებადი ნივთიერება
17 მეღვინე
18 იაპონური დეკორატიული ხელოვნება
19 ციტრუსი
20 ტუჩი
21 ლექსის ოთხსტრიქონიანი სტროფი
22 ციხის გალავანი
23 ქურციკი
24 შეძახილი კორიდაზე
25 მსახიობი ... ნოლტი
26 ფრანგი მწერალი
27 სპორტული ნაგებობა
28 ჯადოქრობა
29 შეძენილი ნათესავი
30 გაერთიანება, კავშირი
31 იტალიელი ფეხბურთელი
32 სამხედრო ფორმის პალტო
33 XVI ს-ის იტალიელი მწერალი
34 საბერძნეთის ფულის ერთეული
35 მემკვიდრე
36 მოჭრილი ტოტებგაცლილი დიდი ხე
37 ინდიელთა ნავი
38 ნივრის აცმა
39 პოეზია
40 რხევა
41 თხელი ტალახი, ლაფი
42 რისმე საფუძველი, საყრდენი
43 ივივა, რაც ხახა
44 ლუჯდრუნელი ქრთელი კლობურული
45 ძუ მხეტების შეგრეხებელი
46 გათავისუფლებულ ყმა
47 აღმოსავლური ტკბილეული

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. პანტა; 2. ტიპიკონი; 3. თათი; 4. თია; 5. გრიპი; 6. სიმპათია; 7. შამპინიონი; 8. დეკანი; 9. სილვა; 10. ამბორი; 11. კედი; 12. ხომლი; 13. ხახვი; 14. ხისტი; 15. ეტაპი; 16. რენუარი; 17. პლანშეტი; 18. პანო; 19. ლამბი; 20. მანი; 21. მედინა; 22. ბატონი; 23. კიმონო; 24. ატილა; 25. როკი; 26. დავრიში; 27. სამიტი; 28. ტრენაჟი; 29. ნოტი; 30. ავიცენა; 31. ერე; 32. გრინგო; 33. მარაბუ; 34. ბოზა; 35. სოკო; 36. გალა; 37. ლატი; 38. ტალანტი; 39. კაბრიოლეტი; 40. ნასა; 41. ცინიზმი; 42. რეა; 43. ჭალა; 44. გალილეი; 45. ალიგატორი; 46. კარკასი.

სურათებზე: პუშკინი; ლერმონტოვი.

„მე თბილისელი არა ვარ, სენაკია ჩემი კუთხე"...

დაიბადა სენაკში. იქვე გაიზარდა, მაგრამ სენაკის მასშტაბი ჯაბა ბოჯგუასთვის საასპარეზოდ საკმარისი არ აღმოჩნდა. ის დღეს, სტაბილურად თბილისშია დამკვიდრებული, ისე, რომ თურქეთისკენ გახედვას არც აპირებს. არადა, თურქეთი, შეიძლება ითქვას, რომ მისი მეორე სამშობლოა — იქ ჩამოყალიბდა, როგორც შოუმენი და პირველ წარმატებასაც იქ მიაღწია.

— დედაქალაქისკენ სავალ გზას როდის დაადექი?

— სენაკიდან თბილისისკენ არ დავძრულვარ, გეზი თურქეთის ქალაქებისკენ ავიღე.

— რატომ?

— ბავშვობიდან მომწონდა და მიზიდავდა თურქეთი. 16 წლის რომ გავხდი, პასპორტი ავიღე და დავადექი თურქეთის გზას. 7 საათში ანკარაში ვიყავი.

— როგორი აღმოჩნდა დიდი ქალაქი?

— გაოგნებული დავრჩი, გაოცებული ვათვალიერებდი იქაურობას.

— სენაკში ცხოვრებაზე უარი რატომ თქვი?

— სენაკი ძალიან მიყვარს. იქ დავიბადე და გავიზარდე. მაგრამ პატარა ქალაქში მიზნის მიღწევა, საქმის დაწყება ძნელია.

— კარგი და, თბილისში როდის და რა ტრანსპორტით ჩამოხვედი?

— მატარებლით. ღამით ჩავჯექი და დილით თბილისში ვიყავი. მაგრამ ამ ბნელ დროს, მატარებლით მგზავრობას ვერიდები, რადგან გული მაწუხებს და ცუდად ვხდები ხოლმე. შორ მანძილზე მატარებლით არ მივდივარ.

— გული რატომ გაწუხებს?

— ბავშვობიდან, მოციმციმე არითმია მქონდა. სექტემბერში მოსკოვში მივდივარ საოპერაციოდ.

— სენაკიდან თბილისამდე რამდენი კილომეტრია?

— ნამდვილად არ ვიცი *(იცინის)*. ფოთამდე 230 რომ არის, ვიცი.

— თურქეთამდე რამდენი საათია თბილისიდან?

— ავტობუსით 33 საათი. რაც შეხება კილომეტრებს — სტამბოლამდე თბილისიდან 2000 კილომეტრია, ანკარამდე — 1500.

— ჯაბა, შენ უხდები თბილისს თუ ის გიხდება შენ?..

— მე ვუხდები, მე *(იცინის)*.

— თბილისში როგორ მოახერხე საზოგადოებისთვის თავის გაცნობა?

— ჩემი ექსტრავაგანტური ჩაცმულობით, ხარისხიანი შოუპროგრამით.

— ჩაგიხუტა თბილისმა?

— ჩამიხუტა, მიმიღო. ამის დასტურია ნებისმიერ კონცერტზე ჩემი გამოსვლა: სიამოვნებით მიკრავენ ტაშს.

— ახლა, თბილისელი ხარ?

— არა, ნამდვილად არა. სენაკში დავიბადე და გავიზარდე. ის არის ჩემი კუთხე. ■

აკაკი გოგიჩაიშვილი ეკონომიკური მიმომხილველი ხდება

ტელეჟურნალისტი აკაკი გოგიჩაიშვილი რამდენიმე თვის წინ, მაშინ, როდესაც ეთერში მისი წარმატებული შოუ — „იდეა, ფული და ერთი შანსი" გადიოდა, ფიქრობდა და ამბობდა კიდევაც, რომ შემდეგი სატელევიზიო სეზონისთვის, ეს პროექტი კიდევ უფრო გამდიდრებული სახით წარდგება მაყურებლის წინაშე, მასში მონაწილე ბიზნესმენების შერჩევაც დაწყებული ჰქონდა. მაგრამ ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ ის ამ შოუზე აღარ იმუშავებს. სამაგიეროდ, სექტემბრიდან, ახალ გადაცემას გაუძღვება აკაკი, რომელიც ქართული ბიზნესის სფეროში მიმდინარე მოვლენებს გააშუქებს — ანუ, ეკონომიკური მიმომხილველის ამპლუაში წარმოგვიდგება. ამ პროექტზე მუშაობა მას უკვე დაწყებული აქვს.

ლიზა ბაგრატიონს ოკონება აუხდა

ამ ცოტა ხნის წინ, მუსიკისა და დრამის თეატრის ეზოში მომღერალმა ლიზა ბაგრატიონმა საკუთარი სოლო კონცერტის გამართვა სცადა. ის ცოცხალი ორკესტრის თანხლებით გამოვიდა საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე. ორკესტრს ნიკა მემანიშვილი დირიჟორობდა და როიალთანაც ის იჯდა. მაგრამ ამ კონცერტის ბოლომდე მიყვანა, ზაფხულის შხაპუნა წვიმის გამო, ვერ მოხერხდა. სოლო კონცერტის მოწყობაში ლიზას მეგობრები ეხმარებოდნენ, რომლებიც შეჰპირდნენ, რომ ცოტა ხანში, მის ხელახალ გამართვაშიც დაეხმარებოდნენ, რათა მომღერალს ბოლომდე განეხორციელებინა ჩანაფიქრი. ასეც მოხდა. მუსკომედიის ბაღში ორდღიანი კონცერტი (12-13 ივლისს) გაიმართა. ამის შემდეგ, ლიზა ბათუმში, „მის საქართველო 2006"-ზე გაემგზავრა, სადაც ჟიურის შემადგენლობაში ყოფნამ მოუწია. ■

ნინას და ანას დუეტი უკვე მზად არის

გახსოვთ, ალბათ, რომ გაცნობეთ — ორი, სექსუალური იმიჯის მქონე მომღერალი — ნინა წკრიალაშვილი და ანა ჯაკი დუეტის ჩაწერას აპირებენ-მეთქი. ინგლისურენოვანი სიმღერა მათ უკვე ჩაწერეს. როგორც თვითონ ამბობენ, ის საკმაოდ კარგი გამოვიდა, ამასთანავე, საცეკვაოცაა. მალე სიმღერაზე კლიპის გადაღებასაც აპირებენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნამუშევარი ევროპულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს, რადგან ანა ჯაკი საფრანგეთში მის წაღებას და იქაური მაყურებლისთვის წარდგენას აპირებს. ნინას ცოტა ხანში, ერთ-ერთ სოლო სიმღერაზე კლიპის გადაღება უნდა, რომელსაც ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი გოგიჩაიშვილი, იგივე გოგიჩა გადაიღებს. ■

ვანიკო თარხნიშვილი მესიჯებს მეგრულად გზავნის

— ვანიკო, რატომ ცხელა?

— მიმაჩნია, რომ ამ ზაფხულს საკმარისად არ ცხელა. მე უფრო მეტ სიცხეს ველოდი. საერთოდ, კლიმატი შეიცვალა, სულ ამაზეა ლაპარაკი, მაგრამ რამდენიმე ასეული წელი, დიდი საფრთხე არ გვემუქრება.

— ზაფხული გიყვარს?

— მაგრად. ადრე, ზამთარი უფრო მიყვარდა, მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი, რომ მაინც ზაფხული ჯობია, მთელი წლებია, სულ ტყუილად ვამბობდი, ზამთარი მაგარია-მეთქი.

— კიდევ რა გიყვარს?

— პომიდორი. მიმაჩნია, რომ ქართულ პომიდორს ვერაფერი შეედრება, საოცარი საჭმელია. გერმანიაში რომ ვცხოვრობდი, იქ საშინელი გემო ჰქონდა პომიდორს. ეს ბოსტნეული უგემრიელესია ჩვენთან და კიდევ — ბულგარეთში მოწეულიც.

— ზაფხულში, თოვლი არ გენატრება, ხომ?

— არა, ხომ გითხარი — ზამთარში მენატრება-მეთქი ზაფხული...

— დარდს რითი იკლავ?

— საკუთარი თავის კონცენტრაციით. ფსიქოლოგიურად განვაწყობ ხოლმე ჩემს თავს. დარდი და ნებისმიერი განწყობილება — შინაგანია. არასწორია, რომ ამბობენ — ყველაფერს გარეგანი ფაქტორები იწვევსო.

— კიდევ რას კლავ და ებრძვი?

— საქართველოში არააქტიურ და არადინამიკურ სიტუაციას. სხვათა შორის, ადრე, ამ მიზნითაც დავიწყე ღონისძიებების ორგანიზება: ვცდილობდი, გამეაქტიურებინა და დინამიკური გამეხადა ჩვენთან არსებული მდგომარეობა. შეიძლება, ბევრი სისულელეც გამიკეთებია, მაგრამ მთავარია, რომ ვმოძრაობდი და არ ვჩერდებოდი.

— ზაფხულში მწერებს, კერძოდ — კალიებსა და ბუზებს არ კლავ?

— მწერებთან და ცხოველებთან დისტანციური დამოკიდებულება მაქვს: მათთან არც ახლოს მივდივარ და არც ვკლავ. იყვნენ თავისთვის! ცხოვრებაში ერთი-ორი ბუზი თუ მეყოლება მოკლული. რაც შეეხება ჭიანჭველას — ის რამდენჯერმე მაგიდიდან გადამიგდია, მაგრამ არ მომიკლავს. მათ არ ვეხები და ნურც ისინი შემეხებიან, ბატონო *(იცინის)*!

— გააგრძელე ანდაზა: „არა შეჯდა მწყერი ხესა...“

— ჩემებურად გავაგრძელებ: „გადაურჩა ჩახოხბილსა“ — ანუ, თუ ის ხეზე შეჯდება, მაშინ, მონადირე დაბრიდავს, თუ არა და — ნაკლები შანსი აქვს, მონადირემ მოკლას.

— ოდესმე, პლასტიკური ოპერაციის გაკეთება ხომ არ გიფიქრია?

— ასეთი სურვილი არ მქონია. თუ ამის აუცილებლობა იქნება ან ვალდებულება, მაშინ, მარცხენა ყურს ორი მილიმეტრით დავიპატარავებ: ცოტათი დიდია *(იცინის)*.

— უცხო სიტყვები, რომლითაც შენი მეტყველება გამოირჩევა, დაივიწყე თუ ისევ აქტიურად იყენებ?

— რამდენიმე თვეში, უცხო სიტყვებისგან მაქსიმალურად გაწმენდილი იქნება ჩემი მეტყველება. ცოტა ხნის წინ, თურქეთში გახლდით და სხვათა შორის, დავაკვირდი — ქართულში მართლაც, ბევრი სიტყვაა თურქული: ფანჯარა, საათი. კარგი იქნება, თუ მათ ქართულ შესატყვისს მოვუძებნით. ოღონდ, არ ვიცი, რითი შეიძლება შევცვალოთ.

— მეგრულის სწავლას თავი დაანებე?

— არა, ისევ განვაგრძობ და უკვე ეს-ემ-ესებსაც მეგრულად ვგზავნი. მაგარი ენაა მეგრული და მეგრელებიც მაგრები არიან.

— სად ხარ ახლა და რას აკეთებ?

— სახლში ვარ და კომპიუტერთან ვმუშაობ.

— რა ზიანის მოტანა შეუძლია კომპიუტერს?

— გამოსხივება აქვს და მიჯაჭვა იცის. იმედი მაქვს, ისეთ კომპიუტერს გამოიგონებენ, რომელსაც გამოსხივება არ ექნება.

— როგორ ხვდები, როცა მთვრალი ხარ?

— ახლა იშვიათად ვთვრები, არ მიყვარს ალკოჰოლური სასმელი. ადრე, სხვის გამომეტყველებაზე ვხვდებოდი, რომ მთვრალი ვიყავი. ზოგჯერ, წავბორძიკდებოდი, მავიწყდებოდა ელემენტარული რაღაცები, მაგალითად — რა მანქანა მყავდა...

— რა მანქანა გყავს?

— ახლა — „ბე-ემ-ვე“.

— აღტაცებას როგორ გამოხატავ?

— შეძახილით და კიდევ — თვალები მიფართოვდება.

— სიყვარულის შენეული ფორმულაც გვითხარი.

— სიყვარული ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსიახლოვის „მიქსია“.

— ბოლოს რას გვეტყვი?

— ბონაპეტიტ! ანუ — გაამოთ! — რადგან ცოტა ხანში, ვახშმის დროა...

■

კახა კუხიანიძემ დაბადების დღე „ბერიკონში“ გადაიხადა

მომღერალ კახა კუხიანიძეს, რომელმაც ცოტა ხნის წინ, მოლდავეთში წარმატებას მიაღწია — „ბროლის წეროს“ მფლობელი გახდა, — 17 ივლისს დაბადების დღე ჰქონდა, 23 წლის გახდა. ღირსშესანიშნავი დღე მან კლუბ „ბერიკონში“, ახლობლებისა და მეგობრების გარემოცვაში აღნიშნა.

— დაბერებულხარ, ჩემო კახა...

— (იცინის) კი, თან, თმაშიც დიდი ხანია, ჭაღარა გამომერია. დღეს, მეგობრების რჩევით, მინდოდა, მაყურებლისთვის სიამოვნება მიმენიჭებინა, გამემართა კონცერტი, კარაოკე, დისკოთეკა. ჩემთან ერთად სცენაზე იქნებიან: ნინო ძოწენიძე, ელენე და გიორგი ფოჩხუები, იაკო ჩანტლაძე...

კონცერტის წაყვანა სალომე გოგიაშვილს ჰქონდა დავალებული, მაგრამ „ბერიკონში“ მოსვლა დააგვიანდა და შემდეგ ეს საქმე, ჯგუფ „ემის“ წევრმა — ია მანიჟაშვილმა და ყოფილმა „ჯეობარელმა“ — გიორგი ფოჩხუამ ითავეს. დიდი მხიარულება იყო, ცეკვავდა მთელი დარბაზი, ნინო ძოწენიძემ რამდენჯერმე იმღერა, მისი ახალი ჰიტი — „შინა მანი კენა“ — და ასე გამოხატა მაზლის მიმართ სიყვარული. იყო დაპირებული კარაოკეც. იუბილარმა საჩუქრებიც მიიღო და შესაბამისად, ტორტიც გაიჭრა.

■

kviris astrologiuri prognozi

(20 – 26 ivlisi)

ვერძი 21.03-20.04

ამ პერიოდში, შეგიძლიათ შეუდგეთ საპასუხისმგებლო საქმეების განხორციელებას და თქვენი ფინანსური ალღოს წყალობით, შემოსავლის ახალი წყაროც მოიძიოთ. შაბათ-კვირა კი, მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

კურო 21.04-20.05

ამ კვირას, ნუ შეეცდებით დაამყაროთ ხანგრძლივი ურთიერთობები ან აწარმოოთ საქმიანი მოლაპარაკებები, რადგან ამ პერიოდში, შეხვედრებს უფრო ემოციური ხასიათი ექნება და არა კონსტრუქციული. უქმე დღეები მყუდრო გარემოში გაატარეთ.

ტყუბი 21.05-21.06

ამ დღეებში, თქვენ კვლავ მობილიზებულნი ხართ და შეგიძლიათ, საკუთარი გეგმების განხორციელებასა და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდეთ. კარგი პერიოდია პერსპექტიული, რომანტიკული ურთიერთობების დასაწყებად.

კიბო 22.06-22.07

თქვენს ცხოვრებაში ახალი პარტნიორი გამოჩნდება ან ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდებით, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენს სულიერ და მატერიალურ კეთილდღეობას. ეს დადებითი პერიოდია ახალი პერსპექტიული გარიგებისთვის, მოლაპარაკებების გასამართავად და ახალი შემოქმედებითი გეგმების განსახილველად.

ლომი 23.07-23.08

ამ პერიოდში, ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია რისკთანაა დაკავშირებული და შეიძლება, მსხვილი მატერიალური ზარალი გამოიწვიოს. ამიტომ, ჯობს, შვებულებაში გახვიდეთ, სადმე გაემგზავროთ და აღარ იფიქროთ პროფესიონალურ პრობლემებზე.

ქალწული 24.08-23.09

ამ დღეებში, საშუალება გექლევათ დაასრულოთ გადაუდებელი საქმეები და კონსტრუქციულად გადაჭრათ საკუთარი პრობლემები. შაბათ-კვირა კი, ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ.

სასწორი 24.09-23.10

ამ კვირას, შესაძლებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. ეს ხელსაყრელი პერიოდია სარფიანი შენაძენისათვის, საცხოვრებელი ადგილის გამოსაცვლელად, მეგობრული შეხვედრებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის და ახალი პერსპექტიული გეგმების ჩამოსაყალიბებლად.

მორიელი 24.10-22.11

მთელი კვირის განმავლობაში, თქვენ მზად ხართ კონსტრუქციული საქმიანობისთვის, მაგრამ ამ დროს, მნიშვნელოვანია, რომ ზურგს გიმაგრებდნენ სანდო პარტნიორი და გულახდილი მეგობრები, რომლებთანაც ურთიერთობა ნდობასა და ერთგულებაზეა დამყარებული.

მშვილდოსანი 23.11-21.12

ამ პერიოდში, შეგიძლიათ უფრო აქტიურად იმოქმედოთ და თქვენს კოლეგებსა და მეგობრებს თქვენი გეგმები გააცნოთ — ისინი დახმარებასა და თანადგომას გაგიწევენ. იმოქმედეთ გაბედულად, აქტიურად მიიღეთ მონაწილეობა სხვადასხვა წამოწყებასა და შეხვედრებში, რაც საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში დაგეხმარებათ.

თხის რქა 22.12-20.01

შეეცადეთ, მაქსიმალურად გამოიყენოთ საკუთარი შესაძლებლობები: ისარგებლეთ მეგობრებისა და უფროსების მხარდაჭერით, აღადგინეთ ძველი კავშირები და საჭიროების შემთხვევაში, ბოდიშიც მოიხადეთ. თუ შესაძლებლობა გაქვთ, უქმე დღეებში მეგობრებთან ერთად დასასვენებლად გაემგზავრეთ.

მერწყული 21.01-19.02

ამ დღეებში, თქვენ ობიექტურად შეაფასებთ საკუთარ შესაძლებლობებსაც და იმ წინადადებებსაც, რომლებსაც კოლეგები და ბიზნესპარტნიორები შემოგთავაზებენ. ჯობს, დასვენების დღეები საქმეების მოგვარებას დაუთმოთ და დასვენება მომავალი კვირისთვის გადადოთ.

თევზები 20.02-20.03

ამ კვირას, შესაძლებელია დაღლილობა მოგეძალოთ. ყურადღებით იყავით, რათა ილუზიების ან გრძნობების მსხვერპლი არ გახდეთ. არ მიიღოთ მონაწილეობა სარისკო ავანტიურაში, არ დადოთ არავითარი ხელშეკრულება, არ გაარკვიოთ ურთიერთობები. შაბათ-კვირა კი, ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ..

რამდენად მტკიცე ნებისყოფის პატრონი ხართ?

1. რამდენად ხშირად ფიქრობთ იმაზე, თუ როგორ აფასებენ თქვენს ამა თუ იმ ქმედებას ირგვლივ მყოფები?

ა) ძალზე იშვიათად — 0;
ბ) იშვიათად — 1;
გ) საკმაოდ ხშირად — 2;
დ) ძალზე ხშირად — 3.

2. ხდება თუ არა ისე, რომ თქვენ არწმუნებთ ადამიანებს იმაში, რისიც თავადაც არ გჯერათ და მიუხედავად ყველაფრისა, დაბეჯითებით ამტკიცებთ რაღაცას სხვების ჯიბრზე?

ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

3. ქვემოთ ჩამოთვლილი თვისებებიდან, რომელს აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?

ა) სიმტკიცეს — 1;
ბ) მასშტაბურ აზროვნებას — 1;
გ) საკუთარი თავის წარმოჩენის უნარს — 0.

4. როგორ ფიქრობთ, ზოგჯერ პედანტურად ხომ არ იქცევით?

ა) დიახ — 2;
ბ) არა — 0.

5. უსიამოვნო შემთხვევა ადვილად გავიწყდებათ?

ა) დიახ — 0;
ბ) არა — 2.

6. ჩვევად გაქვთ თუ არა საკუთარი ქმედებების გაანალიზება?

ა) დიახ — 2;
ბ) არა — 0.

7. როგორ იქცევით თქვენთვის კარგად ნაცნობი ადამიანების გარემოცვაში ყოფნისას?

ა) ამ წრეში მიღებული ქცევის ნორმების დაცვას ცდილობთ — 2;
ბ) იქცევით ისევე, როგორიც სინამდვილეში ხართ — 0.

8. როდესაც რთული საქმის შესრულებას ჰკიდებთ ხელს, ცდილობთ თუ არა, რომ არ იფიქროთ იმ სიძნელეებზე, რომლებიც წინ გელით?

ა) დიახ — 0;
ბ) არა — 2.

9. თქვენი აზრით, ქვემოთ მოყვანილი თვისებებიდან,

რომელი უფრო მეტად შეგეფერებათ?

ა) მეოცნებე — 0;

ბ) ქუდბედიანი — 1;

გ) საქმეში გულმოდგინე — 3;

დ) პუნქტუალური და აკურატული — 2;

ე) ფილოსოფოსობის მოყვარული — 2;

ვ) მოუსვენარი — 0.

10. როგორ იქცევით ამა თუ იმ საკითხის განხილვისას?

ა) ყოველთვის გამოთქვამთ საკუთარ აზრს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის უმრავლესობის მოსაზრებისგან რადიკალურად განსხვავდება — 2;

ბ) მოცემულ სიტუაციაში დუმილს ამჯობინებთ — 0;

გ) გარეგნულად უმრავლესობას ემხრობით, შინაგანად კი, საკუთარ აზრზე რჩებით — 0;

დ) იზიარებთ სხვების მოსაზრებას და ხელს იღებთ საკუთარ აზრზე — 0.

11. როგორი გრძნობა გეუფლებათ, როცა მოულოდნელად უფროსი კაბინეტში გიბარებთ?

ა) გაღიზიანდებით — 0;

ბ) განგაშის გრძნობა დაგეუფლებათ — 1;

გ) შეფიქრიანდებით — 2;

დ) ეს ამბავი არანაირ განსაკუთრებულ გრძნობას არ აღგიძრავთ — 0.

12. როგორ იქცევით, როცა თქვენი ოპონენტი კამათისას წონასწორობას კარგავს და პირად შეურაცხყოფაზე გადადის?

ა) „ხურდას უბრუნებთ“ — 0;

ბ) ამას ყურადღებას არ აქცევთ — 2;

გ) წყენას დემონსტრაციულად გამოხატავთ — 1;

დ) დამშვიდების მიზნით, მასთან კამათს წყვეტთ — 3.

13. როგორი გრძნობა დაგეუფლებათ, თუკი ნამუშევარს დაგიწუნებენ?

ა) განაწყენდებით — 2;

ბ) სირცხვილის გრძნობა დაგეუფლებათ — 1;



გ) განრისხდებით — 0.

14. როცა ხათაბალაში ეხვევით, უპირველეს ყოვლისა, ვის ან რას ადანაშაულებთ ამაში?

ა) საკუთარ თავს — 2;

ბ) ბედს, უიღბლობას — 0;

გ) ობიექტურ ვითარებას — 0.

15. ხომ არ ფიქრობთ, რომ გარშემო მყოფები სათანადოდ ვერ აფასებენ თქვენს ნიჭსა და ცოდნას?

ა) დიახ — 0;

ბ) არა — 2.

16. როგორ იქცევით, როცა მეგობრები ან კოლეგები ხუმრობით სიცილს დაგაყრიან?

ა) ბრაზდებით — 0;

ბ) გადიხართ ოთახიდან და ცდილობთ, მათგან თავი შორს დაიჭიროთ — 1;

გ) თამაშში აჰყვებით და საკუთარ თავზე თავადაც იხუმრებთ — 2;

დ) გარეგნულად არაფერს შეიმჩნევთ, მაგრამ შინაგანად აღშფოთდებით — 0.

17. როგორ იქცევით, როცა სადმე გეჩქარებათ და ვერ პოულობთ ნივთს, რომელსაც ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას დებთ?

ა) მდუმარედ განაგრძობთ მის ძებნას — 2;

ბ) განაგრძობთ ძებნას და თან, უწესრიგობაში ოჯახის წევრებს დაადანაშაულებთ — 0;

გ) შეწყვეტთ ძებნას და წახვალთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნივთი გჭირდებათ — 1.

18. რა უფრო მეტად გაღიზიანებთ?

ა) გრძელი რიგი რომელიმე ჩინოვნიკის მოსაცდელში, რომელთან მოხვედრაც სასწრაფოდ გჭირდებათ — 1;

ბ) ამა თუ იმ ადგილას რამდენჯერმე ერთსა და იმავე საკითხზე მისვლა — 2;

19. ვინმესთან კამათის დასრულების შემდეგ, მასთან გონებაში ხომ არ აგრძელებთ დავას და საკუთარი მოსაზრების დასაცავად, ახალ-ახალ არგუმენტებს ხომ არ იშველიებთ?

ა) დიახ — 0;

ბ) არა — 2.

20. ვთქვათ, სასწრაფო სამუშაოს შესასრულებლად, თქვენ თანაშემწის აყვანის შანსი მოგეცათ; რომელ შესაძლო კანდიდატს აიყვანდით?

ა) საქმის კარგ შემსრულებელ, მაგრამ უინიციატივო ადამიანს — 0;

ბ) საქმის მცოდნე, მაგრამ კამათის მოყვარულ და ჯიუტ ადამიანს — 1;

გ) ნიჭიერ, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ზარმაც ადამიანს — 2.

ტესტის შედეგები

0-14 ქულა: თუკი ამ კატეგორიაში მოხვდით, ეს მეტყველებს იმაზე, რომ სუსტი ნებისყოფის ადამიანი ხართ.

26-38 ქულა: თუკი ამ კატეგორიაში მოხვდით, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ძალზე მტკიცე ნებისყოფის ადამიანი ბრძანდებით და საკუთარ საქციელზე თითქმის ყოველთვის პასუხისმგებელი ხართ. გაითვალისწინეთ, არსებობს იმის საფრთხე, რომ საკუთარი მტკიცე ნებისყოფით ტკბობა, შეიძლება პატივმოყვარეობაში გადაგეზარდოთ.

39-41 ქულა: თუკი ამ კატეგორიაში აღმოჩნდით, ეს ნიშნავს იმას, რომ იდეალურ პიროვნებასთან მიახლოებული ადამიანი ბრძანდებით; მაგრამ ზოგჯერ ჩნდება არცთუ ისე უსაფუძვლო ეჭვი — რამდენად ობიექტურად შეაფასა ადამიანმა საკუთარი თავი ანუ რამდენად გულწრფელი იყო პასუხების გაცემისას.

სახელგანთქმული ადამიანები და მათი საავტომობილო მისწრაფებები

დასაწყისი იხ. გვ. 64

იაპონური Nissan Note-ის ევროპული სარეკლამო რგოლის ავტორები გვარწმუნებენ, რომ „იმაზე უკეთესი თავგადასავალი, ვიდრე ბევრი შვილის ყოლაა“ ქვეყანაზე არ არსებობს. ამიტომაც გასაკვირი როდია, რომ ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი, რომელსაც 4 შვილი ჰყავს, სწორედ ამ მარკის მიმართ იჩენს ინტერესს და მას, თავად „ნისანის“ პრეზიდენტთან, კარლოს გოსნასთან საუბრისას იკმაყოფილებდეს.

ბელგიის სამეფო ოჯახის უმცროსი შვილი — პრინცი ლორანი საკმაოდ გონიერი (ინგლისურად — smart) ბიჭია. ის სახელმწიფოსგან ყოველწლიური დოტაციის სახით, 300 ათას ევროს იღებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძვირად ღირებულ მანქანებს არ ეტანება, თან, Smart-ით გადაადგილების გზით, თანამოქალაქეებს ირიბად, დედაბუნების (გარემოს) სიყვარულს ასწავლის.

■

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

4	9	5	8	3	1	2	6	7
6	7	1	9	2	4	3	8	5
3	8	2	7	5	6	4	1	9
2	5	3	1	4	8	9	7	6
1	4	7	2	6	9	5	3	8
8	6	9	3	7	5	1	2	4
5	2	8	4	1	7	6	9	3
7	1	6	5	9	3	8	4	2
9	3	4	6	8	2	7	5	1

1	9	8	4	3	5	2	7	6
2	6	4	8	7	1	9	3	5
5	7	3	6	9	2	1	4	8
4	5	7	2	6	9	3	8	1
8	2	6	7	1	3	4	5	9
9	3	1	5	8	4	7	6	2
3	8	2	9	4	6	5	1	7
7	4	5	1	2	8	6	9	3
6	1	9	3	5	7	8	2	4

* მარტივი

9		5				2		4
			9		2			
7			8		3			6
	4	9	2		1	8	7	
	2	8	4		7	3	6	
4			5		9			3
			7		4			
1		3				7		9

** საშუალო

		3		2		6		
9	7						1	5
6			7		5			4
	6		2		4		8	
				6				
	5		3		9		2	
8			4		1			2
4	1						9	8
		5		8		7		

ფოტოკუჩიოზები





პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

TB STARS

ბ 130/26

ლიმალელე — M

გურამიშვილი — M

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი